ვახტანგ ჭანკოტაძე

დავბადებულვარ კახეთის გულში,
როცა ყვაოდა ქალწული ნუში,
ნათლიაჩემი ყოფილა თუში,
მკერდი ჰქონია გამრჯელი მუშის.

გავუბანივარ ალაზნის წყალში,
მადლი უცხია რბილსა და ძვალში,
ავმაღლებულვარ მოყვასთა თვალში,
მყარად დავმდგარვარ წინაპრის კვალში.

იქიდან მომდევს ბევრი რამ დღესაც,
ვერ გავიმეტებ საჭრელად ხესაც,
ავითვალწუნე ძუნწიც და ქლესაც,
დღედაღამ ვლოცავ მიწასაც, მზესაც.

ღმერთო მაღალო! მომეცი ძალა,
ნუ მაბოგინებ კენტად და ცალად,
თუ კი ვვარგივარ სულით ან თვალად
ნურას გამატან იმქვეყნად ვალად.

ბესიკ ჯაიშაური

ეხლანდელ ქართველებს

90

გორი
2023 წ.

რედაქტორი დარეჯან ჭანკოტაძე

კორექტორი მათიკო ჩხუბიანიშვილი

ყდების შიგნით და მე-6, 56-ე, 120-ე, 203-ე,
204-ე, 205-ე, 209-ე, 210-ე, 216-ე, 252-ე გვერდებზე
წარმოდგენილია ვახტანგ ჭანკოტაძის
საავტორო ლექსები

შესავალი

ეს წიგნი ერთი ამბის გახსენებით მინდა დავიწყო: ჩემი დიდი პაპის, – წმინდა მღვდელმოწამე შიო კაიშაურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციებს ვაგროვებდი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. მაშინ წავაწყდი გასაოცარ ინფორმაციას დეკანოზ დავით გოცირიძის შესახებ.

ეს მადლმოსილი მოძღვარი, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, გამოირჩეოდა მრავალშვილიანობითაც, მაგრამ მრავალშვილიანობაცაა და მრავალშვილიანობაც!..

დეკანოზმა დავით გოცირიძემ ერთადერთ მეუღლესთან, მარიამ დათიაშვილთან, თანაცხოვრებით 27 შვილი უშვა, გაუზარდა და აღუზარდა სამშობლოს!

ხომ ფანტასტიკური ფაქტი და მოვლენაა!

როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო, რომ მის გამრავლებაზე უშუალოდ იღწვოდე და ზრუნავდე?!

როგორ უნდა გიყვარდეს ღმერთი და მოყვასი, რომ ღვთის ნებას არა მხოლოდ გამრავლებით აღასრულებდე, არამედ ამ გამრავლებულ ოჯახში, მრევლში და ერში სთესდე ქრისტეს რწმენას, სიყვარულსა და სიბრძნეს.

სიბრძნე ვახსენე და აქვე დავძენ, სწორედ სიბრძნით, ნიჭიერებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით მდიდარ ადამიანს ეძღვნება ეს წიგნი.

ვახტანგ ჭანკოტაძე ზემოხსენებული დიდი მოძღვრის, დავით გოცირიძის ოცდამეშვიდე შვილის,

უმშვენიერეს თამარ გოცირიძის შვილია და, მაშასადამე, იმ გენეტიკური ძარღვის გამგრძელებელია, რომელშიც მქუხარედ ჩქეფს ქართული და ქრისტიანული სული და სისხლი, სიყვარული, რწმენა და სიბრძნე, მებრძოლი, დაუდეგარი და შეუპოვარი ბუნება...

პათეტიკურ ქება-დიდებაში რომ არ ჩამეთვალოს ეს სიტყვები, აქ შევწყვეტ შესავალს და შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს ვახტანგ ჭანკოტაძის დღეგრძელი ცხოვრებიდან.

მისი ცხოვრების სარკიდან დანახულ სამყაროს შემოგთავაზებთ და ვიმედოვნებ, ნებისმიერი მკითხველისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება 90 წლის მეცნიერის, პარტიულ-სამეურნეო მუშაკის, პუბლიცისტისა და მწერლის ცხოვრებისეული ხედვისა და გამოცდილების გაზიარება.

ავტორი

ბავშვობა
და
სიჭაბუკე

მენატრება ჩემი ძნელი ბავშვობა

ლახტის „ცხელ“ წრეში პირველობას
ვუთმობდი არვის,
შიშველ წვივებზე ქამრის წვერის
ვოვლიდი ნასუსხარს,
არ მაწუხებდა სამკაული
ვერცხლის თუ ქარვის,
ხშირად მაჭმევდნენ მჭადის ნატეხს
ნათხოვ–ნასესხარს.
            უბნების ჩხუბში უდენიათ
            სისხლი ცხვირიდან,
            მახსოვს გატეხილ კოკისთვისაც
            მცემეს გულდაგულ,
            გადმოვვარდნილვარ თოხარიკი,
            ლურჯა ვირიდან
            და მაინც ვერვინ ვერ მნახავდა
            მწყრალს და გულ დაგულს.
ცრემლი მდიოდა, თუ მჩაგრავდნენ
დიდები ჩემზე,
როცა სუფრასთან არ მიშვებდნენ
მტკიოდა გული,
ვჩილიკაობდი, ვბურთაობდი
თაკარა მზეზე,
ხელში მეჭირა განუყრელად
თოხი და ცული.
            ახლა ფულიც მაქვს საკმარისი,
            საჭმელ–სასმელიც,
            აღარც ვტირი და არ მჭირდება
            ცრემლის გაშრობა,
            ვდგავარ მწვერვალზე, შორს გავყურებ
            როგორც მთამსვლელი...
            ტკბილ სიზმარივით მენატრება
            ჩემი ბავშვობა.

ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქალაქ თელავში 1933 წლის 4 აპრილს, აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. აი, ამ ორ მოვლენას შორის პერიოდს შეეხება წიგნის პირველი ნაწილი.

არ დაიხიო, ვახო!..

როდესაც ბატონ ვახტანგს ვთხოვე, ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მომენტი გაეხსენებინა თავის ბავშვობიდან, მან გაიხსენა 1939 წლის შემოდგომა გურჯაანში.

სანამ ამ თემას გავაგრძელებ, გეტყვით, რომ ორი წლის იყო ვახტანგი, როცა მისი მამა გადაიყვანეს გურჯაანის სატყეო მეურნეობის დირექტორად და ცხოვრობდნენ ამავე მეურნეობის კანტორაში, რო-

ვახტანგის მშობლები – რევაზი (ჭანკოტაძე) და თამარი (გოცირიძე)

მელსაც საუცხოოდ მოვლილი და გამწვანებული ეზო ჰქონდა.

ამავე კანტორაში, მეორე სართულზე სახლობდნენ სხვა მოწვეული სპეციალისტებიც თავიანთი ოჯახებით.

მაშ ასე, 1939 წლის 1 სექტემბერია, 6 წლის ვახტანგ ჭანკოტაძე მიდის სკოლაში, რომელიც დაახლოებით სამასი მეტრის დაშორებით იყო სახლიდან, ანუ იმ კანტორიდან, სადაც ცხოვრობდა ვახტანგის ოჯახი.

ავადმყოფმა დედამ წაიყვანა სკოლაში.

ქალბატონ თამარს ტუბერკულოზი სჭირდა. ეს კი მაშინ მოურჩენელი ავადმყოფობა იყო (საქართველოში ჯერ არ იყო გამოყენებაში ისეთი ანტიბიოტიკები, როგორიც პენიცილინი და სტრეპტომიცინია).

„საწყალი მამაჩემი ყველა ღონეს ხმარობდა დედაჩემის გადასარჩენად. ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ლაგოდეხში ცხოვრობდა ვინმე სახალხო მკურნალი, მასთან მიდიოდა ხოლმე მამა და მოჰქონდა წამალი, რომელიც უამებდა ტკივილებს, მაგრამ განკურნება მაშინ შეუძლებელი იყო“, – იხსენებს ბატონი ვახტანგი და თვალწინ წარმოუდგება მეზობლები, რომლებიც მოწიწებით ესალმებოდნენ და ეფერებოდნენ დედას, რადგან იცოდნენ განწირული იყო და დიდი დღე არ ეწერა.

მოდით, დავუბრუნდეთ ისევ 1939 წლის 1 სექტემბერს, ამ დღეს მოხდა ის, რამაც ბატონი ვახტანგის ხასიათის ჩამოყალიბებაში გრანდიოზული როლი ითამაშა.

სკოლაში მისვლის პირველი დღე, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაშია. სხვა რამ მოხდა უფრო

მნიშვნელოვანი და ამას ბატონი ვახტანგი ასე იხსენებს:

„სკოლიდან რომ დავბრუნდი, დედა იწვა, წამოჯდა და მკითხა, როგორი შთაბეჭდილებები მქონდა სკოლაში მისვლის პირველ დღეს. ჩემგან დადებითი ემოციები რომ მოისმინა, გაეხარდა და მომეფერა.

ამ დროს ეზოდან ხმა შემომესმა. ტოტების მტვრევის ხმა იყო. შევკრთი და გარეთ გავვარდი. ვხედავ, მეზობლის ბიჭს კოკა წყლით აუვსია, ახლა კი მიმდგარა და ტოტებს ატეხს ხეებს (უბანში მარტო კანტორის ეზოში მოდიოდა წყალი). გავბრაზდი, გავიქეცი, ავიღე მისი წყლით სავსე კოკა და ძირს დავახეთქე, მერე კი მისკენ გავიწიე საცემად და ის გაიქცა“...

6 წლის ვახტანგს გასაოცარი აღქმა ჰქონდა სილამაზისა და წესრიგის. ვერ იტანდა არეულ-დარეულობას და ვერც ბუნების განადგურებას უყურებდა გულგრილად...

მამამისს, თვალებახვეულს, სუნით შეეძლო ამოეცნო, რა ჯიშის იყო ესა თუ ის ხე. ფლორისადმი განსაკუთრებული სიყვარული მამისგან ვახტანგსაც გამოჰყვა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ასე შეიცხადა მეზობლის ბიჭისგან ძვირფასი ხეების განადგურება.

„...ამ დროს ჯახუნით გაიღო ჭიშკრის კარი, – განაგრძობს გახსენებას ბატონი ვახტანგი, – ძმები მოეყვანა მეზობლის ბიჭს. მოვემზადე საჩხუბრად. ჩემზე ბევრად უფროსები იყვნენ, ალყა შემომარტყეს და ბოროტი მზერით ჩემსკენ გამოემართნენ. ცოტათი უკან დავიხიე. ამ დროს ხმა მესმის: ვახო, უკან არ დაიხიო, შვილო!..“

ძვირფასო მკითხველო, წარმოიდგინეთ ეს სურათი, ავადმყოფი ქალი, დედა დგას აივანზე და ხედავს, სამი მუტრუკი მისი 6 წლის შვილის ცემას აპირებს. ხედავს იმასაც, რომ მისმა შვილმა უკან დაიხია, ხოლო დედა შვილის ცემაზე უფრო საგანგაშოდ ჩათვლის უკან დახევას და კი არ აშველებს მოჩხუბარ ბიჭებს, კი არ წივის და კივის, კი არ წყევლის მოჩხუბარ ბავშვებს, არამედ შვილს ამხნევებს და ნაბიჯს ადგმევინებს წინ – კაცობისკენ, ვაჟკაცობისკენ, პრობლემების დაძლევისკენ მოუწოდებს...

„...სულ მახსოვდა, მახსოვს და მემახსოვრება ეს დღე და ნებისმიერი სიძნელის დროს მახსენდება დედის სიტყვები: „არ დაიხიო, ვახო!“ და მე არ ვიხევ. ბევრჯერ წავაგე კიდეც ამის გამო, მაგრამ უფრო მეტჯერ მოგებული დავრჩი“, – იხსენებს ბატონი ვახტანგი.

იმ დროს, თურმე, ასეთი წესი ჰქონიათ კახეთში. ბავშვების ჩხუბის დროს წაგებული ის რჩებოდა, პირველს ვისაც გამოუვიდოდა ცხვირიდან სისხლი.

დედისგან გადიდგულებულმა ვახომ იმდენი ქნა, რომ ორ მოჩხუბარ ძმას სისხლი ადინა ცხვირიდან, თვითონაც მოხვდა და ცხვირსისხლიანი მივიდა დედასთან, მაგრამ მშობელს არ უჩხუბია, პირიქით, ეამაყებოდა, რომ ვაჟკაცობის გაკვეთილი შვილმა წარმატებით ჩააბარა.

ბავშვური სიყვარული

ვახტანგი მაშინ 9 წლის იყო, მამა რომ თელავში გადაიყვანეს და დანიშნეს თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორად. ბუნებრივია, ოჯახიც წამოიყვანა და პატარა ვახო თელავის №1 საშუალო სკოლაში შეიყვანეს (აქვე ვიტყვით, რომ შემდგომში თელავის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად 15 წლის განმავლობაში მუშაობდა ვახტანგ ჭანკოტაძის და დარეჯან ჭანკოტაძე. ეს სკოლა ერეკლე მეორის დროს იყო აშენებული და ამიტომაც, დარეჯან ჭანკოტაძის მონდომების წყალობით სკოლას ეწოდა ერეკლეს სახელი).

ომის პერიოდი იყო და ყველას უჭირდა. პურს „ტალონებზე“ არიგებდნენ. პურის მიღება ვახტანგის მოვალეობა იყო. პატარა ბიჭი იდგა გრძელ რიგში და სულ ფიქრობდა, რატომ შფოთავდნენ რიგში მდგომი ადამიანები? ხშირად უთქვამს უფროსებისთვის: „პური ხომ ტალონებზეა, თქვენს წილს სხვას არ მისცემენ და ყველას გვეყოფა, რატომ ღელავთ, რატომ ნერვიულობთო?“

ერთ მშვენიერ დღეს კვლავ პურის გრძელ რიგში იდგა პატარა ვახტანგი, როცა შენიშნა ერთი კაფანდარა გოგონა და როგორც იტყვიან ხოლმე, გულში ჩაუვარდა.

თემას ცოტას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ბატონ ვახტანგ ჭანკოტაძეს საოცარი ალღო და უნარი აქვს ისეთი, კარგ გამომძიებელს რომ შეშურდება. ამის დამადასტურებელ ფაქტებს შემდეგშიც გაეცნობით, ახლა კი იმას გეტყვით, რომ 9 წლის ბიჭმა გადაწყვიტა გამოეძია და დაედგინა, ვინ იყო ეს გოგო, სად ცხოვრობდა, სად სწავლობდა, რა ერქვა, რა აინტერესებდა და რითი სუნთქავდა...

მოკლე ხანში დაადგინა, რომ გოგონას დალი ერქვა და ცხოვრობდა სამჭედლოს სიახლოვეს.

სამჭედლო ვახსენეთ და ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ სამჭედლოს ბევრად მეტი და იდუმალი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე სხვა მსგავს სამჭედლოებს. აქ იყო ეგრეთწოდებული „ბირჟა“, სადაც გაიგებდით პლანეტის, ქვეყნის, ქალაქის, უბნის ყველა უახლოეს და ცინცხალ ინფორმაციებს: ომში რა ხდება, რა ელის მსოფლიოს, თელავში ვინ მოკვდა და ვინ დაიბადა, ვინ იქორწინა, ვინ წავიდა ჯარში და ვინ ჩამოვიდა ომიდან.

პატარა ვახტანგი ამ ბირჟაზე ყოფნას დაეჩვია, ბევრ ახალსაც ხომ იგებდა და უფრო მთავარი მიზეზი ის იყო, რაც ზემოთ გითხარით: მშვენიერი დალი ცხოვრობდა იქვე, სიახლოვეს და იმაზე უკეთესს რას გააკეთებდა, ვიდრე ამ მშვენიერების ხილვა იყო?!

ერთ საიდუმლოებასაც გაგანდობთ, ძვირფასო მკითხველო, ვახტანგ ჭანკოტაძეს საოცარი რიდი და მოწიწება ჰქონდა ქალისადმი, იმ დონეზეც კი, რომ ეშინოდა გაეცნო, დალაპარაკებოდა გოგონებს.

ქალის კულტი მასში მკვიდრობდა და ამის მიზეზი იყო მისი ოჯახი, მამა და მისი მეგობრები, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ მის ოჯახში და იმგვარად ადიდებდნენ ქალს, დედას, მანდილოსანს... რომ პატარა ვახოს ცნობიერებასა და ქვეცნობიერებაში, გონებასა და გულის სიღრმეში ღრმად ჩაილექა ემოცია ქალისადმი, როგორც არაამქვეყნიურ არსებისადმი.შეუყვარდა ცხრა წლის ვახტანგს პატარა დალი და დაუწყო დარაჯობა. შორიდან ზვერავდა. ელოდა, როდის გავიდოდა სახლიდან ან დაბრუნდებოდა. გზად მიმავალ გოგონას კუდში

აეკიდებოდა ხოლმე და გულის ფანცქალით მისდევდა, თან შიშობდა, გოგოს არ შეემჩნია, მაგრამ პატარა ქალს რას გამოაპარებ?! იგრძნო მდევარი ბიჭუნას გულის ხმა დალიმ და დაიწყო კეკლუცობა, ცალი თვალით და უცნაური ღიმილით გახედავდა ხოლმე ბიჭს და ეპრანჭებოდა.

დალიმ კი არა, მჭედელმა და ბირჟაზე მოფუსფუსე კაცებმაც შენიშნეს ვახტანგის უცნაური „სიყვარული“ და მათ ათას ამბავს ათასმეერთე სალაპარაკოდ ვახოს და დალის „სიყვარული“ დაემატა.

ახლა, თავად მთავარ გმირს მოვუსმინოთ, როგორ გვიყვება კულმინაციურ მომენტს.

„...ერთ დღეს ისევ ვდგავარ იმ სამჭედლოსთან და ველოდები, როდის გაივლის დალი, რომ დავინახო და დავტკბე მისი ყურებით.

ამ დროს, იქვე, სამჭედლოსთან ორი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს“.

ძვირფასო მკითხველო, ცოტა ხნით ბატონ ვახტანგს ჩამოვართმევ სიტყვას და გეტყვით, რომ იმხანად თელავში სულ ოთხი (რაიკომის მდივნების, პროკურორის და პოლიციის უფროსის) მანქანა დადიოდა და იმ ოთხიდან ორი შეეჯახა ერთმანეთს.

„...დასახიჩრებულები გადმოიყვანეს. ვიღაც გაიქცა ცხენით, რომ ექიმი მოეყვანა.

მეც მივედი შემთხვევის ადგილზე და ვიღაცას რაღაცაში ვეხმარებოდი. იქვე, ერთ-ერთი ჩემი ტოლი ბიჭი თავჩაღუნული ფუსფუსებდა. უცებ თავი ასწია და მე მომარტყა სახეში.

„რა არი, ვერ ხედავ?!“ – გავბრაზდი მე.

„შენ რა, ვერ ხედავ?!“ – გაიფხორა ისიც.

„შენ დამარტყი თუ მე დაგარტყი?!“ – გავცეცხლდი მე.

„რა გინდა, ბოლო-ბოლო?!“ – გამოიწია იმან.

„შენ თვითონ რა გინდა?!“ – შევყვირე მე და ჯიხვებივით დავეტაკეთ ერთმანეთს.

ცოტა ხანს შევჩერდით და „მაინც რა გინდაო?!“ კიდევ ერთხელ მკითხა ბიჭმა.

„რა მინდა და, დალის ვუთვალთვალებ, მიყვარს-მეთქი“ – გამოვტყდი.

„რაო, დალი გიყვარსო!“ – დაიჩხავლა ბიჭმა და ხელახლა ვეტაკეთ ერთმანეთს.

განახლდა ხელჩართული ბრძოლა და პირველი მე გამოვადინე მეტოქეს სისხლი ცხვირიდან.

ჩვენს ორთაბრძოლას მჭედლები უყურებდნენ და მსაჯობდნენ, როგორც კი დაინახეს, რომ ჩემს მეტოქეს (კოლია ერქვა იმ ბიჭს) ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, სასწრაფოდ გაგვაჩერეს და დაგვამშვიდეს“.

სიმბოლურია: ქალაქში სულ 4 მანქანა დადიოდა და იქიდან ორი ერთმანეთს დაეჯახა.

ქალაქში დალიზე ორი შეყვარებული ბიჭი დადიოდა და ისინიც დაეჯახნენ ერთმანეთს იმავე დროს, იმავე ადგილზე.

სიმღერის ანსამბლში

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა და ამ პროცესში, სხვებთან ერთად, ხელოვნების მუშაკებიც აქტიურად ჩაერთვნენ.

იმ დროს მთელ კახეთში ქუხდა ფირუზ მახათელაშვილის სახელი. ეს იყო ლოტბარი, რომელიც მამაკაცთა ანსამბლს ხელმძღვანელობდა და თავის მთავარ მისიად მიიჩნევდა ხალხური სიმღერის განვრცობას.

ლოტბარი ფირუზ მახათელაშვილი

უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ფირუზ მახათელაშვილს სურდა ქართულ-ხალხური სიმღერებით შეეიარაღებინა ქართველი მამაკაცები და სწამდა, რომ ამგვარად „შეიარაღებულ“ ქართველ მამაკაცთა სიმრავლე გადაარჩენდა ქართულ სულს და ქართულ ოჯახებს.

ფირუზ მახათელაშვილმა თავისი მისიის აღსრულებისთვის მუსიკალური სმენის მქონე ბავშვების მოძიება დაიწყო სკოლებში. ჯერ მხოლოდ ბიჭუნებს ეძებდა, მერე გადაწყვიტა ბავშვთა ანსამბლი გაეკეთებინა და ბიჭუნებთან ერთად გოგონებიც შეიყვანა ანსამბლში.

მაშინ ვახტანგი 12 წლის იყო. მის სკოლაში ხმა გავრცელდა, რომ მუსიკალური სმენის ბავშვებს ეძებდა ფირუზ მახათელაშვილი და მოსმენა თეატრში უნდა შემდგარიყო.

მივიდა ვახო და ხედავს, უამრავი გოგო-ბიჭი შეკრებილა და ელოდება, როდის მოვა მათი რიგი. უმეტესობა ამ ბავშვებისა იმას ფიქრობდა და განიცდიდა, ფირუზ მახათელაშვილი მოიწონებდა და მიიღებდა თუ არა თავის ანსამბლში.

ვახოს სხვა რამ ადარდებდა – ნეტავ, გოგოებში არ მოვხვდეო, ამაზე ოცნებობდა.

აკი ვთქვით, – გოგოებთან ურთიერთობაში ძა-

ლიან მორცხვი იყო, სულ სხვანაირი წარმოდგენები ჰქონდა გოგოებზე და მათ დანახვაზე წითლდებოდა, მათთან სიახლოვეს ყოფნა კი წარმოუდგენლად მიაჩნდა, არა და, ვახომ კარგად იცოდა, რომ პირველი ხმა ჰქონდა ისიც კარგად იცოდა, რომ გოგონების 99% ასევე პირველი ხმა იყო, ეს კი იმის საშიშროებას მოასწავებდა, რომ გასინჯვის შემდეგ, ფირუზა მასწავლებელი ეტყოდა, წადი, გოგოებთან დაჯექიო. აბა, როგორი ასატანია ამდენ თვალხატულა გოგოს სიახლოვეს დაჯდომა?

ასე იყო, თუ ისე, მოვიდა ვახოს რიგიც. ფირუზ მახათელაშვილმა აიღო აკორდი, ვახომ კი ბანით უპასუხა.

„ვახ?!“ – გაიოცა ფირუზმა და გახედა ვახოს სკოლის დირექტორს. ისევ აიღო აკორდი და ვახომ ისევ დაიბოხა ხმა.

გაჩერდა ფირუზი და მიაშტერდა ბიჭს. მერე ისევ დირექტორს გახედა და გასძახა: „ეს ვინ მომიყვანე, აფერისტიაო“.

„არა, კარგი ბიჭია, სიმღერაც შეუძლიაო“, – თავი იმართლა დირექტორმა.

„კაცო, პირველი ხმა აქვს გაქანებული და ხმას რატომ იბოხებს ეს ბალღი, ვერ გამიგიაო“, – თქვა სიცილნარევი აღშფოთებით ფირუზ მახათელაშვილმა და ტყუილში გამოჭერილმა ვახომ თავი ჩაღუნა. გადარჩა მორცხვი ვახო გოგოებთან, ანუ პირველი ხმის პატრონებთან ერთად დგომას.

გავიდა დრო და ჩვენი გმირი საუკეთესო სოლისტი დადგა. ორი წელი იყო ფირუზ მახათელაშვილის ბავშვთა ანსამბლში. გადიოდნენ სხვადასხვა რაიონში, მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებში.

ვახტანგ ჭანკოტაძის მიერ შესრულებული სოლოები მსმენელთა აღფრთოვანებას იწვევდა, განსაკუთრებით მოსწონდათ მისი სოლისტობით შესრულებული „გაფრინდი შავო მერცხალო“.

გოგონებთან სიახლოვესაც შეეგუა ვახო, მით უფრო, რომ გოგონებისგანაც უხვად გრძნობდა პატივისცემასა და სიყვარულს.

მომწიფება

15 წლის იყო, რაღაცა უცნაური ტკივილი რომ იგრძნო მკერდის არეში. ამ ტკივილს უცნაური შეგრძნებაც ახლდა, რომლის სიტყვებით ახსნა არ შეეძლო, სამაგიეროდ, მასზე გამოცდილმა მამაკაცებმა შეაფასეს ეს მდგომარეობა, დიაგნოზიც დაუსვეს და უთხრეს: „ეგა, ბიჯო, იმას ნიშნავს, რომ მომწიფდი, გაიგე? ქალი გინდა, ახლა, ქალი!“

კაცმა რომ თქვას, ბევრი ვერაფერი გაიგო. ან მომწიფება რას ნიშნავდა, ან ქალი რაში სჭირდებოდა, ფაქტი ის იყო, რომ ძუძუს თავები დაჰბერვოდა და უცნაური ტკივილი აწუხებდა მკერდის არეში.

ერთხელ მეზობლის პატარა გოგონა შემოვიდა მასთან ეზოში და ვახოს ჰკითხა: „შენი ძმა სახლშიაო?“

გივი კურდღელაურში* იყო წასული და ვახო მარტოდმარტო იყო სახლში. სტუმარი სახლში მიიპატიჟა და ცოტა ხნით ჩამოსხდნენ. რამდენიმე წუთი ისაუბრეს და უმიზეზოდ იცინეს, მერე გოგონა წამოხტა და გაიქცა, თან უკან იხედება და იცინის.

ვახტანგი გაეკიდა, გოგონა მირბის – სახლიდან

* სოფელი თელავის ახლოს.

ეზოში, ეზოდან ბოსტანში, სიმინდებში... მირბის, ქოშინებს და თან უკან იხედება.

ვახტანგი მისდევს, მაგრამ რატომ მისდევს, არ იცის.

გოგონა მირბის და არც მან იცის, რატომ მირბის...

ვახო კი მისდევს, მაგრამ აშკარად ცდილობს სისწრაფეს მოუკლოს, რადგან, რომ დაეწიოს, მერე რა უნდა გააკეთოს, არ იცის.

აქოშინებული გოგონა თავისი სახლის ეზოში შევარდა და მამას დაუძახა.

ვახო მიჰყვა და გაჩერდა.

„რა არის, ბიჭო?!“ – ეკითხება გოგოს მამა.

ვახო ძლივს სუნთქავს და მდუმარედ შესცქერის ხან თანატოლ გოგონას, ხან მამამისს.

„რა მოხდა, აღარ მეტყვით?!“ – კვლავ კითხულობს გოგონას მამა.

„არაფერი, ვთამაშობდით“ – პასუხობს ვახო და გოგონაც თავის დაქნევით ეთანხმება.

გოგოს მამა მიხვდა და გაეღიმა.

ვახტანგის მამა რევაზ ჭანკოტაძე (მარცხნიდან პირველი) მეგობრებთან: ირაკლი ესიტაშვილთან, ალექსი ყარალაშვილთან და შალვა ციციშვილთან ერთად

როგორც ჩანს, ეს ამბავი ვახტანგის მამას უამბო გოგოს მამამ, რადგან ორიოდე კვირის მერე, სუფრასთან ასეთი სიტყვებით მიმართა ვახტანგის მამამ თავის მეგობრებს:

„ჩემი ბიჭი უკვე მომწიფდა, დაკაცდა და გოგოებს დასდევსო“.

არდადეგები სოფელ საბუეში

მოზარდი ვახტანგი სასკოლო არდადეგების დროს სოფელ საბუეში მიდიოდა ბიძასთან, რომელიც ცნობილი მჭედელი იყო, თავისი სამჭედლო ჰქონდა და პატარა ვახტანგიც დიდი სიამოვნებითა და ენთუზიაზმით ეხმარებოდა ბიძას: ხან საბერველის ბერვაში წააშველებდა ხოლმე ხელს, ხან ურის ურტყამდა, ხანაც ხილის მოკრეფაში ეხმარებოდა, საღამოთი კი წიგნის კითხვასაც ასწრებდა და თანატოლებთანაც ერთობოდა.

თანატოლებთან ერთად, ხშირად, უცხოტომელებიც გამოერეოდნენ ხოლმე.

საბუეში ხშირად ლეკები ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ თვეობით. ასეთი გადმობარგების მიზეზი კი ცხენების ნალების დამზადება და დაჭედვა იყო.

აკი გითხარით, ვახტანგის ძია ცნობილი მჭედელი იყო მეთქი, იმდენად ცნობილი, რომ ლეკები შიკრიკს გზავნიდნენ ხოლმე, მჭედელს როდის სცალიაო და შეთანხმებით დათქმულ დროს ასობით ცხენი მოჰყავდათ და თვეობით სახლობდნენ ოჯახებთან ერთად.

საბუელებმა ერთხელ გადაწყვიტეს ლეკებს შეჯიბრებოდნენ ფეხბურთში. გადაწყვეტილება მალევე

მოიყვანეს სისრულეში, გუნდის კაპიტნად ვახტანგ ჭანკოტაძე დანიშნეს და შეერკინნენ სტუმრებს.

რა შედეგით დამთავრდა ეს ამხანაგური შეხვედრა, ჯობია არ ვახსენო, იმას კი ვიტყვი, რომ მეორე დღეს საბუელთა გუნდის კაპიტანს ბიძამ საყვედური უთხრა: „შვილო, ლეკების მთავარმა შემომჩივლა, რომ გაგიმასხარავებიათ მათი გუნდი. თუ გიყვარვარ, ასეთი რამ აღარ გაიმეოროთ, ბოლო-ბოლო სტუმრები არიან და ჩვენ სტუმართმოყვარეობა გვმართებსო“.

ყურად იღო ვახტანგმა რჩევა და შემდეგი შეხვედრის დროს წინ ბიჭები გააფრთხილა: „თქვენი ჭირიმე, ოცზე მეტი არ გაუტანოთ ლეკებს, თორემ ბიძაჩემი მომკლავსო“.

ეგრეც მოიქცნენ ბიჭები – 20:0 მოუგეს საბუელებმა ლეკებს. ქართველები ხარობდნენ, ვახტანგის ბიძა კი სიმწრით შუბლს ისრესდა.

„ბიჭო, რა გინდათ, ჩემი მტრები ხო არ ხართ, ჰა?! აქ აღარ მოვლენ ე ლეკები და უმუშევრად გინდათ დამტოვოთ?!“ – შესჩივლა ძიამ საბუელ ფეხბურთელებს.

„მაშ, რა ვქნათ, აღარ ვითამაშოთ ფეხბურთი?“ – შესჩივლა ვახტანგმა ბიძას.

„კაცო, ითამაშეთ, მაგრამ... ხომ შეიძლება ათზე მეტი არ გაუტანოთ და ერთი-ორი მათაც შეაგდებინოთ, ჰა?“ – ამ ჩივილ-წუხილის მიღმა მჭედლის ხვეწნაც იყო და ბიჭებმაც ანგარიში გაუწიეს კაპიტნის ბიძას.

მესამე შეხვედრაზე საბუელებმა სთხოვეს ლეკებს, რომ 12 ფეხბურთელი გამოეყვანათ, თვითონ კი 6 მოთამაშე იკმარეს. საბუელებმა მაქსიმალური „პატივისცემა“ გამოიჩინეს მეტოქეების მიმართ, მაგრამ შეხვედრა მაინც 10:0 დამთავრდა. „რა ვქნათ, ვერ გაგვიტანეს და ჩვენ თვითონ ხომ არ გავიტან-

დით ჩვენივე კარშიო“ – ბიჭებმა თავი იმართლეს ვახტანგის ბიძის წინაშე.

ერთ დღეს მჭედელს ლეკების მთავარი ეწვია და უთხრა: „ფეხბურთის მატჩს ჩემი ქალიშვილიც ეს-წრებოდა და თქვენი ვახტანგი მოეწონაო“.

თურმე, ნუ იტყვით და, 15 წლის ვახტანგი სასიძოდ მოსწონებიათ ლეკებს და მათი წესის თანახმად, გადაწყვიტეს 4-5 წელი დაკვირვებოდნენ, თუ რა კაცი იყო მოწონებული სასიძო, ხოლო თუ ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებდა, ცოლად გაა-ყოლებდნენ ლეკების მთავრის ქალიშვილს.

კი აცნობა ბიძამ „სასიძოდ მოეწონე ლეკების მთა-ვარსო“ – მაგრამ ვახტანგმა ვერ გაიგო, რა უნდოდათ მისგან და ძველებურად განაგრძო ლაღი ცხოვრება.

თამბაქოს გემო

ვახტანგ ჭანკოტაძის აქტიურობა და ფრიადოსნობა შეუმჩნეველი არ დარჩენია სკოლის დირექტორს და იგი კლასის ორგანიზატორად დანიშნეს.

პასუხისმგებელი იყო ყველაზე და ყველაფერზე; რომელიმე თანაკლასელს თუ არ ექნებოდა მომზადებული გაკვეთილი ან შესაფერისად არ იყო ჩაცმული, ან სკოლაში დააგვიანებდა, ან ყოფა-ქცევაში მოიკოჭლებდა... ყველაფერში პასუხს სთხოვდნენ კლასის ორგანიზატორს.

ახლა, წარმოიდგინეთ, როგორ ვითარებაში უხდებოდა ორგანიზატორობა ვახტანგს.

კლასში იყო 8 ვაჟი, აქედან სამი მოსწავლე ორ-ორჯერ იყვნენ კლასში დარჩენილი, ხოლო ორი მოსწავლე ციხეში ნაჯდომიც კი იყო.

მაშასადამე, 14 წლის ვახტანგს უხდებოდა 16, 18, 19 წლის თანაკლასელების ორგანიზატორობა.

ასეთი კონტიგენტის ორგანიზატორობისთვის, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა ყოფილიყო სამაგალითო. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ვახტანგს და კიდევ უფრო მეტი რუდუნებით სწავლობდა, მეტი მონდომებით იყო ჩართული სპორტშიც, ხელოვნებაშიც და სხვა სასკოლო აქტივობებში.

ერთ დღეს, დილით მივიდა რა სკოლაში, ვახტანგმა დაინახა, რომ მისი შვიდი თანაკლასელი ჭიშკართან დგას და ბჭობს.

„თქვენ აქ რას აკეთებთ, ხუთ წუთში გაკვეთილები იწყება!“ – შენიშვნა მისცა კლასის ორგანიზატორმა და ეგონა ამ სიტყვებს ყურად იღებდნენ ბიჭები, მაგრამ ამაოდ. „მაიცა, ბიჭო, ბევრ ნუ აჩმახებ, შატალოზე მივდივართ!“ – ძველბიჭური ინტონაციითა და აგრესიით მიმართა ერთ-ერთმა.

„სად მიდიხართ?!“ – შატალო არ გაეგო ვახტანგს და ვერ მიხვდა, რას აპირებდნენ თანაკლასელები.

„შენც ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდე!“ – მკვახედ მიმართა ერთ-ერთმა ნაციხარმა კლასელმა.

„სად უნდა წამოვიდე?“ – მაინც ვერ გაერკვა ვახო.

„წამოხვალ და გაიგებ!“ – მოკლედ მოუჭრეს, ჩაჭიდეს ხელი და წაიყვანეს სტადიონისკენ, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, ე.წ. „ახალი ბაღის“ სიახლოვეს.

ახლა თავად ბატონ ვახტანგს მოვუსმინოთ:

„...სტადიონზე შევედით. მყუდრო ადგილი ნახეს და გაჩერდნენ. გაიხადეს წელსზევით, ნახევრად ალყა შემომარტყეს და მიმზერენ გამჭოლი მზერით. დგანან ასე, ნახევრად გაშიშვლებულები, „ნაკოლკიანები“, დაკუნთულები, ნაჭრილობევ-ნაიარევი სხე-

ულებით, შემომცქერიან და ორაზროვნად იღიმიან.

უცებ დააძრეს ქისები, გახსნეს, ამოიღეს თამბაქო (უხ, რა სუნი ჰქონდა, დღესაც მახსოვს მისი სუნი და გემო), მერე გაზეთის ნაგლეჯები ამოიღეს ჯიბიდან, გაახვიეს მასში თამბაქო, ენა აუსვეს, დააწებეს და მოამზადეს მოსაწევად.

მე ვუყურებ გაოცებული და კიდევ ვერ ვხვდები, რა ხდება (მანამდე არც თამბაქო მენახა და არც მისი გემო გამისინჯავს).

მერე აბედი და ტალ-კვესი ამოიღეს, გაკრეს, მოუკიდეს და შვიდივემ ერთად გააბოლა. გასაოცარი სუნი დადგა.

„შენ, რა, არ უნდა გააბოლო?“ – ბოხი ხმით მომმართა ყველაზე უფროსმა.

„რა უნდა გავაბოლო, გიჟები ხომ არ ხართ! ვინ იცის, რას ფიქრობს ახლა სკოლის დირექტორი?!“ – დავიჩივლე მე.

„ნეტა, მაგისი დედაცაო!..“ – შეიგინა დაკუნთულმა და თამბაქო მომაწოდა.

„მოუკიდე, ჯო!“ – მითხრა და გაიღიმა.

„რა უნდა გავაკეთო?“ – გავიოცე მე.

„გამოსრუტე, ჩაისუნთქე და თქვი: „მღვდელი მოდიის!“ – აი ასე თქვი, გაიგე?!“ – იცინიან, თან კუნთებს მითამაშებენ და საცემრად იწევენ. „სულ ყველა ვეწევით და შენ ვინა ხარო“ – მეუბნებიან სიტყვით და უსიტყვოდ...

იძულებული გავხდი მომეწია, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვთქვი, როგორც კი ბოლი ფილტვებში ჩავიდა, ეგრევე გამთიშა“.

მაშინ ვახტანგი 14 წლია იყო, 1947 წლის 16 მაისის დღე იყო. გავიდა 70 წელი და 16 მაისს 84 წლის ვახტანგ ჭანკოტაძემ მეგობრები მიიწვია სახლში,

სახელდახელო სუფრა გაუშალა და ასეთი სადღეგრძელო წარმოთქვა: „იმ დღეს გაუმარჯოს, თამბაქოს წევა რომ დავიწყე და ამ დღესაც გაუმარჯოს, თამბაქოს წევას რომ თავს ვანებებო!“

ექიმმა კი უთხრა: ერთ თვეში სურვილი გაგიქრებაო, მაგრამ არ გაქრობია:

– სულ მინდა მოწევა, მაგრამ თავს ვიკავებ.

– ჯანმრთელობის გამო? – ვკითხე მე.

– ეეჰ! ჯანმრთელობა მეორეხარისხოვანია ამ შემთხვევაში, სიტყვა რომ ვთქვი: „აღარ მოვწევო“ – ამ სიტყვას, სიტყვისკაცობას ვუფრთხილდები. აქაც დედის სიტყვები ჩამესმის ხოლმე: „...არ დაიხიო, ვახო!“ ჰოდა, მეც არ ვიხევ, სამაგიეროდ, უკან იხევს თამბაქოს მოწევის სურვილი.

დეტექტიური სიუჟეტი

დათა ძიამ ლეკის ბიჭი იშვილა. ეს ის დათა ძიაა – საბუელი მჭედელი, ვისთანაც ყოველ საზაფხულო არდადეგებს რომ ატარებდა ვახტანგი.

შვილები ჰყავდა დათას და მაინც იშვილა უცხო ტომის ბავშვი. რატომ გააკეთა ეს?

„...სულ მგონია, რომ ჩემს გამო ქნა ეს. უნდოდა, მის სახლში თანატოლი მყოლოდა მეგობრად, პარტნიორად, ნათესავად... ამასაც ხომ კაცობა უნდოდა!“ – ამბობს ბატონი ვახტანგი და იხსენებს, როგორი გაშმაგებით უყურებდა ხოლმე ეს ლეკის ბიჭი დათა ძიას ხანჯალს, რომელიც კედელზე ეკიდა.

ერთ „მშვენიერ“ დღეს ხანჯალი გაქრა კედლი-

დან, თუმცა, მისი გაქრობა კარგა ხანს არავის შეუნიშნავს, სამაგიეროდ, ელდად ეცა ყველას ლეკის ბიჭის გაქრობა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცის, გავიდა სახლიდან და დაიკარგა. ეძებდა დათა ძია, ეძებდა მთელი სოფელი, ეძებდნენ ლეკებიც, მაგრამ ამაოდ...

გადის რამდენიმე თვე და დათა ძიას სახლიდან 30 კილომეტრის მოშორებით პოულობენ... არა ლეკის ბიჭს, არამედ დათა ძიას ხანჯალს (!). როგორ მოხვდა იქ? არავინ იცის. თვითონ ხანჯლის დაკარგვის ფაქტიც მაშინ აღმოაჩინა დათა ძიამ, როცა იპოვეს ეს ხანჯალი „ჟესტოკას“ ბაღში.

– ვინ იყო ეს „ჟესტოკა“, – ვეკითხები ბატონ ვახტანგს და ის იხსენებს:

– „ჟესტოკა“ ჩვენზე უფროსი იყო, ჯან-ღონით გამორჩეული იყო და ყველას გვიმორჩილებდა. „ჯესტოკა“ მკაცრი, დაუნდობელი, სადისტი იყო... არ გვიყვარდა მასთან ფეხბურთის თამაში, ერთ ბიჭს ფეხი მოტეხა თამაშის დროს და მას შემდეგ, როცა ის გამოჩნდებოდა, ჩვენ თამაშს ვწყვეტდით“.

აი, ასეთი ბოროტმოქმედის ბაღში იპოვეს დათა ძიას ხანჯალი, რომელიც უსათუოდ ლეკის ბიჭის მოპარული და წაღებული იყო, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა „ჟესტოკას“ ან ამ ხანჯალთან ან ლეკის ბიჭთან, დღემდე უცნობია...

ალმასა

15 წლის იყო ვახტანგი, მამამ რომ მთა-თუშეთში წაიყვანა.

ეს არც ექსკურსია იყო და არც ტურისტული მოგზაურობა. რევაზ ჭანკოტაძე სატყეო მეურნეობის დირექტორი იყო და მის მოვალეობაში შედიოდა ტყეების მდგომარეობის მონახულება, შესწავლა და ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

ამჯერად, ბატონმა რევაზმა მიზნად დაისახა მთა-თუშეთის ტყეების მდგომარეობა შეესწავლა და ვინაიდან ამ პროცედურას რამდენიმე დღე და იქნებ, კვირებიც დასჭირებოდა, გადაწყვიტა – შვილიც თან წაეყვანა.

ვახოს საუკეთესო ცხენი შეურჩიეს. უთხრეს – „კარგი მატარებელიაო“ და დასძინეს: „სიჩქარით ყველა ცხენს სჯობია, მაგრამ წელი ისე უჭირავს, არ გაგაქანებს, ისეთი შეგრძნება გექნება, თითქოს სავარძელში ზიხარ, ამას ნიშნავს – „კარგი მატარებელიო“.

ცხენი თეთრი იყო, ლურჯი ლაქები გასდევდა და მოხდენილობასთან ერთად, სიჭკვიანობითაც გამოირჩეოდა.

მართლაც სასიამოვნოდ და კომფორტულად ატარა ბედაურმა ვახტანგი, მიუხედავად მთებისა და გზის სირთულისა, ბიჭს არ უგრძვნია არც დაღლა, არც – რამე საშიშროება.

„დილექტორი უნდა ჩამოვიდესო“ – ხმა დაირხა მთა-თუშეთში და მეტყევეებმაც იწყეს მზადება.

ხინკალი... ცხვარი... ჟიპიტაური... ხალისი და დიმპიტაური უწყვეტად გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში.

დილით გადიოდნენ ერთ-ერთ სოფელში, ათვალიერებდნენ ტყეებს, ამოწმებდნენ, გეგმავდნენ, მუშაობდნენ, საღამოობით კი, უკან დაბრუნებულები, იკრიბებოდნენ ომალოს მოედანზე.

თუშეთში ორი ომალოა. მთის ომალო ზღვის დონიდან თითქმის ორიათას მეტრზე მდებარებს და თავისი ბუნებრივი მდგომარეობით, მთების გარშემოწერილობითა და ფორმით ქვაბს მოგაგონებდათ.

ამ ბუნებრივი ქვაბის „ფსკერზე“ იკრიბებოდნენ ყოველ საღამოს და ილხენდნენ.

ყოველდღე ცხვარი, ყოველდღე ხინკალი... ჟიპიტაური... პურ-მარილი და მხურვალე გული ათბობდა არემარეს.

ქალაქელი სტუმრები მოხიბლა თუშ მასპინძელთა სტუმართმოყვარეობამ, ხოლო მასპინძელთა გული მოიგო ქალაქელი ბიჭის ვახტანგ ჭანკოტაძის უსაზღვრო ნიჭიერებამ.

ჯერ სიმღერით, ლექსებითა და ფანდურის დაკვრით მოაჯადოვა თუშები, მერე ჭადრაკითა და ფეხბურთით დაჯაბნა მასპინძლები და შეაყვარა თავი.

ვახტანგი კი ვახტანგობდა, მაგრამ მთავარი ამბავი მაინც სულ ბოლო დღეს, გამომშვიდობებისას მოხდა, როცა ჩვენი ვარსკვლავბიჭუნას მამა, ბატონი რევაზი გამოიწვიეს ჭიდაობაში.

გამოწვევაზე უარი არ უთქვამს დირექტორს და ჩოხის გარეშე გავიდა მოედანზე.

შერკინებას წინ უძღოდა დათქმა-სანაძლეო: წაგებულს უნდა შეესრულებინა ის, რასაც მოგებული მოითხოვდა (ყველამ იცოდა, რომ ამ მოთხოვნას თავისი ზნეობრივი ჩარჩოები ჰქონდა, ამიტომ მსაჯს აღარ განუმარტავს, რისი მოთხოვნა შეიძლებოდა და რისი არა).

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რევაზ ნიკალაევიჩ-მა მოიგო ეს შეჯიბრიცა და სანაძლეოც. თანაც, ისე სწრაფად და მოულოდნელად, რომ მაყურებელს სიამოვნება, ხოლო მეზურნეს ზურნის დაკვრა არ აცალა.

„აბა, რევაზ ნიკალაევიჩ, მოგებული ბრძანდებით და ბრძანეთ, რას ისურვებთო?“ – უთხრეს მასპინძლებმა და გამარჯვებულმაც ორი ლეკვისკენ გაიშვირა ხელი. ამათგან ერთ-ერთი უნდა მაჩუქოთო. ყველამ გაშვერილ თითს გააყოლა თვალი და დაინახეს ორი ფუმფულა ლეკვი, რომლებიც ცელქობდნენ, ნებივრობდნენ, უყურადღებოდ მიტოვებულ სუფრაზე დაბორიალობდნენ და ურევდნენ იქაურობას.

„ვახ, ბატონო რევაზ, ოღონდ ეგ არა, რა! საჯიშე ლეკვებია... ამ ჯიშის გამოყვანას 15 წელი ველოდით!“ – დაიჩივლა ერთ-ერთმა მასპინძელმა, მაგრამ ამაოდ.

ნიძლავი უნდა შესრულებულიყო და შესრულდა.

ასე წამოიყვანეს მთა-თუშეთიდან პატარა ნაგაზი, რომელსაც „ალმასა“ დაარქვა ვახტანგმა და მისი განუყრელი მეგობარი გახდა.

...

რუსებს ვერ იტანდა ალმასა.

უფრო სწორად, ვერ იტანდა რუს ჯარისკაცებს, რომლებიც ყოველდღე მარშითა და სიმღერით აივლ-ჩაივლიდნენ ხოლმე მის „ცხვირწინ“.

სამხედრო ნაწილი იქვე იყო და ასიოდე მეტრით იყო დაშორებული ჭანკოტაძეების სახლიდან.

ამ რუსულ მარშსა და ჰიმნს ადგილობრივი მაცხოვრებლები კი შეეგუვნენ, მაგრამ კავკასიური ნაგაზი არ ჰგუობდა და ყეფავდა.

მერე ყეფაცაა და ყეფაც... ალმასას ყეფა ბომბის აფეთქებას ჰგავდა.

პაპა და ბაბო (ნიკოლოზი და დარიკო)

პაპა და ბაბო (დედის მხრიდან) დავით გოცირიძე და მარიამ დათიაშვილი

მამის ძმები (ბიძები) – გიორგი, ვახტანგი

მამის პირველი მეუღლე (მარიამ ჯავრიშვილი) და ვახტანგის უფროსი ძმა ნიკოლოზი.

ვახტანგის დედინაცვალი სიდონია ბოჭორიძე

ვახტანგის ძმა გივი ჭანკოტაძე

ვახტანგის და დარეჯანი

ჰო, ყეფით თითქოს ყუმბარებს ესროდა რუს სამხედროებს, ასე აღიქვამდნენ ალმასას პასუხს მათ მარშსა და ჰიმნზე.

ერთხელ ჯაჭვი აიწყვიტა ალმასამ, ყეფით გადაახტა გალავანს, მაგრამ... საბედნიეროდ, ჯარისკაცებმა შეასწრეს სამხედრო ნაწილში.

მაშინ დაიმუქრა ოფიცერმა ვახტანგის გასაგონად: „კარგად დააბით ეგ ძაღლი, თორემ ჩვენგან სიკვდილი არ აცდებაო“.

დააბეს, მაგრამ კიდევ აიწყვიტა...

ესროლეს, მაგრამ ააცდინეს...

ამის მერე სარდაფში დაამწყვდიეს, მაგრამ იქიდანაც გაიქცა. ფანჯარა გაუნგრევია, გალავანზე გადამხტარა და გაქცეულა. ეძებეს და... მკვდარი იპოვეს.

თურმე, სამხედრო ნაწილთან მისულა, ბუჩქებში იყო ჩასაფრებული და, როგორც ჩანს, იმ ოფიცერს ეძებდა, რომელმაც ტყვია ესროლა.

იმავე ოფიცერმა ესროლა მეორე ტყვიაც. ამჯერად არ ააცილა და გაუგლიჯა ბობოქარი გული.

უბნელი ბიჭები მიეხმარნენ ვახტანგს და „ალმასა“ დამარხეს ეზოში მდგარი კაკლის ხის ძირში. დღემდე ახსოვს და ხშირად იგონებს (მეგობრების წრეში), თუ როგორ მიიხუტა ტანზე, შემოახვია თავისი თბილი ფეხები სახლში ძალიან გვიან დაბრუნებულ ვახტანგს მეგობარმა „ალმასამ“ ზამთრის ღამეში, როცა მამამისმა დასაჯა და დროებით სახლში არ შეუშვა. ის ღამე ვახტანგმა გაატარა აივანზე, „ალმასას“ „მკლავებში“.

იტყვის ხოლმე ვახტანგი – „...ასეთი სითბო არასოდეს მიგვრძნიაო (იხ. წიგნი სახელწოდებით „ალმასა“. გვ. 10. გამომცემლობა „ცის ნამი“. თბილისი. 2009 წ.).

ამ ამბის შემდეგ, როგორც იტყვიან ხოლმე, ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღესაც, ხანდაზმული ვახტანგი, როცა ჩაივლის იმ ქუჩაზე, ცრემლიანი თვალი გაურბის კაკლისკენ, რომლის ძირშიც უანგარო მეგობრის „ალმასას“ ძვლები ეგულება.

„ტიჯორა“

მეცხრე კლასში იყო, ეს იდეა რომ გაუჩნდა: ყოველი დღესასწაული თანაკლასელებს ერთმანეთის ოჯახში უნდა აღენიშნათ, მორიგეობით.

თქვა და აღსრულდა: დაეთანხმნენ თანაკლასელები და იდეამ ხორცი შეისხა – ჩვევად და ტრადიციად იქცა.

მოვიდა დღე, როცა ბიჭები ოთარ მჭედლიშვილის ოჯახში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და აღენიშნათ მორიგი დღესასწაული, კერძოდ, ახალი წელი.

შაქრო ძიამ, ოთარის მამამ, გაშლილი სუფრა დაახვედრა ბიჭებს, თვითონაც დახვდა კახური გულმხურვალებით, მერე ხელები აწია და უთხრა: „აჰა, ბიჭებო, თქვენია ბურთიც და მოედანიც. იქეიფეთ და იხარეთ, მე ხელს არ შეგიშლითო“.

ბიჭებსაც ეგ უნდოდათ. თავისუფლება კი იგრძნეს, მაგრამ თავისუფლებასაც ხომ სწორი გზა და მეგზური სჭირდება და აირჩიეს თამადა, რაღა თქმა უნდა, ვახტანგ ჭანკოტაძე, აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, კლასის ორგანიზატორიც ის იყო და ამ შეხვედრების იდეის ავტორიც.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვახტანგს თამადობის აკადემია ჰქონდა გავლილ-მოსმენილი.

მამასთან ძალიან ხშირად მოდიოდნენ სტუმრები და უდიასახლისო სახლში, დედით დაობლებულ ვახტანგს უხდებოდა სუფრის გაშლაც, ღვინის ჩამოსხმაც, მწვადების შეწვაც და... კულისებიდან თვალ-ყურის დევნება იმ სასწაულებისაც, რაც სუფრაზე ხდებოდა.

აბა, სუფრაზე რა სასწაულები უნდა ხდებოდეს, მაგრამ პატარა ვახოსთვის სასწაულიც იყო და დღეჯ სასწაულიც ის, რასაც ხედავდა და ისმენდა.

15 წლის იყო, პირველად, „ოფიციალურად“ რომ დასვეს სუფრასთან. მანამდე ბავშვი იყო და ამის უფლება არ ჰქონდა. შორიდან უსმენდა და ტკბებოდა იმით, რასაც უსმენდა. „ცხოვრების გაკვეთილებს ვსწავლობდი. ღმერთო, რა ნაკითხები, რა განათლებულები იყვნენ! ერთი უნივერსიტეტი იქ დავამთავრე, სუფრის შორი-ახლოს დგომითა და მოსმენით. იმდენი რამე მახსოვს იქიდან... იმდენი რამე მომდევს იქ მოსმენილი...“ – აღფრთოვანებით იხსენებს ბატონი ვახტანგი და თავისი „ტიკჭოროობის“ ამბავს მიყვება.

იმ საღამოს დილამდე იქეიფეს. ასეთი დათქმა თუ პირობა ჰქონდათ დადებული, რომ საქეიფოდ თუ დასხდებოდნენ, დილამდე უნდა ექეიფათ.

„აბა, ბიჭებო, მამლის ყივილამდე ვქეიფობთო“ – გაამხნევა თამადამ სუფრის წევრები და „გაუბერა“. ბიჭებიც მისდევდნენ, როგორც შეეძლოთ, მაგრამ შესაძლებლობებსაც ხომ აქვს საზღვარი და განთიადამდე მხოლოდ ორმა მიაღწია: თამადა და მისი ერთადერთი „ცოცხლად“ დარჩენილი თანაკლასელ-თანამეინახე შემორჩა სუფრას.

დილით მოვიდა შაქრო ძია და რას ხედავს – ექვსს სძინავს, ხოლო სუფრაზე ფხიზლობს მხო-

ლოდ თამადა და მისი ხათრით შემორჩენილი ერთადერთი „თანამებრძოლი“, რომელსაც თითებით უჭირავს თვალები, რომ არ ჩაეძინოს.

– ეგ რა გიქნია, ბიჭო?! – გაოცდა ოჯახის უფროსი.

– რა ვქნა, შაქრო ძია, პირობა – პირობაა! ვთქვით, რომ განთიადამდე უნდა გვექეიფა, აჰა, იყივლა მამალმაც და წავედი.

– ვახ, შენ ვინ ყოფილხარ, ჯო! – მხარზე ხელი მოხვია თამადას.

– არა! წასვლის წინ ერთი კიდევ უნდა დავლიო, შაქრო ძია! მომეცით განსხვავებული.

შაქრობ ფიალა გადმოუდო და ღვინით შეუვსო.

– ეგ რა არის?

– ფიალაა, ჯო, განსხვავებულია რაღა!

– არა, შვიდნი ხომ არიან, ჰოდა, რვა ერთნაირი სასმისი მომიტანეთ, ამათი სადღეგრძელოც უნდა დავლიო და თქვენიც – მორჩა.

თიხის პატარა რვა ფიალა კიდევ შესვა ვახომ, მამა-შვილურად ეამბორა ოჯახის უფროსს და მამის დანაბარები გადასცა:

– მამაჩემმა შემოგითვალათ, ახალ წელს ოჯახით გვესტუმროსო, უარი არ გვითხრა, გეხვეწება!

– აბა, უარს როგორ გეტყვით, გესტუმრებით, შვილო, აუცილებლად გესტუმრებით! – დაეთანხმა შაქრო და ვახტანგი გააცილა.

...

გავიდა ორიოდე დღე და შაქრო მჭედლიშვილი თავისი ოჯახით ესტუმრა ჭანკოტაძეების ოჯახს.

რევაზმა გაიხარა სტუმრების მოსვლით, სუფრის გაშლას შეუდგა და შვილს გასძახა:

– ვახო, შვილო, რაიმეთი გაართე ჩვენი სტუმრები, არ მოაწყინოო.

ვახტანგმა სურათების საოჯახო ალბომი გადმოუღო სტუმრებს და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

შაქრო ძია გულდასმით ათვალიერებდა ფოტოებს და წააწყდა უცნაურ ფოტოს: პატარა ბიჭუნა ზის პატარა ე.წ „ბაჩონკა“-ზე და ტიკჭორა უჭირავს ხელში.

„ეს ვინ არისო?“ – იკითხა სტუმარმა და ფოტოს დაადო თითი.

„ეს მე ვარ, ასე სამიოდე წლის ვიქნები“ – უთხრა ვახტანგმა და გაეღიმა.

„ვახ, კაცო! მართლა ტიკჭორა ყოფილა, ჯო!“ – წამოიძახა შაქრო ძიამ ემოციურად და კარგა ხანს იცინა.

...

ამ ამბის შემდეგ შეერქვა „ტიკჭორა“ ვახტანგ ჭანკოტაძეს და 3-4 წელი, უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისში წასვლამდე, თელავში ხშირად ამ სახელით მიმართავდნენ.

ვახტანგი 8-9 თვის

ვახტანგი 3 წლის

ფეხბურთელი

თელავში სპორტსკოლის მესამე ასაკოვან ჯგუფში თამაშობდა ფეხბურთს.

იმ დროს ქ. თელავში ფეხბურთის მწვრთნელად მუშაობდა ალექსანდრე (შურა) დოროხოვი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ლეგენდარული მეკარე, რომელიც სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ გააგზავნეს სამოღვაწეოდ თელავის რაიონში და თითქმის ყველა გუნდი მას ჩააბარეს საწვრთნელად.

სამ-ოთხ გუნდს ამეცადინებდა ერთდროულად. თვითონ მოედნის განაპირას სკამზე იჯდა, პატარა ბოთლით არაყი ედგა ფეხებთან და დრო და დრო, თითო-თითო ყლუპს ყლაპავდა, თან თვალყურს ადევნებდა გუნდების თამაშსა და ვარჯიშს.

დოროხოვს გვერდით ბიჭები ჰყავდა, ასე ვთქვათ, ამბის მიმტანად, თუ რომელიმე მოთამაშის თამაში ან ვარჯიში არ მოეწონებოდა, დააბარებდა: „წადი, იმას უთხარი, ასე და ასე მოიქეციო“.

ერთ დღეს, როცა მოედანზე ვახტანგ ჭანკოტაძეც ბობოქრობდა, დოროხოვმა მას კაცი გაუგზავნა და დანაბარები გადასცა: „ტიკჭორას უთხარი, მატაობას თავი გაანებოს და პასებზე იმუშაოსო“.

ვახტანგმა მორჩილად კი დაუქნია თავი „დოროხოვის კაცს“, მაგრამ ხომ გაგიგიათ – „ჩვევა რჯულზე უმტკიცესიაო“ და ისევ მატაობა განაგრძო, სურდა, ყველა მოეტყუებინა და თვითონვე გაეტანა გოლი.

დოროხოვმა ამ ეგოისტობასთან ერთად, მწვრთნელის შენიშვნის შეუსრულებლობა არ აპატია „ტიკჭორას“ და დასაჯა. მეკარის უკან დააყენა და კარის უკან გადასროლილი ბურთის მოტანა დაავალა.

საქმეს ის ართულებდა, რომ კარს ბადე არ ჰქონდა, ასე რომ, მეკარეს ბურთს გაუტანდნენ თუ კარს ააცილებდნენ, სულ ერთია, ვახტანგის თავში სახლელი იყო, უნდა გაქცეულიყო და რაც შეიძლება სწრაფად დაებრუნებინა ბურთი მოედანზე.

ვინმე იფიქრებს, რა პრობლემაა, მეორე ბურთით განაგრძობდნენ თამაშს, მაგრამ ასე არ იყო. იმ დროს ბურთი ძნელად იშოვებოდა, ამიტომ მოედანზე გუნდი ერთი ბურთით გამოდიოდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ.

ერთხელ ასეთი კურიოზიც მოხდა. საქართველოს ჩემპიონატი იყო, მატჩი თელავში ტარდებოდა. შუა თამაშის დროს ბურთი გასკდა და გულიც „გაუსკდათ“ ცალკე მოთამაშეებს, ცალკე – მსაჯებს და მწვრთნელებს.

იმ დროს თელავში ერთადერთი ოჯახი იყო, ვის სახლში ტყავის ბურთი შეგეძლო გენახა, როგორც საგანძური და რელიქვია... ეს იყო თელავის რაიკომის მდივნის, გიორგი სეხნიაშვილის ოჯახი (მისი ვაჟები ვახტანგ ჭანკოტაძესთან ძმაკაცობდნენ). სწორედ ამ ოჯახს ეახლა დელეგაცია სტადიონიდან და სთხოვეს: „სულ რაღაც ერთი საათით გვათხოვეთ ბურთიო“.

ოჯახის უფროსი კი დათანხმდა, მაგრამ ვაჟმა იუარა, ეს ბურთი მე მეკუთვნის და იმ შემთხვევაში გათხოვებთ, თუ მეც მათამაშებთო.

„კაცო, ჩემპიონატია, ის ხომ არ არის... ქუჩის ფეხბურთი, როგორ გათამაშოთო“ – ერთი კი უთხრეს, მაგრამ... სხვა რა გზა იყო, დაითანხმეს ბიჭი და თავის ბურთიანად მოედანზე გაუშვეს (ისიც კი გამოაცხადეს: მოედანზე ამისდა ამის ნაცვლად ამ და ამ ნომრით სეხნიაშვილი გამოდისო).

. . .

დაიღალა დოროხოვისგან დასჯილი „ტიკჭორა“. დაქანცული გაჰყურებედა მოედანს და გული უსკდებოდა, როცა მის მხარეს მოექანებოდა მოთამაშე ბურთთან ერთად. ახლა ერთადერთი მოთამაშე, ვისაც გულშემატკივრობდა, ეს იყო მეკარე დოდიკა სხირტლაძე (მსახიობ დუტა სხირტლაძის პაპა). მის ვაჟკაცობაზე იყო დამოკიდებული ვახტანგის სიმშვიდე და „კეთილდღეობა“.

„ძია დოდიკ, კარგი რა! დავიღალე. ზოგჯერ მაინც აიღე ხოლმე ბურთი!“ – გასძახა „ტიკჭორამ“ მეკარეს მორიგი მარცხისას.

„ვაა, რა ვქნა კაცო, ვერ ვიღებ!“ – თავი იმართლა დოთიკა სხირტლაძემ.

„ჩემი ხათრით მაინც აიღე, ჰა!“ – ხვეწნის ნიშნად ყელი გამოუწია ვახომ.

„ჰო, კარგი, შენი ხათრით ავიღებ“ – უთხრა მეკარემ და მეტი მონდომებით დაიწყო თამაში.

ოქროს მედალოსანი

ერთი ოთხიანი არ მიუღია, ისე დაასრულა საშუალო სკოლა. ფრიადოსანი იყო სწავლაშიც, ყოფაქცევაშიც, სპორტშიც, ხელოვნებაშიც, კაცობაშიც და... წონაშიც კი!

55 კილოს არ აცილებია, ისე მოვიდა 90 წლამდე.

სკოლა დაამთავრა, ატესტატი გადასცეს და იმ დღესვე თანაკლასელებთან ერთად წაიყვანეს კომისარიატში (18 წელს გადაცილებული იყო უკვე).

„...მახსოვს, კომისარიატში რომ მიმიყვანეს, მაშინვე სასწორზე დამაყენეს და ამწონეს.

X კლასელების ჯგუფი (თელავი, ვაჟთა II სკოლა). მარცხნიდან: მ. მესტვირიშვილი, ვახტანგ ჭანკოტაძე, შოთა კიკოლაშვიოლი, თენგიზ ჯაშიაშვილი („კოლბასა“) და ალბერტ ნარეკლიშვილი (1950 წ.)

თელავის ვაჟთა I და II სკოლების X კლასელები ექსკურსიაზე თბილისში, უნივერსიტეტის II კორპუსის წინ. 1950 წ.) ვახტანგი ცენტრში. მის მკერდზე ხელი უდევს თენგიზ ჯაშიაშვილს.

– აბა, რამდენი კილოა? – ეკითხება ლეიტენანტი თანამშრომელს, რომელიც სასწორთან იდგა.

– 55, – პასუხობს თანამშრომელი.

– ვაა! ორი ხუთიანი? რა კარგია, ღმერთმა დაგლოცოს, ბალღო! სულ ასე ხუთიანებით გევლოს, აპა!

– ეგრეცაა, უფროსო, სულ ხუთიანებით დადის, მაშა! ნახეთ რა უჭირავს ხელში! – ჩემმა კლასელმა მიმართა ლეიტენანტს.

ხელში ატესტატი მეჭირა. გამომართვა ლეიტენანტმა და ჩახედა.

– ვაა! მართლა სულ ხუთიანები ჰქონია ამ კაი კაცსა, ჰა! წონაშიც ხუთები, რა გინდა, რა, ღმერთს ხუთოსნად გაუჩენიხარ, ბალღო! ასე განაგრძე, შვილო, მრავალჟამიერ!!!“

დღემდე ასეა, 55 კგ-ს ფარგლებში მერყეობს მისი ფიზიკური წონა. ზამთარში ემატება 100-200 გრამი და იგივე წონა აკლდება ზაფხულის თვეებში.

ექსპერიმენტი ქათმებზე

(ვახტანგ ჭანკოტაძის მოგონებებიდან)

ვიცოდი, რომ ნებისმიერი რეფლექსი არის ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია (რეაგირება) გარეგან ზემოქმედებაზე, გაღიზიანებაზე, სიგნალზე. მაინტერესებდა, თუ გარეგან გაღიზიანებას (ზემოქმედებას) ექნებოდა სისტემატიური (ხანგრძლივი დროის განმავლობაში) და იმავდროულად ერთგვარი ხასიათი – გადაიზრდებოდა თუ არა რეფლექსი ჩვევაში.

შვიდი თუ რვა ქათამი გვყავდა სახლში, ისე რომ ორი-სამი კვერცხი გვქონდა გარანტირებული

ყოველდღე და საუზმეც გემრიელი და ნოყიერი. მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდი იყო და ჯერჯერობით ისევ იგრძნობოდა პროდუქტების დეფიციტი. ჭირდა ქათმების საკვების შოვნაც, ამიტომ განსაკუთრებული ეკონომიური რეჟიმით ვკვებავდით მათ. შეღავათს გვაძლევდა ეზოს ბოლოში პატარა ბაღ-ვენახი, სადაც ქათმები მთელი დღის განმავლობაში „ჩალიჩობდნენ“ და საკუთარი ძალებით ივსებდნენ დანაკლისს.

ერთხელ, ცხონებულმა დედინაცვალმა შემომჩივლა – „ჯუგ-ჯუგის“ ძახილზე ფართხა-ფურთხით და თავაწყვეტილები მორბიან მეზობლების ქათმებიც და ჩემებს პირდაპირ ნისკარტიდან გლეჯენ საკვებს, არ ვიცი, რა ვქნა, მშივრები მრჩებიანო.

ნუ გედარდება, მაგას მე მოვუვლი-მეთქი, ვუპასუხე და შევუდექი სამოქმედო გეგმის შედგენას. სულ რაღაც ორ დღეში მოვაწყე საექსპერიმენტო პოლიგონი. კერძოდ: საქათმის ჭერში ჩამოვკიდე ქათმების საკვების (სიმინდი, ქერი, შვრია და სხვა) თუნუქის ჭურჭელი, რომლის ფსკერის თანდათანობით გახსნა შემეძლო დისტანციურად (თოკით, ბაწრით); იქვე მოვაწყე მექანიკური ზარი, რომლის ქანქარასაც ასევე ვმართავდი თოკით; ჩემი სამყოფი ადგილიც ისე მოვიწყე, რომ ქათმებს ჩემი დანახვა არ შესძლებოდათ.

დადგა ექსპერიმენტის პირველი დღე. ქათმები არ გამოვუშვი საქათმიდან და ზუსტად დილის რვა საათზე გავუხსენი ყუთი და ნელინელ ვუყრიდი საკვებს და იმავდროულად ვრეკდი ზარს შედარებით დაბალ ხმაზე. სანამ კუთვნილ ულუფას კენკავდნენ, გამუდმებით რეკდა ზარი.

გავიდა ათი დღე. დადგა გადამწყვეტი მომენტი.

დილის შვიდ საათზე გავუღე საქათმის კარი და მივეცი საშუალება, გასულიყვნენ ბაღ-ბოსტანში, მაგრამ შევატყე, რომ არ აპირებდნენ და ზანტად იყურებოდნენ აქეთ-იქით. როგორც იქნა დაიძრნენ და მიაშურეს შეჩვეულ კუთხე-კუნჭულებს. ზუსტად რვა საათზე დავიკავე ჩემი „სამუშაო“ ადგილი და დავიწყე ზარის რეკვა. სულ რაღაც რამდენიმე წამში თავპირისმტვრევით შეცვივდნენ საქათმეში და მიწის იატაკზე დაყრილი საკვები რომ ვერ ნახეს, კისრები გადახარეს და ცალი თვალით ზემოთ იცქირებოდნენ. შემეცოდნენ და გავხსენი საკვების ყუთი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ექსპერიმენტმა შედეგი გამოიღო. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ასე ვაჭმევდი – ავტეხავდი ზარის რეკვას (ზუსტად დანიშნულ დროზე) და მორბოდნენ თავპირისმტვრევით (მეზობლების ქათმები საბოლოოდ ჩამოვიშორე. ისინი რაღა თქმა უნდა, აზრზე ვერ მოდიოდნენ, თუ რა ხდებოდა). ჩვენი ქათმები მომენტალურად რეაგირებდნენ გარეზემოქმედებაზე (სიგნალზე), ანუ სახეზე იყო მყარი და უტყუარი რეფლექსი, ვიტყოდი – სისტემატური რეფლექსი, რადგან თავად გარე ზემოქმედება (სიგნალი) იყო სისტემატური, ერთგვაროვანი და დროის ერთიდაიგივე მონაკვეთში.

დადგა ჟამი გამერკვია გადაიზრდებოდა თუ არა სისტემატური რეფლექსი ჩვევაში, ანუ ქათმები შეიძენდნენ თუ არა ახალ ჩვევას, ჩამოყალიბდებოდა თუ არა მათში საკვების მიღების ჩვევა დროის გარკვეულ მომენტში.

სიმართლე გითხრათ, არ მეჯერა და ვნერვიულობდი. ჩემი კლასელები მოვიწვიე კვირა დღით

და გავანდე ჩემი ექსპერიმენტის შესახებ. დილის შვიდ საათზე ყველანი ჩემთან იყვნენ. ხელის კანკალით გავაღე საქათმის კარი და ისევ აივანზე ავედი კლასელებთან. ქათმები დინჯი ნაბიჯებით გამოვიდნენ და მიმოიფანტნენ ბაღ-ბოსტანში. ერთ-ერთმა კლასელმა იხუმრა – კარგი, რას ნერვიულობ და განიცდი. რა გემართება, ქათმების ჭკუაზე უნდა გვატარო?.. მიდი, დომინო გამოიტანე, დავცხოთო. ჯერ ვისაუზმოთ-მეთქი.

ვისაუზმეთ, ვითამაშეთ, ვიკამათეთ... დრო საოცრად ნელა გადიოდა. ერთადერთი საათიანი კლასელი გამუდმებით მაჯაზე იყურებოდა – დავიღალე, მოდი გადავხედოთო. არა – ვუთხარი მკაცრად, ათი წუთიც დავიცადოთ და მერე მოხდეს, რაც მოხდება-მეთქი.

გული ვეღარ ეტეოდა საგულეში. აივნის მოაჯირს გადავეყუდეთ და ბაღ-ბოსტნისკენ მივაპყარით მზერა. არ გასულა ხუთი წუთიც და დავინახეთ ჩემი ქათმები. რიგში ჩაწყობილები ჯარისკაცებივით მიდიოდნენ საქათმისკენ, სადაც უკვე ელოდათ წინასწარ ჩამოყრილი საკვები. ამჯერად ზარი არ რეკდა. აივანზე ატყდა ერთი ამბავი. ბიჭები მილოცავდნენ გამარჯვებას. ატყდნენ – ეს ამბავი აუცილებლად სკოლის დირექტორს და მასწავლებლებს უნდა გავაგებინოთო.

ამასობაში ქათმებმა „მიირთვეს“ კუთვნილი ულუფა და ისეთივე ნელი ნაბიჯებით დატოვეს საქათმე, როგორითაც შევიდნენ. ახლა მათ დესერტი (ჭია-ღუა, მატლები, ბალახი და სხვა ბუნებრივი ნარჩენები) ბაღ-ბოსტანში ელოდათ.

ორი კვირის განმავლობაში ვაკვირდებოდი მოვლენებს. დილის შვიდ საათზე ვაღებდი საქათმის

კარებს. ქათმები მიდიოდნენ ბოსტანში. ვყრიდი საკვებს და მორჩა, ამით იმ დღის საქმე დამთავრებული იყო. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, საქათმეში ბრუნდებოდნენ ქათმები, „ისაუზმებდნენ“ და ისევ ერთად უბრუნდებოდნენ საჩიჩქნ-საქექს.

სისტემატიურმა, ერთგვაროვანმა და დროის ერთ მონაკვეთში ჩატარებულმა წვრთნამ თავისი შედეგი გამოიღო – რეფლექსი გადაიზარდა ჩვევაში. უკვე გარეზეგავლენის (ზარის რეკვა) გარეშე ქათმები დანიშნულ დროზე შედიოდნენ საქათმეში საკვების მისაღებად.

გაწვრთნილი ქათმები, სანამ ცოცხლები იყვნენ, არ ღალატობდნენ თავის ახლადშეძენილ ჩვევას.

სადაზვერვო სკოლაში

სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა...

ბუნებრივია, სტუდენტობაზე ფიქრობდა და კაცმა რომ თქვას, არც არაფერი ჰქონდა საფიქრალი, – ოქროსმედალოსანი იყო და, როგორც იტყვიან, ოთხივ კუთხით გზა ხსნილი ჰქონდა: საბჭოთა კავშირის მასშტაბით ნებისმიერ უნივერსიტეტში, ნებისმიერ ფაკულტეტზე შეეძლო შესვლა და სწავლა უკონკურსოდ, უგამოცდოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე.

სტუდენტობამდე სამი თვე იყო. თავისუფალი დრო ჰქონდა და იქნებ ამანაც მიაღებინა ის უცნაური გადაწყვეტილება, ქვემოთ რომ მოგითხრობთ:

გაზეთში ამოიკითხა ინფორმაცია, რომ ტარდებოდა კონკურსი მზვერავის საქმიანობაზე, კონკურსში გამარჯვებულები გაივლიდნენ სპეც. კურსებს და მომზადდებოდნენ პროფესიონალ მზვერავებად.

ოოო! აქ უკვე ოქროსმედალოსნობა ვერ უშველიდა ვახტანგს. მით უფრო მაცდუნებელი ეჩვენა ეს გამოწვევა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმ პერიოდში მზვერავის პროფესიაზე ოცნებობდნენ ახალგაზრდები, ადვილად გასაგებია, ვახტანგ ჭანკოტაძემ რატომ გადაუსვა დიდი წითელი ხაზი თავის ოქროს მედალსაც, ყველა უნივერსიტეტსაც და არჩევანი მზვერავობაზე გააკეთა.

ეს ის დრო იყო, როცა ეკრანებზე გამოვიდა ფილმი მზვერავებზე. მთავარ როლს კადოჩნიკოვი ასრულებდა და ისე ასრულებდა, რომ მზვერავობა საოცნებო პროფესიად აქცია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა თუ არა, უმეტესი ახალგაზრდისთვის.

ვახომ ძმაკაცებს გაანდო თავისი ზრახვა და დაიყოლია, რომ მონაწილეობა მიეღოთ კონკურსში.

კომისარიატში მივიდნენ და იქ გაიგეს, რომ თბილისში უნდა ჩასულიყვნენ ცენტრალურ კომისარიატში და იქ ეტყოდნენ თუ სად ჩატარდებოდა კონკურსი.

მშობლების დაუკითხავად წავიდნენ თბილისში და გაიგეს, რომ კონკურსიც და კურსებიც ქალაქ როსტოვთან ახლომდებარე ე.წ. „საფოსტო ყუთში“ ტარდებოდა, რომლის მხოლოდ ნომერი იყო ცნობილი.

„ჰა, ეხლა უკან არ დაიხიოთ!“ – შესძახა ვახომ ძმაკაცებს და ისე შეაგულიანა, რომ იმ დღესვე აიღეს კურსი როსტოვისაკენ.

ომგამოვლილი, ბევრის მცოდნე და დიდი გამოცდილების მქონე ოფიცრები დახვდნენ, გულთბილად მიიღეს მზიური საქართველოდან ჩამოსული და გულანთებული ჭაბუკები და ჩაასახლეს საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში.

სამი დღე რჩებოდა გამოცდამდე, მაგრამ ეს ისეთი გამოცდები იყო, ძალიანაც რომ გდომებოდა, ვერც მოემზადებოდი და ვერც ჩაწყობა-მამაძაღლობის იმედი გექნებოდა. ერთადერთი – ღმერთის და საკუთარი თავის იმედად იყვნენ ბიჭები.

ძალიან სწრაფად გააკეთეს ადაპტაცია. ფსიქოლოგიურად, სულიერად და ინტელექტუალურად მობილიზება გაუკეთეს შინაგან ძალებს და გამომცდელები გააოცეს. ყველამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა და გასაუბრებები.

ახლა ჩვენს გმირს მოვუსმინოთ, თუ როგორ ჩააბარა გამოცდა ინტუიციასა, დაკვირვებულობასა და მხედველობით მეხსიერებაში.

„...რადიო აცხადებს ჩემს გვარს და მიმითითებს, რომ შევიდე მე-4 ოთახში. შევედი. ვხედავ, მაგიდები და თაროები სავსეა სხვადასხვა ნივთებით, მაგრამ ოთახში არავინ არის. ვდგავარ და ვგრძნობ, რომ მაწუხებს რაღაც უცნაური შეგრძნება, რომელსაც, ვფიქრობ, გაურკვეველი სიტუაცია იწვევდა.

რადიო კვლავ ირთვება და ისმის ხმა: „გვაპატიეთ შეფერხება, გთხოვთ მოითმინოთ, 5 წუთში გამოგიძახებთ!“

„ვახ! რა უნდათ ჩემგან?“ – ვფიქრობ და ვითმენ, მეტი რა გზაა?!.

დროის დათვლისა და აღქმის საოცარი უნარი მაქვს. ახლაც, ვინმემ რომ მკითხოს – „რომელი საათიაო?“ – ჯერ ვუპასუხებ და მერე დავხედავ საათს. საოცრად ახლოს ვარ ხოლმე.

მოკლედ, გავიდა ხუთი წუთიც... შვიდიც და ათიც...

ვდგავარ და ვათვალიერებ კედელზე დაკიდულ ნახატებს, ნივთებს, რომლითაც გადატენილია ოთახი და ცოტა ვნერვიულობ კიდეც.

მეთორმეტე წუთზე, კვლავ რადიოთი მიხმეს და მიმითითეს, რომ შემდეგ ოთახში შევსულიყავი.

შევედი შემდეგ ოთახში და ვხედავ ოთხ გამომცდელს, აქედან ორი აქტიურობს, ერთი ხმას არ იღებს და მხოლოდ მიყურებს, მეოთხე კი რაღაცას იწერს.

ერთ-ერთმა ბოდიში მომხადა ხუთი წუთით შეყოვნებისთვის.

„რა ხუთი წუთი, 12 წუთი გელოდით!“ – ვუპასუხე მე.

გამომცდელებმა ერთმანეთს გადახედეს და თითქმის ერთხმად მკითხეს: „საათი გაქვს?“

„არა, არა მაქვს საათი, მაგრამ დროის გაგებას რა უნდა, ერთი წამი არის 21, ანუ, რამდენჯერაც

იტყვი „ოცდაერთი“ – იმდენი წამი გადის. ჰოდა, მეც ვითვლიდი-მეთქი“.

გამომცდელებს გაეღიმათ და მთავარ საკითხზე გადავიდნენ.

„აბა, გვითხარი, ოთახში, სადაც შენ 12 წუთი დაყავი, რა ნივთები იყო, რა და რამდენი დაგამახსოვრდათ?!“

სამოცამდე ნივთი ჩამოვუთვალე და ისიც ვუთხარი, თითოეული სად იყო განთავსებული.

ინტუიცია-დაკვირვების უნარიც ფრიადზე შემიფასეს. ჩემმა ძმაკაცებმაც კარგი შეფასებები მიიღეს და ფრიად გახარებულები ვიყავით ჩვენი წარმატებით.“

„ახლა წაბრძანდით თქვენს სამშობლოში და ჩვენ შევატყობინებთ თქვენს კომისარიატს, როდის უნდა ჩამოხვიდეთო“ – ასე დააიმედეს ოთხივე ქართველი ჭაბუკი, რომლებსაც თავი უკვე მზვერავებად წარმოედგინათ, მაგრამ ერთმა გულკეთილმა ოფიცერმა ცივი წყალი გადაასხა ქართველი ბიჭების მხურვალე გულებს. მან რკინიგზის სადგურამდე გააცილა ჩვენი გმირები და მორიდებით უთხრა:

„ბიჭებო, თქვენ მართლაც საუკეთესოები იყავით, მაგრამ... სიმართლე უნდა გითხრათ, დარწმუნებული ვარ, არც ერთს არ გამოგიძახებენ, ანუ არ მიგიღებენ კურსებზე და ამის გამო გული არ გაიტეხოთ“.

„რატომ?!. რისთვის?!. რა დავაშავეთ?!.“ – აღშფოთდნენ ბიჭები.

„მზვერავი ან მახინჯი უნდა იყოს, რომ არავინ ყურადღებას არ აქცევდეს, ის კი უსმენდეს და უსმენდეს საჭირო ინფორმაციის გაგების მოლოდინში, ან გარეგნულად უნდა იყოს ძალიან მიმზიდველი, რათა მოინადიროს საიდუმლო ინფორმაციების

მქონე მადალჩინოსანი მამაკაცების მეუღლეების გულები და როგორც იტყვიან, გამოსცინცლოს და წამოაცდენინოს საჭირო რაღაც-რაღაცეები“.

ბიჭებმა სინანულის მზერით გადახედეს ერთმანეთს. მართლაც ეგრე იყო: არც მახინჯები იყვნენ და არც მზეჭაბუკის სილამაზე ჰქონდათ, მაგრამ... უსამართლობის გრძნობა მაინც აწუხებდათ.

„თუ სილამაზის ან სიმახინჯის მიხედვით არჩევენ მზვერავებს, ჩვენ რაღას გვერჩოდნენ, ან გამოცდაზე რატომ გაგვიშვეს, ან ჩვენი გამოცდა რას ემსახურებოდა, თუკი შედეგი უარყოფითი იქნებოდა ნებისმიერ შემთხვევაში?“ – ეს ამოცანა დარჩათ ამოუხსნელი ფრიადოსან ბიჭებს.

სცენის ვარსკვლავები თელავში

რუსთაველის თეატრის მსახიობთა დასი ესტუმრა თელავს. თეატრალური სეზონი დიდი მსახიობების მონაწილეობით, მართლაც რომ დიდი ზეიმი იყო ხელოვნების და, კონკრეტულად, თეატრის მოყვარული თელაველებისთვის.

სასტუმროში ადგილების უკმარისობის გამო, ზოგიერთი საპატიო სტუმარი დიდი მობოდიშებით და უდიდესი პატივისცემით სკოლებში დააბინავეს.

– ჯო, გაიგეე, მსახიობები ცხოვრობენ ჩვენ კლასში!“ – ასეთი უცნაური ინფორმაცია ამცნო ზაურ კაპანაძემ ვახტანგ ჭანკოტაძეს.

– სადა, კაცო?! – გაიკვირვა ვახტანგმა.

– ჩვენ საკლასო ოთახში დააბინავეს მსახიობები, – გაუმეორა ზაურმა და მეტი დასტურისთვის „გეფიცებიო!“ – დააყოლა.

– მერე?! – წარბები შეკრა ვახტანგმა.

– რა მერე?

– ასე უპატრონოდ და უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ სტუმრები? ჩვენ კლასში არიან. ეს იგივეა, ჩვენ ოჯახებში მოსულიყვნენ სტუმრად. აბა, ჰე! ბიჭებს დავუძახოთ და ერთად მივიდეთ ამ საღამოს, – თქვა ვახომ. ზაური დაეთანხმა, თანაკლასელი ბიჭებიც მოიძიეს და ესტუმრნენ მსახიობებს.

გოგი გეგეჭკორი, დოდო აბაშიძე, კოტე მახარაძე და ბადრი კობახიძე. აი, ეს ვარსკვლავები ბინადრობდნენ თელავის მე-2 საშუალო სკოლაში და კონკრეტულად – იმ საკლასაო ოთახში, სადაც ჩვენი გმირები სწავლობდნენ.

ბოდიში მოუხადეს შეწუხებისთვის და მიზეზიც უთხრეს შეწუხებისა:

„ჯერ ერთი, ძალიან გვიყვარხართ და რომ არ გვენახეთ არ შეგვეძლო.

მეორეც, ჩვენ ეს-ესაა დავამთავრეთ სკოლა, სწორედ ამ სკოლაში და სწორედ ამ საკლასო ოთახში ვსწავლობდით წლების განმავლობაში და თავს ვგრძნობთ თქვენს მასპინძლებადო“, – უთხრა ვახტანგმა და გაცნობაზე გადავიდა:

„მე ვახტანგ ჭანკოტაძე ვარ, ოქროს მედალზე დავამთავრე ეს სკოლა; ეს ალბერტ ნარეკლიშვილია, ეს კი – ზაურ კაპანაძე“.

მათთან ერთად იყო ვალიკო ძამუკოვიც, რომელსაც მედალზე არ დაუმთავრებია სკოლა, მაგრამ გამოირჩეოდა თავისი შემოქმედებითი ნიჭიერებით, საუკეთესოდ მღეროდა, უკრავდა და დეკლამატორობდა.

„ბიჭებო, ხომ იცით, რომ თეატრალურზე მინდა ჩაბარება და იქნებ დამეხმარონ ეს ვარსკვლავები,

ჰა?“ – გაანდო ვალიკომ თანაკლასელებს თავისი გულის წადილი და ბიჭებმაც აიტაცეს.

ვახტანგმა იმ დღესვე დაგეგმა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

მსახიობები უნდა გამოეწვიათ და ეთამაშათ მათთან ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი...

ამის გარდა, უნდა დაეპატიჟათ ისინი სუფრაზე, მაგრამ სად და როგორ? ოჯახების შეწუხება მოერიდათ, რესტორნის ფული კი, აბა, საიდან ექნებოდათ.

„მიტოს დუქანში, ბიჭო!“ – წამოიძახა ვახომ.

მედუქნე მიტო ბუნებით კეთილი კაცი იყო, თანაც განსაკუთრებული პატივისცემით იყო განმსჭვალული ვახტანგ ჭანკოტაძის ოჯახის მიმართ, ამას ისიც ემატებოდა, რომ თეატრის მოყვარული იყო და, აბა, უარს როგორ ეტყოდა ბიჭებს ნისიად სუფრის გაშლაზე, როცა გაიგებდა, როგორი ვარსკვლავებისთვის უნდა ემასპინძლა.

დუქანი თელავის ცენტრში იყო. ვახტანგი მარტო წავიდა მოსალაპარაკებლად და იმედი არ გაუმტყუნდა, მიტო ძიამ ხელები გაშალა და „ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთო!“ – შესძახა გულღია კახელმა.

გახარებული ვახტანგი ბიჭებთან ბრუნდებოდა, როცა ასეთ სურათს გადააწყდა:

მიტოს დუქნის გვერდით, იქვე, იყო დიტოს სამჭედლოც.

მჭედელი გარეთ იდგა, ვახო რომ მიტო ძიას დაემშვიდობა.

ამ დროს გზაზე ბიჭმა ჩამოიარა, მჭედელი დაინახა და მიესალმა.

– ოო, ოთარ, ბიჭო, რო მოდიხარ, მიწა ზანზარებს, რაღა! ამირანი ხარ თუ ვინა ხარ, ჯო!

მოეწონა ოთარს ეს სიტყვები, სახეგაბადრული მივიდა მჭედელთან და უთხრა:

– ძია დიტო, ე, რა კაი რამე მითხარი, ჰა! შენი ჭირიმე, ერთი რამე უნდა გთხოვო და უარი არ მითხრა რა, გეხვეწები...

– ჰა, რა უნდა მთხოვო, ჯო? – ჰკითხა დიტომ.

– ეხლა გავიქცევი და შეყვარებულთან ერთად ჩამავივლი ამ ქუჩაზე. მოგესალმები და შენც ეგ სიტყვები მითხარი, რაღა!

დიტომ თავი გაიქნ-გამოიქნია და „კარგიო“ – უთხრა.

გავიდა ათი-თხუთმეტი წუთი და ოთარი მართლა გამოჩნდა გოგონასთან ერთად, რომელიც ხელკავით მოჰყავდა. ეს გოგონა, როგორც მოგვიანებით გაიგო ვახტანგმა, არც მეტი და არც ნაკლები, მისი საცოლე იყო.

– ძია დიტოს გაუმარჯოს! – შესძახა ოთარმა და წელში გამართულმა „დევ-კაცის“ ნაბიჯებით გაიარა.

– რომელი ხარ, კაცო? – გამოსძახა დიტო ძიამ.

– ოთარი ვარ, ოთარი! ვეღარ მიცანი?!

– გიცანი, გიცანი... მაგრამ... ბატივით რომ მიათრევ მაგ ფეხებს, ცოტა ჩქარა არ შეგიძლია გაიარო?

რა დაემართებოდა ამპარტავან ოთარს, ამის წარმოდგენა თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო.

...

დაიმედებულ-გახარებული ვახტანგი ეახლა თანაკლასელებს და ამცნო, რომ ყველაფერი მოაგვარა.

იმ საღამოს კარგი ქართულ-კახური პურ-მარილი გაიმართა მიტოს დუქანში.

მოილხინეს სცენის ვარსკვლავებმა ჩვენს გმირებთან ერთად.

საუკეთესო მომენტით ისარგებლა ვახტანგმა და მოწიწებით მიმართა კოტე მახარაძეს:

„ჩემ კლასელზე, ვალიკო ძამუკოვზე მინდა გთხოვოთ, საუკეთესო დეკლამატორია, კარგად მღერის და უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე. თეატრალურზე უნდა ჩაბარება და იქნებ რეკომენდაცია გაუწიოთ“.

ბატონ კოტეს მოეწონა ვახტანგის და მისი კლასელების მეგობრული თანადგომა, დაეთანხმა დახმარებაზე, თუმცა, დასძინა:

„მაგ საქმეს ერთადერთი აკაკი ხორავა შეძლებსო“. იმ დროს, იმავე რუსთაველის თეატრის დასთან ერთად აკაკი ხორავაც იმყოფებოდა, მაგრამ როგორც განსაკუთრებულად პატივსაცემი პიროვნება, სასტუმროში დააბინავეს.

აკაკი ხორავა, გარდა იმისა, რომ დიდი მსახიობი იყო, თეატრალურ ინსტიტუტსაც ხელმძღვანელობდა და მისი რეკომენდაცია რომ „ქვას გახეთქავდა“, ამას კი მიხვდნენ ბიჭები, მაგრამ სად და როგორ ეთხოვათ, ამაზე შეყოყმანდნენ ჩვენი გმირები.

„მაგ ამბავს ჩემ თავზე ვიღებო“, – თქვა კოტე მახარაძემ და შეპირდა, რომ იმავე დუქანში პურ-მარილზე მოიწვევდა დიდ აკაკი ხორავას.

გაეხარდათ ბიჭებს, მაგრამ მეორედ სუფრის გაშლას ეხუმრები?! როგორი სათქმელი იყო მედუქნე მიტოსთვის – „კვლავ ნისიად გვაქეიფეო“.

ამ უხერხულობას მიტო ძია თვითონ მიხვდა, განმეორებითი ქეიფის მიზეზიც რომ გაიგო, გულთან მიიტანა და ბიჭები უხერხულობის განცდიდან რომ გამოეყვანა, აქეთ მიმართა:

„ბიჭებო, ოღონდ ეს ღმერთის ტოლა კაცები მოიყვანეთ ჩემ დუქანში და ჩემზე იყოს მათი გამასპინძლებაო“.

ვალიკო ძამუკოვმაც გაიხარა, მაგრამ ის რომ გაიაზრა, იქვე, სუფრაზე მოუწევდა „გამოცდის ჩაბარება“ დეკლამატორობასა და სიმღერებში, შიშმა აიტანა.

წინ სამი დღე იყო. ვალიკო დღე და ღამ მეცადინეობდა, ქუჩაში გამოსულიც კი ლექსებსა და სიმღერებს იმეორებდა და ლოცულობდა: „ღმერთო, ხელი მომიმართეო“.

მეტი რა ხელის მომართვა უნდოდა, შაბათ საღამოს ისეთი სუფრა გაიშალა მიტოს დუქანში, რომ, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა მაგიდას. მოვიდნენ ბიჭები, მოვიდნენ საპატიო სტუმრებიც, მაგრამ არ ჩანდა აკაკი ხორავა.

ბიჭებს აღელვება შეეტყოთ. როგორი ამბავია, აკაკი ხორავა თუ არ მოვიდოდა, წყალში ეყრებოდათ მთავარი მიზანი და ვალიკოს ბედ-იღბალი.

გავიდა ოციოდე წუთი და, აჰა, მობრძანდა სცენის ღმერთიც. იმხელა იყო, კარში ძლივს შემოეტია, იატაკმა ჭრაჭუნი იწყო და ბიჭებსაც ისეთი შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს ოთახის კედლებიც შეზანზარდაო.

ომახიანი ხმით მიესალმა ყველას და დასძინა: „...გავიგე, რაღაც პრობლემა ჰქონია რომელიღაც ახალგაზრდას, მაგრამ ნუ გეშინიათ, ყველაფერს მოვაგვარებთო“ – სტიმული მისცა ბიჭებს და დაიწყო „მეფური“ პურ-მარილი.

„აბა ჰე, ვალიკო, ჯერი შენზეა ახლა, უჩვენე შენი ვაჟკაცობა“ – წაუჩურჩულა თანაკლასელს ვახტანგმა და გამხნევების ნიშნად მხარზე ხელი დასცხო.

ვალიკო ლექსით მიეგება საპატიო სტუმრებს, მაგრამ აკაკი ხორავას ფაქტორმა იმოქმედა და დაიბ-

ნა, მომდევნო სტროფი ვეღარ გაიხსენა...

სახე აეჭარხლა სირცხვილისგან, ოფლმა დაასხა და ერთსღა ნატრობდა, „ნეტავ, მიწა გასკდეს და შიგ ჩამიტანოსო!“

ბიჭების გამხნევებამ ვერ გაჭრა. ვერც დოდო აბაშიძემ და გოგი გეგეჭკორმა დაუბრუნეს რწმენა და სიმხნევე.

ვალიკო იდგა ფეხზე და საცოდავი სახით მისშტერებოდა სცენის მეფეს.

ბოლოს კოტე მახარაძემ ივაუკაცა. წამოდგა სუფრიდან, ჯერ ვალიკოსთან მივიდა, ჩაეხუტა, გაამხნევა: „რისა გეშინია, კაცო, აკაკი ხორავაც ჩვეულებრივი ადამიანია, თუ არა გჯერა, აჰაო“, – თქვა, მერე მივიდა ბატონ აკაკისთან და თავზე ხელი გადაუსვა.

ყველას გაეცინა და ვალიკოც დამშვიდდა, მაგრამ სინამდვილეში, დამშვიდდა კი არა, დაიქოქა და აფეთქდა... დააყარა და დააყარა ლექსები, სიმღერები, ერთი-ორი გემრიელი სადღეგრძელოც შესვა და გიტარაზეც ვირტუოზული მელოდიები დაუკრა.

„ვახ, შენ გენაცვალეო!“ – ეს სამი სიტყვა წარმოთქვა ხმამაღლა აკაკი ხორავამ, მერე მაგიდაზე დასცხო ხელი, წამოდგა და მიმართა ვალიკო ძამუკოვს: „28 აგვისტოს მოხვალ ჩემთან, ჩათვალე, რომ მიღებული ხარ თეატრალურ ინსტიტუტშიო“ – უთხრა და ხელი ჩამოართვა.

...

ასე და ამგვარად, თელავშივე, მიტოს დუქანში გაასტუდენტეს ვალიკო ძამუკოვი ვახტანგ ჭანკოტაძემ და მისმა მეგობრებმა სცენის ვარსკვლავების დახმარებით.

სტუდენტობა

ბედნიერი ვარ!

ბედნიერი ვარ, რომ ვსაუბრობ
ქართული ენით,
ამავ ენაზე, რომ ვკითხულობ
შოთას, ილიას,
ჩემს არსებაში, რომ თუხთუხებს
ქართული გენი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ წინაპრების
გზა მაქვს სავალი,
ათეულობით საუკუნე
გამოვლილია,
დავით მეფისა და ერეკლეს
ვარ მოძავალი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ დათოვლილი
კავკასიონით,
ბარი მოხატულ ფარდაგივით
გადაშლილია,
ვცოცხლობ „ბაგრატით“, „ალავერდით“,
„გრექით“, „სიონით“,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ „ჩაკრულოთი“
„ძაძვი კაკაბით“,
ხიდი ბოროტთან სამუდამოდ
ჩატეხილია,
მე უკვდავების უტყუარი
დამაქვს საბაბი,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

ბედნიერი ვარ, კიდევ იმით,
რომ საგულეში,
მისასვლელი გზა უეკლო და
მუდამ ხსნილია,
წყვილი მერცხალი კვებავს ბარტყებს
ძაღლა ბუდეში,
სხვა დანარჩენი, ასე ვფიქრობ
მოგონილია.

პირველი ნაბიჯები... დამოუკიდებლობისკენ

ვახტანგ ჭანკოტაძე. 1952 წ.

სანამ დედაქალაქისკენ წამოვიდოდა, სკოლის დირექტორმა, ვანო მაისურაძემ დაიბარა და უთხრა: „ტექნიკური განხრით წადიო“.

– მაინც რას მირჩევთო? – ჩაეკითხა ვახტანგი (ძნელი ყოფილა ოქროს მედალოსნობა, ყველაფერში რომ ფრიადოსანი ხარ, ველარ ერკვევი, რისი ნიჭი გაქვს და გიჭირს არჩევანის გაკეთება).

– მშენებლობას გირჩევ! – უთხრა დირექტორმა.

– მშენებლობას?

– ჰო, მშენებლობას რა ჯობია, ბიჭო!

– რის მშენებლობა?

– რა მნიშვნელობა აქვს... მთავარია, რომ მშენებელი იქნები. ომის შემდეგ დანგრეულ ქვეყანას ყველა სფეროში სჭირდება აღმშენებლობა.

– აღმშენებლობა, ჰო?!

– ჰო!

– კარგი, ვანო მასწავლებელო! მადლობა რჩევისთვის! – უთხრა დირექტორს ვახტანგმა და ყველაფერი დალაგდა. მან ახლა იცოდა – სად, რისთვის მიდიოდა და – რატომ...

ვახტანგი მარტო წავიდა თბილისში. მამამ მისამართი დაუწერა ქაღალდზე და უთხრა: „აჰა, ამ მისამართზე ცხოვრობს ბიძაშენი, მიხვალ და იცხოვრებ მასთან. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ფაქტობრივად, კაცი ხარ და არ უნდა გაგიჭირდეს დამოუკიდებლად გაიგნო გზა...

ვახტანგი საბარგულიანი სატვირთო მანქანით ჩავიდა თელავიდან თბილისში, კონკრეტულად, ნავთლულში და კითხვა-კითხვით გაიგნო გზა ბიძის სახლისაკენ.

მიიღეს, დააბინავეს... არც სითბოს აკლებდნენ და არც – საკვებს, მაგრამ... ძალიან გაუჭირდა ვახტანგს. თავისუფლება არ ჰქონდა, ბიჭებს სახლში ვერ მიიყვანდა და ვერც თვითონ წავიდოდა ბიჭებთან თავისუფლად.

ბიძას (მამის ძმას) შვილები არ ჰყავდა, ცოლთან ერთად ცხოვრობდა და რახან თვითონ სულ სამსახურში იყო, ვახტანგისადმი ყურადღების მიქცევა მთლიანად ბიცოლას ჰქონდა მინდობილი.

„ვახო გუშინ გვიან მოვიდა“...

„იცი, შენი ძმისშვილი სიგარეტს ეწევა“...

„მე მაშინებს ვახტანგის მეგობრები“ – ასეთ ინფორმაციებს ახვედრებდა ბიცოლა თავის მეუღლეს და ვახტანგიც ისე გრძნობდა თავს, თითქოს ეკლებზე დადიოდა და იწვა...

დირექტორის რჩევით სამშენებლო ფაკულტეტზე კი შეიტანა საბუთები (პოლიტექნიკურ ინსტიტუტში), მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი და წარმოუდგენელი რამ: მეორე ბიძის შვილი, გაიოზ ჭანკოტაძე შეხვდა და მოიკითხა. როცა გაიგო ვახტანგის ამბავი, არჩევანი არ მოუწონა.

– მომისმინე, ვახტანგ, ორივე მშენებელი ინჟინერი რომ ვიყოთ, არ ივარგებს.

– რატომ? გაიკვირვა ვახომ.

– ერთმანეთს დავჩრდილავთ, კონკურენტები ვიქნებით... ისედაც, დღეს ყველა მშენებელია და გაგიჭირდება რაიმე ახალი თქვა და ამით გამოიჩინო თავი.

– აბა, რას მირჩევ?

– მომისმინე, სულ ახლახანს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი ფაკულტეტი, ეს არის – ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტი. დამიჯერე, იქ უფრო გაშლი ფრთებს და იქ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევ.

დაუჯერა ვახტანგმა ბიძაშვილს, მეორე დღესვე გამოიტანა საბუთები ტექნიკური უნივერსიტეტიდან და შეიტანა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკა-ტექნიკურ ფაკულტეტზე (რომელიც ერთი წლის შემდეგ მექანიკა-მათემატიკურ ფაკულტეტად გადაკეთდა).

ერთ დღეს, ბიძასთან, სახლში, სადილობისას ვახტანგმა თვითონ დაისხა წვნიანი და ის იყო მათლაფით ხელში მაგიდისკენ დაიძრა, – ბიცოლას თვალებს შეეჩეხა. ისეთი ჩასაფრებული მზერა დაინახა, რომ მათლაფა ხელიდან გაუვარდა და იატაკზე დააქცია ცხელი კერძი.

უძილოდ გაათია ის ღამე, დილით კი ჩუმად აიკრიფა „გუდა-ნაბადი“ და გაიპარა სახლიდან. უკვე იცოდა, სად მიდიოდა.

რამდენჯერაც დაიჩივლა მეგობრებთან, ბიძაჩემთან თავისუფლად ვერა ვარო“ – იმდენჯერ ბიჭებმა ურჩიეს: „მერე, რას იკლავ თავს, სტუდქალაქში მიდი, ადგილების მეტი რა არისო“.

ჰოდა, გადაწყვიტა, სტუდქალაქში გადასახლებულიყო და ნანატრი თავისუფლების გემო ეგრძნო.

სტუდქალაქში. 1952 წ. მარცხნიდან: გ. მაისურაძე, ვ. ჭანკოტაძე, ჯ. ლეკიშვილი

ასე მოხვდა ვახტანგ ჭანკოტაძე სტუდქალაქის მეოთხე კორპუსის მეოთხე ოთახში, მეოთხე მაცხოვრებლად (დანარჩენ სამ სტუდენტთან ერთად).

რა წამს თავისუფლება იგრძნო ვახტანგმა, უცებ აუღო ალღო ყველაფერს და თავისი ნიჭის, უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზება დაიწყო.

კედლის გაზეთი გააკეთა სტუდქალაქში, თავისივე ლექსებით, შაყირებით და მიძღვნებით იმდენად პოპულარული გახდა, რომ სხვა სტუდენტებსაც მიჰქონდათ ლექსები, მინიატურები და სახალისო ამბები ვახტანგის კედლის გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

მაძიებელი სული

ოთხი წლისა იყო ვახტანგი, როცა დედ-მამა დაშორდა ერთმანეთს. დედა, პატარა ვახოსთან ერთად, წამოვიდა თბილისში და თავის დასთან ცხოვრობდა. მერე შერიგდნენ მეუღლეები, დაუბრუნდნენ ერთმანეთს და განაგრძეს ცხოვრება.

სტუდენტობის დროს, თბილისში მცხოვრებ ვახტანგს სულ ახსენდებოდა დედასთან ერთად თბილისში გატარებული დრო და ძალიან უნდოდა მოენახულებინა ის სახლი, სადაც მაშინ, ოთხი-ხუთი წლის ვახო ცხოვრობდა დედასთან და დეიდასთან ერთად (დეიდა შურა, ალექსანდრა გახლდათ ოცდამეექვსე შვილი თავისი მშობლების).

სად იყო ის სახლი? ვის ჰკითხოს? აღარავინ არ არის ცოცხალი.

დაძინების წინ ხშირად ფიქრობდა ამ სახლზე და თავის ბავშვობაზე.

„რა მახსოვს?!. რა მახსოვს?!.“ ქექავდა თავის ქვეცნობიერს და მეხსიერების შორეულ ფესვებში ეძებდა ხელჩასაჭიდს. მხარჩამოვარდნილი თუჯის ჭიშკარი გაახსენდა.

„აჰა, არკაც იყო... ჰო, ჰო! არკა იყო... კიდევ, კიდევ?.. საფეხურები.. ხის საფეხურები მახსოვს და... ფანჯარა, რომელიც ქუჩას გაჰყურებდა, იქ კი... ტრამვაი! ტრამვაი უხვევდა და სულ ჭრიალებდა!.. ჭრიალებდა იმიტომ, რომ იქ უხვევდა. ჰო, ტრამვაი!.. სად უხვევს ტრამვაი?!.“ – მიხვდა ვახო, რომ იპოვა ძაფის ნასკვი, საიდანაც უნდა გაეხსნა აბურდული გორგალი თავისი ფიქრებისა და პრობლემის, რაც იმჟამად აწუხებდა.

ამ აღმოჩენით აფორიაქებული წამოხტა საწოლიდან და ბიჭებს გასძახა:

– აბა, ვინ იცის, თბილისში სად უხვევს ტრამვაი?

– რა ტრამვაი?! – ნახევრად მძინარე ბიჭებმა ერთად ამოიოხრეს და გვერდი იცვალეს.

„ამათგან ვერაფერს გავიგებო“ – გაიფიქრა ვახომ და თავი გაანება, სამაგიეროდ ფიქრებმა არ დაანებეს თავი და მთელი ღამე უძილოდ აბორიალეს საწოლში.

„რა მოგივიდა, ბიჭო“ – დილით ჰკითხა მიშამ.

ვახტანგი მოუყვა თბილისთან დაკავშირებულ თავისი ბავშვობის ეპიზოდს და გულისნადები გაუმხილა: „ის სახლი უნდა ვიპოვოო“.

„კაი, რა ვახო! რას ამოიჩემებ ხოლმე... მართლა ჯიუტი კახელი ხარ... რა სახლი... რა ტრამვაი... ხომ არ გაგიჟდი?!“ – უთხრა მიშამ და ბიჭებმაც დაუდასტურეს: „სისულელეა მაგ სახლის ძებნაო“.

ვახო განაგრძობდა ძებნას. ჯერ ხანდაზმულ თბილისელებს ეკითხებოდა: „თბილისში რა ადგილებში უხვევდა ტრამვაიო“.

ზოგადი და წყალ-წყალა ინფორმაცია მიიღო, მაგრამ მაინც განაგრძობდა ძებნას.

მერე ვიღაცამ უთხრა, ქალაქის სატრანსპორტო სამსახურს მიაკითხეო და ეგრეც მოიქცა.

გაარკვია, რომ თბილისში ოცგან უხვევდა ტრამვაი. ჩაიწერა ყველა მისამართი და დაიწყო საგამოძიებო მოქმედებათა შემდეგი ეტაპი: თბილისის სხვადასხვა რაიონში მდებარე ყველა ის ადგილი უნდა მოენახულებინა, სადაც ტრამვაი უხვევდა ამჟამად და იმჟამად.

მიაგნო!

მეცხრე ცდაზე მიაგნო და მეცხრე ცაზე ამაღლდა სიხარულისგან.

„ეს არის, სწორედ ეს არის... აი, ის არკა... აი, ხის საფეხურები... აი, ის ოთახიც!..“ – ცრემლები

სდიოდა სიხარულისგან.

დააკაკუნა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ეგონა დედა გაუღებდა კარს.

ქალი გამოვიდა და „ვინ გნებავთო?“ – ჰკითხა. „მე მნებავს...“ – მხოლოდ ეს თქვა და კედელს მიეყრდნო.

„ვაიმე, ცუდად ხომ არ ხართ?“ – ანერვიულდა ქალი და მეზობლებს უხმო.

„არა, არა, ცუდად არ ვარ, პირიქით... კარგად ვარ. მე ამ სახლში ვცხოვრობდი 16 წლის წინ, დედასთან და დეიდასთან ერთად... ქირით ვიყავით“ – ემოციისგან ძლივს მეტყველებდა ვახტანგი.

„უიმე! ისა... 27 დედმამიშვილი რომ იყვნენ?.. კი... კიი! სახლის პატრონი ამბობდა, ულამაზესი ქალი იყოო... ოცდამეშვიდე შვილი იყო თავის დედ-მამისაო... მაშ, შენ ხარ მისი შვილი?“ – ემოციებს და ცრემლებს ვერ ფარავდა ქალბატონი.

მერე ბოდიში მოუხადა: „კარში დაგაყენეთ იმისავითაო“ – უთხრა და სახლში შეიპატიჟა, ჩაი და ნამცხვარი შესთავაზა.

უხმოდ იჯდა მაგიდასთან გაოგნებული ვახტანგი და ქუჩას გასცქეროდა სარკმლიდან, ზუსტად ისე, ზუსტად იმ ფანჯრიდან, როგორც ხდებოდა დედასთან ერთად 16 წლის წინ.

ბედნიერად გრძნობდა თავს.

დედისეულ სულსა და სურნელს გრძნობდა.

სითბო ეღვრებოდა გულში..

ბედნიერად გრძნობდა თავს ვახტანგი იმითაც, რომ მისმა მაძიებელმა სულმა თავისი გაიტანა, სურვილი აუსრულა და აპოვნინა სახლი, რომლის კედლებს და იმ კედლებში მცხოვრებ მოსახლეებსაც ჯერ კიდევ ახსოვდათ მისი უმშვენიერესი დედა და ოთხი წლის ვახო.

როგორ გაიცნო ოთარ რამიშვილი

1953 წელი იდგა. ზამთრის სესიები იწყებოდა და ვახტანგიც გაორმეგებული ძალისხმევით ემზადებოდა გამოცდებისთვის.

ბიჭები რომ არ შეეწუხებინა ოთახში, საწერი მაგიდის გასწვრივ ფარდა ჩამოაფარა და როცა ყველა იძინებდა, იგი ჯდებოდა სამეცადინოდ.

აბა რა ექნა, სხვებს პატრონები მაინც ჰყავდათ და სამებზეც რომ ესწავლათ, მშობლები არჩენდნენ, ვახტანგს კი მშობლები არ ჰყავდა და ერთადერთი გზა თავის რჩენისა და გადარჩენისა რჩებოდა სტიპენდია, ეს კი ის სამოტივაციო წინაპირობა იყო, რომელიც ვახტანგს აიძულებდა ყოფილიყო ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე.

იმ საღამოსაც ასეთი განწყობით იწყო მეცადინეობა და დაახლოებით ღამის პირველი საათი იქნებოდა – ხმა შემოესმა ეზოდან:

„მიშველეთ! მიშველეთ!“ – ვიღაც იძახდა მეოთხე კორპუსის შორიახლოს.

ამ ძახილმა ვახტანგი შეაშფოთა და გარეთ გავიდა. ხედავს მოტოციკლეტებით დარბიან მილიციელები და ვიღაცას ეძებენ.

ვახტანგი მიხვდა, რომ ვიღაცამ რაღაცა დააშავა და ეძებს მილიცია.

„როგორ მოვიქცე? მე ხომ მოქალაქე ვარ, პასიური მოქალაქეობით ქვეყანა ვერ აშენდება. აქტიური მოქალაქეობა კი იმას ნიშნავს, რომ მილიციასთან უნდა ვითანამშრომლო და დავეხმარო მას, რომ დანაშაული აღკვეთოს! რა ვქნა?!“ – ამ ფიქრებში იყო ვახტანგი, როცა დაინახა, რომ ვიღაცა შენობაში

თანაკურსელები. პირველ რიგში მარცხნიდან მეორე ვ. ჭანკოტაძე. 1953 წ

ჯგუფელები უნივერსიტეტის მეორე კორპუსის შესასვლელთან. 1953 წ.

შევარდა და დერეფანში გაიქცა. იმავდროულად მილიციაც მიადგა შენობას. და „ხომ არავინ დაგინახავთ საეჭვოო?“ – ჰკითხეს ვახტანგს.

„არაო“ – მოკლედ უპასუხა ვახტანგმა და გულმა რეჩხი უყო.

„რატომ მოვატყუე... ეს არის ჩემი მოქალაქეობა?!“ – ამას გონება ეუბნებოდა, სინდისი კი კეთილად და თბილად უღიმოდა.

დერეფანში შეეფეთა ვახტანგი იმ შეშინებულ ახალგაზრდას, აღარაფერი უკითხავს, თავის ოთახში შეიყვანა და საწოლის ქვეშ დამალა.

„აქ შევიდა... იქ არის... წავედით...“ მილიციელების ხმები და დერეფანში სირბილი კვლავ ისმოდა და ვახტანგიც შიშობდა.

„აქ რომ შემოვიდნენ და ოთახი გაჩხრიკონ, ხომ იპოვნიან და მე როგორ უნდა ვიმართლო თავი, ან რა მოჰყვება ამ ყველაფერს? იქნებ მეც დამიჭირონ დამნაშავის დამალვისათვის, ჰა?! შარში ვარ! ღმერთო, მიშველე!“ – ეს გონება შფოთავდა, სინდისი კი კვლავ თბილად უღიმოდა და ამშვიდებდა.

თხუთმეტ წუთში ყველაფერი დაწყნარდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ვახტანგმა კიდევ ერთხელ გადაამოწმა არემარე და პირჯვარი გადაიწერა.

შეცვარული შუბლი მაჯით შეიმშრალა და „გამოდიო“ – შესძახა საწოლქვეშ დამალულ „ბოროტმოქმედს“.

– წავიდნენ, ტო? – იკითხა ახალაგზრდამ და თავი გამოყო საწოლქვეშიდან.

– ჰო, ჰო, წავიდნენ, გამოდი! – ბრაზნარევი ხმით მიუგო ვახტანგმა და შეათვალიერა ბიჭი, ქერა იყო, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა დამფრთხალი კურდღელივით.

– ვახტანგ, რა ხდება?!. – ბიჭები შეეხმიანენ ფარდის მიღმიდან.

ვახომ ჩამოხსნა ფარდა, როგორც ილუზიონისტმა სცენაზე, გაიღიმა და სტუმრისკენ გაიშვირა ხელი, – აი, მეგობრებო, ამ ახალგაზრდას მილიცია მისდევდა და მე შევიფარე.

– ვახ, მაგარი ხარ, ვახო! – გაეხარდა გურამს და კარადიდან ღვინო გამოიღო, სხვამ ნიორი, ხახვი და პური მონახა, სუფრას პურ-მარილი რომ დარქმეოდა, მარილიც დაიდგეს, ყოველი შემთხვევისთვის „ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთო!“ – თითქმის ერთხმად წამოიძახეს და მიუსხდნენ სუფრას.

– მილიცია რატომ დაგდევს? – ჰკითხა სტუმარს ვახომ.

– ვიჩხუბე, ტო! – უპასუხა ახალაგზრდამ ჩახრინწული ხმით.

– რატომ იჩხუბე? – დაინტერესდა მიშა.

– ქალი მიყვარს, ტო! ქალის გამო ვიჩხუბე.

– ვის ეჩხუბე?

– მამამისს...

თავზე დაათენდათ.

– ლექციებზე წასვლის დროა, – თქვა გოგიამ.

– ამას რა ვუყოთ? – შეწუხდნენ ბიჭები.

– მოკლედ, ჩვენ ლექციებზე მივდივართ, შენ აირჩიე, თუ გინდა წადი, თუ დარჩენას გადაწყვეტ, დარჩი, მაგრამ თუ ჩვენს მოსვლამდე წახვალ, გასაღები საფეხნის ქვეშ დამალეო, – უთხრა ვახომ და დამშვიდობების დროს ჰკითხა, – მაინც რა გქვია, არ გვეტყვიო?

– ოთარი, ტო, ოთარი ვარ რამიშვილი, – მიუგო ქერამ, – თვალები შაშუ-ბეშად აუთამაშდა და გაიღიმა.

გავიდა დრო. დამთავრდა ლექციები. ბიჭები დაბრუნდნენ და... ვერ იცნეს ოთახი.

თურმე, ოთარის კარგი დიასახლისივით დაელაგებინა, დაესუფთავებინა და დაეწკრიალებინა იატაკიც, ავეჯიც, ფანჯრებიც, ჭურჭელიც... ბიჭების სახელდახელოდ ალაგებული საწოლებიც ხელახლა აელაგებინა კოხტად, ლამაზად და... თავად წასულიყო.

გაოცებული ბიჭები კმაყოფილებისა და მადლიერების ღიმილით შესცქეროდნმენ ერთმანეთს.

ვახო კი თავის სინდისს უღიმოდა და მადლობას უხდიდა სწორი გადაწყვეტილებისთვის.

...

გავიდა სამი-ოთხი დღე და საღამო ხანს ოთარი ესტუმრა ჩვენს ბიჭებს, თავის ძმაკაცებთან ერთად. თან მოეტანათ კონიაკი, შოკოლადები და სურსათ-სანოვაგე...

სტუდქალაქის ეზოში. მარცხნიდან: ლევან ჟიჟიაშვილი, გურამ შენგელია, ... და ვახტანგ ჭანკოტაძე.

გაიშალა სუფრა.

პირველი სადღეგრძელო ოთარ რამიშვილმა დალია და ვახტანგს მიმართა.

„დღეიდან ჩემი ძმები ხართ, ძალიან შემაყვარეთ თავი... ამიტომ მოვიყვანე ჩემი საძმაკაცო თქვენთან. აგერ, ამირან დუმბაძე, ჩემი ძმაა და დღეიდან თქვენი ძმაც იქნება. ვაკეში ყველაზე დამრტყმელი ბიჭია, ჰოდა, თუ ვინმემ გაწყენინოთ, მისი სახელი უხსენეთ,

ან ამირანს აცნობეთ და... მოკლედ, ამათთან გექნებათ საქმე და თქვენი უსაფრთხოებაც გარანტირებული იქნებაო.

ვახტანგმა ისე იგრძნო თავი, თითქოს ჯავშანჟილეტით შემოსეს და საუკეთესო იარაღიც აჩუქეს თავდაცვისთვის.

...

იმ დღის მერეც არაერთხელ ესტუმრა ოთარი ვახტანგსა და მის მეგობრებს.

ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას, გიტარის ხმა შემოესმათ.

ოთარიმ ყურები ცქვიტა და „ვინ არის, ტო?!“ – ჰკითხა ვახოს.

„ფოთელი ბიჭები არიან, ორივეს გურამი ჰქვია“.

„ვახ, ტო, ეს ხო ზურიკო ხელაიას აკორდებია!“ – გაიკვირვა ოთარმა და სთხოვა ვახტანგს გაეცნო ფოთელი ბიჭები.

აღმოჩნდა რომ ორივე გურამი ზურაბ ხელაიას მოწაფეები იყვნენ, იმავე ზურაბ ხელაიას მოწაფე იყო ოთარ რამიშვილიც, რომელმაც შვიდსიმიან გიტარაზე დაკვრა სწორედ ზურიკო ხელაიასთან ისწავლა და შემდეგში ვახტანგ ჭანკოტაძესაც გაუზიარა თავისი ცოდნა-გამოცდილება. გიტარაც აჩუქა ოთარიმ ვახტანგს, ნიშნად მეგობრობისა და მადლიერებისა.

ასე გაიცნო ვახტანგმა მომავალში გიტარის ჯადოქარი და საოცრად მხიარული და კეთილისმსურველი პიროვნება.

ხშირად იტყვის ხოლმე (სუფრასთან) ვახტანგი – ეს აკორდი ოთარ რამიშვილმა მასწავლაო.

ლამაზი გოგო

შესვენებისას დერეფანში შეამჩნია.

მოდი და ნუ შეამჩნევ: დერეფნის გაყოლებაზე ვინც კი ბიჭი იდგა, სუნთქვაშეკრული მისშტერებოდა მის სილამაზეს.

მეორე და მესამე დღესაც შეამჩნია და ისიც შენიშნა, რომ სხვა ფაკულტეტის სტუდენტი იყო, აშკარად არაფერი საქმე არ ჰქონდა იმ ფაკულტეტების იმ აუდიტორიებთან, სადაც დაიარებოდა შესვენების დროს.

თანაც მარტო დადიოდა. აქეთ-იქით საერთოდ არ იყურებოდა. გასცქეროდა ჰორიზონტს და მიაბიჯებდა თავდაჯერებულად, აუჩქარებლად, მტკიცე და გამომწვევი ნაბიჯებით.

ჰო, აქეთ-იქით არ იყურებოდა, თუმცა, მთელი სხეულით გრძნობდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. ამჩნევდა, როგორ უეცრად შეშდებოდნენ ბიჭები, კედლებზე აკრულები უყურებდნენ და იმდენად უშრებოდათ ხახა, რომ ნერწყვის გადაყლაპვაც არ შეეძლოთ, ამ უცნაური სილამაზის შემყურეებს.

ის კი ამ საოცარი სილამაზით, ბიჭების ჯინაზე და მათი გულის გასახეთქად ასე, ჯეირანივით დაიარებოდა დერეფნებში და იკვებებოდა იმ უხილავი ენერგიით, რომელსაც თვალებიდან აფრქვევდნენ სურვილით ძარღვებდაბერილი ვაჟები.

„...მე ერთი ჩია ბიჭი ვარ, არც ათლეტი ვარ, არც არაფრით გამორჩეული... როგორ მოვახდინო შთაბეჭდილება, თორემ...“ – ოხრავდა ვახტანგი და ითმენდა ლამაზი გოგოს „ულამაზო“ გამოწვევებს.

ითმინა, ითმინა და... ერთხელ ვეღარ მოითმინა. უკან გაჰყვა; მთელი დერეფნები შემოატარა. ასე, სამიოდე მეტრის დაშორებით მიჰყვებოდა. რატომ?..

რისთვის?.. რა აზრი და მიზანი ჰქონდა ამ ადევნებას? ამ კითხვებზე პასუხი თვიოთონ ვახტანგსაც არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა.

მეორე დღესაც იგივე გაიმეორა. მესამე დღეს კი ასეთი რამ მოხდა:

გოგონა წამით შეჩერდა, უცებ შემოტრიალდა და ხელი ხელში წაავლო ვახტანგს.

– რას დამდევ, რომ დამდევ?! – მკაცრად უთხრა და მტკივნეულად მოუჭირა ხელი ვაჟს.

– გამიშვი და გეტყვი.

– არა, მითხარი, რატომ დამდევ? – უთხრა გოგონამ და მარწუხებივით შემოჭდილი ხელი უფრო მოუჭირა.

– გამიშვი და გეტყვი! – გაუმეორა ვახტანგმა.

გოგონამ გაუშვა ხელი და დოინჯი შემოიყარა.

– აბა, გისმენ!

– რამდენი წლის ხარ? – ჰკითხა ბიჭმა.

– ახ, შეხედეთ ამ თავხედს! წლოვანებასაც რომ მეკითხება.

– იმდენი ტვინი თუ გაქვს, რამდენიც – სილამაზე, უნდა მიხვდე, რატომ დაგდევ, – დინჯად მიუგო ვაჟმა.

– უყურე ამას, შეურაცხყოფასაც მაყენებს! – წამოიკივლა გოგომ.

– კარგი, კარგი, ბოდიში... უბრალოდ, მე მინდა წამიერად წარმოიდგინო... შეგიძლია წარმოდგენა?

– რისი წარმოდგენა?

– წარმოიდგინე, დადიხარ დერეფანში, ქუჩაში, დადიხარ, დადიხარ და... არავინ გამჩნევს, ზედაც არ გიყურებს არც ერთი ბიჭი, წარმოიდგინე?

– რა?! – შუბლი შეეჭმუხნა გოგოს, – არა, არა... ოღონდ ეგ არა!

– რა ხასიათზე დადგები, რომ არავინ გამჩნევდეს?

– არ ვიცი... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ დღეს, ახლა, ხასიათი გამიფუჭე, თანაც ძალიან! თვალით აღარ დამენახო, მომშორდი! – უთხრა გოგომ და გაუჩინარდა.

მის მერე ლამაზი გოგო ერთი კვირის განმავლობაში არ გამოჩენილა უნივერსიტეტში. ან იქნებ დადიოდა კიდეც ლექციებზე, მაგრამ დერეფნებში აღარავის უნახავს.

ვახტანგი დანაღვლიანდა, მეტიც – შიშმა შეიპყრო: „ჩემს სიტყვებზე თავი ხომ არ მოიკლაო“. რატომღაც ამას ფიქრობდა და უნებლიე ცოდვის სიმძიმე აწუხებდა.

ერთი კვირის შემდეგ ასეთი რამ მოხდა: ლამაზი გოგო ისევ გამოჩნდა დერეფანში, გამოიარა ბიჭებისკენ, ზედ არავის შეხედა, მივიდა ვახტანგისთან და ეუბნება: „გამომყევი!“

თვალებს და ყურებს არ დაუჯერა ვახტანგმა, მაგრამ მზერითაც რომ აჩვენა გოგომ: „ჰა, გელოდებიო“ – სიამის თრობით გაბუჟებული ფეხები წინ წადგა ვახტანგმა.

– მე ქეთევანი მქვია, – უთხრა გოგომ და განაგრძო სიარული.

– ჰა? – გაბრუებულ ბიჭს სმენაც დახშოდა.

– მე ქეთევანი მქვია-მეთქი, – გაუმეორა გოგომ.

– ვახტანგი... ისა, სასიამოვნოა... დიახ, ვახტანგი მქვია.

– კიდევ გაქვს სურვილი, რომ მდიო? – ჰკითხა გოგომ და ცერად გახედა ვაჟს.

– მეტის სურვილი მაქვს! – უთხრა ვახტანგმა.

– მეტის? – გაიკვირვა ლამაზმა გოგომ.

– ჰო, შენს გვერდით მინდა ვიარო!

– უხ, შე კახელო გლეხო, ეგდა მაკლია შენს გვერდით ვიარო! – უთხრა გოგომ და სწრაფი ნაბიჯებით დაშორდა ვახტანგს.

რამდენიმე დღის შემდეგ ქეთევანმა ისევ მოძებნა ვახტანგი დერეფანში და მიახალა:

– კახური სიჯიუტე გქონია, მაგრამ... რაღაც მინდა გთხოვო...

– რა?

– შეგიძლია სახლში გამაცილო?

– რაა?!. მე ხომ ამაზე ვოცნებობ! – წამოიძახა ვახომ.

– ჰოდა, თუ ოცნებობ, გამაცილე!

გაჰყვა ვახტანგი ლექციების შემდეგ.

მისდევს ქეთევანს და ერთადერთი სურვილი აქვს: ყველამ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მთელმა სამყარომ დაინახოს, ვის გვერდით მიდის.

სადარბაზომდე მიაცილა გოგონა და შენიშნა, რომ იქვე, კორპუსის სიახლოვეს, ეზოში ბიჭები ისხდნენ და დომინოს თამაშობდნენ. მათი გამოხედვა არ მოეწონა ვახტანგს.

„მოკლედ, აქ ვცხოვრობ, თუ რამეს სერიოზულად ფიქრობ, მოგიწევს ყოველდღე გამომაცილო ხოლმე“ – უთხრა ქეთევანმა გამომშვიდობებისას და წამიერად მზერა იქით გაისროლა, სადაც ეზოს ბიჭები ისხდნენ და ბღვერით შეჰყურებდნენ ვახტანგს.

პირობა უნდა შეესრულებინა ბიჭს. ან რა პირობა სჭირდებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ლექციები, რომ სახლამდე მიეცილებინა ლამაზი გოგო, რომლის მიმართ გრძნობა დღითიდღე ეზრდებოდა ვახტანგს. გააცილა მეო-

რე დღეს, მესამე დღეს კი... ეზოს ბიჭებმა დაუძახეს: „ბიჭო, ერთი აქეთ მოდიო!“ – გამომწვევი და აშკარად მტრული იყო მათი ძახილი.

„თუ საქმე გაქვთ, თვითონ მობრძანდითო!“ – მიუგო ვახომ.

„უყურე ამას?!“ – წამოიყალყა ერთი, მაგრამ მეორემ გააჩერა.

„შენ, ბიჭო, გაფრთხილებ, შეეშვი აქ სიარულს და მაგ გოგოს დევნას, თორემ გაგბერტყავთო“ – დაემუქრა ერთ-ერთი.

„ფეხებსაც ვერ მომჭამთო“ – მიაძახა ვახომ და განაგრძო გზა.

მეორე დღეს ქეთევანი არ გამოჩნდა უნივერსიტეტში. შემდეგ დღეს მოვიდა და ისევ გააცილა ვახტანგმა.

– არ გეშინია? – ჰკითხა გზაში.

– რისი უნდა მეშინოდეს, – გაეღიმა ვახოს.

– ბიჭების, – უთხრა ქეთევანმა და თვალი თვალში გაუყარა ბიჭს.

– რომ მეშინოდეს, ხომ აღარ გაგაცილებდი, – დამაჯერებლად მიუგო ვახომ და ხელკავი გამოსდო გოგოს.

მიაცილა, გამოემშვიდობა და ის იყო წასვლას აპირებდა, კბილების კრაჭუნით წინ გადაეღობნენ ბიჭები

ქეთევანის სახლისკენ გაექცა თვალი ვახოს და დაინახა გოგო ფარდას ამოფარებულიყო და ღიმილით უყურებდა მოვლენებს.

იმ დღეს სტუდქალაქში კარგად ნაცემი დაბრუნდა ვახტანგი.

„რა მოგივიდაო?!“ – ჰკითხეს ბიჭებმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

საერთო საცხოვრებლის წინ. სტუდქალაქი. 1954 წ. მარცხნიდან: ლ. ჟიჟიაშვილი, გ. კინკრიაშვილი, დ. ბექაური, გ. კასრაძე, ვახტანგ ჭანკოტაძე.

„ვინ იყო, გვითხარი და დედას ვუტირებთო!“ – ბობოქრობდნენ მეგობრები, მაგრამ ზედმეტ შარს მოერიდა ვახტანგი.

გავიდა მცირე დრო და ჭრილობამოშუშებულმა ვახტანგმა კიდევ გააცილა ქეთევანი სახლში.

ამჯერად გოგოს ძმა დახვდა ეზოში.

იცოდა ვახტანგმა, რომ მოკრივე იყო ქეთევანის ძმა, თანაც – ჩემპიონი და მისი ერთი დარტყმა შეიძლება სასიკვდილოც ყოფილიყო მისთვის, მაგრამ არ შეშინებია, მშვიდად მიესალმა და პატივისცემის ნიშნად გაუღიმა.

„წადი სახლშიო!“ – მკაცრად უთხრა ძმამ ქეთევანს და ვახო გვერდზე გაიყვანა.

„შენი ჭირიმე, არ გეწყინოს რასაც გეტყვი და კარგად გამიგე“ – ასეთ სიტყვებს არ ელოდა ვახო და „ბატონოო?!“ – უადგილოდ ჰკითხა.

„...მოკლედ, საქმრო ჰყავს ამ ჩემს შტერ დაიკოს, ამჯერად ჯარშია ის ბიჭი და საცაა ჩამოვა. იმის თქმა მინდა, რომ ჯობია, აღარ გააცილო, აღარ გაიარო მის გვერდით. ჩვენ კი ვიძმაკაცოთ, ჩემი თავი გენაცვალოს, კარგი ბიჭი ჩანხარ და შენს მეგობრად მიგულეო“.

ვახომ გამოწვდილ ხელზე ორივე ხელი ჩამოართვა ქეთევანის ძმას და გულთბილად დაემშვიდობა.

უცნაური სიყვარული

იმ დღეს ფიზკულტურის მასწავლებელმა დატოვა სავარჯიშოდ.

გვიანობამდე ივარჯიშა და ღამის ათი საათი იქნებოდა, დაღლილ-დაქანცული სტუდქალაქისკენ რომ გაეშურა.

პუშკინის სახელობის ინსტიტუტთან სიახლოვეს ხალხის ჩოჩქოლმა მიიპყრო მისი ყურადღება. ისინი იდგნენ მაღაზიის გაჩახჩახებულ ვიტრინასთან, რაღაცას ათვალიერებდნენ და აღფრთოვანების ემოციებს ხმამაღლა გამოხატავდნენ.

ვახტანგს არაფრის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც თავისი ჰქნა და უბიძგა ხალხისკენ.

მივიდა, მიუახლოვდა, გაკვეთა ხალხის ნაკადი, დადგა ვიტრინის წინ და... სუნთქვა შეეკრა. როგორი გასაძლისია ახალგაზრდა კაცისთვის იმის ხილვა, რასაც მისი თვალები წააწყდნენ მოულოდნელად, თანაც ქუჩაში... თანაც ხალხის თანდასწრებით...

ვიტრინის მიღმიდან ნახევრად შიშველი ქალები იდგნენ და იღიმოდნენ. მერე ქალიცაა და ქალიც!

ან ბებრები ყოფილიყვნენ, ან მსუქნები და უშნოები...

ყალმით დახატულებიო, რომ იტყვიან ხოლმე, ისეთი ქალიშვილები უმზერდნენ ვიტრინიდან.

აშოლტილები, თვალწარმტაცები, შემკულები, შემოსილები ძვირფას სამოსში... იდგნენ და იღიმოდნენ.

ეს კიდევ არაფერი, ზოგიერთ ლამაზმანს საერთოდ არ ეცვა სამოსი, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე ბრჭყვიალა ნაჭრებს, რომლებიც სასირცხვო ადგილებს უფარავდნენ ლამაზმანებს.

„ვაიმე! ეს სადა ვარ?!“ – გაიფიქრა ვახტანგმა და ორი საათის განმავლობაში სუნთქვაშეკრული მიშტერებოდა მანეკენებს.

ღამის 12 საათზე სტუდქალაქამდე რომ მილასლასდა და დასაძინებლად გაემზადა. მიხვდა, რომ არ ეძინებოდა; იმასაც მიხვდა, რა იყო მიზეზი მისი უძილობისა და შფოთვისა – მისი გული დაეტყვევებინა იმ გრძნობას, რასაც ჰქვია – ერთი ნახვით შეყვარება.

თვალს დახუჭავდა თუ არა, ნახევრად შიშველი მანეკენი ელანდებოდა, რომელიც თვალს უკრავდა ვახტანგს.

„იქნება სხვებსაც ასე გამომწვევად უპაჭუნებს თვალებსაო“ – ეჭვის განცდა შეეფეთა ვახოს და ახლა იმ ეჭვმა დაუფრთხო ძილი.

ისე ინერვიულა, რომ საწოლიდან წამოხტა და წაიბუტბუტა: „მე, მხოლოდ მე მეკუთვნის მისი მზერა, მისი ღიმილი“. მერე ისეთი მეომრული სხივი სტყორცნა საკუთარ თავს სარკეში, რომ თვითონვე შეკრთა, აშკარად მზად იყო, შური ეძია ნებისმიერ მამაკაცზე, ვინც რომ შეეცდებოდა შეცილებოდა ამ ლამაზმანის სიყვარულში.

იმ დღის შემდეგ, უნივერსიტეტში ისე არ წავიდოდა, „შეყვარებულთან“ რომ არ გაევლო; ლექციების შემდეგაც დიდი ხნით იდგა ხოლმე ვიტრინასთან და ესაუბრებოდა „სატრფოს“.

მანეკენისადმი სიყვარული გაუორკეცდა ვახტანგს მას შემდეგ, როცა მასში მოწიწება აღმოაჩინა. პირველ დღეს თუ ნახევრად შიშველი იყო, ახლა სრული შესამოსელით ხვდებოდა.

„ჩემი შერცხვაო“ – ფიქრობდა ბიჭი და ერთგულებად უთვლიდა ამ საქციელს.

შიგა და შიგ ეჭვი გაჰკრავდა ხოლმე, როცა სხვა მამაკაცებიც გაფართოებული თვალებით და ნერწყვის ყლაპვით უმზრდნენ „მის“ „სატრფოს“.

მერე ეს ეჭვი და ნერვიულობაც გაუქრა, რადგან დარწმუნდა, რომ მისი შეყვარებული მანეკენი მხოლოდ მას უკრავდა თვალს და მაშასადამე, მხოლოდ მას ეკუთვნოდა მისი ღიმილიც, მზერაც, გულიც და სულიც.

მოგვიანებით, ვახტანგმა ლექსი მიუძღვნა თავის „სატრფოს“:

„მშვენიერებით, სინატიფით, ცისფერ თავშალით,
დგახარ ჩემს ზემოთ საროს ტანით, სანთლის თითებით,
არ ლაპარაკობ, არ კამათობ, არ ხარ აშარი
და არც თავს ირთობ ზღაპრებით და რაღაც მითებით.
ვიტრინის იქით ოდნავ ბნელა, ოდნავ ანათებს,
როგორც ოცნებას, მანდ დაგეძებ, მანდ მეგულები,
სამწუხაროა, დასანანი – ველი არაფერს...
ვერ გადეჭდობა, ვერ შეხვდება ჩვენი გულები“.

...

დამთავრდა სასწავლო წელი და ვახტანგიც წავიდა კახეთში არდადეგებზე.

მართალია, გული შეყვარებულთან რჩებოდა, მაგრამ რა ექნა, თან არავინ გაატანდა, უნდა მოეთმინა ეს „დროებითი“ დაშორება.

როგორც იქნა გავიდა სამთვიანი არდადეგები, დაბრუნდა ვახტანგი თბილისში და მაშინვე მაღაზიას მიაკითხა, მაგრამ რად გინდა... შეყვარებული იქ აღარ დახვდა. ვერა და ვერ გაიგო ვახტანგმა – რა ბედი ეწია მაღაზიას ან მის მანეკენებს.

გული დაწყდა ბიჭს, მაგრამ რას გააწყობდა, ცხოვრება სავსეა განსაცდელებით და უნდა ითმინო.

ეს უიღბლო სიყვარულიც ასე დასრულდა და კარგა ხანს გაგრძელდა ვერდავიწყების განცდებით.

რა მადლიანად ანათებს!..

ვახტანგს ძალიან უყვარდა კინოში სიარული. სტუდენტობის წლებში ყოველ ახალ ფილმს აუცილებლად ნახულობდა. შეყვარებული იყო კინოთეატრ „რუსთაველზე“.

„ბაში აჩუკი“ რომ გამოვიდა, ერთი სული ჰქონდა სტიპენდია აეღო, რომ კინოთეატრში წასულიყო და ეხილა ეს ფილმი.

იუზა კვინიკაძემ იხსნა, ნათესავი ჩამოუვიდა შორაპნიდან. სოფლის ნობათიც ხომ ჩამოუტანა და ფულიც დაუტოვა.

იუზამ იცოდა ვახტანგის გულისწადილი და

1955 წ

როგორც კი ნათესავი გაისტუმრა, ნაჩუქარი ფულიდან ათი მანეთი ვახტანგს მისცა და უთხრა: „აჰა, ძმაო, სტიპენდიას ნუღარ დაელოდები, მიდი და ნახე ეგ ფილმიო“.

ცას ეწია ვახტანგი, იმ სადამოსვე წავიდა კინოთეატრში, უყურა „ბაში აჩუკს“ და „დაავადდა“ ახალი სურვილით – იმ სიმღერის შესწავლა მოუნდა, ამ ფილმში რომ მოისმინა. უნდოდა ჩაეწერა, ამგრამ როგორ? ცალკე ტექსტი, ცალკე მელოდია... ყველაფრის დამახსოვრება და ჩაწერა ერთ ჯერზე შეუძლებელი იყო.

ისევ იუზამ უშველა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ წაჰყვა კინოში, ერთად ჩაიწერეს ტექსტიც, მელოდიაც და ვახტანგიც სრულყოფილად „შეიარაღდა“ ამ ახალი და ყველასთვის საყვარელი სიმღერით. შინ თუ გარეთ ამ მელოდიას ღიღინებდა, გულსაც იხალისებდა და სხვებსაც მოსწონდათ მისი ნამღერი.

სწორედ იმ პერიოდში ხმა დაირხა: რადიო კვანძისთვის ეძებენ შემოქმედ სტუდენტებს, ვისაც სიმღერა შეუძლიაო.

მაშინ სტუდქალაქს ჰქონდა თავისი რადიოკვანძი, საიდანაც გადმოსცემდნენ იქ მცხოვრები სტუ-

დენტებისთვის საჭირო ინფორმაციებს და გასართობ პროგრამებსაც.

„ე, ბიჭო, შენ გეძებენო!“ – შეუჩნდნენ ოთახის თანამცხოვრები სტუდენტები ვახტანგს და იმდენი ქნეს, რომ რადიოკვანძის სტუდიაში გაუშვეს ჩვენი ვახო, თავისი ბაფთიანი გიტარით.

„რა მადლიანად ანათებს, შენი მზე, შენი მთვარეო!“ – სტუდქალაქის ყველა ოთახში შეიჭრა ვახტანგ ჭანკოტაძის ნამღერი და აამღერა ყველა.

გავიდა ეს სიმღერა... გავიდა ერთი საათიც და ვახტანგის ოთახის კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

შემოვიდა ახმახი ახალგაზრდა, დასტაცა ხელი ჩვენს ვახტანგს, აიტაცა და მკერდში ჩაიკრა.

„ამაყი ვარ, ასეთი მოგვარე რომ მყავხარ... რომ გავიგე „ჭანკოტაძე იმღერებსო“ – ხომ ცას ვეწიე, მაგრამ, რომ იმღერე, ცის მიღმა აღმოვჩნდი, შენ გენაცვალეო“, – უთხრა ახმახმა და გაეცნო: „მე გიორგი ჭანკოტაძე ვარ, სოფლის მეურნეობის განხრით ვსწავლობ და აქ ვცხოვრობ, სტუდქალაქშიო“.

გაცნობა მხოლოდ ჩახუტებით არ დასრულებულა. გიორგი გაიქცა, მოიტანა ღვინო, არაყი, თავისი პურ-მარილით და გულანთებულებმა სიყვარულის ენერგია აფრქვიეს ერთმანეთს.

...

ამ დღის შემდეგ დაძმაკაცდნენ ჭანკოტაძეები და სტუდენტობის შემდეგაც ურთიერთობდნენ წლების განმავლობაში, სანამ ახმახი გიორგი ჭანკოტაძის სათნო სული ზეციურ საუფლოს შეერწყმოდა.

გულს უნდა თამარი!

ვახტანგი მაშინ მესამე კურსზე იყო.

თავისივე ფაკულტეტის მეორე კურსზე გოგონა შენიშნა და ენიშნა, რომ ეს გოგონა განსაკუთრებული იყო, იმდენად განსაკუთრებული და გამორჩეული, რომ მზად იყო მისთვის თავი გაეწირა.

ამ გოგონას სახელიც გაიგო და გვარიც, მაგრამ ის ვერ გაიგო, როგორ მოეხელთებინა დრო და სიტუაცია, რომ ამ გოგონას დალაპარაკებოდა.

როგორც კი შესვენების ზარი დაირეკებოდა, ყველა ბიჭი ამ გოგონას ირგვლივ ტრიალებდა.

როგორც კი ლექციები დასრულდებოდა, ყველა ამ გოგონას აცილებდა... განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოხდენილი გარეგნობის და მოდურად ჩაცმული თბილისელი ბიჭები სხვა ფაკულტეტებიდანაც კი. ვერადავერ მიუდგა ახლოს. გამბედაობა ღალატობდა.

ვახტანგის გულს უნდოდა ამ გოგონასთან სიახლოვე და ამ სურვილს აღრმავებდა უნებლიე წინაღობები.

აკი გითხარით, ვახტანგი მზად იყო ამ გოგონასთვის თავი გაეწირა-მეთქი და ასეც მოიქცა – ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ თვითონაც გაუკვირდა.

„თამარ დიდებულიძეს გვერდით უნდა მივუჯდე!“ – ეს უთხრა საკუთარ თავს სარკეში და გაოცებული ორეული რომ დაინახა, – გაეღიმა.

„ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!“ – თქვა და გააკეთა.

გამოცდებზე აღარ გავიდა, მიატოვა თბილისი და წავიდა მშობლიურ თელავში ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს...

სტუდენტობა. ვახტანგ ჭანკოტაძე (ცენტრში, კუბოკრული პერანგით) თანაკურსელებთან.

დეკანმა თავისი წარმომადგენელი აფრინა თელავში და დაავალა: „მიწის ქვეშ რომ იყოს, იქაც უნდა ნახო და ჩამოიყვანოო“.

კი ნახა, ჩამოყვანა-წამოყვანაზე უარი მიიღო.

დეკანმა ხელახლა გააგზავნა წარმომადგენელი და იმავდროულად, ადგილობრივ მილიციას აცნობა, რომ ვახტანგ ჭანკოტაძე იძულებითი წესით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – დამატებით გამოცდებზე.

„კი, მაგრამ, რა არის აქ გაუგებარი? არ ვაბარებ გამოცდებს, მორჩა და გათავდა! – კატეგორიულად უთხრა ფრიადოსანმა სტუდენტმა დეკანის წარმომადგენელსაც და ღიპიან მილიციელსაც.

კი, მაგრამ... რატომ?!. რატომ?!. თუ მომზადებული არა ხარ, კიდევ მოგცემენ დროს. დეკანმა ასე გად-

მომცა, – უთხრა წარმომადგენელმა.

– არ მინდა, პატივცემულო... არა ვარ ხასიათზე, მომავალ სასწავლო წელს დაგიბრუნდებით იგივე მესამე კურსზე, – დაამშვიდა ვახტანგმა.

– ნუთუ ვერა გრძნობ, რომ სასირცხვილო საქმეს აკეთებ. მშობლებს შეარცხვენ... სამშობლოს შეარცხვენ... – ნერვიულობისგან ოფლი სდიოდა საცოდავ წარმომადგენელს.

ვახტანგს შეეცოდა მამისტოლა კაცი და უთხრა მიზეზი.

წარმომადგენელმა დეკანს ჩაუტანა ამბავი, დეკანმა კი უნივერსიტეტის რექტორს – ნიკო კეცხოველს აცნობა ეს გაუგონარი რამ.

– მაშ, გოგოს გულისთვის რჩება კურსზე?

– დიახ, ბატონო რექტორო.

– მერე?

– რა მერე, ბატონო ნიკო?

– რა ვუყოთ მაგ ბიჭს?

– არ ვიცი, ბატონო რექტორო... სტიპენდიას დაკარგავს, არადა ობოლია...

– სულ შენი ბრალია, ამხელა დეკანი კაცი ხარ და ეგ ვერ უნდა შეგემჩნია, რომ შეყვარებული იყო ეგ ბიჭი?!

– რა ვიცი, ბატონო...

– ისე, მაგარი ბიჭი კი ყოფილა ეგ სტუდენტი.

– დიახ, ბატონო...

– სტიპენდია შევუნარჩუნოთ! დავუფასოთ სიყვარულისთვის თავდადება! – უთქვამს ნიკო კეცხოველს და აფორიაქებული დეკანიც დამშვიდებულა.

ვახტანგმა კი აისრულა ოცნება. გვერდით მიუჯდა უკვე მესამე კურსელ საყვარელ გოგონას, რომელსაც თამარი ერქვა.

მუსხელიშვილი, ჰუკი, ახალგაზრდა დოცენტი და ვახტანგი

(მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს ვახტანგ ჭანკოტაძის ერთ-ერთი მოთხრობიდან)

წილად მხვდა ბედნიერება სტუდენტობის დროს ჩემთვის ესწავლებინა მსოფლიოში სახელმოხვეჭილ მეცნიერს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს, რომელიც იმდროისთვის გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. მასწავლიდა კი, ნიკო მუსხელიშვილი „დრეკადობის თეორიას“. მისი, როგორც დიდი მეცნიერის, ფუნდამენტალური მეცნიერული გამოკვლევები ეხებოდა მათემატიკისა და მექანიკის ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: სინგულარული ინტეგრალური განტოლებები, ანალიზური გეომეტრია, ფუნქციის თეორიის სასაზღვრო ამოცანები და მრავალი სხვა.

განსაკუთრებული აღიარება მეცნიერს მოუტანა 1933 წელს გამოსულმა მისმა წიგნმა „დრეკადობის თეორიის ზოგიერთი მათემატიკური ამოცანები“. მნიშვნელოვანი ადგილი ამ წიგნში ეძღვნებოდა ე.წ. ჰუკის განზოგადოებულ კანონს და შესაბამის ფორმულას.

ამ კანონმა და ფორმულამ აზრთა სხვადასხვაობა დაბადა მეცნიერთა შორის. ისინი, ვისაც რაიმე გაეგებოდა მექანიკაში, კერძოდ კი დრეკადობის თეორიაში, გაიყვნენ ორ პირობით ჯგუფად – მუსხელიშვილის მომხრეებად და მხარდამჭერებად და მის ოპონენტებად. ამ უკანასკნელთა შორის იყო ახალგაზრდა მეცნიერი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გაიოზ ჭანკოტაძე,

რომელსაც თავისი საკუთარი, არგუმენტირებული, მოსაზრებები გააჩნდა ჰუკის განზოგადოებული კანონისა და შესაბამისი ფორმულის მიმართ. გაჩაღდა დაუსწრებელი „ბრძოლა“ აკადემიკოსსა და ახალგაზრდა მეცნიერს შორის, აკადემიის პრეზიდენტსა და დოცენტს შორის; ეს „ბრძოლა“, რაღა თქმა უნდა, იყო მეცნიერული და შორს იდგა რაიმე ინტრიგის, შანტაჟის ან ცილისწამებისაგან.

1956 წელს უკანასკნელ გამოცდას ვაბარებდი „დრეკადობის თეორიაში“, გამომცდელი და კომისიის თავმჯდომარე კი იყო ნიკო მუსხელიშვილი.

ბილეთებში შეტანილი 120 საკითხიდან ყველა ზედმიწევნით კარგად მქონდა მომზადებული, განსაკუთრებით კი ე.წ. ჰუკის განზოგადოებული თეორია (კანონი) და შესაბამისი ფორმულაც. ეს საკითხი ვიცოდი ორივე პოზიციის გათვალისწინებით – მუსხელიშვილის, რომელმაც მასწავლა და ახლა მისთვის უნდა ჩამებარებინა გამოცდა და გაიოზ ჭანკოტაძის (ჩემი ბიძაშვილის) მხრიდან, რომელმაც მომამზადა მთლიანად „დრეკადობის თეორიის“ ჩასაბარებლად.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუსხელიშვილისთვის ყოველთვის იყო გამოყოფილი დიდი აუდიტორია და მხოლოდ პირველ სართულზე, რათა უკვე მხცოვანი მეცნიერი არ შეწუხებულიყო სართულებზე ასვლა-ჩასვლით და დროც დაეზოგა. ყველაზე დიდ აუდიტორიას კი იმიტომ ურჩევდნენ, რომ ძირითადი სტუდენტების გარდა, მის ლექციებს თუ გამოცდებს დასწრებოდა მსურველთა დიდი არმია თბილისისა თუ სხვა ქალაქების ტექნიკური სასწავლებლებიდან (ასპირანტები, მეცნიერებათა კანდიდატები თუ დოქტორები, უცხოელი სტაჟიორები, ჟურნალისტები და ა.შ.).

და აი, შევდივარ საგამოცდო ოთახში და ვიღებ ბილეთს. ნიკო მუსხელიშვილს განუყრელი ჩიბუხი უჭირავს ხელში და თბილი, მშობლიური ღიმილით მთხოვს დავჯდე და კარგად მოვიფიქრო პასუხები.

ჯერ მხოლოდ ბილეთის ნომერი ჩამრჩა გონებაში – ნომერი ოთხი. საშინლად ვღელავდი, არა იმიტომ, რომ რაიმე არ ვიცოდი. ვნერვიულობდი უდიდესი მეცნიერის წინაშე, უნებლიედ არაფერი შემშლოდა და სირცხვილი არ მეჭამა. საკითხების არ მეშინოდა, მაგრამ ხომ ამბობენ: „ბედის ირონიაო“, ჰოდა, მესამე საკითხად შემხვდა სწორედ ჰუკის განზოგადოებული კანონი და ფურმულის ფიზიკური ინტერპრეტაცია.

„ვაი, ჩემს თავს“ – გავიფიქრე და დავიწყე „ტვინის ჭყლეტა“ – თუ როგორ გამოვიდე მდგომარეობიდან: მოვყვე ისე, როგორც მასწავლა პრეზიდენტმა, მაშინ უნდა „ვუღალატო“ ჩემ ბიძაშვილს, რომელმაც გასული დღეების განმავლობაში დამარწმუნა თავის „ოპოზიციურ“ მოსაზრებებში. მოვყვე ისე, როგორც მასწავლა ბიძაშვილმა, მიქმნიდა დიდ სიძნელეებს გამომცდელთან.

პირველ-ორ საკითხზე სწრაფად გავუგეთ სტუდენტმა და აკადემიის პრეზიდენტმა ერთმანეთს. მივადექით მესამე საკითხს და მივიღე სწრაფი გადაწყვეტილება: „ნება მომეცით, ამ საკითხზე გესაუბროთ ორი პოზიციიდან, ერთი თქვენი და მეორე თქვენი ოპონენტების“.

მუსხელიშვილმა გაოცებით შემომხედა, ჩიბუხი რამდენჯერმე ჩატენა, გააბოლა და მოჰყვა ბოლთის ცემას აუდიტორიის გასწვრივ. ვგრძნობდი დაძაბულად მისმენდა. ჩემს ხმას თუ არ ჩავთვლით, აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე იდგა. ჰაერი კი გაჯერებული იყო ჩიბუხის ამონაბოლქვი ლაგოდეხური, გლეხური წესით დაკეპილი, თამბაქოს არომატული ბოლით.

ის-ის იყო დავამთავრე მუსხელიშვილისეული პოზიციის მიმოხილვა და ვაპირებდი ოპონენტების პოზიციებზე გადასვლას, როდესაც გამომცდელმა შემაჩერა: „თქვენ, ახალაგზრდავ, რა გვარი ხართო?“ გაიგო რა, გვარი ჭანკოტაძე, მითხრა: „კარგი, ძალიან კარგი. ახლა კი ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. მიბრძანდით პირველ კორპუსში და სთხოვეთ ჩემი კუთვნილი ხელფასი გამოგატანონ“.

გულზე მომეშვა და სიხარულისგან მუხლები მიცახცახებდა. მძიმე მდგომარეობიდან (ნებით თუ უნებლიედ) თვითონ ბუმბერაზმა მეცნიერმა გამომიყვანა.

ხელფასის უწყისში ხელს რომ ვაწერდი, კიდევ ერთხელ გავვოცდი იმ დღეს. აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს გამოწერილი ჰქონდა ხელფასი 28000 (ოცდარვაათასი) (!) მანეთი (სტუდენტის სტიპენდია იყო 350-400 მანეთი. შედარებისთვის). შემდეგ თვალი გავაყოლე უწყისის გრაფებს, სადაც ამოვიკითხე: პიონერთა სასახლე, უპატრონო ბავშვთა სახლი, სკოლა-ინტერნატი, საჯარო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი №..., საბავშვო ბაგა №..., მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სპეციალიზირებული მათემატიკური სკოლა, უსინათლოთა საზოგადოება და ა.შ. და ა.შ. ყველა ამ გრაფის გასწვრივ ეწერა ის ფულადი თანხები, რომლებსაც უდიდესი ქართველი მეცნიერი, თავისი ხელფასიდან ურიცხავდა მათ. აი, ამას ჰქვია მამულიშვილობა, ამას ჰქვია ჭეშმარიტი ქველმოქმედება.

საბოლოოდ ჩემს გამომცდელს ჩავაბარე ხელფასის მორჩენილი ნაწილი 7000 (შვიდიათასი) მანეთის ოდენობით, მან კი მე გადმომცდა ჩათვლის წიგნაკი, რომელშიც „დრეკადობის თეორიის“ გასწვრივ ეწერა საამაყო სიტყვა „ფრიადი“.

როგორ ვიცრუე პროფესორთან

(გვიყვება წინამდებარე წიგნის მთავარი პერსონაჟი ვახტანგ ჭანკოტაძე)

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი 1951-1957 წლებში. სახელგანთქმული მეცნიერები და პროფესორ-პედაგოგები გვასწავლიდნენ საგნებს და ჩვენც თავგამოდებით ვსწავლობდით. საერთო სიტუაცია ისე იყო დარეგულირებული, რომ ვერავინ გაბედავდა გამოცდაზე მოუმზადებლად მისვლას, ეს უდიდეს სირცხვილად იყო მიჩნეული მაშინ.

საკმაოდ პოპულარული სტუდენტი ვიყავი შედარებით კარგი სწავლის გამო და კიდევ იმიტომ, რომ ფაკულტეტის მასშტაბით ვეწეოდი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას (ვიყავი კედლის გაზეთის რედაქტორი, ფიზკულტურული და კულტმასიური სექტორების ხელმძღვანელი, აქტიური სპორტსმენი, ექსკურსიების სულის ჩამდგმელი და ა.შ.), რის გამოც საერთო ყურადღების ცენტრში ვიყავი მოქცეული და დეკანატიც სათანადოდ აფასებდა ჩემს გარჯას.

ლექტორებს შორის გვყავდა ზომაზე მეტად მკაცრი და მომთხოვნი პროფესორ-პედაგოგები (ა. ხარაძე, ნ. ვეკუა, პ. ზერაგია, გ. ვეფხვაძე, გ. თევზაძე და ა.შ.) და შედარებით რბილი და ლიბერალური ხასიათით გამორჩეულნი (ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, ე. ხარაძე, ა. ჩახტაური, მ. კუკულაძე, ა. კეკელია და სხვა). თუმცა, ყველა მათგანი, როგორც წესი, გახლდათ უაღრესად ობიექტური და სამართლიანი, როგორც მასწავლებელი, ისე გამომცდელი. სტუდენტებთან სიახლოვისა და მეგობრობის

სტუდქალაქის საცხოვრებელ ბინაში მეცადინეობისას. 1954 წ.

სურვილით განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა უმაღლესი ალგებრის (მათ შორის წრფივი და ტოპოგრაფიული ალგებრის) დარგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გიორგი ჭოღოშვილი, რომელიც არცერთ სტუდენტურ ექსკურსიას არ სტოვებდა და ყველანაირად ცდილობდა ჩვენთან ყოფილიყო. სიგიჟემდე უყვარდა ტყეში, მწვანე გარემოში გაშლილი მოკრძალებული ქართული სუფრა. შეყვარებული იყო ჩემს თამადობასა და გიტარის აკომპანემენტით შესრულებულ რუსულ რომანსებზე, თუ სერენადებზე. გამორჩეულად მოსწონდა ლ. უტიოსოვის და მ. ბერნესის სიმღერები.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ შედარებით წარმატებულ სტუდენტად ვითვლებოდი-მეთქი და დადგა კიდეც მომენტი, როცა უნდა დამეცვა ჩემი რეპუტაცია. საქმე იმაში გახლდათ, რომ მეოთხე კურსის საგაზაფხულო სესიებზე ცხრა გამოცდა გვქონდა ჩასაბარებელი სულ რაღაც ოცდახუთ დღეში. გასულ სემესტრებში, დაახლოებით ასეთივე ვადებში, გვიწევდა საშუალოდ

ოთხი-ხუთი გამოცდის ჩაბარება. ახლა კი რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე.

ისიც ცნობილია, რომ სტუდენტები ძირითადად იმედს ამყარებენ გამოცდებს შორის ინტერვალებზე. ზუსტად ეს შუალედური დღეების რაოდენობაა ხოლმე ხშირად გადამწყვეტი ჯეროვნად მომზადებისათვის.

მძიმე სიტუაციაში ვიყავით. პირადად მე ვმეცადინეობდი 18-19 საათს დღეღამეში. შვიდი გამოცდა კარგად ჩავაბარე. დადგა მერვეს ჯერი. ძალა გამომელია, გამოვიფიტე, რომ იტყვიან – წაქცევაზე ვიყავი, მაგრამ თავს არ ვზოგავდი. ვერც კი წარმომედგინა რა მოხდებოდა, თუ კი ნახევრადმომზადებული წარვდგებოდი გამოცდაზე. კახურად რომ იტყვიან – „შარცხვენის“ საფრთხე რეალური იყო, მითუმეტეს, რომ ჩასაბარებელი მქონდა ერთ-ერთი ურთულესი საგანი. იმის იმედზე არასოდეს ვყოფილვარ, რომ შემხვდებოდა ე.წ. „იღბლიანი“ ბილეთი. უამრავი თეორემა იყო დასამტკიცებელი (ჯერ წერილობით და მერე დაფასთან, ცარცით) და კიდევ უფრო მეტი ფორმულა მისაღები. მოკლედ, რთულ მდგომარეობაში ვიყავი. აშკარა იყო, რომ ვერ ვასწრებდი სათანადოდ მომზადებას, შერცხვენა შერცხვენად, მაგრამ სტიპენდიის დაკარგვა ჩემთვის იქნებოდა საშინელება, რადგან ის იყო ჩემთვის ერთადერთი საარსებო წყარო.

ტვინი დუღდა, გამოსავალს ეძებდა. ისევ ჩემმა დაკვირვებულობამ მაპოვნინა „გადარჩენის“ გზა, თუმცა, არცთუ მთლად პატიოსნური და მისაღები – ვიკადრე სიცრუე (ხომ გაგიგონიათ „გაჭირვება მიჩვენე – გაქცევას გიჩვენებო“), რომელიც მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში არ მაძლევდა მოსვენებას

და როგორც ხედავთ, დღესაც მახსოვს და ვნანობ.

პროფესორს ჰქონდა ერთი გამორჩეული თვისება.

ბილეთის შეკითხვებზე წერილობითი მასალების ძირფესვიანად გამოჩხრეკისა და უამრავი ზეპირ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ, სტუდენტს უხმობდა დაფასთან და სთხოვდა დაეწერა ესა თუ ის ფორმულა და აეხსნა თითოეული სიმბოლოს (პირობითი აღნიშვნის) ფიზიკური არსი, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობები ან რომელიმე მათგანის ვარიაციებით მოსალოდნელი შედეგების კორექტირების გზები და სასურველი ზღვრები.

საოცრად კმაყოფილი რჩებოდა, როდესაც სტუ-დენტი ზეპირად, ცარცით ხელში, ჩამოაჭიკჭიკებდა თავის „ცოდნას“.

ჰოდა, მეც გადავწყვიტე გამომეყენებინა პროფე-სორის ეს „სუსტი“ ადგილი. ორი დღე საკმარისი იყო იმისათვის, რომ თუთიყუშივით ზეპირად დამ-ემახსოვრებინა ოციოდე ძირითადი ფორმულა და მათში შემავალი სიდიდეების ფიზიკური არსი და პრაქტიკული გამოყენების გზები.

დადგა გამოცდის დღეც. დაგვიანებით მივედი უნივერსიტეტში. ვნერვიულობდი მოსალოდნელი შედეგის გამო. სულის სიღრმეში რაღაც მაწუხებ-და, მოსვენებას არ მაძლევდა. საგამოცდო აუდი-ტორიის წინ დერეფანი სავსე იყო სტუდენტებით. პირველი ჯგუფი უკვე შესული იყო გამოცდაზე.

სადა ხარ ამდენს ხანს, უკვე გიკითხაო – მომა-ძახეს „ჩემებმა“.

ჰოო, ეს უკვე კარგია, ჩემს გეგმას ემთხვევა – გავი-ფიქრე და ნათხოვარ მაჯის საათზე დემონსტრაცი-ული ცქერით მივადექი საგამოცდო ოთახის კარებს. მაშინდელი გულის ცემის ხმა დღესაც მესმის.

კარები ოდნავ გამოვაღე და ისევ მივხურე. გამოხმაურება აგვიანებდა. მომეჩვენა, რომ უკვე საუკუნეა, რაც კართან ვდგავარ. გული კი ზარივით რეკდა.

ერთხელ კიდევ გამოვაღე კარი და უცებ მივხურე. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, გული ბაგი-ბუგობს...

გაჭრა როგორც იქნა ოინმა. კარები ფართოდ გაიღო.

– ოჰ, შენა ხარ ვახტანგ, რატომ აგვიანებ, შენ ხომ ყოველთვის პირველად გიყვარს გამოსვლა, რა მოხდა, რა ფერი გადევს? შემოდი, შემოდი...

მომკიდა ხელი და კარები შემოხურა. მე ხშირ-ხშირად ვიხედები საათზე.

– აღარ მეტყვი, რა მოხდა, რაშია საქმე?!

პატივცემულო (მაშინ არ იყო „დანერგილი“ ბატონობით მიმართვა) – მივმართე რაღაცნაირი ჩახლეჩილი, სუსტი ხმით. მერე ჩავახველე და საათზე ერთხელ კიდევ დავიხედე.

– პატივცემულო, ცუდი ამბავი შემემთხვა, კახეთში ნათესავი გარდამეცვალა, დაკრძალვაზე მივიჩქარი, ცოტა დრო მაქვს (ისევ საათს დავცქერი) და თუ შეიძლება ურიგოდ მიმიღოთ და გამომცადოთ...

– კი, კაცო, კი... მოდი, ჩქარა, აიღე ბილეთი, თუმცა არა, რა ბილეთი, სადა გაქვს ამდენი დრო... აიღე ცარცი და მიდი დაფასთან, ჩქარა...

გაჭრა, გაჭრა – ვფიქრობ ჩემთვის და უცნაური სიხარულის შეგრძნებამ დამიარა ტანში.

აბა, ეს ფორმულა დაწერე. დავწერე.

ეს რა არის? ვუპასუხე, რაც არის.

ეს დაწერე, დავწერე. ეს მითხარი, ვუთხარი...

ხუთ წუთში დამთავრდა ჩემი გამოცდაც და ტანჯვაც.

– მომეცი ჩათვლის წიგნაკი.

– ინებეთ.

ლამაზი კალიგრაფიით ჩამიწერა „ხუთიანი“, მხარზე ხელი მომითათუნა გამხნევებისა და მოფერების ნიშნად.

მადლობა მოვუხადე გაგებისათვის და დავპირდი, სექტემბერში სრულად ჩაგაბარებთ მთელ პროგრამას-მეთქი.

– არ არის საჭირო. მე შენ გენდობი. აბა, იჩქარე, არ დაგაგვიანდეს, არ შერცხვე (რა იცოდა მაშინ, რომ უკვე შერცხვენილი ვიყავი).

გაოცებული და პირდაღებული სტუდენტების თვალწინ, მაღლააწეული ჩათვლის წიგნაკით, სირბილით გავეცალე იქაურობას.

ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ თბილისში ვიკრიბებოდით კურსდამთავრებულები და აღვნიშნავდით საიუბილეო წელს. მოვიკითხავდით ერთმანეთს, ვგებულობდით ვინ დაოჯახდა, ვის რამდენი შვილი ჰყავდა, ვინ სად მუშაობდა და ა.შ. შემდეგ შემოვივლიდით აუდიტორიებს, შემოვუსხდებოდით მერხებს, ვიხსენებდით სტუდენტური წლების საინტერესო ამბებს. ბოლოს სასწავლო კორპუსის წინ ვიღებდით საერთო სურათს. ბოლო აკორდი კი გახლდათ რომელიმე პრესტიჟულ რესტორანში მოლხენა ჩვენს საყვარელ და პატივსაცემ პროფესორ-ლექტორებთან და აკადემიკოსებთან.

1972 წლის მაისში თბილისიდან დამირეკეს და შემატყობინეს, რომ 15 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ვიყავი მიპატიჟებული და რომ აუცილებლად ჩავსულიყავი.

დათქმულ დღეს მივედი უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ. ნაწილი უკვე შეკრებილიყო და გულთბილად საუბრობდნენ. მალე თითქმის მთელი შემადგენლობა შეიკრიბა.

ტრადიციული ცერემონიის შემდეგ შემოვუსხედ-ით ბარაქიან ქართულ სუფრას რესტორან „არაგვ-ში“ მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

პროფესორმა გ. ჭოღოშვილმა სუფრის თავში დამსვა და ხმამაღლა განაცხადა, „ვინც აქ ვახ-ტანგის გარდა თამადობას მოინდომებს, ჩემთან ექნება საქმეო“. საერთო სიცილ-ხარხარში მიიღეს პროფესორის შეთავაზება და ერთხმად ამირჩიეს თითქმის ოთხმოცკაციანი სუფრის თამადად.

აკადემიკოს ვ. კუპრაძეს თან ახლდა სამი ინ-გლისელი ასპირანტი, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, თუ რა ხდებოდა, მე რა სტატუსი მომანიჭეს ან რატომ და, საერთოდ, დამსწრენი ფეხზე რატომ წა-მოდგნენ და ჩემსკენ რატომ იშვერდნენ სასმისებს. ვ. კუპრაძემ მალევე დააკმაყოფილა მათი ცნობის-მოყვარეობა.

გახურდა სუფრა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა. ქართული სუფრის ტრადიცია ფრთებს შლიდა. ვ. კუპრაძე თარჯიმნობდა, ინგლისელი ას-პირანტები ღვინოს წრუპავდნენ და ბლოკნოტებში ჩანაწერებს აკეთებდნენ.

პროფესორი გ. ჭოღოშვილი გვერდიდან არ მშორდებოდა. ხან მარცხნიდან მომიჯდებოდა და ხან მარჯვნიდან. მერე სადღაც გაქრა და 10-15 წუ-თის შემდეგ დაბრუნდა. ყურში ჩამჩურჩულა, მალე მოგიტან გიტარას, აბა შენ იციო.

ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ვიმხიარულეთ. უმაღლესი დონის საზეიმო შეხვედრა გამოგვივიდა. საყოველ-თაო აღტაცება და ქების შეძახილები გაისმა, როდე-საც ჩემი „დამტვრეული“ ინგლისურით ვადღეგ-რძელე ვ. კუპრაძის ინგლისელი ასპირანტები.

ღამის ორი საათი სრულდებოდა. გეზი ავიღე

სუფრის დამთავრებისკენ და მოვემზადე შესაბამისი სადღეგრძელოსთვის. პროფესორმა გ. ჭოღოშვილმა ალღო აუღო ჩემს განზრახვას და ერთი სადღეგრძელო ითხოვა. უარს როგორ ვეტყოდი?!

ახლა კი, დრო დადგა ყველამ გაიხსენოს სტუდენტობის დროინდელი რაიმე სასაცილო, კურიოზული და საინტერესო ეპიზოდებიო – განაცხადა გ. ჭოღოშვილმა და იქვემჯდომ მიშა საგინაშვილს უთხრა, დაიწყეო. მიშას მოჰყვა ლევანი, მერე ლამარა, გაიოზი, გივი და ა.შ. მართლაც საინტერესო და სასაცილო ამბებს იხსენებდნენ. მხიარულებამ ზენიტს მიაღწია. ვ. კუპრაძე ვერ ასწრებდა თარგმნას, ინგლისელები კი ჩაწერას.

სადავეები ისევ გ. ჭოღოშვილმა აიღო ხელში:

– ძვირფასო სუფრის წევრებო, თუ დააკვირდით, ჩვენმა თამადამ არც გასულ ორ შეხვედრაზე გაიხსენა რაიმე კურიოზი და როგორც ვატყობ, არც ახლა აპირებს. აბა, ერთხმად ვთხოვოთ რაიმეს მოყვესო.

გთხოვთ, გთხოვთ, ყურადღებით გისმენთო – გაისმა შეძახილები.

გამიფუჭდა ხასიათი. რაღაც ეშმაკი შეძვრა ჩემს მეხსიერებაში და მიბიძგებდა ჩვიდმეტი წლის წინანდელი, დაფასთან ზეპირი გამოცდის ეპიზოდის გახსენებისკენ. გამიჭირდა. ვერ ვბედავდი. გავიხედე იმ პროფესორისკენ, დაფასთან რომ გამომცადა ზეპირად. კარგ ხასიათზე იყო. სახე ვარდისფრად უსხივებდა, იცინოდა და სრულად იყო ჩართული სადღესასწაულო და საზეიმო ფერხულში. შემეცოდა. ისევ უკან დავიხიე. მახსოვდა მისი სიტყვები „მე შენ გენდობიო“.

მოყევი რამე კურიოზი, რატომ აყოვნებ, ნუთუ არა-

ფერი გაქვს გასახსენებელი? – მესმოდა შეძახილები.

მე ისევ ეშმაკი შემიჯდა სულში და მიჩიჩხინებს; მას საკმაოდ მიღებული ღვინოც ეხმარება და შემაცდინეს. ხომ შემეძლო სხვა რამის მოყოლა?! არა, გინდა თუ არა, ის უნდა მოჰყვე როგორ იცრუე პროფესორთანო – არ მისვენებდა ეშმაკი, ღვინომ კი გამბედაობა შემმატა და გავბედე იმის მოყოლა, რასაც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ვინახავდი ტვინის ჩახლართულ ლაბირინთებში.

სუფრა გააყრუა ტაშის გრიალმა. ის, მოვარდისფრო სახის პროფესორი ჯერ გათეთრდა, მერე მუშტი დასცხო მაგიდას და გააფთრებული წამოხტა მაგიდიდან.

– ეს როგორ გამიბედე, ეს როგორ ჩაიდინე, შე უსირცხვილო, ასეთი რამ ჩემთვის არასდროს უკადრებიათ. თავს როგორ მიეცი უფლება შე, შე... ვეღარ დაამთავრა და ღონემიხდილი დაეშვა სკამზე.

ინგლისელი ასპირანტები ბლოკნოტებს ეცნენ. შევატყე, რომ ამჯერად უჭირდა ვ. კუპრაძეს თარგმნა. დაძაბული სიტუაცია განმუხტა ისევ ყოვლისშემძლე პროფესორმა გ. ჭოღოშვილმა. დაუყვავა, მიეფერა, ყურშიც ჩასჩურჩულა რაღაც და მხრებზეც მოუთათუნა ხელი.

ის პროფესორიც მალევე დამშვიდდა და სახეზე ვარდისფერიც დაუბრუნდა. მერე სიტყვა ითხოვა და აღნიშნა, რომ სტუდენტური წლები ყველაზე საინტერესო პერიოდია ახალგაზრდობაშიო. მეც ვიყავი სტუდენტი და ბევრი საინტერესო მოგონებაც მაქვს, მაგრამ მათ შესახებ სხვა დროს მოგიყვებით. სიცილით დაამთავრა: „რას არ მოიფიქრებს გაჭირვებული სტუდენტიო“.

ლხინი გაგრძელდა უფრო ამაღლებულ ნოტაზე.

გათენებისას დავიშალეთ სიკეთისა და მალეშეხვედრის სურვილით.

ახლა კი მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ რამდენად მძიმე (ტრაგიკული, მტკივნეული), ან შედარებით მსუბუქი (ადვილადასატანი, უმტკივნეულო) შედეგების მომტანი იყო ის სიცრუე, რომელიც მე ვიკადრე მრავალი წლის წინ.

ვახტანგური საჩუქარი

ოპერისა და ბალეტის ფანი იყო.

მთელი სტუდენტობის განმავლობაში, ექვსი წლის მანძილზე მას არ გაუცდენია არც ერთი სპექტაკლი ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ობოლ სტუდენტს თავისი სტიპენდია განა რამდენად გასწვდებოდა, რომ ძვირადღირებული ბილეთებიც შეეძინა თეატრში...

ღმერთმა უშველა. ღვთისნიერი კაცი მოუვლინა შემწედ. ოპერისა და ბალეტის თეატრის კარისკაცმა სოსომ რატომღაც შეიყვარა ვახტანგი და შეიყვანა სპექტაკლზე უფასოდ. თანაც გააფრთხილა: „ნურავის გაეჩხირები თვალებშიო“. ვახტანგიც მორჩილად შეძვრა სარდაფში, ამოძვრა კულისებში და იქიდან მალულად ტკბებოდა სანახაობით.

ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. იყო ბედნიერი შემთხვევებიც, როცა მაყურებელი ნაკლებად იყო და დარბაზში დაჯდომის შანსი ეძლეოდა ვახტანგს.

კარისკაცმა სოსომ თეატრის სხვა თანამშრომლებსაც გაუღვიძა გულისხმიერება ობოლი სტუდენტისადმი, ამიტომაც, თუ დარბაზში ადგილი



ვახტანგ ჭანკოტაძე. 1957 წ

გამოჩნდებოდა, მაშინვე ვახო ახსენდებოდათ და კულისებში მიმალულ ბიჭს კომფორტულ გარემოს სთავაზობდნენ.

ზემოთ ვთქვით, რომ ექვსი წლის მანძილზე არც ერთი სპექტაკლი არ გაუცდენიაო და ვინმნეს სიცრუედ რომ არ მოეჩვენოს, ვაზუსტებ: სპექტაკლს, რომელსაც თბილისში არ ყოფნის გამო ვერ ნახავდა, განმეორებითი წარმოდგენის დროს აუცილებლად დაესწრებოდა ხოლმე.

ასე მოხდა ლენინგრადში საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნის დროს: სამი თვის განმავლობაში რაც გამოტოვა, ერთიანად აანაზღაურა თბილისში დაბრუნების შემდეგ.

ახლა კი, სწორედ იმ საინტერესო მომენტზე მინდა მოგითხროთ, „იპყარ მომენტი!“ – რომ ჰქვია სხვანაირად და ხაზს უსვამს ვახტანგ ჭანკოტაძის ხასიათს.

ლენინგრადიდან თბილისში დაბრუნება მოსკოვის გავლით მოხდა.

მოსკოვის აეროპორტში მყოფი ქართველი სტუდენტები ელოდებოდნენ თბილისის რეისს, რომელიც ორი საათის შემდეგ უნდა შემდგარიყო.

ვახტანგი აეროპორტის ტერიტორიაზე დაბორიალობდა და ათვალიერებდა გარემოს.

აეროპორტის შესასვლელში ყვავილებს ყიდიდ-

ნენ. ერთ ხანს იქ გაჩერდა და ბედნიერი ღიმილით უმზერდა ბუნების მშვენებას, ნაირფერ ყვავილებს, რომლებიც ახალისებდნენ ადამიანებს.

„ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე“, – წაიღიღინა ვახომ და აეროპორტის ვესტიბიულში შევიდა. სწორედ ამ დროს გამოაცხადეს, რომ უნდა გაფრენილიყო რეისი: მოსკოვი-კიევი.

ისე, ცნობისმოყვარეობით გააყოლა თვალი თვითმფრინავისკენ მიმავალ ხალხის ნაკადს და სუნთქვა შეეკრა, დაინახა, რომ იმ ნაკადს მისდევდა ორი ქართველი ვარსკვლავი: ვახტანგ ჭაბუკიანი* და ვერა წიგნაძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პარტნიორობდა ჭაბუკიანს.

ორიოდ წუთში ვარსკვლავები მიუწვდომლები გახდებოდნენ, ამიტომ ვახოს წამებში უნდა მოესწრო იმ იდეის ხორცშესხმა, რაც უცბად მოუვიდა თავში:

გავარდა მეყვავილეებთან, სასწრაფოდ იყიდა ერთი კალათა თაიგული და ის-ის იყო უნდ გასულიყვნენ აეროპორტიდან, ვახტანგმა თავის დიდ სეხნიას ყვავილები მიაწოდა.

– ვინ ხარ?! – რუსულად ჰკითხა ჭაბუკიანმა.

– მე თქვენი მოყვარული ვარ... ქართველი ვარ... წლებია თქვენ სპექტაკლებზე დავდივარ... თქვენი სეხნია ვარ, მეამაყებით... მინდა ამ ყვავილებით თქვენდამი მადლიერება და სიყვარული გამოვხატო...

ღელვით, ნერვიულობით, სწრაფად უთხრა ვახომ თავისი სათქმელი და ყვავილები მიაწოდა.

– რა გვარი ხარ? – ჰკითხა ვერა წიგნაძემ და გაუღიმა.

– ჭანკოტაძე ვარ, ვახტანგ ჭანკოტაძე! – მოწიწებით უპასუხა ახალგაზრდამ.

* ბალეტის მსოფლიოში ცნობილი დიდოსტატი.

– ვახტანგ, კარგი ბიჭია. ჰო?! – მიმართა ჭაბუკიანს პარტნიორმა.

– დიახ, დიახ... მადლობა! ჭაბუკო, აუცილებლად გამოიარე ჩემთან თეატრში, – ეს უთხრა ჭაბუკიანმა ახალგაზრდა სეხნიას და თბილი ღიმილით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

...

გავიდა ხანი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიხსნა ახალი სეზონი, ახალი რეპერტუარით. გაჩნდა აფიშები ქალაქში.

თბილისელები გადაეწყვნენ და განეწყვნენ ახალი სპექტაკლებიდან მიღებული ესთეტიკური სიამოვნებისთვის.

სანთლით საძებარი გახდა ბილეთები. ყველა სპექტაკლზე ბილეთები იყიდებოდა სრულად, წარმოდგენამდე რამდენიმე დღით ადრე.

ვახტანგ ჭანკოტაძეს არ აღელვებდა უბილეთობა, კეთილი კარისკაცის, იოსებას (სოსოს) იმედი ჰქონდა, რომ სულით მშიერს არ დატოვებდა და სარდაფიდან კულისებში შემძვრალი მაინც დატკბებოდა წარმოდგენით.

ძალიან გაეხარდა კარისკაცს ვახტანგის დანახვა, მაგრამ დამწუხრებით უთხრა:

– რა ვქნა, სარდაფიდან კულისებში ვეღარ შეგიშვებ.

– რატომ, ძია სოსო? – გული გაეყინა ვახტანგს.

– ჭაბუკიანი იყო ჩემთან და... ამიკრძალა შენი შეშვება.

– აგიკრძალა?

– ჰო, მკითხა იცნობ ვახტანგ ჭანკოტაძესო?

– ვუთხარი, ვიცნობ-მეთქი.

– მერე? – ნერვიულობისაგან პირი გაუშრა ვახტანგს.

– რა მერე, ვუთხარი ძალიან უყვარს ოპერა და ბალეტი, მაგრამ სტუდენტია, თანაც ობოლი და... ჩუმად, უფულოდ შემყავდა-მეთქი.

– გისაყვედურა ამის გამო? – ახლა იოსები (სოსო) შეეცოდა ვახტანგს.

– ჰო, მისაყვედურა: „ეგეთ ბიჭს კულისები ეკადრებაო?!“ და...

– და რა?..

– აბონემენტი გადმომცა შენთვის. ერთი წელი უფასოდ დაესწრები ნებისმიერ სპექტაკლს...

კარისკაცმა აბონემენტი გადასცა ვახტანგს და გულში ჩაიკრა.

– ჩემთვის გადმოგცა?! – ვერ იჯერებდა ვახტანგი.

– ჰო, ასე მითხრა, ჩემ სეხნიას გადაეციო“, – უთხრა იოსებამ და ხელით თეატრის შესასვლელი კარისკენ მიუთითა: „დღეიდან იმ კარიდან უნდა შეხვიდე, როგორც საპატიო და გამორჩეული მაყურებელი“.

...

ქალაქში ხმა გავარდა: „ვახტანგ ჭაბუკიანმა ობოლ სტუდენტს აბონემენტი აჩუქაო!“

...

ასეთია შედეგი სწორ დროს სწორი მოქმედებისა, „იპყარ მომენტი“ იმას ნიშნავს, რომ ეს მომენტი მყისიერია, სულ ერთი-ორი წუთი შეიძლება გრძელდებოდეს, მაგრამ თუ გააცნობიერე და „დაიპყარი“, მისი შედეგები მთელი ცხოვრება გაგყვება ან შეიძლება შეცვალოს კიდეც შენი ცხოვრება.

მეოთხე კურსზე, თანაკურსელებთან (ლ. შენგელია, ნ. დარჩია).

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კალათბურთელთა გუნდი. მარცხნიდან: ვახტანგ ჭანკოტაძე, ჯუკა ლეკიშვილი, ამირან ჯაკობია, გაიოზ კასრაძე, იუზა კვინიკაძე, გურამ კორძაძე, იურა კიღურაძე (თბილისი. უნივერსიტეტის ეზოში).

შეხვედრა გალაკტიონთან

ერთ ოთახში ოთხი სტუდენტი ცხოვრობდა: კახელები – მიშა საგინაშვილი და ვახტანგ ჭანკოტაძე; კასპელი გურამ მექანარიშვილი და შორაპნელი იუზა კვინიკაძე.

„არც ერთი თბილისელი არა ვართ. ვცხოვრობთ თბილისში. არ უნდა ვიცოდეთ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები?“ – ეს საკითხი ვახტანგ ჭანკოტაძემ დაუსვა თანაოთახელ ბიჭებს.

„უნდა ვიცოდეთ!“ – დაუდასტურეს ბიჭებმა.

„ჰოდა, ასე, დღეიდან ყოველ თვეს გვექნება ექსკურსია თბილისში!“ – ბეჭედი დაუსვა თავის იდეას ვახტანგმა და ამ „პროგრამის“ ფარგლებში ბიჭებმა მართლაც მოიარეს, დაათვალიერეს და შეისწავლეს თბილისის უბნები, მუზეუმები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები და სხვა გამორჩეული სანახაობები.

ერთ მშვენიერ დღეს ბიჭებმა გადაწყვიტეს აბანოთუბანი მოენახულებინათ. წავიდნენ, მოინახულეს, ქუჩა-ქუჩა იხეტიალეს და... მოშივდათ. ჯიბეები მოიქექეს, რაღაც „გროშები“ მოაგროვეს და გადაწყვიტეს ნაცნობ დუქანში ესადილათ.

გაემართნენ სასადილოსკენ და...

– გაჩერდით! – უცებ შესძახა ვახტანგმა და ადგილზე გააშეშა ბიჭები.

– რა ხდება? – იკითხა იუზამ.

– გალაკტიონი! – წაიჩურჩულა ვახტანგმა და ტუჩებზე თითი აიფარა.

– რა გალაკტიონი, ნუ მასხარაობ ერთი! – გაეცინა გურამს.

– ჩუუ-მეთქი! – ბრაზით წარმოსთქვა ვახტანგმა და თითი გაიშვირა მათ წინ მიმავალი მამაკაცისაკენ.

რუხი, გაცვეთილი კოსტიუმით და მუქი შლი-

აპით მიდიოდა კაცი მძიმე ნაბიჯებით, ოდნავ თავ-ჩაქინდრული და მიჰქონდა ჩანთა.

– რითი იცანი? – იკითხა მიშამ.

– ჩანთით და...

– რა ჩანთით, თუ ძმა ხარ! – სიცილი აუვარდა იუზას.

– ჩუ-მეთქი! – ბრაზი მოერია ვახტანგს, – მაგ ჩანთაში, მძიმედ რომ მიაქვს, იმდენი აზრებია... იმ-დენი ფიქრები და მუზებია... ის ახლაც პოეზიის სამეფოშია, მორიგ შედევრს ქმნის თავის გონებაში, ჩვენ კი უხეში როხროხით მუზებს ვუფრთხობთ, – თქვა ვახომ და გაჩერდა. ბიჭებიც გაჩერდნენ.

– ცოტა ჩამოვრჩეთ, უკან ვიაროთ, არ შევაწუხოთ... – სთხოვა ვახტანგმა და მეგობრებიც დაემორჩილნენ.

გალაკტიონი სწორედ იმ დუქანში ჩავიდა, სადაც ბიჭები აპირებდნენ ჩასვლას.

– რა ვქნათ, არ ჩავიდეთ?! – იკითხა ვახომ.

– რა არ ჩავიდეთ, თუ ძმა ხარ, შიმშილით სული მიმდის! – წამოიძახა გურამმა.

ცოტა დააყოვნეს და ჩაუყვნენ ხის კიბის საფეხ-ურებს. ხედავენ, ზის კუთხეში მაგიდასთან გალ-აკტიონი. უკეთია სათვალე და ქაღალდებს ათვა-ლიერებს. მაგიდაზე უდევს თავისი განუყრელი ჩანთა და – ბოთლით ღვინო.

ბიჭები მოშორებით დასხდნენ და მედუქნეს თით-ით ანიშნეს.

„აბა, ბიჭებო, რას ინებებთ... აიღეთ სტიპენდია?“ – ღიმილით მოეჭრა მედუქნე და შეკვეთას დაელოდა.

მან იცოდა, თუ ბიჭები სტიპენდიით იყვნენ „შეიარაღებულები“, შეკვეთაც უფრო გაბედული, მრავალნაირი ჰქონდათ, თუ არა და...

მცირედი შეუკვეთეს ბიჭებმა და ჩუმად ჰკითხეს: „ის კაცი ვინ არისო?“

– აბა, რა ვიცი, ხშირად მოდის ხოლმე, ამოიღებს ქაღალდებს და რაღაცეებს წერს, – მხრები აიჩეჩა მედუქნემ.

– აჰა, ჰო გითხარით!.. ამოიჩემა გალაკტიონიაო, – წამოიძახა იუზამ და ვახტანგს გახედა.

– უი! – გუშინ ერთმა კლიენტმაც ეგ თქვა, გალაკტიონიაო, – ემოციურად, მაგრამ ჩუმად წარმოთქვა მედუქნემ და წავიდა შეკვეთილი სადილის მოსატანად.

– მაინც საიდან მიხვდი, რომ გალაკტიონია? – ჰკითხა გურამმა ვახტანგს.

– ჩემი კლასელის ოჯახშია ნამყოფი. მეც იქ ვიყავი და გავიცანი.

– თუ იცნობ, მიდი და გამოელაპარაკეო, – გამომწვევად უთხრა მიშამ.

ვახტანგმა ერთი გადახედა ბიჭებს, ადგა და მივიდა.

„ბატონო გალაკტიონ!“ – მოწიწებით მიმართა.

გალაკტიონმა სათვალე მოიხსნა, შეხედა ბიჭს, დაფიქრებულმა უმზირა ერთხანს, მერე გაეღიმა და უთხრა: „შენ ის არა ხარ, თელავში, სეხნიაშვილების ოჯახში ლექსითა და სიმღერებით რომ გაგვახალისეო!“

გაეხარდა ვახტანგს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს გაახსენდა იგი.

„ჩამოჯექიო“ – სთხოვა გალაკტიონმა და ღელვისგან აკანკალებული ვახტანგიც ჩამოჯდა.

„ძალიან მეწყინა გიორგი სეხნიაშვილის გარდაცვალებაო“ – ეს უთხრა, მერე ბიჭის მზერა დაიჭირა, ქაღალდებისკენ მიმართული და ღიმილით გაანდო „საიდუმლო“ – „ჰო, ახალ კრებულზე ვმუშაობ, ახალგაზრდობას ვუძღვნი ამ წიგნს, ისე რომ, შენც გეძღვნება“ – გაიღიმა გალაკტიონმა და სათვალე მოირგო.

მიხვდა ვახტანგი, რომ ძვირფას დროს აკარგვინებ-

და პოეტს, ბოდიში და მადლობა ერთად მოუხადა და წამოდგა.

„შენ ბიჭებს მოკითხვა გადაეცი ჩემგანო“ – ეს მიაძახა გალაკტიონმა და განაგრძო საქმე.

ორმოციოდე წუთის შემდეგ ოფიციანტს დაუძახა, რაღაც უთხრა, აიღო ჩანთა და წავიდა.

ბიჭებმა მდუმარედ გაადევნეს თვალი პოეზიის მეფეს, მერე თვითონაც წამოიშალნენ და როცა ანგარიში მოსთხოვეს მედუქნეს, მან ღიმილით მიუგო: „გალაკტიონმა დამიბარა: „კაი ბიჭები ჩანან, არ გადაახდევინო, ჩემზე იყოსო“. ჰოდა, ჩათვალეთ, რომ თქვენი გადახდილიაო“.

წამოვიდნენ მადლიერი ბიჭები იმ შეგრძნებით, რომ გემრიელ საკვებთან ერთად, სულიერი საზრდოც ბლომად მიიღეს გალაკტიონისაგან.

სამი თვით ლენინგრადში

მეოთხე კურსზე იყო, სამი თვით ლენინგრადში რომ გაემგზავრა კვალიფიკაციის ასამაღლებლად (ე.წ. საწარმოო პრაქტიკაზე).

ეს იყო სახელმწიფო პროგრამა და, შესაბამისად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიემგზავრებოდა არა თითო-ოროლა წარმატებული სტუდენტი, არამედ მეოთხე კურსელი მექანიკოსების სრული შემადგენლობა.

ივნისის თვე იყო, თბილისიდან ორთქლმავლით რომ გაემგზავრნენ ლენინგრადისკენ. მალე გასცდნენ საქართველოს საზღვრებს და რუსეთის უსაზღვრო სივრცეს მიადგნენ.

სიცხის სიუხვე წყურვილის სიუხვეს იწვევდა მგზავრებში და ამიტომაც გასაკვირი არ არის,

ერთ-ერთ სადგურზე გაჩერებისას, მოჩხრიალე წყლის დანახვამ ააფორიაქა სტუდენტები, რომელთა დაშოშმინება ვახტანგმა ითავა:

„ყველა ხომ არ გადავალთ, მე წავალ და მოგიტანთ ცივ წყალს, თქვენ მხოლოდ გევალებათ მოთმინება და მცირეოდენი ლოდინი“, – უთხრა ჩვენმა გმირმა და რამდენიმე ბოთლით ხელში გაეშურა წყლის ონკანისაკენ.

დიდ რიგში მოუწია დგომა. ის-ის იყო მიუახლოვდა საოცნებო წყაროს, რომ დაინახა მის უკან რიგში ბავშვიანი ქალი იდგა. ბუნებრივია, დაუთმო. აჰა, აავსო ქალმა ჭურჭელი წყლით და რა წამს ვახტანგმა თავისი ბოთლი მიუშვირა ონკანს, ყავარჯნიანი კაცი მოადგა და თვალებით შეეხვეწა – დამითმეო.

დაუთმო ამ კაცსაც ვახტანგმა და...

მატარებელი წავიდა.

დარჩა. რა ექნა? სადგურის უფროსთან შევიდა და თავისი „უიღბლობა“ უამბო, ისიც უთხრა, რა მისიით მიემგზავრებოდა ლენინგრადში, რომ სტუდენტი იყო და რომ გზის ფულიც არა ჰქონდა, რაღა თქმა უნდა, ისიც უთხრა, რომ საქართველოდან იყო:

„...ოოო, გრუზია... სტალინ... დინამო ტბილისი...“ – გახარებია სადგურის უფროსს, „მე გიშველიო“ – უთქვამს, ბილეთი უფასოდ მისცა და ღამის ორ საათზე გააყოლა მორიგ მატარებელს, რომელიც ლენინგრადის გვერდის ავლით მიდიოდა, მაგრამ ისე ახლოს აჩერებდა, რომ ფეხითაც შეეძლო მისვლა სასურველ ადგილზე.

სადღაც ჩამოვიდა. ღამეა. სიბნელეა. მიდის იმ მარშრუტით, როგორც აუხსნეს, უბრალოდ, ტყე იყო გასავლელი და ეგ არის, სამშვიდობოს იქნებოდა, მაგრამ... ტყის გავლა უბრალო საქმე იყო იმ უკუნეთ ღამეში?

მიდის და სად მიდის, არ იცის. ტყეში ფაჩუნზე მხ-ეცები ელანდება. რაღაც მომენტში ისიც გაიფიქრა: „მოდი, ხეზე ავძვრები, დილამდე იქ ვიქნები და... – ამ დროს ხეების ტოტებს შორის შუქი გამოკრთა.

ეს ალბათ იმ განცდას ჰგავდა, შუაგულ ოკეანე-ში ნაპირს რომ დაინახავ ან კუნძულზე მარტოდმყ-ოფი რომ გემს შეამჩნევ...

სიცოცხლისა და გადარჩენის სხივი მოჰქონდა ამ შუქს და ვახტანგიც გაჰყვა ამ სინათლის მაცოცხ-ლებელ ძაფს.

ასე ზღაპრებსა და მულტფილმებში ხდება: გა-კვეთა ტყის მოჩვენებებით სავსე სამყარო და იხი-ლა წალკოტი. პატარა სახლი ყვავილებში იყო ჩა-ფლული, თითქოს ყვავილებს ხელში ეჭირათ ეს ხის კოპწია სახლი, რომელიც კეთილად იღიმებოდა თვალებიდან. ჰო, სინათლით გაკაშკაშებული ფან-ჯრები ის კეთილი თვალები იყო, რომელიც ნუგეშ-საც აძლევდნენ და სახლშიც ეპატიჟებოდნენ შეშ-ინებულ და შემშეულ ჭაბუკს.

კარზე დააკაკუნა.

„ვინ ხარ?“ – ქალის ხმა გაისმა კარის მიღმა.

„მე ვარო“ – უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიხვდა, უადგილო იქნებოდა ასეთი პასუხი.

„ქართველი ვარ!“ – გასძახა ვახომ და აქ დას-რულდა ყველა გაუგებრობა, შიშიცა და შიმშილის შეგრძნებაც.

კართან ერთად გული გაუღო მასპინძელმა. ასე 65 წლის რუსის ქალი იყო, ოლია ერქვა, მარტო ცხ-ოვრობდა ამ წალკოტში და ამ წალკოტითვე ირჩენ-და თავს. ყვავილებს ყიდდა.

დედა-შვილურად მიიღო უცხო ქალმა. დააპურა, თბილი და გულიანი სიტყვითაც ანუგეშა და თავი-სი ამბავიც მოუთხრო: თურმე, დაქვრივებულა, მერე

ერთადერთი შვილიც დაღუპვია და დარჩენილა მარტო, მაგრამ ამ სიმარტოვის სევდა-ნაღველს უქარვებს ყვავილები, მათი მოვლა, მათთან გატარებული დრო.

მერე, ეს ყვავილები იმდენად კეთილშობიულები არიან, რომ ამ მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ კეთილდღეობას ჩუქნიან მარტოხელა დედაკაცს.

თურმე, მთელი ლენინგრადის ყვავილების მაღაზიების მეპატრონეები დილიდან რიგში დგანან, რომ ამ ღვთისნიერი ქალბატონის მშვენებითა და მადლით მოსილი ყვავილები იყიდონ, მერე გაყიდონ და ასე, ათასობით ადამიანს უწილადონ მარტოხელა დედაკაცის სულის ნამცემები, რომლითაც იყო შემკობილი მისი ყვავილები.

მაგიდასთან გაათიეს ღამე. ისაუბრეს, ერთმანეთს გული გადაუშალეს. რა თქმა უნდა, ვახომ ისიც უთხრა – სად და რისთვის მიდიოდა და რა ჟამს გათენდა, ოლიამ სარკმლიდან დაანახა: „აგერ, ის არის შენობა, სადაც მიდიხარ და სადაც გელოდებიან შენი კურსელებიო“.

წასვლის წინ ოლიამ ჭასთან მიიყვანა ბიჭი, წელს ზემოთ გაახდევინა. მერე ჭიდან სათლით წყალი ამოიღო, დაასხა, დაბანა, გააშრო, ჩააცვა, გააკოხტავა და გზა დაულოცა.

„არ დამივიწყოო!“ – ეს მიაძახა ბიჭს და შორიდან ისე გადაწერა პირჯვარი, როგორც აკეთებდა საკუთარი დედა.

...

თურმე, მილიცია ეძებდა.

პრაქტიკის ხელმძღვანელი მიშა კუკულაძე გადაეხვია და ზედმეტი ემოციისგან ცრემლი მოადგა თვალებზე.

„ბიჭო, როგორ გვანერვიულე!“ – უთხრა წარბ-

შეკრულმა და კიდევ ერთხელ გადაეხვია სიხარულით.

საერთო საცხოვრებელში ჩაასახლეს. ბიჭები მეორე სართულზე იყვნენ, გოგონები – მესამეზე სახლობდნენ.

საერთო საცხოვრებლის კორპუსის წინ ლამაზი სკვერი იყო. ამ სკვერში გრძელი ზურგიანი სკამები იდგა და შესვენებისას ხშირად ხარობდა სკვერი მხიარული გოგო-ბიჭებით.

ამ მშვენიერ სკვერში ერთი მშვენიერი გოგონა შენიშნეს ქართველმა სტუდენტებმა. იგი ზურგით იჯდა და წიგნს კითხულობდა.

თამარ დიდებულიძე მივიდა ბიჭებთან და უთხრა: „მშვენიერი გოგონა ზის მარტოდმარტო სკამზე, თქვენ კი გასცქერით ფანჯრებიდან და ერთს აზრად არ მოგივათ, რომ ჩახვიდეთ, გაესაუბროთ, გაეცნოთ და გააცნოთ ქართული გულის მხურვალეობაო“.

ამ გამოწვევამ ზემოქმედება მოახდინა ბიჭების ღირსებაზე და იქვე იშვა ნიძლავი: ვინც ამ გოგოს „შეაბამს“ – საჩუქარი ელოდა დანარჩენებისგან.

„აბა, პირველი ვინ წავა?“ – პრაქტიკის ხელმძღვანელმა მიმართა ბიჭებს.

ყველამ თავი შეიკავა. „ასე არ გამოვაო!“ – და კენჭი ყარეს. ქანთარიას ერგო ეს საპასუხისმგებლო მისია, წავიდა სერგო და ბიჭები მიაწყდნენ ფანჯრებს.

გოგონა კვლავ ზურგით იჯდა და განაგრძობდა წიგნის კითხვას.

სერგომ ჯერ აივნისკენ გაიხედა და გაუღიმა 31 თვალებდაფჩენილ გულშემატკივარს, რომლებიც ნერვიულ-მუნჯური ჟესტებით აქტიურობისკენ მოუწოდებდნენ.

საწარმოო
პრაქტიკაზე ქ.
ლენინგრადში. 1956 წ.
მარჯვნიდან მეოთხე:
ვახტანგ ჭანკოტაძე.

ქ. ლენინგრადში
საწარმოო
პრაქტიკაზე.
1956 წ.
მარცხნიდან:
ს. ქანთარია,
გ. შავგულიძე,
ნ. ლეკიშვილი,
ნ. აქსიონოვა,
მ. კუკულაძე,
ე. პარტნოვა,
ვ. ჭანკოტაძე.

მერე მივიდა ჩვენი ჯენტლმენი გოგონასთან და რაღაც უთხრა.

გოგონამ ერთი ახედა და განაგრძო წიგნის კითხვა. სერგო დაიბნა, ზურგი აქცია და სწრაფი ნაბიჯებით გაშორდა სკვერს.

...

ისევ დატრიალდა „ლოტოტრონი“ – ამჯერად მიშა საგინაშვილს შეხვდა „საგამოცდო ბილეთი“. წავიდა მიშა, ნაძალადევი სითამამით მივიდა გოგონასთან და ხელი გაუწოდა. გოგონამ ზედაც არ შეხედა. მიშა გვერდით ჩამოუჯდა და რაღაც უთხრა დამტვრეული რუსულით. გოგონამ ცივად გაიწია და წარბი შეკრა.

მიშამ ვეღარ გაუძლო და ბურტყუნით დატოვა სკვერი.

მსგავსი მარცხი განიცადა კიდევ ხუთმა ბიჭმა და აჰა, ჯერი დადგა ვახტანგ ჭანკოტაძისა.

„რითი მოვაწონო თავი ამ ლილიპუტმა კაცმა?“ – იფიქრა ვახტანგმა, იხტიბარი არ გაიტეხა, მიიღო გამოწვევა და წავიდა.

მან ის იცოდა, რომ „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“ – მოიგონა, უფრო სწორად მოაგონდა, რომ იქვე, რომ იტყვიან, ორ ნაბიჯში, ცხოვრობდა მისი კეთილისმსურველი ოლია ბებო, რომელიც თავისი ჯადოსნური სამყაროთი ვახტანგს მზეჭაბუკად აქცევდა.

ვახტანგი არ მივიდა გოგონასთან. საპირისპირო მხარეს გაიქცა. მიირბინა წალკოტის მფლობელთან, მოუყვა თავისი გასაჭირი, სთხოვა ყვავილები და გულმდუღარე ოლღა ბებომ საუკეთესო თაიგული გაუკეთა, გადასცა, დალოცა და გაამხნევა.

მივიდა ამ დიდი თაიგულით და მიესალმა გოგოს.

„ვინ ხარ?“ – ჰკითხა გოგონამ.

„ქართველი ვარო!“ – უთხრა ვახტანგმა, თან თაიგულში მალავდა სახეს.

„მოიხსენი თაიგულიო!“ – უთხრა გოგომ.

„ჯერ ვილაპარაკოთო!“ – მიუგო ვახომ.

„რა კარგად ლაპარაკობ რუსულად“ – გაიოცა გოგომ. თან ხელი წაავლო თაიგულს, რომ გაწიოს და დაინახოს ბიჭი.

ვახტანგმა უფრო ღრმად და მჭიდროდ დამალა თავი თაიგულში.

„თუ ღმერთი გწამს, მოიშორე ეგ ყვავილები და დამენახე, თორემ გავგიჟდები!“ – შესძახა გოგონამ.

ამასობაში ვახომ ცალი თვალით აივნისკენ გაიხედა და 31 პირდაფჩენილი სიფათი დაინახა.

„ვინ ხარ?!“ – კვლავ ჰკითხა გოგომ.

„გაიწიე, ჩამოვჯდები შენ გვერდით და გავწევ ამ თაიგულსაც, – უთხრა ვახომ და გოგონამ ადგილი დაუთმო ვაჟს.

ვახტანგმა მოიხსნა თაიგული და გაუღიმა. აშკარად შენიშნა, რომ გოგოს არ ესიამოვნა ბიჭის დანახვა, მაგრამ არ შეიმჩნია.

ვახომ მშვენიერი თაიგული კალთაში ჩაუდო და ჰკითხა: „მოგწონს?“

„მომწონს და შენც მომეწონე შენი საქციელით“ – უთხრა გოგონამ და გაუღიმა.

აივნიდან ტაშმა იხუვლა და იგრიალა, სწორედ ისე, ფეხბურთის სტადიონზე რომ იციან ხოლმე გულშემატკივრებმა.

გოგონამ ზურგიდან ცერად გახედა ქართველ გულშემატკივრებს და ვახტანგს მიუბრუნდა:

– ვიცი, რატომაც მოხვედი. მინდა გაგაფრთხილო, რომ დიდად ნუ იოცნებებ... ჩემთან არაფერი გამოგივა, როგორც კაცს – ქალთან, მაგრამ ერთს შეგისრულებ.

ქ. ლენინგრადში საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნისას. ვახტანგი მარჯვნიდან პირველი. პედაგოგი მიშა კუკულაძე.

– შენ რა იცი, რა მინდა? – გაუკვირდა ბიჭს.

– ეგ მესწავლება?! – შენ სანაძლეო გაქვს დადებული, აი ეხლა მე ხელკავს გაგიყრი, ერთად გავალთ ამ სკვერიდან და შენ გამარჯვებული იქნები. ხომ ეგ გინდა?

ვახტანგმა თავი დაუქნია და სიხარულის ცრემლი მოადგა თვალებზე.

– ოღონდ, კიდევ ერთხელ მინდა გთხოვო, ახლავე ჩააქრე, რა ცეცხლიც გინთია ჩემს მიმართ ქვეცნობიერში.

ვახტანგმა თავი დაუქნია.

გოგონა წამოიმართა. მორთმეული თაიგული მარცხენა ხელში დაიკავა, მარჯვენა ხელი ბიჭის მარცხენა მკლავს გამოსდო, მიეყრდნო და დარბაისლურად, ნელი ნაბიჯებით, ვახტანგთან ერთად, დატოვა „სცენა“.

უწყვეტი ტაში და „ბრავოს“ შეძახილები ამჯერად ჰგავდა იმ მაყურებლის ოვაციებს, რომლებიც არ იშურებენ მადლიერებას მსახიობთა მიმართ, კარგი სპექტაკლის შემდეგ.

გამოცდა არტილერიაში

თუ ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებდა, უმცროსი ლეიტენანტის წოდებას მიანიჭებდნენ (საქმე ეხებოდა საარტილერიო დანაყოფის მართვას რეალურ პირობებში, ვაზიანის პოლიგონზე).

ბუნებრივია, ასეთი გამოცდა აუდიტორიაში და ოთახში არ ტარდება.

ამ გამოცდით მოწმდებოდა სამხედრო კათედრაზე აუდიტორიაში თეორიულად, ნასწავლი საარტილერიო ბრძოლის მეთოდებისა და ტექნიკის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და დონე.

გავიდნენ ღია ცის ქვეშ ე.წ. საბრძოლო ობიექტზე, რომელიც შეიცავდა: დაბლობს, სადაც მექვემეხეები იყვნენ განთავსებული თავიანთი ქვემეხებით, შემდეგ იყო მაღლობი (გორაკი), სადაც იყო გამოსაცდელი პირი (სტუდენტი), რომელიც უთვალთვალებდა გასანადგურებელ ობიექტს, სწავლობდა „მტრის“ პოზიციას და ტოპოგრაფიულ რუკაზე დაყრდნობით გასცემდა საბრძოლო ბრძანებებს, რომლის მიხედვითაც ისროდა ჭურვებს მექვემეხე.

გამოცდას კომისია იბარებდა. კომისიის წევრთა შორის იყო მოსკოვიდან გამოგზავნილი მაღალჩინოსანი ოფიცერიც.

სწორედ მან იკითხა: „აბა, პირველი ვინ გამოვაო“ – და კათედრის გამგემ ჩუმად გადაულაპარაკა ვახტანგ ჭანკოტაძეს: „ჯერ შენ გადი, ვიცი,

წარმატებით ჩააბარებ და მოსკოველ ოფიცერსაც კარგი შთაბეჭდილება დარჩება ჩვენზეო“.

ვახტანგი. 1957 წელი (უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსი).

გავიდა ვახტანგი. ჯერ ვიზუალურად დაათვალიერა საბრძოლო არე, მერე ტოპოგრაფიულ რუკის შესწავლა დაიწყო, გახედა დურბინდით „მოწინააღმდეგის“ პოზიციას, ჩახედა ისევ ტოპოგრაფიულ რუკას და დაიწყო გამოთვლა.

რაღაც არ ემთხვეოდა.

დაურეკეს: „რატომ აგვიანებო?“ – ჰკითხეს.

„რუკაში შეცდომა აღმოვაჩინეო“ – მიუგო ვახტანგმა. „რა შეცდომა?!“ ტოპოგრაფიულ რუკაში შეცდომა შეუძლებელია! მიდი, არ შემარცხვინოო!“ – კათედროს გამგემ შეაგულიანა.

ვახტანგმა კვლავ დაიანგარიშა კოორდინატები, კვლავ იგივე აღმოაჩინა, მაგრამ თავის თავს აღარ ენდო... რუკის მონაცემების მიხედვით გასცა ბრძანება. ამ ბრძანების მიხედვით მექვემეხემ გაასწორა კოორდინატები, გაისროლა და კინაღამ ჩამოანგრია სანგარი, სადაც ვახტანგი იმყოფებოდა, ისე დაბალ მანძილზე გადაურა ჭურვმა.

არსებობდა ჭურვის ტრაექტორიის უმაღლესი წერტილის დადგენილი მინიმალური სიმაღლე და იმაზე დაბლა არ შეიძლებოდა, რომ გაევლო ნასროლ ჭურვს.

კოორდინატები, რომელიც გადასცა ვახტანგმა მექვემეხეს, აღმოჩნდა დადგენილზე დაბლა,

რაც გაცემული ბრძანების არაეფექტურობაზე მეტყველებდა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ვახტანგი ჩაიჭრა გამოცდაში... ჩაჭრას ვინ ჩივის, ატყდა ერთი ამბავი და ვაი-ვიში.

მოსკოვიდან გამოგზავნილმა კომისიის წევრმა საყვედური უთხრა კათედრის გამგეს:

„თქვენი ფრიადოსანი სტუდენტი თუ ასე გყავთ მომზადებული გამოცდისთვის, დანარჩენები რაღას იზამენ, შეიძლება სულ დაგვხოცონ და ამოგვბუგონო!“

მერე ვახტანგი დაიბარეს და უხეშად, როგორც ოროსან სტუდენტს, ისე მიმართეს: „გვაჩვენე, ერთი, შენი გაანგარიშებაო“.

ვახტანგმა აჩვენა.

კომისიის თავმჯდომარემ დაიანგარიშა, თვალები გაუფართოვდა და შუბლზე ხელი შემოირტყა, მერე კომისიის დანარჩენ წევრებთან ითათბირა და ბოლოს ვახტანგს ბოდიში მოუხადა.

„თქვენი გაანგარიშება აბსოლუტურად სწორია. შეცდომა ტოპოგრაფიულ რუკაში ყოფილა, რასაც აუცილებლად გამოვასწორებთ, ხოლო თქვენ, ამ შეცდომის აღმოჩენისთვის მადლობასაც გიხდით და ბოდიშსაც, ხომ შეიძლება ფატალური შედეგი მოჰყოლოდა ამ უსწორობას და შარში ჩავვარდნილიყავით თქვენც, – ალალმართალი კაცი, რომელმაც აღმოაჩინა ეს შეცდომა და ჩვენც არ დავიჯერეთ და, ფაქტობრივად, გაიძულეთ არასწორი ბრძანების გაცემაო“.

ვახტანგს ფრიადი დაუწერეს გამოცდაში და უმცროსი ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭეს.

საქმიანობა

(სამეცნიერო, სამეურნეო, ლიტერატურული...)



ქ. გორი

მადლობა

მადლობა, ღმერთო, რომ მაჩუქე
აზრი ათასი,
რომ ჩამითესე, რომ ჩამიდე
სიკეთე გენში,
რომ ყველა მიყვარს, ჩემია თუ
არის სხვა რასის,
მადლობს გიხდი — ასე იყო
უწინაც ჩვენში.

შენ შემაყვარე, რაც ამქვეყნად
საყვარელია,
რაც კი რამ არის საძულველი —
შენ შემაძულე,
უდგას ნათელი, ვინც თაყვანს გცემს —
სხვასთან ბნელია,
ჩემი იმედი, ჩემი რწმენა
შენზე მაგულე.

მადლობა, ღმერთო, რომ დამიჭკნე
სახის ნაკვთები,
რომ დამაღვინე, დამაბერე
ტკბილი სიბერით,
რომ გამატარე (გზაზე შენსკენ)
სანთლის ნათებით...
გამარჯვებული შენი ლოცვით
ვივლი სიმღერით.

განაწილების გარეშე

უნივერსიტეტი დაამთავრა.

განაწილების გარეშე დატოვეს.

ბედი არ გინდა! იმ პერიოდში, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები განაწილების და დასაქმების გარეშე არ რჩებოდნენ, ყოველთვის, ყველგან, ყველაფრით გამორჩეული და წარმატებული ვახტანგ ჭანკოტაძე განაწილების გარეშე დარჩა.

თურმე, ნუ იტყვით და, თავად ფაკულტეტის დეკანი და ვახტანგის პროფესორი დ. დოლიძე შესულან რექტორთან და უთხოვიათ – ვახტანგ ჭანკოტაძე განაწილების გარეშე დატოვეთ, ეგ ახალგაზრდა ასპირანტურისთვის გვჭირდებაო.

გასაგებია, რომ ასეთი შეთავაზება დიდი პატივი იყო, თუმცა, ობოლი ჭაბუკისთვის დასაქმება და კუთვნილი ხელფასით თავის რჩენა ბევრად დიდი სიკეთე იქნებოდა.

მაინც დათანხმდა, წავიდა მშობლიურ თელავში და დაელოდა გამოძახებას.

გავიდა ზაფხული, დაიწყო სექტემბერი და დაიწყო ვახტანგის ტანჯვაც. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ეკლებზე იჯდა, ყოველი დღე უმატებდა ტკივილს, ხოლო გაურკვევლობა აუტანელს ხდიდა ამ ტკივილებს.

როგორი ასატანია – უნივერსიტეტდამთავრებული სპეციალისტი ხარ და უსაქმურად ხარ მაშინ, როცა ნებისმიერი უმაღლესდამთავრებული დასაქმებულია.

უფულოდ და უმუშევრად დარჩენილი ვახტანგი

იძულებული იყო ნათესავებისა და მეზობელ-ახლობლებისგან ესესხა ფული და ასე ეარსება, სანამ მისი მომავალი ბედი ბურუსიდან გამოვიდოდა.

არა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, კიდევ ერთხელ ისესხა ფული ვახტანგმა და თბილისში წავიდა.

მივიდა უნივერსიტეტში პროფესორ დ. დოლიძის სანახავად და შეეფეთა ტრაგიკულ ამბავს, რომელმაც ორმხრივად დაუმწუხრა გული – დ. დოლიძე ერთი თვის წინ გარდაცვლილიყო. აპენდიციტის ოპერაცია გაუკეთებია ცხონებულს, ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღე უნდა წოლილიყო საავადმყოფოში, მაგრამ... გამოიპარა და...

გამოპარვის მიზეზი არ გაინტერესებთ? ფეხბურთის მოყვარული იყო.

სიტყვა „მოყვარული“ აქ ისეთივე უადგილოა, როგორც რომ თქვა: „...ეს ადამიანი ჰაერის მოყვარულიაო“. ფეხბურთით სუნთქავდა დ. დოლიძე და ამ განსაკუთრებული სიყვარულის ფონზე, ადვილად წარმოსადგენია, რამდენად ძნელი ასატანი იქნებოდა მისთვის სტადიონზე არყოფნა იმ დროს, როცა მისი უსაყვარლესი და საქვეყნოდ ცნობილი თბილისის დინამო საკუთარ მოედანზე ხვდებოდა მოსკოვის სპარტაკს.

ეგეც ბედი და იღბალი იყო: ბილეთი იშოვა. იმ დროს, როცა ფეხბურთზე დასასწრები ბილეთის შოვნას მთავრობის დონეზე ნაცნობობა და ჩალიჩი სჭირდებოდა, დ. დოლიძეს, როგორც ერთგულ გულშემატკივარს, საჩუქრად მიართვეს ბილეთი.

ექიმს კი შეაპარა: „გამწერეთ, კარგად ვარო!“ მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო.

„მაშინ, მე გავწერ საკუთარ თავსო“ – იფიქრა

და გაწირა თავი – დილაუთენია გაიპარა საავადმყოფოდან.

თბილისის დინამოს სტადიონი იმ დროს 35000 გულშემატკივარს იტევდა, ხოლო ოდენობა ფეხბურთის მატჩზე დასწრების მსურველებისა – 70000-ს აჭარბებდა.

ახლა წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა დედაქალაქი, მისი მთავრობა და საწყალი მილიცია, რომელიც ცხენოსანთა რაზმით და სამმაგი კორდონითაც ვერ აკავებდა ჟინმოსულ ფანატებს.

ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩაიგდო თავი ნაოპერაციებმა დ. დოლიძემ, ქაოსში რომ შეტოპა და შეჰყვა ხალხის ნაკადს.

აბობოქრებულ-აგორებულ გულშემატკივართა მორევში მოხვდა და გაეხსნა ნაიარევი ჭრილობები. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვეღარ გადაარჩინეს.

ასე შეეწირა ფეხბურთის სიყვარულს პროფესორი დ. დოლიძე. ჭეჭყვაში მოყოლილი ადგილზევე გარდაიცვალა.

ეს ხომ ეწყინა და ეტკინა ვახტანგ ჭანკოტაძეს, მაგრამ ტკივილს აორმაგებდა იმის გაცნობიერებაც, რომ პროფესორ დ. დოლიძის იმედად დარჩენილს სამსახური ხომ გვერდით დარჩა, ახლა კი ასპირანტურის გარეშეც რჩებოდა.

ვახტანგი დარჩა სრულ გაურკვევლობასა და სრულ დისკომფორტში, როცა სახელმწიფო ვეღარ იზრუნებდა მასზე და თავად უნდა ეძებნდა საკუთარი გზა, ბედი და მომავალი.

ჰერი-ჰერი ქალაქ გორისკენ

ვიღაცამ უთხრა: „გორში გაიხსნა კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი, სულ რაღაც ექვსი თვის წინ ამოქმედდა და სპეციალისტები აუცილებლად ენდომებათ, მიდი სცადეო“.

ეს იყო 1957 წელს, ზაფხულის მიწურულს.

ვახტანგმა ფული ისესხა და წავიდა გორში. ეს იყო პირველი შეხვედრა გორთან და გორელებთან.

სიმართლე რომ ითქვას, პირველი შთაბეჭდილებები მთლად დადებითი და გულისამაჩუყებელი არ ყოფილა.

აბა, როგორი ამბავია, ეკითხება გამვლელს: „კვლევითი ინსტიტუტი სად მდებარეობსო“ და იღებს ასეთ პასუხს: „კვლევითი ინსტიტუტი კრემლის გვერდით არის“.

ალბათ გამეხუმრაო, იფიქრა ვახტანგმა და აღარ ჩაეძია, განაგრძო გზა და ახლა სხვას ჰკითხა: „უკაცრავად, ხომ არ იცით, კვლევითი ინსტიტუტი სად მდებარეობს გორში?“ – გორს ხაზი გაუსვა, რომ ამანაც კრემლი არ მიხსენოსო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თითქოს შეკრულები არიანო, ამ გორელმაც იგივე უთხრა.

„როგორ არ ვიცი, ბატონო ჩემო, კვლევითი ინსტიტუტი კრემლის გვერდით გაიხსნა რამდენიმე თვის წინ“

„აშკარად მემასხრებიან... ალბათ შემატყვეს, რომ კახელი ვარ და...“ ამ ფიქრებში იყო გზააბნეული ვახტანგი, როცა დაინახა სიმპათიური მამაკაცი, ჰალსტუხითა და მსუქანი, საქმიანი ჩანთით, რომელიც მიუთითებდა მის ინტელიგენტობასა და სერიოზულობაზე.

„ეს კაცი ნამდვილად არ იქნება მასხარა, ამას ვკითხავ და გავიგებო“ – იფიქრა ვახტანგმა, წამოეწია და მოწიწებით ჰკითხა:

„უკაცრავად, ბატონო, პირველად ვარ გორში, ვეძებ ახლადგახსნილ კვლევით ინსტიტუტს, ხომ ვერ მიმასწავლით?!“

ინტელიგენტი რამდენიმე წამით დააკვირდა ვახტანგს და ჰკითხა: – საიდან ხარ?

– კახელი ვარ, თელაველი, – უპასუხა ვახტანგმა.

– ჰოო, მაშინვე მივხვდი, აქაური რომ არ იყავით... რაც შეეხება კვლევით ინსტიტუტს, ის კრემლის სიახლოვესაა. აი, ამ გზას გაჰყვებით და... ორასი მეტრი იქნება იქამდე.

– ძალიან დიდ ბოდიშს მოგიხდით, ბატონო ჩემო, ახლა აღარ მაინტერესებს კვლევითი ინსტიტუტი, თუ ღმერთი გწამთ, ის მითხარით, კრემლი სად არის? – ჰკითხა აღელვებულმა ვახტანგმა და ინტელიგენტს სიცილი აუტყდა.

– ჰო, ჰო, კრემლი საიდან გეცოდინებათ. გეტყვით – ის კვლევითი ინსტიტუტის გვერდითაა! – კვლავ სიცილით თქვა ჰალსტუხიანმა კაცმა, მერე დამშვიდდა, ხელი გაიშვირა აღმოსავლეთით და უთხრა, – იქით, ორასიოდე მეტრში სამსართულიან სახლს დაინახავ, იმას ეძახიან კრემლს, ჩამოსული პარტიული მუშაკებისთვის აშენდა ეგ სახლი და იმიტომ ეძახიან კრემლს. იქ რომ მიხვალ, დაინახავ მოედანს და დიდ შენობას. იქ არის შენი ინსტიტუტიც, – უთხრა ინტელიგენტმა, მერე დასძინა: „დიდ წარმატებებს გისურვებო“ – და ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა ვახტანგს.

„დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს!“ – ასეთი წარწერა დახვდა ინ-

სტიტუტის შესასვლელში. ამ ლოზუნგით ათასზე მეტი კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში, ხოლო საქართველოს ფარგლებში ოცამდე მსგავსი პროფილის ინსტიტუტი ამოქმედდა სხვადასხვა ქალაქში. ჩვენს გმირს კი გორი ერგო.

ეს ბედი იყო.

როგორ ჩანს, ღმერთს სურდა, რომ კახელი ვახტანგ ჭანკოტაძე ქართლის შუაგულში დამკვიდრებულიყო და აქ ედვაწა მრავალჟამიერ...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ვახტანგის მამამაც გორში დაიწყო თავისი შრომითი კარიერა იგივე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ (1928 წ.) და აქვე შექმნა ოჯახი, როგორც ვახტანგმა (1960 წ.).

ისევ გამოცდები...

ალექსანდრე კაკალაშვილი, კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

აი, ამ ადამიანთან მოუწია დაუგეგმავი გამოცდების ჩაბარება ვახტანგ ჭანკოტაძეს.

შეხვდა, მოუსმინა, გაიგო რომ განაწილების გარეშე დარჩენილ ახალაგზრდას სამსახურის დაწყება სურდა, რამდენიმე კითხვა დაუსვა. მერე წიგნის თაროდან ერთი წიგნი გადმოიღო და „რუსული იცი?“ – ჰკითხა. დადებითი პასუხი რომ მიიღო, მიაწოდა და ორი კვირის ვადა მისცა ამ წიგნის დამუშავებისთვის.

„ავტომატური რეგულირების თეორიის ზოგიერთი საკითხები“ – ასეთი დასათაურება ჰქონდა

რუსი ავტორის მიერ დაწერილ იმ სახელმძღვანელოს, რომელიც ას გვერდამდე იყო.

„კი ბატონო!“ – დაეთანხმა ვახტანგი, დაემშვიდობა და დაბრუნდა მშობლიურ თელავში.

მუშაობის დაწყების მოტივაცია იმდენად მაღალი ჰქონდა, რომ ორ კვირაში ასათვისებელი მასალა ხუთ დღეში აითვისა, კვლავ ისესხა გზის ფული და ჩავიდა გორში.

ეახლა თავის გამომცდელ მთავარ ინჟინერს და გააოცა პასუხებით.

„აჰა, მეშველაო!“ – რომ გაიფიქრა ვახტანგმა, სწორედ მაშინ ეცა ელდა – ალექსანდრე კაკალაშვილმა თაროდან ორასგვერდიანი წიგნი გადმოიღო – „ავტომატური რეგულირების თეორია“, ვორონოვის ავტორობით, მიაწოდა და ორი თვის ვადა მისცა ამ წიგნის „ათვისებისათვის“.

რა უნდა ექნა უმუშევრად, უფულოდ და უპატრონოდ დარჩენილ ობოლ ახალაგზრდას?

„არ დაიხიო, ვახო!“ – დედის შეძახილი ჩაესმოდა ქვეცნობიერის უშორეს წარსულიდან.

არ დაიხია. ფიზიკური შრომა დაიწყო ცოტაოდენი ფული რომ ეშოვა. დღისით მშენებლობაზე ფიზიკურად დაქანცული, საღამოს ვორონოვის წიგნს უჯდა და გონებრივად იქანცებოდა.

ორი თვის გასაკეთებელი ერთ თვეში გააკეთა და გამოცდისთვის მზად რომ იგრძნო თავი, გორში დარეკა. მთავარი ინჟინრის მდივანმა ციალა გაფრინდაშვილმა აიღო ყურმილი. მას ჰკითხა – როდის ჩამოვიდეო.

მდივანი უცებ შევარდა კაბინეტში, მოახსენა ვითარება მთავარ ინჟინერს, მიიღო პასუხი და სიხარულით გადასცა ვახტანგს: „სამი დღის მერე ჩამოვიდესო“.

ჩავიდა სამი დღის შემდეგ.

მიიღო ალექსანდრემ და მოუწყო მორიგი გამოცდა, წიგნი სარჩევზე გადაშალა და თითოეულ ქვეთავზე კითხვები დაუსვა. „აქ ძირითადი რა არისო?!“ – ეკითხებოდა და ვახტანგი პასუხობდა უყოყმანოდ, თავდაჯერებულად, გასაგებად და სწორედ...

კვლავ გააოცა გამომცდელი და ქებაც დაიმსახურა.

„ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარო!“ – უთხრა ალექსანდრემ და ხელი კვლავ წიგნების თაროსკენ წაიღო.

„მოდი, ბოლო ნაბიჯიც გადავდგათო“ – და თაროდან ექვსასგვერდიანი წიგნი გადმოიღო.

ნერვები მოეშალა ვახტანგს.

შეძლებისდაგვარად დაითმინა. გამომცდელისადმი მოწიწება შეინარჩუნა, მაგრამ პირში ახალა:

„ალექსანდრ ნიკალაევიჩ, მე ახლა აღარც თეორია მინდა, აღარც პრაქტიკა და... აღარც თქვენი ინსტიტუტი... დავიღალე, ნასესხები ფულით დავდივარ ამხელა გზაზე... როდემდე უნდა გაგრძელდეს ჩამი გამოცდები და ტანჯვა?!“

– არა, არა... ეს ერთი წიგნი და მორჩა! – თავისას არ იშლიდა მთავარი ინჟინერი, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ძნელად გასაგები იყო ობლობა, უმუშევრობა, უფულობა და ნასესხი ფულით ცხოვრება.

– სულ კარგად ბრძანდებოდეთ! – უთხრა ვახტანგმა, ქედმოდრეკითაც პატივისცემა გამოხატა გამომცდელი ჩინოვნიკისადმი, გაიხურა კარი და წავიდა.

გორიდან თბილისში ჩავიდა. თავის უიღბლობას ტიროდა. „რა ვქნაო?!“ – გასძახოდა ზეცას და გულის სიღრმეში კვლავ ჩაესმოდა დედის შეძახილი: „არ დაიხიო, ვახო!“

ის-ის იყო თელავისკენ გამგზავრებას აპირებდა, ავტოსადგურში ბავშვობის ძმაკაცს, ჯემალ სეხნიაშვილს გადაეყარა. მიესალმნენ, მოიკითხეს ერთმანეთი და ჯემალის კითხვაზე: „სად იყავი, საიდან მოდიხარო“ – ვახო მოუყვა გორის ამბებს: როგორ გატანჯეს და როგორ წყალში ჩაუყარეს მცდელობა დაეწყო მუშაობა კვლევით ინსტიტუტში.

– სად, კაცო! კვლევით ინსტიტუტში? ალექსანდრე კაკალაშვილი ხომ არ არის იქ დირექტორი? – იკითხა ჯემალმა.

– დირექტორი არა, მთავარი ინჟინერია და სწორედ მაგან გამტანჯაო, – უპასუხა განრისხებულმა ვახომ.

– ბიჭო, რას მელაპარაკები! დედას ვუტირებ მაგას! – შესძახა ძმაკაცმა და აფორიაქდა.

– რას ამბობ, კაცო! – გაოცდა ვახტანგი.

– მოკლედ, წამოდი ახლა ჩემთან სახლში და ნახავ ყველაფერს, – უთხრა ჯემალმა და თელავისკენ გეზაღებულ ვახოს გზა და ბედი შემოუტრიალა.

...ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჯემალის დედის, ქალბატონ ნათელას ახლობლის მეუღლე გამოდგა ის ჩვენი ალექსანდრე ბატონი.

„უიმე, შვილო, ნეტავ აქამდე მოსულიყავიო!“ – შეიცხადა ნათელა დეიდამ, რომ გაიგო ვახტანგის უიღბლობის ამბავი, შევერცხლილი თმები გაისწორა და მაშინვე ტელეფონს მიუჯდა.

კაკალაშვილის ცოლს დაურეკა, მოიკითხა, მოესიყვარულა და ნელ-ნელა შეაპარა საყვედურები ქმრის მისამართით.

„შეხედე, ერთი ამას!.. – გაბრაზებულა ალექსანდრეს მეუღლე – ბიჭი ობოლია, უმუშევარი, უფუ-

ლო, თითო კაპიკს იზოგავს და ეს ჩემი ბობოლა ქმარი, სავარძელში ნებივრად მჯდარი ნეტარებს ბიჭის ტანჯვითო“ – უთქვამს ქალბატონს და „ჩათვალე, მიღებულიაო“ – უნუგეშებია ნათელა დეიდა.

დამშვიდდა ვახტანგი. იმ დღეს ჯემალის სახლში დარჩა, მეორე დილით თელავისკენ გაეშურა იმ შეგრძნებით, რომ უკვე „ჯიბეში ედო“ სამსახური. გავიდა ორიოდე დღე, კვლავ ისესხა სამგზავრო ფული და გამარჯვებულის წინათგრძნობით გაემართა გორის მიმართულებით.

„რა მაგარი ბიჭი ყოფილხარ!“ – მხარზე ხელი დასცხო ვახტანგს მთავარმა ინჟინერმა და უსაყვედურა: „კაცო, რას გაიქეცი იმ დღეს, უნდა მიმეღე სამსახურშიო“ – მერე დაფიქრდა, ტელეფონი აიღო და სადღაც დარეკა. „იოსებ, ამოდი ჩემთანო“ – ბრძანა და ვახტანგს გადაუჩურჩულა: „ავტომატური რეგულირების განყოფილებაში გნიშნავ ლაბორანტადო“.

ამასობაში იოსებიც მოვიდა. „გისმენთ, ალექსანდრ ნიკალაევიჩო“ – მიმართა და მორიგი ბრძანების მოსასმენად განეწყო.

„აი, ეს ახალგაზრდა იმუშავებს შენთან, წაიყვანე, აუხსენი, შეამოწმე, ასწავლე... მოკლედ მიმიხედე“ – უთხრა შემოსულს, მერე ვახტანგს მიუბრუნდა და მიუგო: „გაიცანი, იოსებ კრიხელი, ავტომატური რეგულირების განყოფილების უფროსი. დღეიდან შენი უშუალო უფროსი იქნება, დაემორჩილე, ითანამშრომლე, იმეგობრე...“

(ეს ის იოსებ კრიხელია, რომელიც შემდგომში საზოგადოებამ გაიცნო, როგორც საერთაშორისო დიდოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში).

იოსებმა წაიყვანა ვახტანგი, გააცნო საქმე, გაე-

საუბრა და უთხრა: „მივალ ეხლა ნიკალაევიჩთან და ვეტყვი – ბევრი რამ იცის და იმ ოც პროცენტს, რაც არ იცის, მე დავეხმარები და აითვისებს-მეთქი“.

...

ასე მიიღეს ვახტანგ ჭანკოტაძე გორის კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტის თანამდებობაზე. ეს იყო ყველაზე დაბალი საფეხური იმ 18 საფეხურიდან, რომელიც კარიერული ზრდისთვის იყო გათვალისწინებული ამ ინსტიტუტში.

(ცნობისთვის: ვახტანგ ჭანკოტაძემ გაიარა ყველა კარიერული საფეხური, თანაც ვადაზე ადრე და ისე, რომ არასოდეს არ უთხოვია დაწინაურება. უბრალოდ, ხედავდნენ, აფასებდნენ და აწინაურებდნენ, როგორც ერთგულს და წარმატებულს თავის საქმეში).

შარი

კვლევით ინსტიტუტს თავისი თანამშრომლებისთვის სასტუმრო „ქართლის“ მეორე სართულზე ჰქონდა ნაქირავები საცხოვრებელი ფართები. იქ ცხოვრობდა ვახტანგ ჭანკოტაძეც (1956-1958 წ.წ.).

ერთხელ თანამშრომლები ეწვივნენ სტუმრად, იხარეს, იქეიფეს და შუაღამით, გიტარის თანხლებით, დაკვრით და სიმღერით გააცილა მეგობრები.

კინოთეატრ „კომკავშირელთან“ იყვნენ მიახლოებულები, გზის მეორე მხრიდან რომ შემოესმა: „ეი, ბიჭო, აქეთ გადმოდი და მე მიმღერეო“.

გაიგონა, არ ესიამოვნა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია ვახტანგმა, განაგრძო სიმღერა მეგობრებთან ერთად.

„შენა, ბიჭო, არ გესმის?!.. გადმო და მიმღერე!“ – კვლავ გაისმა მკივანა ხმა.

„რას ჩხავიხარ, თუ რამე გინდა, გადმოდი და აქ მითხარიო!“ – მიაძახა ვახტანგმა და მერაბ ოქროპირიძემ პირზე ააფარა ხელი.

„ჩუ, ვახო, შარია!“ – ეს თქვა და იმ კაცისკენ გაიქცა, ვისგანაც მოდიოდა შარი. რაღაცა ელაპარაკა, დააწყნარა, უკან გააბრუნა და ნერვიულობისაგან გაოფლილი ვახტანგთან დაბრუნდა.

– იცი, ვინ იყო?

– ვინ იყო, მე რა ვიცი! – ბრაზით თქვა ვახტანგმა.

– შოთა გაგნიძე იყო, ბიჭო, მაგრამ გადავრჩით!

– რას გადავრჩით, თუ ძმა ხარ...

– ვაიმე, ვახო, ქალაქში პირველი დამრტყმელია, ფიზიკურად ძლიერია და კაცს თუ დაარტყამს, თუ არ მოკლავს, დაასახიჩრებს უსათიოდ.

– რა უთხარი? – ცოტა არ იყოს, შიშმა შეიპყრო ვახო.

– ვუთხარი, დიდი კაცის შვილია, მისი ცემით შარში გაეხვევი-მეთქი.

– იმან რა გითხრა?

– კარგად მღერის. მოდი, პურ-მარილს ვიკისრებ და ეგ კაცი დამიპატიჟეო.

– ვახ, შენ გენაცვალეო! – ეამა ვახტანგს და მადლიერების ნიშნად გადაეხვია მეგობარს.

სამი დღის შემდეგ შოთა გაგნიძემ მართლა დაპატიჟა ვახტანგი სუფრასთან. ვახტანგმა რამდენიმე არასასიამოვნო პიროვნება შენიშნა იქ, მაგრამ თავი შეიკავა რაიმეს თქმისაგან.

ვახტანგს თავს დასტრიალებდა შოთა გაგნიძე და სხვადასხვა სიმღერას უკვეთავდა. ბოლოს კი ასეთი სიტყვებით გააცილა ჩვენი გმირი: „თუ სადმე რამე გაგიჭირდეს, დამიძახე და ყველაფერს მოვაგვარებთო“.

ქ. იალტა. ვორონცოვის სასახლესთან ლევან ხარატიშვილთან ერთად. 1976 წ.

სანადიროდ. მარცხნიდან: ვ. ჭანკოტაძე, ა. მამაგეიშვილი, გ. ფანოზიშვილი, ა. რატიშვილი.

გიტარაზე უზომოდ შეყვარებული. 1958 წ.

კვლევითი ინსტიტუტის ტრიო (მარცხნიდან: ვახტანგ ჭანკოტაძე, ნოდარ სპარსიაშვილი, ურან საძაგლიშვილი) ოქტომბრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამო კონცერტზე. 1957 წ.

ბინების განაწილება

1959 წელს ვახტანგ ჭანკოტაძე კვლევითი ინსტიტუტის პროფკავშირების თავმჯდომარედ აირჩიეს.

იმ დროისთვის პროფკავშირს სერიოზული ძალა ჰქონდა და მისი თავმჯდომარის თანხმობის გარეშე ორგანიზაციის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა.

იმავე წელს დასრულდა კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სახლის მშენებლობა და დადგა ჟამი ბინების განაწილებისა.

ყველამ იცოდა, რომ პირველ რიგში ბინებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ დაოჯახებული თანამშრომლები, დანარჩენებისთვის გათვალისწინებული იყო საერთო საცხოვრებლები იმავე კორპუსის მეორე-მესამე სართულებზე.

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ამხანაგმა გ. ბერძენიშვილმა თავისი შეხედულებით გაანაწილა ბინები, დოკუმენტს მოაწერა ხელი და გადასცა მთავარ ინჟინერს, მან ზედაპირულად გადაავლო თვალი დოკუმენტში წარმოდგენილ სიას და უყოყმანოდ მოაწერა ხელი, იგივე გაიმეორა პარტკომისა და კომკავშირის მდივანმა და ჯერი პროფკავშირის თავმჯდომარეზე მიდგა.

ვახტანგ ჭანკოტაძე გულდასმით გაეცნო სიას და აღმოაჩინა, რომ ბინები განაწილებული იყო უცოლ-შვილო თანამშრომლებზე, ხოლო ცოლ-შვილიან გრიგოლ ჟვანიასთვის გამოყოფილი იყო ადგილი საერთო საცხოვრებელში.

ვახტანგმა ისიც შენიშნა, რომ ჩოხატაურელი დირექტორი თავისი რაიონიდან ჩამოსულ თანამშრომლებს ანიჭებდა უპირატესობას და უნაწილებდა

ბინებს, მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახებულები არ იყვნენ.

წარმოდგენილ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა პროფკავშირის თავმჯდომარემ და კატეგორიულად მოითხოვა სიებში კორექტირების შეტანა.

დირექტორმა დაიბარა და მოლაპარაკება სცადა. ვახტანგმა თავისი კარიერა საფრთხის ქვეშ დააყენა და პრინციპული წინააღმდეგობა გაუწია ხელმძღვანელს.

– ასეთ დოკუმენტზე მე ხელს არ მოვაწერ.

– რა გინდა, მითხარი! – გარიგებას უფრო ჰგავდა დირექტორის ეს შეკითხვა.

– მე მინდა სამართლიანად განაწილდეს ბინები.

– მომისმინე, შენ ხომ არ ხარ დაოჯახებული, შენც ჩაგწერ და შემეშვი.

– მე მინდა სამართლიანად განაწილდეს ბინები, – თავისას არ იშლიდა ვახტანგი.

– რას ხედავ უსამართლოს? – აპილპილდა დირექტორი.

– აი, ამ ხალხს ბინები არ ეკუთვნით, – კალმით შემოხაზა ვახტანგმა რამდენიმეს გვარი, – აი, ამას კი, საერთო საცხოვრებელში რომ გაამწესე – ცოლ-შვილი ჰყავს და ეკუთვნის ბინა, თანაც სამოთახიანი.

– გრიშაზე მეუბნები? მაგას ცოლ-შვილი თბილისში ჰყავს, – ნერვიულად გადაიხარხარა უსამართლობაში გამოჭერილმა დირექტორმა.

– ცოლ-შვილი გრიშა ჟვანიას თბილისში იმიტომ ჰყავს, რომ აქ, გორში ბინა არ აქვს. ქმარი ალთასაა და ცოლი – ბალთას, ეს სამართლიანია?! – ბრაზით მიუგო ვახტანგმა და გავიდა დირექტორის კაბინეტიდან.

– მოხსენით! გაათავისუფლეთ! მომაშორეთ ეს ჯიუტი ვირი! – უმისამართოდ ყვიროდა დირექტორი და მაგიდას ხელებს ურტყამდა.

...

ბინების განაწილება კვლევით ინსტიტუტში დროებით შეჩერდა.

მიზეზი ყველამ იცოდა.

ზოგი ამტყუნებდა ვახტანგ ჭანკოტაძეს, რომ მისი სიჯიუტის გამო ამდენი თანამშრომელი ზარალდებოდა, ზოგიც ვაჟკაცობასა და გმირობაში უთვლიდა თავის პრინციპულობისა და სიმართლის მოყვარეობას.

პრობლემის მოგვარებისკენ დირექტორი ნაბიჯს არ დგამდა და მთავარ პრობლემად ვახტანგ ჭანკოტაძე მიაჩნდა, თუმცა, მისი მოხსნა აშინებდა.

სწორედ იმ პერიოდში გორის კვლევით ინსტიტუტს ეწვია მინისტრის მოადგილე ზაიცევი.

მოსკოვიდან საპატიო სტუმრის ვიზიტი დაემთხვა 8 მარტისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც კაფე-საღამოთი დაგვირგვინდა.

ქართული სუფრით მოხიბლულმა მინისტრის მოადგილემ ცალკე გაიხმო ვახტანგ ჭანკოტაძე და შეაქო.

„ორი სამუშაო ჩავაბარე წარმატებით და, ალბათ, ამაზე მაქებსო“ – ფიქრობდა ვახტანგი.

– მადლობა მინდა გითხრათ სამართლიანობისა და პრინციპულობისათვის, – მიუგო ზაიცევმა და მხარზე ხელი მოხვია.

– ?! – მდუმარე გაურკვევლობით უპასუხა ვახტანგმა.

– მაინც როგორ გაბედეთ?! დირექტორის წინააღმდეგ წასვლა ხომ სახიფათო იყო თქვენი კარი-

ერისთვის?

– ?! – ისევ მდუმარებით უპასუხა ვახტანგმა. იმას კი მიხვდა, რომ მოსკოვამდე ჩაუღწევია ამ სამარცხვინო ფაქტს და უფრო იმაზე სწუხდა, რომ ერთი ქართველის უსამართლობა მრავალთა საჭორაო ხდებოდა.

...

ერთ კვირაში დირექტორი გაათავისუფლეს და დანიშნეს ლევან ხარატიშვილი.

ახალმა დირექტორმა სამართლიანად შეადგინა ბინების განაწილების სია და მასში შეიყვანა ახლადდაოჯახებული ვახტანგ ჭანკოტაძეც.

ეფექტიანობისა და ნაყოფიერების სამსახურში...

ვახტანგ ჭანკოტაძის ხასიათთან და მისწრაფებასთან ძალიან ახლოს იდგა ის მთავარი მიზანი და ამოცანა, რასაც კვლევითი ინსტიტუტი ემსახურებოდა.

მას უნდა შეესწავლა და გამოეკვლია მრეწველობაში არსებული პრობლემები და მოეძებნა გზები, საშუალებები, რომელიც გაზრდიდა წარმოების ეფექტიანობასა და შრომის ნაყოფიერებას.

იმისთვის, რომ გაზრდილიყო ობიექტური კონტროლის ხარისხი, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩარეულიყო ადამიანური ფაქტორი ამ პროცესში. ამისთვის უნდა შექმნილიყო სათანადო ხელსაწყოები. ამ საფიქრალითა და საზრუნავით იყო დაკავებული კვლევითი ინსტიტუტი: სწავლობდა პრობლემებს, იგონებდა ხელსაწყოებს, იძლეოდა

რეკომენდაციებს, მითითებებს და გადასცემდა მექანიკურ საამქროს, რომელიც აღასრულებდა კვლევითი ინსტიტუტის იდეას, ქმნიდა და ნერგავდა რეკომენდირებულ ხელსაწყოებს და სისტემებს.

მაგალითისთვის: რძის მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცხიმიანობის პროცენტს. სანამ ადამიანური ფაქტორით მოწმდებოდა ეს ცხიმოვნობა, იყო გაყალბების უამრავი შემთხვევა, რაც კოლოსალურ ზარალს აყენებდა სახელმწიფოს.

მას შემდეგ, რაც კვლევითმა ინსტიტუტმა გამოიგონა და დანერგა რძის ცხიმოვნობის განმსაზღვრელი ავტომატური ხელსაწყო, ხარისხმა იმატა 3-4%-ით. მაშასადამე, ავტომატიზაციის დანიშნულება იყო სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა წარმოებიდან, მაკონტროლებელი ავტომატური ხელსაწყოების შემუშავებითა და დანერგვით.

ასეთი ავტომატიზაციის შედეგად გაიზარდა წარმოების ხარისხი და პროდუქტიულობა არა მხოლოდ რძის წარმოებაში, არამედ – მეღვინეობაში, თამბაქოს მრეწველობაში, ხილის წვენების წარმოებაში და ა.შ.

გორის კვლევითმა ინსტიტუტმა სახელი გაითქვა და მის მიერ შექმნილ აპარატებზე გაჩნდა მოთხოვნები არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არამედ ევროპის ქვეყნებიდანაც.

ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, პოლონეთი, ბულგარეთი... აი, ევროპის ქვეყნების ის მცირე ჩამონათვალი, რომლებიც რეგულარულად იძენდნენ გორის კვლევითი ინსტიტუტის მიერ შექმნილ აპარატებსა და მოწყობილობებს.

ერთ-ერთი ასეთი მაკონტროლებელი მოწყობილობა იყო სისტემა, რომელიც ემსახურებოდა ყურ-

ძნის მიღებისას წონისა და შაქრიანობის ავტომატურად განსაზღვრას და შესაბამისი ქვითრის ამობეჭდვას.

ამ სისტემის დანერგვა გადაწყვიტა აზერბაიჯანმაც და საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა დახმარება.

ასე და ამგვარად, გორის კვლევითმა ინსტიტუტმა მიიღო პარტიული დავალება, დახმარებოდა მოძმე აზერბაიჯანს და ამ მისიის აღსრულებისთვის აზერბაიჯანში გაემგზავრნენ: ვახტანგ ჭანკოტაძე და ქიმიის ლაბორატორიის გამგე ლეონიდ აბულაძე (იგივე ლენო).

ბაქოში ერთი დღით გაჩერდნენ, მეორე დღეს შემახაში უნდა გამგზავრებულიყვნენ და იქ უნდა დაემონტაჟებინათ მაკონტროლებელი ავტომატური ხელსაწყოები და სისტემები.

„ვახო, მე ძალიან დავიღალე, წამოვწვებიო“, – უთხრა ლენომ და დაიძინა.

ვახტანგმა სასტუმროში ყოფნას ქალაქში ხეტიალი ამჯობინა და ასე გადააწყდა საბილიარდოს.

შევიდა და მისდა გასაოცრად, ყველამ თამაში შეწყვიტა. „სტუმარი ხარ და შენ ითამაშეო“, – უთხრეს. „მადლობა, მაგრამ ვიღაცას მაინც ხომ უნდა ვეთამაშო, ყველა რომ განზე გადექითო“, – გაეცინა ვახტანგს.

15 წუთი ითამაშეს და უცებ ყველაფერი აირია: ვიღაცა შემოვიდა დარბაზში, ერთ-ერთ მოთამაშეს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მერე თავიანთ ენაზე რაღაც უთხრეს ერთმანეთს და სასწრაფოდ დაიცალა დარბაზი.

ვახტანგი დარჩა მაგიდასთან ბილიარდის ჯოხით ხელში გაოცებულ-გაკვირვებული.

ორიოდე წუთში დარბაზში დელეგაცია შემოვიდა. როგორც მერე გაირკვა, აზერბაიჯანის კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი ალიევი იყო, თანმხლებ პირებთან ერთად (ეს ის ალიევია, რომელიც შემდეგ აზერბაიჯანს თავკაცობდა მრავალი წლის განმავლობაში).

ალიევი პირდაპირ ვახტანგთან მივიდა, გაუღიმა და მეთამაშეო, – სთხოვა.

ეთამაშა ვახტანგი და ორი ხელი მოუგო. თანმხლები პირები უხერხული ღიმილით ადევნებდნენ თვალს პირველი კაცის უღიმღამო თამაშს.

„კარგი, საკმარისიაო!“ – თქვა ალიევმა, მხარზე ხელი დასცხო ვახტანგს, „ქართველები მომიკითხეო“ – უთხრა და დატოვა დარბაზი.

– ეგ რა გიქნიაო! – უსაყვედურა ლეონიდემ, ეს ამბავი რომ გაიგო.

– ცუდი რა ვქენი? – გაიკვირვა ვახომ.

– არ უნდა მოგეგო, ბიჭო.

– ვითომდა, რატომ?

– რა ვიცი, არ ეწყინოს, გულში არ ჩაიდოს, ქართველები არ შეიძულოს... – ეჭვებს და წუხილს გამოთქვამდა ლენო.

– აი, მაგას ჰქვია სწორედ „ბუზისგან სპილოს წარმოჩენა“. ეგ ერთი და მეორეც, უფრო საწყენი და შეურაცხმყოფელი არ არის, როცა ხელოვნურად აგებ? – უთხრა ვახტანგმა და ლენოც დაეთანხმა.

...

მეორე დღეს შემახაში ჩავიდნენ, შეუდგნენ საქმეს და იქ რაც აღმოაჩინეს, სასწაულის ტოლფასი იყო: ყურძნის ბუნებრივი შაქრიანობის დონე 29-30%-ს შეადგენდა.

ვინმესთვის რომ გეკითხათ: აზერბაიჯანში

ყურძენს რამდენი აქვს შაქრიანობაო: „ჰა-ჰა 20 პროცენტიო“ – გეტყოდნენ, ყოველ შემთხვევაში ასე იცოდა გლეხმაც და მინისტრმაც, ასე აბარებდნენ ყურძენს და ასე აფიქსირებდნენ დოკუმენტურად. მხოლოდ „თითო-ოროლა“ საქმოსანმა იცოდა, რომ იქაური ყურძნის ბუნებრივი შაქრიანობით მილიონების გაკეთება შეიძლებოდა: ბუნება მისცემდა ოცდაათ პროცენტიან ყურძენს, დაამატებდნენ წყალს, აქცევდნენ ოცპროცენტიანად და ამ ფოკუს-მოკუსით წყალ-წყალა ღვინოს ფულიც უხვად მოჰქონდა და გეგმაც იოლად სრულდებოდა.

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა „თითო-ოროლა“ საქმოსანი, როცა შეიტყობდა, რომ მათი საიდუმლო შეიტყო ორმა ქართველმა, რომლებიც ავტომატური აპარატურით ზომავდნენ ყურძნის ხარისხს, შაქრიანობას და წონას.

ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად – ღამით, როცა ჩვენი ქართველი ექსპერტები განაგრძობდნენ თავიანთი ჯადოსნური აპარატის დემონსტრირებას, მათ ესტუმრნენ უცხო პირები და პირქუშად, კბილების კრაჭუნით უთხრეს: „აქედან წაეთრიეთო!“.

– სად უდნა წავიდეთ, სახელმწიფო დავალებას ვასრულებთ, – ომახიანად მიმართა ვახტანგმა.

– წადით აქედან! – კვლავ გაუმეორეს დამტვრეული რუსულით.

– არსადაც არ წავალთ! – უპასუხა ვახტანგმა.

– მოგკლავთ! – თითქმის ერთხმად უთხრეს და ერთ-ერთმა ცეცხლსასროლი იარაღიც გააჩხაკუნა.

– რა ვქნათ? – ქართულად გადაულაპარაკა ვახტანგმა ლენოს.

– არ ვიცი, – უპასუხა დაბნეულმა ლეონიდემ.

– კარგით, ამაღამ ვიფიქრებთ და დილით გეტყვით საბოლოო პასუხს, – უთხრა ვახტანგმა და ჩაცხრო ძარღვებდაბერილი ბობოლები.

მეორე დილით ფოსტაში გაიქცა ვახტანგი და თავის დირექტორთან დარეკა, მდგომარეობა მოახსენა და „როგორ მოვიქცეთო?“ – ჰკითხა.

– ოხ, მაგათი მაფიოზა დედა ვატირეო! – გაბრაზებულა ხარატიშვილი და ერთი საათი მაცალეო, – უთქვამს ვახტანგისთვის.

მერე მოხდა, რაც მოხდა:

ხარატიშვილს თავის მძახალისთვის, საქართველოს ცეკას პირველი მდივნისთვის, ვასილ მჟავანაძისთვის დაურეკია, ვასილ მჟავანაძემ აზერბაიჯანის ცკ პირველ მდივანს დაურეკა და საღამო ხანს, როცა „წესით და რიგით“ ქართველ ექსპერტებს უნდა დაეტოვებინათ იქაურობა ან მათ გვამებს გაიტანდნენ, მოხდა ისე, რომ ბობოლა მაფიოზები თავჩაქინდრულები ეახლნენ ვახტანგ ჭანკოტაძეს და გვაპატიეო – შეეხვეწნენ.

მივლინებით გურიაში

1965 წელი.

გორის კვლევით ინსტიტუტს დავალება მისცა სამინისტრომ – ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკაში გაეგზავნა მკვლევართა ჯგუფი, რომელიც დაეხმარებოდა ფაბრიკას თბური პროცესების რეგულირებაში.

კერძოდ, პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ თბური პროცესების რეგულირება მინდობილი ჰქონდა ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც თერმომეტრის მეშვეობით აკონტროლებდა ამ პროცესს

და მოუმატებდა ან დააკლებდა ტემპერატურას საჭ-
იროების მიხედვით, მაგრამ საკმარისია ჩასძინებო-
და, – ტემპერატურა ან მაღლა გაიქცეოდა, ან და-
ვარდებოდა და პროდუქცია ფუჭდებოდა.

მოკლედ, ადამიანური კონტროლი უნდა გადაე-
ბარებინა ავტომატიკას, სწორედ ავტომატიზაცი-
ის მეშვეობით თბური პროცესების რეგულირება
გახლდათ მიზან-ამოცანა, რისთვისაც გაემართა
ლანჩხუთისკენ გორის კვლევითი ინსტიტუტის ხუთ-
კაციანი ჯგუფი ვახტანგ ჭანკოტაძის ხელმძღვანე-
ლობით.

ვახტანგს ვახტანგი დახვდა ჩაის ფაბრიკის დი-
რექტორად და ჩამოყალიბდა ვახტანგური მეგობრობა.

დირექტორმა ბრძანება გასცა თანამშრომლების
საყურადღებოდ, რომ ყველას ყველანაირი ხე-
ლშეწყობა და დახმარება უნდა გაეწია კვლევითი
ისტიტუტის წარმომადგენლებისთვის, რათა მათ
ეფექტურად და ეფექტიანად ეწარმოებინათ თავიან-
თი საქმიანობა.

ასეთმა უნიკალურმა პირობებმა საუკეთესო წინა-
პირობა შეუქმნა ვახტანგ ჭანკოტაძეს, რომ გარდა
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, საკუ-
თარ სადისერტაციო ნაშრომზეც ემუშავა.

სამი თვის მუშაობის შემდეგ დადგა კომისიური
შემოწმების დრო.

მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო სამინისტროს
წარმომადგენელი, ჯერ მას უნდა ენახა შესრულე-
ბული სამუშაო და შემდეგ ჩამოვიდოდა კომისია,
რომელიც დეტალურად შეაფასებდა შესრულებულ
სამუშაოს.

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა დაურეკა
ვახტანგ ჭანკოტაძეს და აცნობა, რომ მოსკოვი-ბა-

თუმის მატარებელს მოჰყვებოდა სამინისტროს წარმომადგენელი, რომ მეორე დღისთვის იქნებოდა ლანჩხუთში და „აბა, შენი ჭირიმე, არ შემარცხვინო, დახვდი და მიხედე, როგორც გვეკადრებაო“.

„ნუ ღელავთ, ლევან ნიკალაევიჩ, ყველაფერი წესრიგში იქნებაო“ – დააიმედა ვახტანგმა და მართლაც დახვდა მოსკოვი-ბათუმის მატარებელს. იცოდა, რომელი ვაგონითაც მგზავრობდა საპატიო სტუმარი და დადგა იმ ვაგონის წინ, მაგრამ არავინ ჩამოვიდა ერთი გოგოს გარდა.

ქალი კიდევ ჰო, მაგრამ გოგოს როგორ წარმოიდგენდა წარმომადგენლის როლში? ამიტომ ყურადღება არ მიაქცია, სანამ მატარებელი არ დაიძრა, მერედა მივიდა და ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა:

– უკაცრავად, თქვენ სამინისტროს წარმომადგენელი ხომ არ ბრძანდებითო.

– „დიახ!“ – უპასუხა გოგონამ და ისეთი ღიმილი ესროლა მასპინძელს, რომ ვახტანგს მუხლები მოეკეცა.

(ქალის ზედმეტი სილამაზე, მით უფრო ღიმილით აალებული, ნებისმიერ ცეცხლსასროლ იარაღზე საშიშია მამაკაცისთვის).

– ვახტანგი მქვია და თქვენი დახვედრა მე დამევალაო – საქმიანი ტონით და სიტყვებით შეეცადა მოეგერიებინა ქალისგან უნებურად ნატყორცნი ვნებათაღელვა.

– ნატაშა, – უთხრა გოგონამ და ხელი გაუწოდა მასპინძელს.

სტუმარი აშკარად უკონტროლოდ ატარებდა იმ იარაღს, რასაც ქალის სილამაზე ჰქვია. სულ ავიწყდებოდა, რომ სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი იყო და შესაბამისად, მეტი ოფიციალ-

ურობა ჰმართებდა, ანუ „ქარქაშით“ უნდა ეტარებინა თავისი სილამაზე.

ვახტანგს სასტუმრო უნდა მოენახა საპატიო სტუმრისთვის, ეზრუნა მის კვება-დასვენებაზე და შემდეგ მიეყვანა ჩაის ფაბრიკაში, შესრულებული სამუშაოს გასაცნობად.

აჭარულ ხაჭაპურზე დაპატიჟა, თანხმობა მიიღო და იქვე, სადგურის რესტორანში შევიდნენ. დასხდნენ, შეუკვეთეს და მოლოდინის პროცესში ვახტანგს იდეა გაუჩნდა, ბოდიში მოუხადა ნატაშას, „ორი წუთით დაგტოვებთო“ – უთხრა, სასწრაფოდ გაემართა იდეის აღსრულებისთვის. გავიდა რესტორნიდან, იყიდა ყვავილების თაიგული, დაბრუნდა და რას ხედავს: ვიღაც ქართველი კაცი მიმჯდარა ნატაშასთან და ეჭუკჭუკება, „ანკესებს“ ისვრის, იქნებ წამოვაგო ეს „ოქროს თევზიო“ – ფიქრობდა და სახეგადაფხრეწილ ღიმილის მიღმა მშიერი მხეცივით იმზირებოდა.

კაცისთვის არაფერი უთქვამს ვახტანგს, ნატაშას ჰკითხა ეს ადამიანი ვინ არის, შენი ნაცნობიაო? – და უარი რომ მიიღო, მერეღა ჰკითხა კაცს ქართულად.

– რა გნებავთ, იცნობთ ამ ქალბატონს? იგი ოფიციალური სტუმარია სამინისტროდან, – ამ სიტყვებით ანიშნა, რომ დისტანცია დაეჭირა და რეპუტაციას გაფრთხილებოდა.

– არაფერი... მოწყენილი იჯდა... ვიფიქრე, სტუმარია და გავართობ-მეთქი, – უთხრა კაცმა და დატოვა მაგიდა, მერე ისევ მოტრიალდა და ვახტანგს ჰკითხა:

– მოიცა, შენ გორელი არ ხარ?

– გორის კვლევითი ინსტიტუტიდან ვარ, – დაუკონკრეტა ვახტანგმა ოფიციალური ტონით.

– მე ნოშრევანი ვარ, ნარიაშვილი, ყოფილი ფეხბურთელი გორის „დილადან“.

– სასიამოვნოა, – ღიმილით უთხრა ვახტანგმა და დაემშვიდობა თანამოქალაქეს.

ვახტანგმა უმასპინძლა საპატიო სტუმარს, სასტუმროშიც დააბინავა, მაგრამ მიხვდა, რომ მეტი პასუხისმგებლობა უნდა აეღო საკუთარ თავზე. სტუმარი ქალის სილამაზემ მონადირის ინსტიქტები აღძრა ლანჩხუთელ მამაკაცებში და ვახტანგი იძულებული გახდა ნატაშას პირადი მცველის როლი შეესრულებინა, რომ შარისა და სირცხვილისაგან ეხსნა ქართული მასპინძლობა.

ისევ ფეხბურთი...

(ლანჩხუთის ფაბრიკაში მივლინების დროს)

ლანჩხუთელებმა შესთავაზეს გორელებს: „მოდით, ფეხბურთი ვითამაშოთო“. აბა, მასპინძლებს ხომ არ გაანაწყენებდნენ, დათანხმდნენ და შედგა მატჩი.

გორის კვლევითი ინსტიტუტი შეერკინა ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის ფეხბურთელებს ეზოში მდებარე კალათბურთის მოედანზე.

ამ „ისტორიულ“ შეხვედრას 25 ლანჩხუთელი მაყურებელი ადევნებდა თვალს და გული ეთუთქებოდათ სირცხვილისგან.

მასპინძლები საკუთარ მოედანზე აგებდნენ სტუმრებთან. წაგებაცაა და წაგებაც! ერთი საწყალი საპასუხო ბურთი ძლივს გაიტანეს ლანჩხუთელებმა და დასრულდა მატჩი ასეთი შედეგით – 21:1.

ორი ტაიმის შემდეგ თამაშის გაგრძელება ისურვეს მასპინძლებმა და ხომ არ გაანაწყენებდნენ

სტუმრები, დათანხმდნენ გორელები და თვალები დახუჭეს გურულ ეშმაკობაზე – ლანჩხუთელებმა 5 მოთამაშიდან 4 გამოცვალეს და ასე მოინდომეს თამაშით დაქანცული გორელების დამარცხება.

გორელებმა მართალია ვეღარ გაიმეორეს ძველებური შედეგი, მაგრამ მაინც მოიგეს თამაში ანგარიშით – 12:0.

„მესამე და ხელმართალიო!“ – თქვეს გურულებმა და ამაზეც დათანხმდნენ გორელები.

მასპინძლებმა სასწრაფოდ აფრინეს კაცი რესტორანში. თურმე იქ ლანჩხუთის „გურიის“ პროფესიონალი ფეხბურთელები ქეიფობდნენ.

„ბიჭებო, თქვენი ჭირიმეთ, მარტო ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკას კი არა, მთელ გურიას გვეჭრება თავი სირცხვილისაგან... თქვენ უნდა გვიშველოთო!“ – გადასცა მსტოვარმა დანაბარები და შეზარხოშებული ფეხბურთელებიც „საომრად“ განეწყვნენ.

„აი, ძამია, აგრე ვერ იქნება! ამხელა პროფესიონალმა ფეხბურთელებმა რო თქვენთან ვითამაშოთ, რაცხა სარგებელი უნდა გვქონდეს, ჰოდაა! ვინც წააგებს, პურ-მარილი იკისროს, მოსულაა?!“ – გამომწვევი წინადადება შესთავაზეს გორელ დილეტანტებს პროფესიონალმა სპორტსმენებმა და ვახტანგ ჭანკტაძემ უსიტყვოდ, თანხმობის ნიშნად ხელი-ხელზე დასცხო გურულების „ვარსკვლავს“.

დაიწყეს თამაში და პირველივე წუთებში სამი უპასუხო გოლი რომ მიიღეს გურულებმა, მიხვდნენ, ცუდად იყო საქმე, მთვრალები ფხიზლებს ვერ მოუგებდნენ და უარესი: შეიძლება ისეთი ანგარიშით წაეგოთ, საქვეყნოდ შეირცხვენდნენ თავს.

დაყარეს ფარ-ხმალი და შუა თამაშში დატოვეს მოედანი.

არ გასულა 15 წუთი და მანქანა მოადგა სათამაშო მოედანს, გადმოვიდა ნოშრევან ნარიაშვილი, გორის „დილას“ ყოფილი ფეხბურთელი.

მივიდა გაფითრებული ნოშრევანი გორელებთან და უთხრა: „არა გრცხვენიათ, ბიჭებო, ეგ რა უყავით ლანჩხუთელებსო?“

– აბა, რა გვექნა, ხომ არ წამოვუწვებოდითო – თავი იმართლეს გორელებმა.

– ნოშრევან, შენ ხარ? – ერთ-ერთმა გორელმა იცნო ნოშრევანი.

– მე ვარ, თქვენ ვინა ხართ?

– გორელები ვართ, კვლევითი ინსტიტუტიდან, შენ აქ რას აკეთებო, – იკითხა სტუმარმა.

– ლანჩხუთის „გურიის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ვარ.

ვახ, ბოდიშს გიხდით, თუ რამე გაწყენინეთო! – ხელები ასწიეს გორელებმა.

– როგორ გეკადრებათ, წავედით, პურ-მარილზე გეპატიჟებითო.

კარგი დრო გაატარეს რესტორანში. ბევრი იცინეს, იმღერეს, მოილხინეს.

მეორე დილით (კვირა დღეს) ვახტანგს ეწვივნენ საერთო საცხოვრებელში და სთხოვეს წასულიყვნენ დილის არაყზე ცნობილ სახინკლეში.

გურულებმა, ამჯერად, თამადობა შესთავაზეს ვახტანგს. ცოტა იუხერხულა ვახტანგმა და მორიდებით და მორცხვობით წამოიწყო ე.წ. „საარაყე სადღეგრძელოები“.

„ამ ჭიქით იმას გაუმარჯოს, ვისაც მოუცია და არ დაუყვედრებია!“

„აი აბდალი, რაებს ბჟუტურებსო?“ – უკითხავს ერთ გურულს მეორისთვის, მაგრამ... თავი შეიკავეს, გაატარეს და შესვეს სადღეგრძელო.

ვახტანგმა მეორე ჭიქა ასწია და თქვა:

„ახლა იმას გაუმარჯოს, ვისაც თავის ხელით გაუსწორებიაო!“

„აი, გამაგიჟებს მე!“ – წამოენთო ჟღალწვერა გურული და მაგიდას დასცხო ხელი, – „რაებს ბოდავ, რომ ბოდავ?! შენ ვინცხა აბდლები ხომ არ გგონივართო!“ – გაიწია.

– მეგობრებო, დამშვიდდით და ეხლავე აგიხსნით რა სიბრძნე დევს თითოეულ ამ სადღეგრძელოს მიღმა, – უთხრა ვახტანგმა და შეუდგა განმარტებას.

„პირველი ჭიქით ის ვადღეგრძელე, ვისაც სიკეთე გაუკეთებია ჩვენთვის და არ დაუყვედრებია. მეორე ჭიქით კი იმის სადღეგრძელო შევსვით, ვისაც პატრონი არ ჰყოლია და საკუთარი შრომა-ჯაფით გაუსწორებია და გაუკვალავს თავის გზა-კვალი“ – ვახტანგის ახსნა-განმარტებებმა განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია თანამესუფრეთა შორის და ერთხმად სთხოვეს თამადას – „ისევ ეგეთი სადღეგრძელოები მოგვაყარეო“.

თეატრის სცენაზე

გორის საწარმო დაწესებულებების შემოქმედებითი ოლიმპიადა ტარდებოდა. კვლევითი ინსტიტუტიც ჩაება ამ ფერხულში, მოიძიეს შემოქმედი თანამშრომლები და „მიაგნეს“ ვახტანგ ჭანკოტაძეს, მოუსმინეს, მოიწონეს და თავის გიტარიანად გორის თეატრის სცენაზე ამოაყოფინეს თავი.

დგას კულისებში ვახტანგი და ნერვიულობს. პირველად ხომ არ გამოდის სცენაზე, ბავშვობიდან გასტროლებსა და სცენებს შეჩვეული იყო, მაგრამ

ახლა, აქ და ამჟამად ღელვამ შეიპყრო ხალხით გადაჭედილი თეატრის დარბაზი რომ იხილა.

წამყვანი აცხადებს:

„ეხლა, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ კახელი ბიჭი ვახტანგ ჭანკოტაძე, იგი სულ ერთი წელია, რაც ჩამოვიდა გორში და როგორც გორის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი, დღეს თქვენს წინაშე წარსდგება ოთარ რამიშვილის სიმღერით.

წამყვანის წარდგენის შემდეგ ვახტანგი სცენის ცენტრში უნდა გასულიყო, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა, წინ ვერ დგამდა ნაბიჯს.

„მიდი, ბიჭო!“ – უკნიდან ხელით უბიძგა ჩეკო ტატალაშვილმა (მომავალში სახალხო არტისტი), თან ყურში ჩასჩურჩულებს: „ნუ ღელავ, ხალხი შენს სიმღერას ელოდება, მიდი!“

რამდენიმე ნაბიჯი კი გადადგა ვახტანგმა, მაგრამ ცენტრამდე მისვლა მაინც ვერ შეძლო.

„ეხ შენ რა გითხარიო!“ – წაიბურტყუნა ჩეკომ, მკლავში ხელი გაუყარა ვახტანგს და ერთად გასწიეს სცენის ცენტრისკენ.

იგრიალა ტაშმა და ვახტანგს ეუხერხულა, რატომღაც ბავშვობის დროინდელი ამბავი გაახსენდა: თელავის თეატრში ხალხი შეკრებულიყო. რაიკომის ახალი პირველი მდივანი უნდა წარედგინათ. წამყვანმა გამოაცხადა: ამხანაგი ბადურაშვილი დაინიშნა თელავის რაიკომის პირველ მდივნადო და იგრიალა ტაშმა.

(ნინი ბადურაშვილი რომ არის, ცნობილი მომღერალი, იმის პაპა გახლდათ ეს პატიოსანი კაცი).

ამ გაუთავებელი ტაშის მერე გამოსულა სიტყვით ამხანაგი ბადურაშვილი და ბრაზით მიუმართავს ხალხისთვის: რომელიმე თქვენთაგანი თუ მეტყვის,

რისთვის დამიკრა ტაში? რამე გამიკეთებია თქვენთვის?! რით დავიმსახურე თქვენი ოვაცია და მოწონებაო?!“

ლამის იგივე სიტყვებით მიმართა ვახტანგმა მაყურებელს ავანსად დაკრული ტაშისთვის, მაგრამ თავი შეიკავა და დაკრული ტაშის პასუხად გიტარა დაუკრა, ზედ რამიშვილის სიმღერა მიაყოლა ოსტატურად და დასასრულს დამსახურებული ოვაციებიც მიიღო მაყურებლისგან.

ეს მოხდა 1959 წელს, ხოლო 2019 წელს, ზემოხსენებული ოლიმპიადიდან 60 წლის შემდეგ, გიორგი საძაგლიშვილმა დაურეკა ბატონ ვახტანგს და აცნობა: „რადიოს ოქროს ფონდში თქვენი სიმღერა აღმოვაჩინე, ოლიმპიადაზე რომ იმღერეო“.

გორის თეატრის სცენაზე გამოსვლა სხვა მხრივაც იღბლიანი აღმოჩნდა: ვახტანგი გაიცნო და შეიყვარა გორის მოსახლეობამ. ჩუმჩუმად ასეთი ჭორიც დადიოდა: „კვლევით ინსტიტუტში სულ უსაქმურები სხედან, ერთადერთი ნორმალური კაცი ის კახელი ბიჭია – გიტარაზე რომ უკრავს და მღერისო“.

დასვენების დღეს

ზოგჯერ არაფრის კეთებაც სიკეთეა, როცა საქმით და საზრუნავით გადაღლილი გონება დასვენებას გთხოვს.

იდგა სადარბაზოს შესასვლელთან და ტროტუარზე გამვლელებს უყურებდა. ერთი ხანშიშესული კაცის სახემ მიიქცია მისი ყურადღება. ძალიან სევდიანი თვალები ჰქონდა, წლებისა და სევდის სიმ-

რავლისგან წელში მოხრილიყო და ისე მოაბიჯებდა, როგორც ჟღერს ფრაზა: „ეჰ, რას იზამ“.

კაცმა ჩაიარა ტროტუარზე და ვახტანგმა თვალი გააყოლა, თან სინანულით გაიფიქრა: „უსათუოდ რაღაც უჭირს, რატომ არ გამოველაპარაკეო“.

ნახევარ საათში იმავე გზაზე ამოიარა სევდიანმა კაცმა და ვახტანგმა კვლავ ვერ გაბედა გამოლაპარაკებოდა. მხოლოდ თვალი გააყოლა მის წონასწორობადარღვეულ სიარულს.

„ნეტავ, რა აწუხებს?!“ – ფიქრობდა ვახტანგი და სიგარეტის კვამლს ღრმად ისრუტავდა.

ცოტა ხანში კაცმა ისევ ჩამოიარა, მოაბიჯებდა ნელა, უღონოდ, უსიხარულოდ.

„უკაცრავად, შეიძლება ერთი წუთით მომისმინოთ?“ – მორიდებით მიმართა ვახტანგმა და ოდნავ უკან დაიხია.

– რა გნებავთ? – ძლივს ამოღერღა მოხუცმა და თვალი შეავლო ვახტანგს.

– თქვენ უკვე სამჯერ აიარეთ და ჩაიარეთ ამ ტროტუარაზე, აშკარად რაღაცა გაწუხებთ, იქნებ შემიძლია დაგეხმაროთ, მითხარით, ნუ მოგერიდებათ, – უთხრა ვახტანგმა და თანაგრძნობის ნიშნად გულზე მიიდო ხელი.

– ეხ, შვილო, მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ეს ის მდგომარეობაა, როცა ვერავინ ვერაფერში დამეხმარება და ვერც მიშველის...

– რატომ?!.

– იმიტომ, რომ ჩემი სატკივარი სიცარიელეშია. ჩემთვის დაცარიელდა ეს ქალაქი, დავდივარ და ვეღარ ვპოულობ ჩემი თაობის ნაცნობს, ახლობელს, მეგობარს... რომ დაველაპარაკო, დარდი და სიხარული გავუზიარო...

– ჩემთან მობრძანდით, ბატონო, აქვე ვცხოვრობ, გეპატიჟებით. ღვთის წყალობით პურ-ღვინო და თბილი გული ყოველთვის გვაქვს სტუმრისთვის – კი შესთავაზა ვახტანგმა, მაგრამ უარი უთხრა სევდიანმა კაცმა. როგორც ჩანს, შვილის ტოლა კაცთან მეგობრობა უდღეურ პერსპექტივად ჩათვალა, მადლობა გადაუხადა და განაგრძო გზა იმ განწყობით, რაც დევს ფრაზაში: „ეჰ, რას იზამ!“.

დისერტაცია

კვლევით ინსტიტუტში მრავალწლიანი შრომის, დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების შემდეგ ვახტანგს გაუჩნდა სურვილი დაეწერა დისერტაცია.

სადისერტაციო თემაზე მუშაობისას ხელმძღვანელი სჭირდებოდა. იფიქრა, იმსჯელა, ვინ გამოადგებოდა და ისევ ალექსანდრე კაკალაშვილს მიადგა.

ამ დროს ბატონი ალექსანდრე უკვე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი იყო, მაგრამ კვლევით ინსტიტუტში აღარ მუშაობდა.

– რა თემა აირჩიე? – ჰკითხა ალექსანდრემ.

– „პარალელურად მომუშავე ჩაის საღნობი აგრეგატების თბური პროცესების რეგულირება“ – უთხრა ვახტანგმა და პრობლემაზე დაუწყო საუბარი, რამაც აღუძრა სურვილი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს სადისერტაციო შრომა მიეძღვნა, რისი პრაქტიკაში დანერგვა შემდგომში სიკეთესა და სარგებელს მისცემდა წარმოებას.

(ცნობისთვის: ვახტანგ ჭანკოტაძის სადისერტაციო ნაშრომი შემდგომში ექვს ფაბრიკაში დაინერ-

გა და მნიშვნელოვანი სარგებელი მისცა ჩაის წარ-
მოებას).

– მაშ, შენ გინდა განახორციელო ჩაის ღნობის
პროცესის ავტომატური მართვა?

– დიახ, ალექსანდრ ნიკალაევიჩ.

– ვფიქრობ, სრულიად საკმარისია დისერტაცი-
ისთვის.

– დიახ, ნიკალაევიჩ, მოგეხსენებათ, ადრე სამი
საღნობი მანქანა ცალ-ცალკე მუშაობდა, ბოლო
დროს გააერთიანეს და აღარ არის საშუალება
ცალ-ცალკე აკონტროლო მუშაობის პროცესი.

– კი, გართულდა პროცესი.

– ჰოდა, მე მინდა გავამარტივო მართვა.

– კარგია! დაიწყე და შენთან ვარ, – დააიმედა
მეცნიერ-ხელმძღვანელმა და ვახტანგ ჭანკოტაძემაც
წარმატებიც დაასრულა დისერტაციის წერა.

ახლა ჯერი დაცვაზე მიდგა.

იმ დროისთვის ახალი დაცული ჰქონდა დისერტ-
აცია იოსებ კრიხელს და მას სთხოვა კონსულტა-
ცია ვახტანგმა.

– იოსებ, ნიუანსები მითხარი, რა რის მერეა, რო-
გორ უნდა მოვიქცე.

– გეტყვი, ძმაო, ყველაფერს გეტყვი, მაგრამ ჯერ
უმთავრესი უნდა გითხრა.

– აბა, გისმენ.

– საბჭოში სამი წევრია „გამორჩეული“, სამივე
ერთმანეთზე უარესია. სულ ბოროტობით, ანუ ნეგა-
ტიური კრიტიკისადმი არიან მიდრეკილები და მზად
არიან ბუზი სპილოდ წარმოაჩინონ, რომ ჩააგდონ
დისერტანტი, გააფუჭონ, სიცოცხლე გაუმწარონ.

– რატომ?! – აღშფოთდა ვახო.

– ეგეთები არიან, რას იზამ, ყველა მფარველი

ანგელოზი ხომ არ იქნება?!

– რა ვქნა, იოსებ?! – მღელვარება მოემატა ვახტანგს.

– თანაც, ბიჭო, შეიძლება ისეთი შეკითხვა დაგისვან, საერთოდ რომ არ ეკუთვნის თემას, დაგაბნევენ, გაგანერვიულებენ, რომ მერე იმ კითხვასაც ვეღარ უპასუხებ, რისი პასუხიც მანამდე იცოდი, – ცეცხლზე ნავთი მიასხა იოსებმა, მერე დაამშვიდა ნერვებაწეწილი ვახტანგი და უთხრა:

– თემის წარდგენას და ძირითად მოხსენებას რომ დაასრულებ, თავმჯდომარე გეტყვის: „ხომ არაფერი გსურს დაამატო, სანამ კამათი დაიწყებოდეს?“ – და აი, აქ უნდა ივაჭკაცო, თვითკრიტიკით უნდა ჩაუხშო ბოროტი ზრახვები იმ სამეულს, რომლებიც მუდამ ერთად სხედან პირველ რიგში, ცხვირწინ.

ასეც მოიქცა ვახტანგი: წარმატებულად წარმოადგინა თავისი სადისერტაციო ნამუშევარი და როგორც კი თავმჯდომარემ მიმართა – „რამეს ხომ არ დაამეტებდითო“, ვახტანგმა დაიწყო:

„...სხვათა შორის, დისერტაციაზე მუშაობის დროს შევამჩნიე, რომ ამ ფორმულაში ჯობდა დამემატებინა ერთი კოეფიციენტი... შეიძლებოდა ექსპერიმენტიც ჩამეტარებინა, რაც კიდევ უფრო გაამყარებდა პრობლემის გადაწყვეტის მართებულობას...“

ვახტანგმა თვითკრიტიკის ისეთი ქარცეცხლი დაატრიალა, რომ სათქმელი აღარ დაუტოვა გულბოროტ ოპონენტებს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე: „კითხვები, მოსაზრებები ხომ არ გაქვთო?“ ხმა არავის ამოუღია. „ცნობილი“ ოპონენტებიც მდუმარედ, შუბლშეკრულნი ისხდნენ და მაგიდაზე თითებს აკაკუნებდნენ.

...

პასუხმა ძალიან დაიგვიანა.

საკავშირო სადისერტაციო კომისია ორ-სამ კვირაში ამტკიცებდა დისერტაციის დაცვას და აგზავნიდა მეცნიერებათა კანდიდატის მოწმობას.

გავიდა ერთი თვე, თვენახევარი და მოსკოვიდან არაფერი ისმის.

ვახტანგმა ნერვიულობასა და უძილო ღამეებს ვეღარ გაუძლო, დირექტორთან შევიდა და მივლინება სთხოვა.

„თან ჩვენი ინსტიტუტის საქმეებსაც გავაკეთებ და ჩემს საქმესაც მივხედავო“, – უთხრა და თანხმობა მიიღო.

წავიდა, ჩავიდა და რა ნახა:

თურმე, იმ სამეულს საჩივრები გაუგზავნიათ, ითხოვდნენ – დისერტაცია არ დაუმტკიცოთ, ამიტომ და იმიტომო...

ყველაზე სასაცილო თუ სატირალი ის იყო, რომ დისერტაციის დაცვის ბოლოს, თვითკრიტიკაში რა საკითხებზეც ისაუბრა დისერტანტმა, იმ ფრაზებს იშველიებდნენ.

„ეს ხომ მე ვთქვიო?!“ – გაოცდა ვახტანგი.

„თუ თქვი, დაგვიმტკიცეო“ – უთქვამთ მოსკოველებს.

ვახტანგი დაბრუნდა საქართველოში, მოიძია ოქმი, გაუგზავნა სადისერტაციო კომისიას მოსკოვში და, როგორც იქნა, ექვსი თვის დაგვიანებით ჩამოუვიდა მოწმობა, რომელიც ადასტურებდა, რომ ვახტანგ ჭანკოტაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ნაჩუქარი დღეები

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ყოფილი თანაკურსელები, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის კიბეებთან.

ესეც ვახტანგ ჭანკოტაძის იდეა იყო და „ხმათა უმრავლესობით“ არა მხოლოდ მოწონებულ იქნა, არამედ ულაპარაკოდ და უწყვეტად სრულდებოდა მრავალი წლის განმავლობაში.

იმ დღესაც შეიკრიბნენ.

იბედნიერეს ერთმანეთის ხილვით.

გაიხსენეს სტუდენტობის ნათელი ეპიზოდები.

მიშა კუკულაძე არ გამოჩნდა და ამაზე ინერვიულეს (ეს ის მიშა კუკულაძეა, პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელთან ერთადაც მოუწიათ ლენინგრადში პრაქტიკის გავლა სამი თვის განმავლობაში).

შევიდნენ იმ აუდიტორიაში, სადაც მრავალი წლის წინ სწავლობდნენ.

დასხდნენ სწორედ იქ და ისე, როგორც ისხდნენ თავის დროზე.

ცრემლნარევ ღიმილს სევდაც ახლდა განუმეორებელი სტუდენტობის წლებისა, რომელიც აღარასოდეს განმეორდებოდა.

„აბა, ახლა წავედით ბუდაპეშტში!“ – ვახტანგმა შესძახა ჩაფიქრებულ თანაკურსელებს და ყველა ხმაურით წამოიშალა.

„ბუდეპეშტი“ რესტორანი იყო, რომელიც ვაკის პარკთან მდებარეობდა და, ტრადიციულად, აქ აღინიშნებოდა ჩვენი გმირების ხუთწლიანი შეხვედრების მეორე განყოფილებები.

ვახტანგს გულმა რეჩხი უყო და ხალისი დაუკარგა, როცა გაიგო მიშა კუკულაძის არმოსვლის მიზეზი.

„ავად ყოფილაო“, – ვიღაცამ თქვა.

ეს კიდევ არაფერი – „ლოგინად არის ჩავარდნილიო“ – დასძინა მეორემ და ყველამ მოიწყინა.

„კარგით! ტრადიციას ნუ დავარღვევთ, წადით, მეგობრებო, რესტორანში და მეც მალე შემოგიერთდებით!“ – უთხრა ვახტანგმა თანაკურსელებს.

„შენ?!“ – თითქმის ერთხმად შესძახეს მეგობრებმა.

„მე რომ მიშა კუკულაძე არ ვნახო, ვერ მოვისვენებ, მაპატიეთ... პირობას გაძლევთ, რომ შემოგიერთდებით!“ – უთხრა ვახომ და დროებით დაემშვიდობა თანაკურსელებს.

მიშა მართლაც მწოლიარე დახვდა. ძალიან გაუხარდა ვახტანგის დანახვა.

„დღეს შეხვედრის დღეაო“, – შეახსენა ვახომ.

„ვიცი, მახსოვს და ძალიანაც ვნერვიულობ, რომ თქვენს გვერდით ვერ ვარო“, – ოხვრით წარმოთქვა მიშამ.

„არა უშავს, მომავალ შეხვედრაზე ხომ შემოგვიერთდებიო!“ – გაამხნევა ვახომ.

„ეხ, ცუდი რამ მჭირს, ჩემო ვახტანგ, ცუდი რამ...“ – კვლავ ამოიოხრა მიშამ და ნაძალადევად გაუღიმა ძვირფას სტუმარს.

იცოდა ვახტანგმა, რაც სჭირდა უფროს მეგობარს. ისიც იცოდა, უფრო სწორედ, გული უგრძნობდა, რომ აღარ შედგებოდა ის მომავალი შეხვედრა მიშასთან ერთად.

„იცი, ვახტანგ, როგორ გამახარე შენი მოსვლით“ – უთხრა მიშამ და ავადმყოფობისგან დაუძლურე-

ბული ხელი გაუწოდა ძველ მეგობარს.

„ვიცი“ – უთხრა ვახომ და თავი დაუქნია.

„არა, არ იცი! აბა, შენ საიდან გეცოდინება, რა ხდება ჩემში, მე კი გეტყვი, რომ ჩემში კარგა ხანია სიკვდილი ებრძვის სიცოცხლეს, თითქმის დაჯაბნა კიდეც და შემიმოკლა წუთისოფელი“.

„მიშა...“ – რაღაც სანუგეშო სურდა ეთქვა ვახოს, მაგრამ შეაჩერა ავადმყოფმა და განაგრძო:

„...არა, არ გეგონოს ვწუწუნებდე და ვწუხდე, პირიქით, ახლა და ამჟამად ბედნიერი ვარ შენი მოსვლით. ის ბედნიერება და სიყვარული ვიგრძენი, რომლითაც სიცოცხლემ სძლია სიკვდილს. გესმის?! ახლა, აქ და ამჟამად, შენი მოსვლით გამიხანგრძლივდა სიცოცხლე. მადლობა ამისთვის, ვახტანგ!“

„მიშა...“

„არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცოცხლებ, მაგრამ, როცა შენ შეიტყობ ჩემი გარდაცვალების ამბავს, გჯეროდეს, რომ ბევრად ადრე გარდავიცვლებოდი, შენ რომ დღეს არ მოსულიყავი ჩემთან“.

„გინდა, დავრჩები დღეს შენთან?“ – უთხრა ვახომ და გვერდით ჩამოუჯდა.

„აბა, აბა! როგორ გეკადრება!.. არავითარ შემთხვევაში!“ – წარბები შეკრა მიშამ. მერე სთხოვა ვახოს კალამი და ფურცელი აეღო, სადღეგრძელო უკარნახა, ჩააწერინა და სთხოვა: „ახლა წადი რესტორანში და განსხვავებული ფიალით ეს სადღეგრძელო შესვი ჩემს მაგივრადო“.

ვახტანგმა შეუსრულა თხოვნა.

მეცნიერება წარმოებას!

„მეცნიერება წარმოებას!“ – ასეთი ლოზუნგი ისროლა კომუნისტურმა პარტიამ და დაიწყო კადრების ძებნა. დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად, ხელმძღვანელებად ნიშნავდნენ მეცნიერ-მუშაკებს იმ განზრახვითა და მიზნით, რომ მათ მსოფლიო მეცნიერული სიახლეები შეეტანათ წარმოებაში.

მოდიოდა სიგნალები და მოწოდებები; იწერებოდა წიგნები, იღებდნენ დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს ამ თემაზე; მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა იდეამ, რომ წარმოებებში მეცნიერების მობილიზება მომხდარიყო.

ამ დროს ვახტანგ ჭანკოტაძე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია და კვლევით ინსტიტუტში ოცწლიანი მუშაობის სტაჟთან ერთად, დიდი ავტორიტეტიც აქვს მოხვეჭილი.

ვახტანგი მეცნიერი იყო და არასოდეს უფიქრია წარმოებაში კარიერის გაგრძელებაზე.

ვახტანგს არ უფიქრია, მაგრამ პარტია ფიქრობდა და ზრუნავდა, საუკეთესო კადრებს ეძებდა წარმოებების და ქვეყნის განვითარებისთვის.

საუკეთესო კადრებს ეძებდა ანზორ წიკლაურიც, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ახლადდანიშნული პირველი მდივანი, რომელმაც ამ თანამდებობაზე მოსვლისთანავე დაიწყო ორგანიზაციების გაცნობა.

ახლა იმ კომიკურ სიტუაციაზე მოგითხრობთ, თუ როგორ გაიცნო ანზორ წიკლაურმა ვახტანგ ჭანკოტაძე და როგორ ჩათვალა იგი საუკეთესო კანდიდატად ერთ-ერთი წარმოების დირექტორის თანამდებობისთვის.

კვლევით ინსტიტუტში ხმა დაირხა, რომ სამი დღის შემდეგ, ოთხშაბათ დილით, საქალაქო კომიტეტის დელეგაცია მოდიოდა პირველი მდივნის მეთაურობით. ამხანაგ ანზორ წიკლაურს სურდა გაცნობოდა კვლევით ინსტიტუტის კოლექტივს და მის მუშაობას.

ინსტიტუტის დირექტორმა განკარგულება გასცა, რომ ყველა განყოფილებას სასწრაფოდ წესრიგში მოეყვანა ყველაფერი.

დამტვრეული ფილები შეავსეს, ეზო მოაწესრიგეს, მინები დაწმინდეს, კედლების კუთხეებიდან ობობის ქსელები ჩამოწმინდეს, შეღებეს, გალესეს, გააკოხტავეს...

ვახტანგი უყურებდა ამ ფორიაქს და ეცინებოდა.

დირექტორმა დაიბარა და უთხრა: „ვახტანგ, აბა, შენ იცი, შენი განყოფილება საუკეთესოდ უნდა წარმოაჩინო!“.

(ამ დროისთვის ვახტანგ ჭანკოტაძეს კვლევით ინსტიტუტში კვების მრეწველობის განყოფილების გამგის პოსტი ეკავა).

ვახტანგმა გაუღიმა დირექტორს, დააიმედა, „ყველაფერი კარგად იქნებაო“ – უთხრა და გაეშურა თავისი განყოფილებისკენ.

დადგა ის „ნანატრი“ დღეც.

გორის კვლევით ინსტიტუტს ქალაქკომის პირველ მდივანთან ერთად ესტუმრნენ: მეორე მდივანი, მესამე მდივანი და სხვადასხვა განყოფილების გამგეები.

ჯერ დირექტორის კაბინეტში გაჩერდნენ ნახევარი საათი. დირექტორმა ზოგადად გააცნო ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკა, მომავლის გეგმები და მოწონება გამოხატა პარტიის მოწოდებისადმი: „მეცნიერება წარმოებას!“

დელეგაცია მესამე სართულიდან დაეშვა მეორე სართულისკენ, სადაც ვახტანგ ჭანკოტაძის განყოფილება იყო.

ვახტანგს კარები ღია აქვს, დიდი გულმოდგინებით ელოდება თავის ჯერს, რომ საპატიო დელეგაციას სათანადოდ წარუდგინოს თავისი განყოფილების წარმატებები და მომავლის გეგმები.

ესმის ხმები, ხედავს დაახლოებით ოცდაათკაციანი დელეგაცია მოემართება მისი კაბინეტისკენ, ნერვიულობს, სათქმელს გულში იმეორებს და აჰა, ის კულმინაციური მომენტიც, რომელმაც ვახტანგის ბედი სხვა რელსებზე გადაიყვანა.

„ანზორ ნიკალაევიჩ, წარმოგიდგენთ კვების მრეწველობის განყოფილებას და მის გამგეს ამხანაგ ვახტანგ ჭანკოტაძეს. იგი გამოცდილი მუშაკია, ამასთანავე, არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი“ – დირექტორმა ღელვით, სწრაფად, მაგრამ გასაგებად წარუდგინა ვახტანგი პირველ მდივანს, რასაც მოჰყვა მცირეოდენი პაუზა და პირველი მდივნის მიმართვა ვახტანგ ჭანკოტაძისადმი:

„აბა, მოგვიყევით თქვენი განყოფილების მუშაობის თაობაზე, ოღონდ ორ წუთში რომ ჩაეტიოთ, არ გვცალია და... აბა, გისმენთო!“.

ვახტანგმა იგრძნო სიცოცხლისგან დაცლილი და ფორმალური ინტერესით შეფუთული სიტყვები როგორ დაეჯახა მის გულს, როგორ იქცა აზვირთებულ ბრაზად და სულ ექვსიოდე სიტყვით მოათავა თვისი სათქმელი:

„ჩემო ბატონო, როცა მოიცლით, მაშინ გამოიარეთ!“

მდივანი არ ელოდა ასეთ პასუხს, გადახედა დირექტორს.

დირექტორი გათეთრდა, მიტკლისფერი დაედო და ცერად ახედა პირველ მდივანს.

დელეგაციის წევრებიც დუმდნენ და იხსენებდნენ ბოლოს სად და როდის ენახათ ასეთი ადამიანი, რომელიც სიყალბეს ტყვიასავით ესვრის მართალ სიტყვას.

„კაი, წავედითო!“ – თქვა პირველმა მდივანმა და გაიყოლა დელეგაცია.

...

ის ღამე არ ეძინა ვახტანგს.

ქალბატონი ირა, ვახტანგის მეუღლე, ცდილობდა დაემშვიდებინა, მაგრამ ამაოდ.

– როგორ დავმშვიდდე, ირა, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ დირექტორს რომ მოხსნიან ჩემს გამო, ეს როგორ გადავიტანო, – წუხდა ვახტანგი.

– დირექტორი რა შუაშია?

– ეხ, ჩემო ირა, შუაში კი არა, თავშია! „კარგი კადრი ვერ შეარჩიაო“ – დააბრალებენ და მოხსნიან.

ასეთი მძიმე განწყობით მივიდა მეორე დღეს სამსახურში. მინიმუმ იმას ელოდა, რომ დაიბარებდნენ და სამსახურიდან განთავისუფლებაზე ხელს მოაწერინებდნენ.

გავიდა დღეები, ორი კვირა გავიდა და არაფერი ისმოდა, ცოტა მოეშვა.

„თუ რამ ცუდი უნდა მომხდარიყო, აქამდე მოხდებოდაო“ – ფიქრობდა და განაგრძობდა საქმიანობას.

ორი კვირის შემდეგ დირექტორმა დაიბარა თავისთან, გადაეხვია, გადაკოცნა და უთხრა:

„წადი, შე კახელო ვირო! წადი, პირველი მდივანი გეძახისო“.

რაღაცნაირად მოერიდა და ჯერ მეორე მდივანთან შევიდა.

ამირან ბიძინაშვილი ღიმილით მოეგება და უთხრა:

„ბიჭო, რა დამავიწყებს, რაც შენ გააკეთე! ასეთ რამეს ან გიჟები აკეთებენ, ან გმირები. პირველმა მდივანმა გმირად მიგიჩნია და გილოცავო“ – უთხრა მეორე მდივანმა და პირველ მდივანთან შეიყვანა.

ანზორ ნიკალაევიჩი გადაეხვია ვახტანგს, „მაგარი ბიჭი ყოფილხარო!“ – უთხრა და გაანდო საიდუმლო:

„გორის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხნის დირექტორად მინდა დაგნიშნოო“.

„არა, როგორ გეკადრებათ... არაფერი ვიცი მაგ საქმისო“, – ერთი კი „გაიფართხალა“ ვახტანგმა, მაგრამ პარტიის წევრობა შეახსენეს, მერე ისიც უთხრეს: „შენ მეცნიერი ხარ და ხომ იცი, პარტიის მოწოდება: „მეცნიერება წარმოებასო!“ – უარის თქმის უფლება არა გაქვსო“ – დაუსვეს წერტილი და დააიმედეს: „თუ რამე გაგიჭირდება, დაგეხმარებითო...“

დირექტორი

ვახტანგი მეცნიერ-მუშაკი იყო და სხვანაირად უყურებდა ცხოვრებას, რომელმაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა ნაკლებად მოითხოვდა მეცნიერულ ხედვებსა და იდეებს, უფრო მეტად სჭირდებოდა პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ცოდნა ბუღატერიის, იურისპრუდენციის და სოციალური მეცნიერებების დარგში.

ბევრი რამ სხვაზე და სხვა ფაქტორებზე იყო

დამოკიდებული. საკმარისია მომწოდებელს ნედლეული არ მოეწოდებინა, გეგმა ჩავარდებიდა და დირექტორის ავტორიტეტი თავის თანამდებობიანად დაკარგვის საშიშროებას ქმნიდა.

ისიც იცოდა ვახტანგმა, რომ სამეურნეო საქმიანობა კორუფციის საშინელ ჭაობში იყო ჩათრეული, მაგრამ საკუთარი თავის იმედი ჰქონდა: „არ ავიღებ ქრთამს და არც სხვას მივცემო“ – ფიქრობდა მეოცნებე მეცნიერი, თუმცა, ცხოვრება სხვა რეალობასა და ფათერაკებს სთავაზობდა.

კვების მრეწველობის სამინისტროში შემავალი ტრესტის მმართველის წინაშე იყო ანგარიშვალდებული ვახტანგ ჭანკოტაძე, როგორც ქარხნის დირექტორი.

პირველივე შეხვედრამ უარყოფითი ემოციები შეუქმნა ვახტანგს.

– გავიგე თქვენი დანიშვნის კომიკური ისტორია, – უთხრა ვახტანგს და ცინიკურად გაიღიმა.

– ჰო, სასაცილო ამბავია, – დაუდასტურა ვახტანგმა.

– კოლეგიის სხდომაზე მინისტრმა რომ თქვა შენზე (გაშინაურება სცადა და უკვე „შენობითზე“ გადავიდა მმართველი) – „ამ კაცს ვიცნობ, მის კანდიდატურას განხილვა არ სჭირდება, დავნიშნოთო“ – ესეც დიდი საქმეა.

– დიახ.

– მაგრამ არის სხვა რაღაცა, რომლის გარეშე მუშაობას ვერ შეძლებო, – უთხრა გამომწვევად ტრესტის მმართველმა და სამი თითის სრესვა დაიწყო.

– ბატონო? – ვითომ ვერ მიხვდა ვახტანგი.

– სხვა უნარ-ჩვევებიც უნდა იცოდეო, – გაუმეორა

მმართველმა და თვალით ანიშნა, ხელზე დამხედეო, თან მეტი მონდომებით განაგრძობდა ცერა, არათითის და შუათითის სრესვას.

– ყველაფერი გასაგებია, მაგრამ... მე დრო მჭირდება.

– რა გჭირდება?

– დრო, დავუშვათ, ერთი წელი მაინც.

– რა დრო... რა ერთი წელი?! – შუბლი შეკრა ტრესტის მმართველმა.

– იცით რა პირობებია საწარმოში?

– რა პირობებია? – ვითომ არ იცოდა ტრესტის მმართველმა.

– საშინელი პირობებია, ნაგავს და სიბინძურეს მიაქვს იქაურობა, არ არის ქალთა ჰიგიენის ოთახი.

– რა ჰიგიენა, რა ქალთა ოთახი, რაებს ლაპარაკობ! – გაცეცხლდა მმართველი.

– არც საშხაპეა, – განაგრძობდა ვახტანგი.

– რა საშხაპე, რაებს ჩმახავ, მომინდომა ახლა...

– მუშათა კლასზე ზრუნვა მევალება თუ არა?! „მაზოლზე“ დასცხო ვახტანგმა და მმართველს სახე შეეცვალა.

– ჰო, მუშათა კლასზე უნდა ვიზრუნოთ, პარტია ითხოვს!..

– ჰოდა, ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, მაგას ემსახურება.

– მაგას დრო სჭირდება, ჩემო კარგო!

– ჰოდა დროს ვითხოვ მეც! – გაეღიმა ვხტანგს.

– რა დრო გჭირდება?

– ერთი წელი მაინც, პირობები და ხარისხი რომ გავაუმჯობესო.

– ერთი წელი ბევრია, – თქვა და თითების სრესა განაგრძო ჩინოსანმა.

– უფონდოდ ეგ საქმე არ გამოვა, თუ ხელს შემიწყობთ და დამაფინანსებთ, ერთი წელი არ დამჭირდება...

– ჩვენი დაფინანსების იმედი ნუ გექნება.

– თუ ხელს არ შემიწყობთ, მაშინ ხელს მაინც ნუ შემიშლით, – უთხრა ვახტანგმა და მარჯვენა ხელზე შეხედა არჩილს. ის სამი თითი თითქოს მიწებებოდა, ვეღარ სრესდნენ ერთმანეთს და ამ გაყინულ მდგომარეობას განიცდიდა ტრესტის მმართველი.

– ისე, გორის ქარხნის ლუდი თუ გაგისინჯავთ? – ჰკითხა ვახტანგმა.

– გამისინჯავს.

– მერე, მოგწონთ? შარდის გემო რომ გასდევს, ეს არ გაღელვებთ? – დაინტერესდა ახალბედა დირექტორი და პასუხს არ დაელოდა, – გადმოულაგა მომავლის გეგმები.

სვიისა და ალაოს შენახვის პირობები უნდა გაუმჯობესდეს, ქვაბები შესაცვლელია, ასევე შესაცვლელია ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარები...

– ჩვენ ფონდს არ გამოგიყოფთ და შენით ამას როგორ გააკეთებ? – ჰკითხა ტრესტის მმართველმა.

– გავაკეთებ, მთავარია, ხელი არ შემიშალოთ! – უპასუხა მეოცნებე დირექტორმა, რომელიც უკვე გრძნობდა ხელის შეშლას და თვითონაც არ იცოდა, რის ან ვის იმედზე აწყობდა მომავლის გეგმებს.

...

დაიწყო და რა დაიწყო!..

დღედაღამე მუშაობდა. ეზო მოაწესრიგა, აუზი აღადგინა და თევზები გაუშვა, გააკეთა ქალთა ჰიგიენის ოთახი და საშხაპე...

ყველაფერს საკუთარი ინიციატივით და თანამშრომლების მხარდაჭერით აკეთებდა.

ცენტრი თავს კი იყრუებდა, მაგრამ მაინც ჩასდიოდა ხმები ახალბედა დირექტორის წარმატებებზე.

ერთ დღეს ტექნიკური განყოფილების უფროსი ეახლა თბილისიდან. ჯერ ტერიტორია შემოიარა ტუჩების ბრეცვითა და გაფართოებული თვალებით, მერე ავიდა დირექტორთან და „მაგარი ბიჭი ყოფილხარო!“ – უთხრა.

არაფერი უპასუხა ვახტანგმა.

– რაც ეს ქარხანა არსებობს, ამდენი ერთად არავის გაუკეთებიაო, – აღნიშნა თბილისელმა სტუმარმა.

– ეს ამათი დამსახურებააო! – უთხრა ვახტანგმა და ხელი თანამშრომლებისკენ გაიშვირა.

– თუ ამდენის გაკეთება შეიძლებოდა, აქამდე სად იყავითო, – უკბილოდ იხუმრა და თანამშრომლებს გადახედა ღიმილით.

– უფრო მეტს გავაკეთებდით, თქვენი თანადგომის იმედი რომ გვქონდესო, – შეაპარა ვახტანგმა, თუმცა იცოდა, რომ წყალწყალა იყო ეს სიტყვებიც და იმედიც იმისა, რომ ტრესტი ოდესმე რამეში დაეხმარებოდა.

სამი თვის მუშაობის შემდეგ საამქროს უფროსები ეახლნენ ვახტანგ ჭანკოტაძეს კაბინეტში და უთხრეს:

– ჩვენ ეხლა კი არ გთხოვთ, არამედ მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ ჩახვიდეთ თბილისში და ტრესტის მმართველს პატივი სცეთო.

– რას მელაპარაკებით?! – გაოცდა და გაბრაზდა დირექტორი, თავისი თანამშრომლებისგან არ ელოდა ასეთ სითავხედეს, ფაქტიურად დანაშაულისკენ

უბიძგებდნენ პატიოსან დირექტორს.

– ვახტანგ რევაზიჩ, სრული სერიოზულობით გეუბნებით, ყველას დაგვიჭერენ. დღე არ გავა, ჩვენთან არ მოვიდნენ წარმომადგენლები პროკურატურიდან, მილიციიდან, ქალაქკომიდან, კონტროლიდან...

– რა უნდათ?! – გაცეცხლდა დირექტორი.

– ფული უნდათ, რევაზიჩ, ფული, სხვა რა ენდომებათ.

– მე ფულის საკეთებლად არ მოვსულვარ ამ თანამდებობაზე, საქმე მინდა ვაკეთო, ჩემი მისია და მიზნები მაქვს, იქნებ მაცალოთ, რომ შევასრულო! – აფორიაქდა ვახტანგი.

– თქვენ თქვენი მიზნები გაქვთ, რევაზიჩ, მაგრამ ჩვენ ჩვენი ოჯახები გვყავს, ჩვენი ცხოვრება გვაქვს და... რას გვერჩით?! თქვენს გამო ციხეში რატომ უნდა აღმოვჩნდეთ, გაგვაგებინე?!

– ჩემს გამო რატომ დაგიჭერენ? – ვერ აცნობიერებდა დირექტორი საშიშროების ლაბირინთებს.

– როცა თქვენ შარს მოგდებენ, ჩვენც გადმოგვწვდებიან და აუცილებლად იპოვიან საიმისო ფაქტებს, თუ მიზეზებს, თქვენც რომ გაგწირონ და ჩვენც ზედ მიგვაყოლონ. ამიტომ პროკურატურა აქ არ უნდა შემოვუშვათ, ხომ გესმით?

– რა უნდა ვქნა? – დაიბნა დირქტორი.

– ამ ტერიტორიაზე ჩვენ მივხედავთ საქმეს, მაგრამ თბილისი თქვენ უნდა გააჩუმოთ.

– გავაჩუმო?

– ჰო, ისინი თუ მოინდომებენ, გიჩივლებენ და აქ, ჩვენგან გამძღარი მილიცია თუ პროკურატურა იძულებული იქნება მაინც გაგვწიროს ჩვენ... თქვენს გამო!

– ჩემ გამო?!

– ჰო, თქვენს გამო, იმიტომ რომ არ მიდიხართ თბილისში და პატივს არ სცემთ ზემდგომებს.

– იქნებ, თქვენ სცეთ პატივი იმათაც? – გამოძრომა სცადა დირექტორმა, მაგრამ ამაოდ. სისტემა მოითხოვდა, რომ უშუალოდ დირექტორს ჩაეტანა ქრთამი ზემდგომებთან, რომ ისიც „დავაჟკაცებულიყო“ მექრთამეობაში და შეეტოპა იმ ჭაობში, რომელსაც პარტია ზღვად და ოკეანედ წარმოაჩენდა.

მანქანით ჩააბრძანეს საამქროს უფროსებმა, ერთი ჭიქა არაყი გადააკვრევინეს მეტი სითამამისთვის და გაუშვეს „საქმეზე“.

შევიდა ტრესტში ვახტანგ ჭანკოტაძე, ავიდა მეორე სართულზე, მიუახლოვდა ტრესტის მმართველის კაბინეტს, მაგრამ... ვერ შედის.

დაიწყო ბორიალი დერეფანში.

„ჩემს სიცოცხლეში ქრთამი არ ამიღია, არც მიმიცია და არც მიფიქრია ამაზე... როგორ მოვიქცე, როგორ მოვიქცე?“ – გულს უთუთქავდა ეს ფიქრები და იმ პატარძალს ჰგავდა, რომელმაც გათხოვება კი ინდომა, მაგრამ მეუღლესთან სარეცელის გაზიარება არ უნდა, – ქალწულობას უფრთხილდება.

სინდის-ნამუსსა და პატიოსნებას უფრთხილდებოდა ვახტანგი, მაგრამ საქმე და გარემო სხვას ითხოვდა და გასაქანს არ აძლევდა, პატიოსანი შრომით აღესრულებინა თავისი მისია და მიზნები.

იმ დღეს ვერ შევიდა ტრესტის მმართველთან ვახტანგი, ბოდიში მოუხადა თანმხლებ თანამშრომლებს და მათთან ერთად მგლოვიარე განწყობით დაბრუნდა გორში.

მეორე დღეს საამქროს უფროსები სახლში ეახლნენ ვახტანგ ჭანკოტაძეს.

„ჩვენ სხვა გზა აღარ დაგვრჩა, რევაზიჩ, იძულებულები ვართ საერთო საჩივარი დავწეროთ მინისტრის სახელზე და თქვენი მოხსნა მოვითხოვოთ. ჩავწერთ, რომ „დირექტორი ყურადღებას არ გვაქცევს“, „მუშაობაში ხელს გვიშლის“... რაღაცეებს მოვიგონებთ, ამით თქვენც გიხსნით ციხისგან და ჩვენც გვეშველება“ – ეს უთხრეს თავჩაქინდრულებმა და ვახტანგს შეეცოდა ისინი.

„ეხ, ვახო, ცოდო არ დაიდო ამ ბიჭებისაო!“ – უთხრა საკუთარ თავს, ძალა მოიკრიბა და კიდევ ერთხელ სცადა ბედი.

ტრესტის დერეფანში უაზროდ მდგომი ვახტანგი შეაჩნია ტექნიკური განყოფილების უფროსმა, თავისთან მოიხმო და უთხრა:

– ვახტანგ, ხომ ვიცი, რატომაც დაბორიალობ დერეფანში. არაფერია სანერვიულო, მე გასწავლი, როგორ მოიქცე.

– შენი ჭირიმე, მითხარი, რა ვქნა, მიშველე, თავის დღეში...

– კარგი, კარგი, არ გინდა ახლა, თავის დროზე ყველა პატიოსანი ვიყავით, ცხოვრება ითხოვს, რას იზამ.

– ჰო, ჰო, რა ვქნა.

– მოკლედ, ის ხომ თან გაქვს?..

– კი, აი! – ხელი გულთან მიიდო ვახტანგმა.

– ერთი სიტყვით, შეხვალ ახლა და მდივანს ეტყვი, გადასცეს უფროსს, რომ გორის ლუდის ქარხნის დირექტორს სურს მასთან შეხვედრა სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

– მერე?

ხუთ წუთს დაგაცდევინებს და მიგიღებს.

– მერე, როგორ...

– ნუ ნერვიულობ, რომ შეხვალ, მაგიდასთან დასხდებით და დაუწყებ გეგმებზე საუბარს. ის თავს დაგიქნევს, დაგპირდება რაღაცეებს და გეტყვის: „იცი, ვახტანგ, ოდესის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა ლუდის წარმოების სიახლეებზე წიგნი გამოსცა“.

– წიგნი? რა წიგნი?..

– არაფერი, შენ უბრალოდ ეტყვი: „არ ვიცი!“ ის გეტყვის: „გაჩვენებო“ და მაგიდის უჯრას გამოაღებს, მერე ადგება და წავა წიგნების კარადისკენ. აი, ამ დროს უნდა ივაჟკაცო შენ.

– რა უნდა ვქნა?

– სანამ მიდის წიგნებისკენ და ზურგითაა შენგან, უნდა მოასწრო და ეგ შენი საჩუქარი ჩაუდო მაგიდის უჯრაში.

– ჰო, არა?!

– ჰო, ეგრე მოიქეცი, არ დაგავიწყდეს, სანამ ზურგით იქნება ის, მანამ უნდა ჩადო.

– მერე?

– მერე, ის მოგიტანს რაღაცა წიგნს, ჩახედავს და დახურავს უჯრას. დაჯდება, გადაშლის წიგნს, მოგიყვება ზღაპრებს...

– ზღაპრებს?

– იმ წიგნიდან მოგიყვება რაღაცეებს და დაგემშვიდობება. სულ ეგ არი!

სიტყვა-სიტყვით შეასრულა ვახტანგმა, რაც ურჩიეს.

სიტყვა-სიტყვით გათამაშდა სცენარი და ტრესტის მმართველის კაბინეტიდან ვახტანგმა ძლივს გამოიტანა ცოცხალ-მკვდარი სხეული და – სული.

ასე ცუდად არასოდეს უგრძვნია თავი. სისხლგამშრალი მიაბიჯებდა კიბეებზე, კინაღამ დაგორდა.

„ცუდად ხართ, ბატონო?“ – უცხომ ჰკითხა და ხელი შეაშველა.

„არაფერია, კარგად ვარ!“ – იცრუა ვახტანგმა.

ასე ცუდად არასოდეს უგრძვნია თავი.

– რა ქენი, რევაზიჩ? – შორიდანვე შესძახეს საამქროს უფროსებმა.

– გავაკეთე, – უთხრა ვახტანგმა და ძალით გაუღიმა.

– უხ, შენ გენაცვალეო! – სახე გაებადრათ თანამშრომლებს. იხარეს, იმხიარულეს და მცხეთის რესტორნისკენ გაემართნენ, რათა აღენიშნათ საკუთარი დირექტორის „დავაჟკაცება“.

ორი დღე მაღალი სიცხეები ჰქონდა ვახტანგს. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს, ხან რას დააბრალეს, ხან – რას. მხოლოდ მეუღლემ იცოდა, რა სჭირდა.

– თავი გაანებე მაგ სამსახურს, – ურჩია ირამ.

– ეხ, ჩემო ირა, ვინ გამანებებინებს თავს...

– რატომ?

– კომუნისტი ვარ, ნდობა გამომიცხადეს, გამიშვეს, რომ ფეხზე დავაყენო დაქცეული საწარმო და რა ვუთხრა ახლა: „ქრთამის მიცემა არ მინდა, ამიტომ გამათავისუფლეთო?“

– მაშ, რა უნდა ქნა?

– უნდა მივყვე დინებას, სხვა გზა არ არის, მხოლოდ ასე თუ შევძლებ ჩემი მიზნებისა და მისიის აღსრულებას.

– შეძლებ?

– უნდა შევძლო, ირა, სხვა გზა არ მრჩება. მე უნდა დავაყენო ფეხზე ეს საწარმო, სხვანაირად არ მომცემენ გასაქანს.

– უნდა გაირყვნა?

– უნდა გავირყვნა, ირა!

...როცა ზეთია ღმერთი

სხვა ხელს ჩაიქნევდა.

როცა ზემდგომი ხელს არ გიწყობს, ფონდს არ გამოგიყოფს წარმოების განვითარებისთვის და მხოლოდ ქრთამს ითხოვს შენგან, რა გულით უნდა დარჩე თანამდებობაზე.

„გამოუშვი წყალ-წყალა, შარდისგემოიანი ლუდი, მთავარია, რომ იყიდება და ფული შემოდის, რა დროს განვითარებაზე ტვინის ჭყლეტაა, როცა ფული შემოდის და მოდის ჩვენამდეო“ – ასეთი პოზიცია რომ ექნება ზემდგომს, რა ენთუზიაზმით უნდა იმუშავო. ვახტანგი კი თავდაუზოგავად მუშაობდა, დღე და ღამე საწარმოში იყო, თანამშრომლებს აიმედებდა, რომ ყველაფერი გამოუვიდოდათ და ისეთ ლუდს გამოუშვებდნენ – მთელი ქვეყანა მათზე ილაპარაკებდა.

ალაოს შესანახი ოთახი გააკეთა.

როგორი ამბავია – მანამდე, დღეში 10-15 კილო ალაოს ჭამდნენ ჩიტები. მარტივად რომ გაიანგარიშო, თვეში ნახევარი ტონა დანაკლისი გამოდიოდა, ეს დანაკლისი კი ლუდის ხარისხზეც მოქმედებდა.

მოაგვარა ეს პრობლემა ვახტანგმა და ძირითად ტექნოლოგიურ დანადგარებზე გადავიდა.

უნდა შეცვლილიყო ის უზარმაზარი ქვაბები, რომელშიც იყრებოდა სვია და ალაო. დაჟანგებული იყო ის ქვაბები და მათი შოვნა კი არც თუ ადვილი საქმე იყო.

ვიღაცამ თქვა: „ქუთაისშია ეგეთი ქვაბებიო“. ჩავიდა ვახტანგი ქუთაისის ლუდის ქარხანაში, მაგრამ ამაოდ.

მერე თქვეს: „ბათუმშიაო“, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა.

ასეთი უიღბლო ძებნის დრო ნამდვილად არ ჰქონდა ვახტანგს. ახალი უნდა ეყიდა, რიგაში უნდა წასულიყო და პირდაპირ ქარხნიდან ჩამოეტანა.

ტრესტის მმართველს მოახსენა თავისი ჩანაფიქრის შესახებ.

– რას ლაპარაკობ, კაცო, მაგის ფულს ვინ მოგცემ-სო?! – ბრაზნარევი გაოცება გამოხატა მმართველმა.

– მაშ, რა ვქნა?

– არაფერი, იმუშავე მაგ ქვაბებით.

– ვერ ვიმუშავებ, ხარისხიან ლუდს ვერ გამო-ვუშვებ ჟანგიანი ქვაბებით.

– კაცო, გამაგიჟებ შენა! ვინ გთხოვს ხარისხს. იმუშავე ისე, როგორც სხვები მუშაობდნენ, შენამდე! – დააშოშმინა ტრესტის მმართველმა და „მთავარი ეს არისო“ – შეახსენა სამი თითის კომბინაცია.

უკვე მერამდენედ იმედგაცრუებულმა ვახტანგმა თავისი გულისტკივილი საამქრების უფროსებსაც გაანდო.

„თქვენ თვითონ წადით რიგაშიო“ – უთხრეს და დასძინეს – „ფულს ჩვენ შეგიგროვებთო“.

ასეც მოიქცნენ. შეუგროვეს ფული დირექტორს და გაამგზავრეს ლატვიაში.

წასვლის წინ ტრესტში გაიარა, „იქნებ, მივლინე-ბა მაინც მომცენო“ – იფიქრა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ:

– სად უნდა წახვიდე, დაეტიე ადგილზეო! – და-მუხრუჭება სცადა ტრესტის შეფმა.

– საქმეზე მივდივარ, მივლინება მომეცითო, – თავისას არ იშლიდა ვახტანგი.

– ნუ მეტიჩრობ, ერთი რა! – დარჩი შენს ტყავში და აკეთე საქმე, – ზიზღნარევად თქვა ტრესტის მმართველმა.

– ვერ გავიგე, ხელს მიშლი?! – კბილებში გამოცრა ვახტანგმა და თვალი თვალში გაუყარა მმართველს.

– ჯანდაბამდე გზა გქონია! – მიაწყევლა დირექტორს და გაშორდა.

შორი იყო მანძილი რიგამდე, მაგრამ სხვა სიშორე ადარდებდა ვახტანგს. ადამიანთა გულებს შორის სიშორე, დიდ იდეებსა და ჩინოვნიკთა ზრახვებს შორის სიშორე იყო მტანჯველი მიზანსწრაფული დირექტორისთვის, რომელიც განვითარებაზე იყო ორიენტირებული და ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდა არსებული რეალობა.

„ნუთუ, იმიტომ დამნიშნეს ამ თანამდებობაზე, რომ მეც ამ დამყაყებულ ჭაობში ჩავძირულიყავი?!“ – ეს ფიქრები აწუხებდა ვახტანგს და სწამდა, რომ კეთილი მაინც სძლევს ბოროტს.

წავიდა, ჩავიდა და მივიდა ქარხანაში. გასაშვებ პუნქტში გააჩერეს და ვისთან მიბრძანდებითო, ჰკითხეს.

– დირექტორთან ან მთავარ ინჟინერთან მსურს შეხვედრაო, – უთხრა ვახტანგმა.

კარგა ხანს იცინეს, მერე მოუბოდიშეს და უთხრეს: „ერთი კვირით ადრე ეწერებიან შეხვედრაზე, ასე, რომ ვერ გაგიშვებთო. ისე საიდან ხართო?“ – ყოველი შემთხვევისთვის ჰკითხეს.

ვახტანგმა უხსენა საქართველო, გორი, სტალინი და... ამ დროს ვიღაც ქალმა გამოიარა, წამით შედგა, ყური მოკრა ვახტანგის საუბარს და შემოტრიალდა.

– უკაცრავად, თქვენ ქართველი ხართ? – რუსულად მიმართა ვახტანგს და გაუღიმა.

– დიახ,

– ძალიან მიყვარს ქართველობა, ნათესავები მყავს თბილისში. თქვენ სად ცხოვრობთ?

– გორში, ისე თელავიდან ვარ, კახეთი გაგიგიათ? – გული მოუთბო ვახტანგს ლატვიელი ქალის ინტერესმა.

– ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი... თქვენ რაზე შეწუხებულხართ, იქნებ შემიძლია დაგეხმაროთ?

– თქვენ...

– მე მუშა ვარ ამ ქარხანაში.

– ჰოო, აბა, თქვენ როგორ დამეხმარებით, – გულდაწყვეტით უთხრა ვახტანგმა.

– ჯერ მითხარით რა გინდათ?

– მთავარ ინჟინერთან მინდა შეხვედრა, – უიმედოდ და მოწყენით უთხრა ვახტანგმა.

– კარგით, დამელოდეთ! – ღიმილით მიუგო ქალბატონმა და გაუჩინარდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და გამოუშვითო, გასძახა თანამშრომლებს.

თურმე, იმ უბრალო მუშა ქალბატონს მთავარი ინჟინერისთვის უთქვამს: „ნათესავები რომ მყავს თბილისში, ხომ იცით, ჰოდა, მათი ახლობელი ჩამოვიდა თქვენთან და ნუ ალოდინებთ, მიიღეთო“.

მიიღო მთავარმა ინჟინერმა, ჰკითხა საიდან იყო და უთხრა: „ვიცი, დახმარება გინდათ, მაგრამ სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, მოდით, ფეხბურთზე ვილაპარაკოთო“

როგორც იტყვიან, „საგოლე პასი“ ჩააწოდა მთავარმა ინჟინერმა.

ვახტანგს ისედაც აპრობირებული ჰქონდა ეს მეთოდი. ყველა საქმიან შეხვედრაზე ფეხბურთის თემის გამოყენება „ტუზკოზირივით“ ჭრიდა. იმ დროს თბილისის დინამო ქუხდა და იმ ქუხილის ექო ნებისმიერი ადამიანის გულამდე აღწევდა.

„კი ბატონოო“ – უთხრა ვახტანგმა და „საგოლე პასი“ „კარისკენ გაუშვა“ – კრუმინში უხსენა, იმ დროს სახელგანთქმული ლატვიელი კალათბურთელი.

აეწყო საუბარი და დათბა ურთიერთობა.

მთავარი ინჟინერი ბორის პაიჭაძეს, ჯეჯელავას და სხვა დინამოელი ფეხბურთელების თამაშს იხსენებდა, ვახტანგი კი კრუმინშისა და სხვა ლატვიელი კალათბურთელების თამაშით აღფრთოვანებული იხსენებდა სხვადასხვა ეპიზოდებს.

„კარგი მოსაუბრე ყოფილხარ. ახლა მითხარი, რა გინდა, რა გაგჭირვებია?!“ – მიუგო მთავარმა ინჟინერმა და მთალი ტანით მისკენ გადმოიხარა, ნიშნად იმისა, რომ ყურადღებით უსმენდა.

ვახტანგმა ჯერ ის კომიკური სიტუაცია მოუყვა, მის დირექტორად დანიშვნას რომ უძღოდა წინ, კიდევ უფრო გაახალისა მასპინძელი და მთავარ საქმეზეც გადავიდა.

„ლუდსახარში ქვაბები მინდაო“, – უთხრა.

– რას ლაპარაკობ, კაცო, ეგ როგორ იქნებაო? – უარს ნიშნავდა მთავარი ინჟინრის გაოცება.

– მე მეცნიერ მუშაკი ვარ, მინდა წარმოება გადავარჩინო და განვავითარო. აი, თქვენ რომ ლუდს უშვებთ, ისეთი ლუდი მინდა გამოვუშვათ ჩვენც.

– მართლა? სვამ ჩვენს ლუდს? – ეამა მასპინძელს.

– მარტო თქვენს ლუდს ვსვამ, აბა, ჩვენი ლუდი რა დასალევია.

– კაი, კაი... რა გინდა კონკრეტულად, მითხარი.

– ოთხი ქვაბი მინდა.

– ოთხი ქვაბი? ჰო, კარგი, დამაცადე, – თქვა მთავარმა ინჟინერმა, მერე ვიღაცას დაურეკა და ორ წუთში მის კაბინეტში შემოვიდა ღიპიანი კაცი.

ჰკითხა, ლუდსახარში ქვაბი თუ გვაქვს, ოთხი ცალი გვინდაო.

„გვაქვსო“ – უპასუხა ღიპიანმა,

– ძალიან კარგი, აი, ამ ჩვენს მეგობარს უნდაო, – თქვა და გააცნო ვახტანგი, თან დასძინა: „პრობლემა ის არის, რომ ფონდი არა აქვს.“

– აბა, ფონდი თუ არა აქვს, როგორ გავცე, შეუძლებელია.

– კაი, ახლა, მიეცი, ჩვენი ბიჭია.

– როგორ არი ჩვენი ბიჭი? – იკითხა შემოსულმა.

– კრუმინშის გულშემატკივარიაო, – უთხრა და სამივეს გაეცინა.

– კარგი, მივცეთო, – დაეთანხმა ღიპიანი.

მთავარმა ინჟინერმა ხელი ჩამოართვა ვახტანგს და დაპირდა, რვა დღეში გორში იქნება ქვაბებიო.

ვახტანგს ფული თან ჰქონდა, მაგრამ ვერ გაბედა ფული ეჩუქებინა სიკეთის სანაცვლოდ, სამაგიეროდ, რესტორანში დაპატიჟა და ქართული თამადობის „მასტერ-კლასი“ ჩაუტარა.

წამოვიდა ვახტანგი რიგიდან და ფიქრობდა, მე კი მოვინდომე და მივაღწიე მიზანს, მაგრამ სულ ჩემი დამსახურებაა ეს წარმატება? ის მუშა ქალი რომ არ გამოჩენილიყო?

რატომღაც ჯემალ სეხნიაშვილი გაახსენდა, ის რომ არ შეხვედროდა, კვლევით ინსტიტუტში ხომ ვერ დაიწყებდა მუშაობას?

„მაშასადამე, წარმატებას განაპირობებს შენი მონდომება და ადამიანები, რომლებსაც მფარველი ანგელოზებივით გვიგზავნის ღმერთი“ – დაასკვნა ვახტანგმა.

...

რვა დღეში მართლაც ჩამოვიდა ქვაბები, მაგრამ

ფულს ვინ გადაიხდიდა? ტრესტის მმართველი სასტიკ უარზე იყო. ვახტანგმა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, ხარატიშვილს სთხოვა დახმარება, მან დაურეკა მინისტრს და კონცელაძემ დაავალა ტრესტის მმართველს: „სასწრაფოდ ჩაურიცხეთ ფულიო“.

პერლიტი

მეცნიერი იყო და სულ ეძებდა, სულ იკვლევდა და ფიქრობდა, რა სიახლე დაენერგა წარმოებაში. ასე გადააწყდა „პერლიტს“.

ერთ-ერთ რუსულ გაზეთში ამოიკითხა, რომ დასავლეთ უკრაინაში, კარპატის მთებში იყო ნიადაგი, რომელიც შეიცავდა უნიკალურ მინერალებს, მასში თუ წყალს გაატარებ, მარილებისგან ფილტრავს და არბილებს წყალსო. „პერლიტი“ რქმევია ამ სასწაულმოქმედ მინერალს.

მოსვენება დაკარგა ვახტანგმა. ძილშიც ეს მინერალები ესიზმრებოდა, ფიქრობდა და გრძნობდა, რომ „პერლიტის“ გამოყენება დიდ წარმატებას მოუტანდა მის წარმოებას.

რატომ ააფორიაქა ამ მინერალის აღმოჩენამ ვახტანგი? იმიტომ, რომ წყლის პრობლემა აწუხებდა მეცნიერ-დირექტორს. რაოდენ ხარისხიანიც არ უნდა ყოფილიყო სვია და ალაო, რაოდენ ძვირფასი დანადგარებიც არ უნდა დაემონტაჟებინა... ლუდი მაინც უხარისხო და უგემური იქნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გორის წყალი უვარგისი იყო ლუდის წარმოებისთვის. იგი შეიცავდა არასასურველი მარილების დიდ რაოდენობას, რაც აფუჭებდა

ლუდის ხარისხსა და გემოს. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნათ?

...და აჰა, გამოჩნდა გზა და საშუალება!

რა გააჩერებდა მეცნიერ-დირექტორს, უკრაინში გამზგავრება გადაწყვიტა.

ტრესტის მმართველთან მივიდა, აუხსნა ვითარება და მივლინების გაფორმება სთხოვა.

– გააწყალე გული, რა! – აფეთქდა მმართველი.

– უნდა გამიშვათ, ეს საუკეთესო შანსია გორის ლუდის გაუმჯობესებისთვის.

– სად უნდა წახვიდე, კაცო, დაეტიე შენ ადგილზე და გეგმა შეასრულე, – ფორიაქობდა ტრესტის მმართველი, რომლისთვისაც გეგმის შესრულება ქრთამის დროულად და სრულად მიწოდებაში მდგომარეობდა.

ისევ საამქროების უფროსებთან მივიდა, პერსპექტივა დეტალებში დაუხატა და აღაფრთოვანა თანამშრომლები.

– აქ ვერ ვიშოვითო? – ჰკითხეს.

– „პერლიტის“ შესახებ საქართველოში არავინ არაფერი იცის, იქ უნდა წავიდე, სადაც უშვებენ, – უთხრა ვახტანგმა.

– ოღონდ შენ ეს გააკეთე და ფულს როგორ დავინანებთო, – უთხრეს „ცეხავიკებმა“, შეუგროვეს ფული და გაამგზავრეს დირექტორი უკრაინაში.

წავიდა, შეიძინა, დაბრუნდა და ორ კვირაში ოთხასი კილო „პერლიტიც“ ჩამოუვიდა.

მინერალის ეს მცირე ოდენობა მხოლოდ საცდელად სჭირდებოდა, თუ გაამართლებდა, შემდეგ მოყვებოდა სათანადო რეკონსტრუქცია და ტონობით „პერლიტის“ ჩამოტანა.

გაამართლა!

„პერლიტით“ გაფილტრული გორის წყალი უკ-ვდავების წყლად იქცა. ისეთი ლუდი გამოვიდა, თითებს ჩაიკვნეტდი სიამისაგან.

საჩვენებელი ჩამოსხმა თბილისელების თან-დასწრებით სურდა. დარეკა ტრესტში, მიიპატიჟა, მაგრამ არავინ ჩამოვიდა, სამაგიეროდ ჩამოვიდა ჭორები: ტრესტის მმართველს სახალხოდ უთქ-ვამს: „უნდა მოვხსნათ ეს დირექტორი... შეჭამა ტვი-ნი თავისი ტვინიკოსობით... იგონებს რაღაცეებს... ყველა შეგვაწუხა მაგისმა იდეებმა... დირექტორად მეცნიერი კი არა, კაცი გვჭირდება, რომ კაცურად იმუშაოსო!“

ამ დროს ზეიმი აქვს ვახტანგს.

მსოფლიო დონის და ხარისხის ლუდი ჩამოასხ-ეს და ამას ზეიმობენ გორის ლუდის ქარხნის თანამშრომლები, იმედოვნებენ, რომ ცენტრიც აი-ტაცებს ამ სიახლეს, დაინერგება პერლიტის გა-მოყენება და გორის ლუდი გახდება მსოფლიოში ცნობილი.

ახლა რეკონსტრუქცია და ტონობით „პერლი-ტი“ იყო საჭირო, მაგრამ მანამდე სახალხო ფონდი უნდა შექმნილიყო, კომისია უნდა მოსულიყო და მათ თვალწინ მომხდარიყო ლუდის ჩამოსხმა „პერ-ლიტის“ გამოყენებით.

ეს საქმე ტრესტს უნდა ეთავა.

ტრესტის ტექნიკურ განყოფილებაში მივიდა ვახ-ტანგი.

იმასთან შესვლა აღარ მინდა, შენ ხომ ხარ ტე-ქნიკური მომსახურების უფროსი. ჰოდა პირდაპირ შენი საქმეა: დამეხმარე ტექნიკურად ვუზრუნველყ-ოთ გორის ქარხანაში „პერლიტის“ დანერგვა, – სთხოვა ვახტანგმა.

– ვახო, შენ ის გინდა, რომ სამსახურიდან გამანთავისუფლონ?

– რატომ?

– ბიჭო, მაგაზე ფულს ვინ გამოყოფს, არ გამაგიჟო.

– აი, ნახე, რა გემო აქვს, – უთხრა ვახტანგმა და „პერლიტით“ ჩამოსხმული ლუდი დაალევინა.

თბილისელმა ჩინოვნიკმა დალია, სიამოვნება ვერ დაფარა, ბაგეებზე გადმოსული ლუდის წვეთიც კი თითით უკან შეიტრიალა, მერე თითიც გალოკა და „იფ-იფო“ – თქვა.

– აი, ასეთი ლუდის ჩამოსხმა მინდა, ჩემო კარგო...

– ვერა, ვახო, ჩემი იმედი ნუ გექნება. ვიცი, რომ მმართველი წინააღმდეგი იქნება და მეც მომიძულებს, შენ რომ მხარი დაგიჭირო, – უთხრა და დაემშვიდობა.

დარჩა მარტოდ-მარტო ვახტანგი, თავის დიდ იდეებთან ერთად.

„არ დაიხიო, ვახო!“ – დამწუხრებული გულის ფეთქვა ამ სიტყვებს გამოთქვამდა.

ქარმა გაზეთი ააფრიალა და ხელში მიაჩეჩა. „დავეწიოთ და გავუსწროთ უფსკრულის პირას მდგარ ამერიკას“ – ასეთი ლოზუნგი მოხვდა თვალში და გაეცინა.

„კი, უკვე გავუსწარით და უფსკრულში ვიჩეხებით“, – გაიფიქრა ვახტანგმა და დაჭმუჭნული გაზეთი ურნაში ჩააგდო.

იმედგაცრუება

საკუთარი ხარჯებით უნდა ეზრუნა რეკონსტრუქციაზე, მაგრამ ამ პროცესში გეგმის შესრულება გაუჭირდებოდა. მორიგი თხოვნით მიმართა ტრესტის მმართველს:

„ცოტა ხნით გეგმა შემიმცირე და გადაუნაწილე სხვა ლუდის ქარხნებსო“.

„არავითარ შემთხვევაშიო!“ – ასეთი იყო ტრესტის მმართველის პასუხი.

კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარესთან მივიდა და გააფრთხილა: „ტექნოლოგიური ხაზის გადაკეთება მსურს წარმოებაში და ორი თვის გეგმა ჩამივარდებაო“.

– ზემდგომმა იცის? – ჰკითხა ქალბატონმა თავმჯდომარემ.

– იცის, მაგრამ არ შემიმცირა გეგმა.

– არც მე შემიძლია გაპატიო – უნდა შეასრულო გეგმა.

– ძალიან მნიშვნელოვან სიახლეს ვნერგავ!

– არ გვაინტერესებს, გეგმა უნდა შესრულდეს, – ასეთი იყო პასუხი.

გეგმა ვერ შეასრულა ვახტანგმა და კონტროლის კომიტეტის სხდომაზე დაიბარეს.

კომიტეტის წევრებმა იმსჯელეს, თქვეს, რომ მოსალოდნელი იყო ვახტანგისგან ასეთი მარცხი და წარუმატებლობა, ვინაიდან გამოუცდელია, არც ბუღალტერია იცის, არც მართვა შეუძლია ეფექტურად...

„როგორც ვხედავთ, მეცნიერება წარმოებაში არ ამართლებსო“.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, დაადგინეს:

„გორის ლუდის ქარხნის დირექტორს, ამხანაგ

ვახტანგ ჭანკოტაძეს, გეგმის შეუსრულებლობის გამო, დაუკავდეს ორი თვის ხელფასი“.

ამ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ თავმჯდომარემ მიმართა ვახტანგს: „ხომ არ გსურთ რამე თქვათო?“

ვახტანგმა გადახედა პატივმოყვარე გვამებს და მიმართა:

– მე ავტომატიკის სპეციალისტი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავს ავტომატური მართვა, მაგრამ ავტომატისა და რობოტის როლში თუ ადამიანი აღმოჩნდებოდა, არ მეგონა, ეს თქვენ დამანახეთ, როგორ შეიძლება იმუშაო ავტომატის რეჟიმში და გამოიტანო უგუნური გადაწყვეტილება.

– სიტყვები შეარჩიეთ! – შესძახა თავმჯდომარემ.

– ამხანაგო თავმჯდომარევ, ახლა რომ თქვენ ორი თვის ხელფასი დამიკავეთ, იმაზე თუ იფიქრეთ, რითი შევინახო ოჯახი? გინდათ გითხრათ, რას იფიქრებს ხალხი? კომიტეტმა იცის, დირექტორი ქრთამს იღებს და ხელფასის გარეშეც იოლად გავაო.

– რას ბრძანებთ? – გაფითრდა თავმჯდომარე.

– აბა, სხვანაირად როგორ? თქვენ ხომ ჰუმანური ქვეყნის სადავე გიპყრიათ ხელში, უხელფასოდ როგორ ტოვებთ დირექტორს და რისკენ უბიძგებთ ამით: იმათხოვროს? ქრთამი აიღოს? რა ქნას ამ ორი თვის განმავლობაში? განა თანამდებობიდან განთავისუფლება არ ჯობია ასეთ უგუნურ გადაწყვეტილებას?..

დიდი ეფექტი იქონია ვახტანგის სიტყვებმა და დააფიქრა კომიტეტის წევრები: „მართალია ეს კაციო“ – თქვეს და უფრო იმის შეეშინდათ, ჩვენ რაიმე შარში არ აღმოვჩნდეთო.

გული აუცრუვდა ვახტანგს.

მოწყინდა და შეზიზღდა ყველაფერი.

არსაიდან დახმარება... არსაიდან მხარდაჭერა... მხოლოდ ხელის შეშლა და დამუხრუჭება...

ტრესტის მმართველს ეახლა თბილისში.

– რატომ არ დამირეკე, რომ მოდიოდიო, – უსაყვედურა მმართველმა.

– მაპატიეთ, მაგრამ ამის მერე აღარც არასოდეს დაგირეკავთ.

– რას ამბობ? – გაიოცა მმართველმა.

– რამდენ ხანს იქნებით აქ? – ჰკითხა ვახტანგმა.

– რა გინდა?.. აქ ვარ!

ვახტანგი გავიდა კაბინეტიდან, მივიდა კანცელარიაში, დაწერა განცხადება და მიუტანა. „ხელი მომიწერეო“ – უთხრა.

მმართველმა სათვალე მოირგო, დახედა განცხადებას და ხმამაღლა წაიკითხა:

„გთხოვთ, გამანთავისუფლოთ თანამდებობიდან ავადმყოფობის გამო“.

„რა გჭირს?!“ – ეს კი ჰკითხა ტრესტის მმართველმა, მაგრამ გულში გაუხარდა ვახტანგის წასვლა.

კარი გაიჯახუნა გულაცრუებულმა ვახტანგმა და წავიდა უმისამართოდ...

ატყდა ერთი ამბავი და – რეკვები.

მინისტრს უკითხავს: „რეალური მიზეზი რა არისო?!“ და ვერავინ უპასუხა.

ახალი შემართებით

სამი თვე უმუშევრად იარა.

ჯერ ის იყო მეხის გავარდნა კომუნისტურ უღრუბლო ცაზე, რომ დირექტორი თავისი განცხადებით წავიდა თანამდებობიდან (არ გაუთავისუფლებიათ, არც გადაუყვანიათ სხვა თანამდებობაზე...), მერე ის იყო სამარცხვინო, რომ კომუნისტი უმუშევრად დაიარებოდა.

„ვახო, დაიწყე მუშაობა, თორემ, არ ვიცი, რას გიზამო!“ – ხან პირველი მდივანი ურეკავდა ასეთი მუქარით, ხანაც – მეორე მდივანი ახსენებდა (პირველის დავალებით), რომ კომუნისტის უმუშევრობა პარტიას უტეხავდა სახელს.

„სად დავიწყო მუშაობა? უმუშევრობა არც მე მინდაო!“ – პასუხობდა ვახტანგი, გულში კი ფიქრობდა: „დალოცვილო, თუ გაწუხებს ჩემი უმუშევრობა, დამასაქმე, შენს ხელში არ არის ძალაუფლების სადავეებიო?!“

ამასობაში ცვლილება მოხდა ადგილობრივ ხელისუფლებაში და გორის ქალაქკომის პირველ მდივნად დანიშნეს ბელა მაყაშვილი, რომელსაც დანიშვნის პირველივე დღეს უკითხავს: „კომუნისტი ხომ არავინ არის უმუშევარიო?“

სამი ადამიანი დაუსახელეს და მათ შორის – ვახტანგ ჭანკოტაძე.

– ვინა, ვახტანგ ჭანკოტაძე? – გაიოცა პირველმა მდივანმა.

– დიახ, ბელა ზახაროვნა, – იყო პასუხი.

– გორელია?

– არა, თელაველი.

– თელაველი? მამამისს რა ჰქვია, ხომ არ იცით?

– ვიცით, რევაზის ძეა, – უთხრეს და გაოგნებულა ქალბატონი ბელა.

„როგორ, ეგ კაცი გყავთ უმუშევარი?! სასწრაფოდ მომიყვანეთო!“ – უბრძანებია და მაშინვე დაურეკეს ვახტანგს.

გაუხარდა და გაოცდა უმუშევრობითა და უყურადღებობით დაღლილი ვახტანგი. თან ფიქრობდა: „ასე გულთან რატომ მიიტანა მისი უმუშევრობა პირველმა მდივანმა?“ – და გულის წინათგრძნობა მშობლიურ თელავისკენ მიაქანებდა.

შედგა თუ არა ფეხი პირველი მდივნის კაბინეტში, გაოცდა: ბელა მაყაშვილი სწრაფი ნაბიჯებით გამოექანა მისკენ, გულში ჩაიკრა და სახეგაბადრულმა ჰკითხა:

– რეზოს ბიჭი ხარ?

– დიახ, ახ... ზაქროს გოგო ბრძანდებით?!

– ჰო, შენ აბა რას გემახსოვრები, პატარა, კიკინებიანი გოგო ვიყავი მაშინ, როცა მამაჩემი მამაშენთან ბუღალტრად მუშაობდა.

– სამაგიეროდ მამაშენი... უკაცრავად, მამათქვენი კარგად მახსოვს, ხშირად იყო ხოლმე ჩვენთან სტუმრად.

– ჰო, მამა მეგობრობდა მამაშენთან.

– დიახ! – უპასუხა ვახტანგმა და სახეგაბადრულს, ბედნიერების კურცხალი უბრწყინავდა თვალებში.

– მერე, არ გრცხვენია, უმუშევრად რომ დაიარები ამხელა კომუნისტი კაცი?! – ღიმილით უსაყვედურა პირველმა მდივანმა.

– რა ვქნა, არ ვიცი...

– კარგი, წუწუნი არ გამაგონო! ახლა წადი და ხვალ დაგირეკავთ.

მართლაც დაურეკეს და გადასცეს პირველი მდივნის დანაბარები: სასწრაფოდ მისულიყო გორის საკონსერვო გაერთიანების გენერალურ დირექტორთან, მარინე ქიტიაშვილთან.

აღარ გადადო ვიზიტი და ერთ საათში საკონსერვო გაერთიანების დირექტორის კაბინეტში იყო.

– იღბლიანი ყოფილხარ. უმუშევარს მფარველ ანგელოზად მოგევლინა ბელა ზახარევნა.

– ჰოო, ეგრეა! – გაეცინა ვახტანგს.

– იცი, რა მითხრა? „სასწრაფოდ დაასაქმე ეგ ბიჭი, თორემ დედას გიტირებო!“ – ღიმილით თქვა დირექტორმა.

– მართლა ეგრე გითხრათ? – სიამაყე, სიხარული და დაცულობა იგრძნო ვახტანგმა.

– კი, ბატონო, ეგრე მითხრა და ვასრულებ პირველი მდივნის დავალებას, მაგრამ შენ თუ გაქვს სურვილი ჩვენთან იმუშაო?

– გააჩნია, რას შემომთავაზებთ?

– ხომ იცი, კომპარტიის ლოზუნგი: „მეცნიერება წარმოებას!“ – ჰოდა, ჩვენც შევქმენით შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილება, შენც მეცნიერი ხარ და ვინაიდან ამ განყოფილებას უფროსი უკვე ჰყავს, უფროს ინჟინრად დაგნიშნავ, გაწყობს? – ჰკითხა ქალბატონმა მარინამ და თან თვალით ანიშნა: „დამეთანხმე, არ წააგებო!“

დაეთანხმა ვახტანგ ჭანკოტაძე და იმ დღიდანვე დაიწყო მუშაობა გორის საკონსერვო გაერთიანების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროს ინჟინრად.

საქმიანობა შესწავლით დაიწყო. დადიოდა და აკვირდებოდა ყველაფერს: სამუშაო მდგომარეობას, მუშაობის პროცესს, ტექნიკა-დანადგარებს... აკვირ-

დებოდა და ფიქრობდა სიახლეებზე, რაციონალურ წინადადებებზე, განვითარებაზე, ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე...

მისი ტვინი ისე იყო მოწყობილი, რომ ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს ხედავდა და არაჩვეულებრივის დანერგვა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა.

ერთ დღეს ხარატი აღმოჩნდა მისი დაკვირვების ობიექტი. ერთი კვირა აკვირდებოდა და სწავლობდა მის მუშაობას.

– ჩემო ვახტანგ, ეგ ხარატი ჩვენს საწარმოში კი არა, გორის მასშტაბითაა საუკეთესო სპეციალისტი, ასე რომ, ტყუილა დროს ნუ დაკარგავ მისი მუშაობის გაუმჯობესებაზე. – ურჩია დირექტორის მოადგილემ და პატივისცემის ნიშნად მხარზე ხელი მოხვია.

– მაშ, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩვენი ხარატის შრომის ნაყოფიერება მაქსიმუმია?

– დიახ, ეგრეა, ხომ გეუბნები, საუკეთესო ოსტატია და რა უნდა ვასწავლოთ მას?

– ხედავთ იარაღს, სამი მეტრის მოშორებით რომ აქვს ჩამოკიდული კედელზე?

– დიახ.

– ჩემი ერთკვირიანი დაკვირვებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს იარაღი მას ყველაზე ხშირად სჭირდება და ყოველ ჟამს მის ჩამოღებაზე კარგავს 8-10 წამს. ეს ათწამიანი დანაკარგები რომ გადავამრავლოთ, დღეში გამოდის ოცი წუთი დროის დანაკარგი, ხოლო დროის დაკარგვა უნაყოფობის ტოლფასია, ხომ მეთანხმებით?

– ჰო, მაგრამ... ეს ელემენტარული რამაა...

– ასეთი ელემენტარული რამეების მოწესრიგება ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

– კარგი, კარგი, აღარ გედავები, – გაეღიმა დირექტორის მოადგილეს.

– მობრძანდით, ესეც ნახეთ, – ხედავთ, ხარატი დგას ფიცარზე, რომლის კუთხე ჩატეხილია, ყოველ მოძრაობაზე წაიბორძიკებს, მერე ასწორებს ფიცარს და ამაშიც იკარგება დრო.

– კარგი, შევცვალოთ.

– განათებაც უნდა შევცვალოთ, ბატონო, სინათლე მარჯვნიდან ურტყამს და ჩრდილები ხელს უშლის მუშაობაში.

ვახტანგის მითითებით გამოსწორდა ეს ელემენტარული ხარვეზები და ხარატის მუშაობის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა.

„კაცო, სად იყავი აქამდეო!“ – გაოცებასა და სიხარულს ვერ ფარავდა ქალბატონი მარინე ქიტიაშვილი. ვახტანგ ჭანკოტაძის ყოველ რაციონალურ წინადადებას მოსდევდა შესაბამისი ფინანსების, ფონდების გამოყოფა სამინისტროდან, რაც კეთილდღეობასთან ერთად, ავტორიტეტსაც უზრდიდა გორის საკონსერვო გაერთიანებას.

ერთ დღეს კობა მოციქულაშვილს მიადგა და უთხრა:

– შენ ხომ ხარ საამქროს უფროსი?

– მერე?

– ხომ გინდა უფრო მეტი და ხარისხიანი პროდუქცია გამოუშვა?

– მინდა.

– ჰოდა, აი, რა ამოვიკითხე რუსულ ჟურნალში: „...ნებისმიერი პროდუქცია შედგება სასარგებლო უჯრედებისგან, რომელთა გამოდევნა ხდება თბური და მექანიკური მეთოდებით...“ მოკლედ, მაღალი სიხშირის ვიბრატორით ჩვენ შეგვიძლია მაქსიმალ-

ურად გამოვდევნოთ პროდუქტის სასარგებლო ნივთიერებები და ამით პროდუქტის ოდენობის ზრდასთან ერთად მივაღწიოთ ეფექტიანობის ზრდასაც...

– რა გინდა, ვახტანგ, ვერ გავიგე? – კობამ შუბლზე ხელი გადაისვა და მეტი ყურადღებისთვის განეწყო.

– ექსპერიმენტი უნდა ჩავატაროთ შენს საამქროში.

– რა ექსპერიმენტი?

– ვიბრატორი უნდა დავაყენოთ და მაღალი სიხშირის რხევების შედეგად თუ მაქსიმალურად გამოვდევნით პროდუქციიდან სასარგებლო მასას, ესე იგი, გავიმარჯვეთ!

კობა დათანხმდა. ვახტანგი მეორე დღესვე ჩავიდა ცხინვალში, მონახა ვიბრატორების ქარხნის დირექციის წარმომადგენელი, სტუდენტობის მეგობარი გიორგი კოჩიევი, აუხსნა რა რისთვის უნდოდა და უფონდოდ წამოიღო მაღალსიხშირიანი ვიბრატორი, დაამონტაჟა საამქროში და მოხდა სასწაული. ხუთი-ექვსი პროცენტით გაიზარდა ძვირფასი და სასარგებლო ნივთიერების რაოდენობა, იმატა პროდუქციის ხარისხმაც.

მიღებული შედეგები აცნობეს საკონსერვო გაერთიანების დირექტორს. დაიწერა რაციონალური წინადადება და დადგა შემდეგი ეტაპი: სამინისტროდან ჩამოსულ კომისიას უნდა შეემოწმებინა წინადადების ეფექტიანობის რეალობა და პროდუქციის ხარისხი.

მართლაც, ჩამოვიდნენ თბილისიდან, ნახეს, შეამოწმეს ვიბრატორების ეფექტურობა, „საოცარი შედეგებიაო“ – თქვეს, ტაშიც დაუკრეს და მადლობაც გადაუხადეს ვახტანგს, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი.

ვახტანგ ჭანკოტაძის რაციონალური წინადადება წარმოებაში მაღალი სიხშირის ვიბრატორის დანერგვის შესახებ არ იქნა მიღებული.

რატომ?.. რისთვის.. ვის გამო?.. ეს კითხვები დარჩა ამოუხსნელ საიდუმლოდ.

ფაქტია, რომ ვიღაცას და ვიღაცეებს არ აწყობდათ მსგავსი სიახლეების დანერგვა.

სამწუხარო ის იყო, რომ იმ „ვიღაცეების“ ტრიბუნიდან სულ სხვა რამეს ქადაგებდნენ და ცხოვრებაში საპირისპიროს აკეთებდნენ.

ყრუ-მუნჯების თავჯაცი

საკონსერვო გაერთიანებიდან ვახტანგ ჭანკოტაძე გადაიყვანეს ყრუ-მუნჯთა საწარმოო გაერთიანების დირექტორად. ასეთი იყო ადგილობრივი ხელისუფლების ნება და გადაწყვეტილება.

როგორც ჩანს, ვახტანგი თავისი ნოვატორობით, აქტიურობითა და პრინციპულობით პირველკაცობისთვის უფრო შესაფერისი იყო და ამიტომაც ანდეს კვლავ დირექტორის თანამდებობა.

იოლი საქმე არ იყო ყრუ-მუნჯების თავკაცობა. ჯერ ერთი, კომუნიკაცია იყო ძნელი, მეორეც – ნერვიულები და აგრესიულები იყვნენ ყრუ-მუნჯი მუშები და პატარა გაუგებრობაზე შეიძლება ბუნტი აეტეხათ.

ახალი უნარ-ჩვევები უნდა აეთვისებინა ვახტანგს. მუნჯური ენის შესწავლა დაიწყო. თარჯიმანი კი ჰყავდა, მაგრამ თვითონაც უნდა სცოდნოდა მათი ენა, რომ კომუნიკაცია უშუალო, ბუნებრივი და ეფექტიანი ყოფილიყო.

გაუჭირდა, მაგრამ მუნჯური ენა ნაწილობრივ ისწავლა. ახლა უკვე დამოუკიდებლად შედიოდა კონტაქტში თანამშრომლებთან და ამ ფაქტმა მისადმი ნდობის კოეფიციანტი აამაღლა.

ვახტანგი მიხვდა, რომ სოციალური ინტეგრაცია უჭირდათ ყრუ-მუნჯებს. ისინი ნერვიულები და, ზოგჯერ, აგრესიულები სწორედ იმიტომ იყვნენ, რომ ვერ აგებინებდნენ სათქმელს, ჭირსა თუ სიხარულს ვერ უზიარებდნენ საზოგადოებას და გარიყულად გრძნობდნენ თავს.

გადაწყვიტა განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა თანამშრომლების მიმართ და მათ ოჯახებში დაიწყო სიარული.

უნდა გენახათ, როგორი უსაზღვრო სიხარული იყო ყრუ-მუნჯებისთვის, როცა დირექტორს მასპინძლობდნენ სახლში.

ვახტანგი ერთჯერადი საჩუქრებით არ კმაყოფილდებოდა და ეხმარებოდა თანამშრომელთა ოჯახებს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

დადებითმა და შინაურულმა ატმოსფერომ დაისადგურა საწარმოში. ყრუ-მუნჯი თანამშრომლები აღარ იყვნენ აგრესიულები, მათმა ნერვიულობამაც იკლო და იმატა შრომის ნაყოფიერებამ.

ეს ინფორმაცია თბილისშიც ჩადიოდა და ცენტრალური გაერთიანების ადმინისტრაცია განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავდა ვახტანგ ჭანკოტაძის მიმართ.

მაშინ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სულ ოცდაათამდე ყრუ-მუნჯთა საწარმო არსებობდა, უშვებდნენ პლასტმასის სხვადასხვა ნაკეთობებს, პოლიეთილენის ფირებს, პარკებს, საცობებს, ხუფებს, ბამბის საბნებსა და სხვა უამრავ

წვრილმანს.

ნედლეულის მოწოდება ცენტრის დაფინანსებით (ფონდების გამოყოფით) ხდებოდა და იმ შემთხვევაშიც კი, როცა გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ფონდები და ნედლეული ვერ გამოიყოფოდა ყრუ-მუნჯთა სხვა საწარმოებისთვის, ვახტანგ ჭანკოტაძეს უარს ვერ ეუბნებოდნენ და ყველა თხოვნას უკმაყოფილებდნენ, იმდენად აღფრთოვანებულები იყვნენ ვახტანგის მუშაობის სტილით, მეთოდებითა და ნაყოფიერებით.

მკითხველს ქვეცნობიერი ინტერესი ექნება და იკითხავს: „როგორ, ქრთამს აღარავინ სთხოვდა ამ პატიოსან კაცსო?!“ – ამის პასუხად გეტყვით: დიახ, ქრთამს სთხოვდნენ, იღებდა და გასცემდა ვახტანგი, ისევე, როგორც ყველა მისი კოლეგა...

კაცმა რომ სთქვას, ამას ქრთამი აღარც ერქვა. კორუფცია ცხოვრების სტილი იყო საბჭოთა კავშირის ყველა ქვეყნის ყველა საწარმოსთვის. ყველა ორგანიზაციისა და ყველა ადამიანისთვის ბუნებრივი მოვლენა და მოთხოვნილება იყო მოპარა, მოეკლო, მოეტყუებინა და სახელმწიფოს ხარჯზე ფული ეშოვნა.

ეს იყო უკვე დაჟანგული, მაგრამ ჯერ კიდევ ურყევი ჯაჭვი უბრალო საწარმოს უფროსიდან ვიდრე ქვეყნის გენერალურ მდივნამდე და ყველა იყო ამ ჯაჭვის რგოლი, თუ თეთრი ყვავი იქნებოდი და ამ ჯაჭვის რგოლობას არ მოისურვებდი, რგოლს კი გამოსვცლიდნენ, მაგრამ შენ მოგისვრიდნენ ურნაში, ქვეყანას შეატყობინებდნენ, რომ ჟანგიანი და უვარგისი რგოლი იყავი, ამიტომ მოგისროლეს და ამით გადაარჩინეს ურყევი ჯაჭვი გაწყდომისგან.

...ᲮᲕᲚᲐᲕ ᲮᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ...

ხუთი წელი იმუშავა ყრუ-მუნჯთა საწარმოო გაერთიანების დირექტორად.

ერთ რამეს მიხვდა: ლოზუნგი „მეცნიერები წარმოებას“ უდღეური გამოდგა. არავის სჭირდებოდა ნოვატორი მკვლევარი, რომელიც ეფექტურ და ეფექტიან სიახლეებს შეიტანდა წარმოებაში.

კვლევითი ინსტიტუტი ენატრებოდა, იქ დაბრუნება ეწადა, მაგრამ როგორც კომუნისტი, იმ ჯარისკაცად თვლიდა თავს, იქით წასულიყო, საითაც „გენერალი“ უბრძანებდა.

ამიტომ არც სწყენია, როცა „გენერალმა“ გადაწყვიტა მისი განთავისუფლება დირექტორის თანამდებობიდან.

მაშინვე კვლევით ინსტიტუტში დარეკა და დირექტორთან შეხვედრა მოისურვა.

ახალმა დირექტორმა გულთბილად მიიღო ვახტანგი, მოუსმინა, მოიხიბლა მისი ცოდნა-გამოცდილებით. მიხვდა იმას, რომ მისი ორგანიზაციისთვის საუკეთესო კადრი იქნებოდა ვახტანგ ჭანკოტაძე, რომელსაც გარდა სამეცნიერო-თეორიული ცოდნა-გამოცდილებისა, ჰქონდა უნიკალური გამოცდილება პრაქტიკოს-ხელმძღვანელისა.

აღარ დააყოვნა დირექტორმა და მიიღო ვახტანგი სამსახურში. უფრო მეტიც – სპეციალურად ვახტანგისთვის შექმნა ახალი განყოფილება და მის ხელმძღვანელად დანიშნა.

ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აქამდე ნაპირზე ამოგდებული თევზი იყო და ახლა დაუბრუნდა მშობლიურ მდინარეს.

შემოქმედი სული ჰქონდა და ფრთებს მეცნიერულ

კვლევა-ძიებაში უფრო ფართოდ შლიდა.

ამას ემატებოდა ორგანიზატორული ნიჭი, უნარი და გამოცდილება, რაც თეორიას პრაქტიკაში დანერგვის მეტ გასაქანს აძლევდა.

კვების მრეწველობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ყველა გრძნობდა და ხედავდა, ვახტანგი მეტისთვის იყო მზად.

სწორედ იმ დროს გორის კველვით ინსტიტუტში სწავლული მდივნის თანამდებობა განთავისუფლდა.

კანდიდატურების ძებნა აღარ დაუწყიათ, ერთ-ერთი პროფესორის რჩევამ და რეკომენდაციამ გაუნათა გონება დირექტორს:

„კაცო, მანდ გყავთ ვახტანგ ჭანკოტაძე და ისე არ მოგივიდეთ, თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას რომ დაეძებდაო“, უთქვამს პროფესორს და კველვითი ინსტიტუტის დირექტორმაც ვახტანგს შესთავაზა ეს თანამდებობა.

კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი იგივე დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო სფეროში.

ვახტანგი ზრუნავდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩაება თანამშრომლები; ავალებდა მათ სამეცნიერო სტატიების მომზადებას და ეხმარებოდა მათ გამოქვეყნებაში; ვახტანგ ჭანკოტაძის თაოსნობით, გორის კვლევითმა ინსტიტუტმა შეადგინა და გამოსცა სამეცნიერო კვლევითი ნამუშევრების კრებულები; ვახტანგი ზრუნავდა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ხელს უწყობდა ახალგაზრდა თანამშრომლებს, რომ სწავლა გაეგრძელებინათ ასპირანტურაში.

ვახტანგი განსაკუთრებით ზრუნავდა საჭირო და დეფიციტური კადრების მომზადებისთვის.

თუ რომელიმე დარგს უჭირდა კვალიფიციური

კადრი, ვახტანგი მოძებნიდა პერსპექტიულ ახალგაზრდას და აგზავნიდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით სხვადასხვა ინსტიტუტებში, სადაც უკეთესად ამზადებდნენ შესაბამის სპეციალისტებს.

ასე გადიოდა წლები და კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი საპენსიო ასაკს უახლოვდებოდა.

ელდა

გაზეთს კითხულობდა.

სხვა რაღა საქმე ჰქონდა, პენსიაში იყო, აღარსად ეჩქარებოდა, სამსახურებრივი პასუხისმგებლობის უღელი მოხსნილი ჰქონდა და შეეძლო თავისუფლად, დამსახურებულად დაესვენა.

იმ დღესაც იჯდა, ისვენებდა და გაზეთს კითხულობდა. ყველაფერი რომ წაიკითხა, ბოლო გვერდზე ნეკროლოგებსაც გადაავლო თვალი.

აბა, რას იფიქრებდა, რომ ელდა ეცემოდა იმ გაზეთის ბოლო გვერდიდან.

შავ ჩარჩოში შავი ასოებით ეწერა: „ოჯახი, ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თამარ ივანეს ასული დიდებულიძე...“

„თამარი, ჩემი თამარი!“ – სავარძლიდან წამოდგა ვახტანგი და ბარბაცით შევიდა ოთახში.

– ირა, თამარი გარდაიცვალა! – აუწყა მეუღლეს.

– რომელი თამარი? – შეიცხადა ქალბატონმა ირამ.

– თამარი დიდებულიძე, ჩემი კურსელი, ხომ გახსოვს, გიყვებოდი, ჩემი სტუდენტობის ერთი

წელი მისდამი სიყვარულს რომ ვუსახსოვრე.

– ვიზიარებ, – ჩუმად თქვა მეუღლემ და მგლოვიარე პაუზის შემდეგ ჰკითხა: „როდის წავიდეთ სამძიმარზეო?“

– არა, ირა, ეს ძველი გაზეთია, დაკრძალულიცაა და წლისთავიც გასულა.

მაინც უნდა წასულიყო და ენახა საფლავი – ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ აქამდე, მის გულის კუნჭულში სრულიად უჩუმრად ცხოვრობდა თამარ დიდებულიძე და ახლა, როცა შეიტყო მისი გარდაცვალება, – მოკვდა მისი გულის კუნჭულიც.

მაინც უნდა წასულიყო, მაგრამ სად? ვისთან?.. როგორ გაეგო, სად ცხოვრობდა? ან ახლა სად განისვენებს?..

სერგო ქანთარიას (თანაკურსელი) ტელეფონს მიაგნო და დაურეკა, ჰკითხა: „ხომ არ იცი, თამარ დიდებულიძე სად ცხოვრობდაო“ და შეიტყო მისამართი.

მეორე დღესვე წავიდა თბილისში. თამარის ქმარი უნდა ენახა და მისგან შეეტყო, სად განისვენებდა მისი სიჭაბუკის უმწიკვლო სიყვარული.

მოგონებები მოფრინავდნენ შორეულ წარსულიდან: გაახსენდა ის დღე, როცა პირველად იხილა თამარი და გაუჩნდა სურვილი მასთან სიახლოვისა.

გაახსენდა ის სიგიჟე, როცა გადაწყვიტა თამარის გულისთვის ერთი კურსით უკან დაეხია და მის გვერდით დამჯდარიყო სტუდენტურ მერხზე.

მართლაც აღმოჩნდა თამარის გვერდით, მაგრამ მხოლოდ აუდიტორიაში და საკუთარ გულში, აი, თამარის გულში კი ვერ დაიმკვიდრა ადგილი. კახელ „ჯო“-ს თბილისელი „ტო“ ამჯობინა თამარმა.

დარეკა ზარი და გამოვიდა კაცი ვინმე, წელში მოხრილი, მოტეხილი, წვერგაბანჯგვლული და თვალებდასიებული.

ვერ იცნო ვახტანგმა, თუმცა ინტუიციით მიხვდა, ვინც იყო.

– თემურ, შენ ხარ?

– მე ვარ, შენ ვინ ხარ?

– აი, მე ეს ვარ! – უთხრა ვახტანგმა და ფოტო აჩვენა.

ფოტოდანსიცოცხლე, სიჭაბუკე და სიყვარული ერთად ასხივებდა.

– მაიცა, შენ ისა?..

– ჰო, მე ვარ, თემურ.

– ვახო, ბიჭო, აღარ გვყავს თამარი! – უთხრა მასპინძელმა, ქვითინი აუვარდა და გულში ჩაიკრა სტუმარი.

სახლში კი შეიპატიჟა, მაგრამ სუფრაზე და სტუმარ-მასპინძლობაზე უარი უთხრა ვახტანგმა.

„წამიყვანე, საფლავი მაჩვენეო“ – ეს სთხოვა მწუხარედ და კვლავ იმ ფოტოს დახედა, რომლიდანაც სიცოცხლე, სიჭაბუკე და სიყვარული ერთად ასხივებდა.

– ჰო, ჩვენს ალბომშიც არის ეგ ფოტო, – უთხრა თემურიმ და ამოიოხრა.

– უნივერსიტეტის ეზოში გადავიღეთ მე და თამარმა. მაშინ უკვე თანაკურსელები ვიყავით, – თითქოს თავისთვის ჩურჩულებდა ვახტანგი.

– ჰო, ვიცი, ყველაფერი ვიცი! – თვალებზე ცრემლებს იშრობდა თემური.

– მე კი მეგონა, რომ ცივად შემხვდებოდი, შემაგინებდი და კარს მომიხურავდი, – სევდიანი ღიმილით უთხრა ვახტანგმა.

– როგორ გეკადრება! თამარი ხშირად მიყვებოდა შენზე. მეც ვაფასებდი შენს სიყვარულს და თავდადებას.

– ჰო, კარგი, კარგი!.. წამიყვანე, მაჩვენე!.. – უთხრა ვახტანგმა და წავიდნენ.

მივიდნენ საფლავზე.

ყვავილების თაიგული მოწიწებით მიართვა თამარს. დაიჩოქა მის საფლავთან და იყო ასე მდუმარედ თავჩაქინდრული.

საკუთარ გულში მის სულს ესაუბრებოდა ვახტანგი და გრძნობდა უცნაურ რამეს: თუმცა მოკვდა მისი გულის კუნჭული, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც სახლობდა და ცოცხლობდა თამარ დიდებულიძე.

მესამე გზა

მდოვრედ ცხოვრება არ შეეძლო.

არა იმიტომ, რომ ვინმეს შეემჩნია, არა იმიტომ, რომ ექოთ და ედიდათ... უბრალოდ, არ შეეძლო ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე არაფრის კეთებაში გაელია.

ცხოვრების დიდი ნაწილი მეცნიერებას მიუძღვნა და ახლა ის მეცნიერება აღარავის სჭირდებოდა. ახალმა დრომ „ჩარეცხა“ და ნაგვის ურნაში მოისროლა ძველი დროის ყველა ნაღვაწი. ამ კატასტროფულ მოვლენებს შეეწირა მეცნიერებაც.

ვახტანგი თავის თვალით უყურებდა, როგორ ინგრეოდა ის, რასაც ასე რუდუნებით აშენებდა ქვეყანა წლების მანძილზე.

საასპარეზო ადგილი აღარ დაუტოვეს. აღარავის სჭირდებოდა იგი, როგორც მეცნიერი, აღარც მისი

ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროებოდა ვინმეს.

სამოც წელს გადაცილებული კი იყო, მაგრამ უდიდეს შემოქმედებით ენერგიას გრძნობდა და სწუხდა, რომ საასპარეზო ადგილი აღარ ჰქონდა ამ ქვეყანაზე.

„პენსიონერი ხარ, რაღა გინდა, იჯექი და იფუსფუსე შვილიშვილებში, ან შენებრ პენსიონერებს ჩამოუჯექი ბირჟაზე და დრო მოკალიო“ – ამას ურჩევდნენ, მაგრამ არ იყო ეს ადვილი.

ვახტანგს მოსაკლავად ენანებოდა დროც, ნიჭიც, ცოდნაც და გამოცდილებაც...

შეამჩნიეს.

ჯემალ ინჯიას მახვილმა თვალმა შეამჩნია, რომ რაღაც ძვირფასი საბადო იმალებოდა ამ პენსიონერი კაცის სიღრმეში.

„...რაღაც, გაურკვეველ, იმედისმომცემ ნიშნებს ვხედავ შენშიო“ – თითქოს რენდგენზე გაატარა ამ სიტყვებით და ურჩია ვახტანგს ბატონმა ჯემალმა: „ლიტერატურულ საქმიანობას შეუდექი და ჩვენ აქ ვართ, ყველაფერში დაგეხმარებითო“.

ამას ჰქვია „ინსპირაცია“.

უფრო გასაგები ქართულით რომ ვთქვათ, ეს იყო შთაგონება, შეგულიანება და წაქეზება, რომელმაც ახალ საასპარეზო გზაზე გაიყვანა ვახტანგ ჭანკოტაძე.

ჯემალ ინჯიას შთამაგონებელი სიტყვებით ზურგის ქარის ძალა იგრძნო ვახტანგმა, ჩაჯდა ნავში და შეცურა ლიტერატურული მოღვაწეობის ზღვაში.

„თუ ასეთი გამოცდილი პოეტი ჩემში ხედავს იმედისმომცემ ნიშნებს, რა უფლება მაქვს, ხელუხლებლად დავტოვო მუზის საბადოო“ – იფიქრა ვახტანგმა, წერაქვად კალამი მოიმარჯვა და დაიწყო

საბადოს ძიება.

„...რა გავაკეთო... რა დავწერო...“ – ბევრი იფიქრა და ბავშვობაში უფროსებისგან მოსმენილი სასიყვარულო თავგადასავლები გაიხსენა. ემოციურად ყველაზე შთამაგონებელი აღმოჩნდა ლეგენდა მებრძოლ ქალ-ვაჟზე, რომლებიც გადამწყვეტი ბრძოლის წინა ღამეს სხედან ბუჩქებთან, გვერდით უწყვიათ იარაღი და აცნობიერებენ, რომ ხვალ ბრძოლაში შეიძლება დაიღუპონ. ამ გაცნობიერებით შეძრული ბიჭი გოგოს სთხოვს, რომ იმ ღამით მისი გახდეს. ამ თხოვნის საპასუხოდ გოგო თხოვს ვაჟს: „კლდის წვერზე ამიყვანე და შენი გავხდებიო“. ბეჭებზე მოიკიდებს ბიჭი შეყვარებულს, აიყვანს ციცაბოზე და გული უმუხთლებს – დაიღუპება. ამ ტრაგედიით გამწარებული გოგო სატევარით იკლავს თავს და დააკვდება უსულო ვაჟის სახეულს.

„...ცა გაფერმკრთალდა, ცისკრის ვარსკვლავმა
მზეს უწინამძღვრა, აუბა მხარი,
მტერს შეუტია ქართველთ ლაშქარმა,
ორით ნაკლები ხმლითა და ფარით“.

„გრემის ციხესთან“ – ასე უწოდა ვახტანგ ჭანკოტაძემ თავის პირველ ლექს-ლეგენდას, რომელსაც მოკლე ხანში მიუმატა მეორე ლექსიც „სამგორი“ და 2003 წელს გამოსცა თავისი პირველი წიგნი, სახელწოდებით „ლეგენდები“.

მოიწონა მკითხველმა ეს წიგნი და ვახტანგმაც რუდუნებით გააგრძელა „საბადოს ძიება“.

2004 წელს გამოსცა „მხიარული რითმები“. ეს წიგნი სახალისოცაა და დასაფიქრებელიც.

აი, მაგალითად:

„როცა ირჯები ხალისით,
საქმე გამოდის თავისით“.

...

„საფიქრალი ბევრი ჰქონდა დადიანს,
მაგრამ მაინც ვერ ნახავდით დარდიანს“.

...

„კაცს ქუდი თუ ახურავს,
მუდამა გრძნობს სახურავს“.

შემდეგ წელს ვახტანგ ჭანკოტაძემ პროზაშიც სცადა ბედი და მკითხველს მცირე ზომის რომანი შესთავაზა, სახელწოდებით „ბედისწერა“.

2006 წელს გამოვიდა წიგნი „მტევნის ნაჟური“, რომელშიც ავტორმა წარმოადგინა ნოსტალგიური ხასიათის ლექსები მშობლიურ კუთხეზე, ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებზე.

„...ვდგავარ მწვერვალზე, ძირს გავყურებ
როგორც მთამსვლელი,
ტკბილ ზღაპარივით მენატრება
ჩემი ბავშვობა...“

მას შემდეგ, რაც ახალ გზას დაადგა, წელი არ ჩაუგდია ვახტანგ ჭანკოტაძეს. მისი მუზის საბადო იმდენად მდიდარი გამოდგა, რომ ზოგჯერ წელიწადში ორი, სამი წიგნითაც დაუსაჩუქრებია მკითხველი.

თამამად და დამსახურებულად შევიდა მწერალთა ოჯახში ვახტანგ ჭანკოტაძე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრადაც მიიღეს და ამით მეტი პასუხისმგებლობითაც აღჭურვეს.

ერთხელ მეგობრულ სუფრაზე ჯემალ ინჯიამ ბრძანა: „ვახტანგ ჭანკოტაძე პოეზიის მატარებლის ბოლო ვაგონს შეახტაო“ (იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ ვახტანგი საკმაოდ გვიან შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას).

ჯემალ ინჯიას ეს სიტყვებიც შთამაგონებელი აღმოჩნდა ჩვენი გმირისთვის და 2008 წელს, ვახტანგ ჭანკოტაძემ გამოსცა მორიგი ლექსების კრებული, სახელწოდებით „ბოლო ვაგონის ლექსები“.

„...ვერ გადავიტან, რომ ვიღაცამ ხარბი მიწოდოს
და ამიტომაც არასდროს გთხოვ წლები მაჩუქო,
მამულისათვის მომკალ, ღმერთო, არ შემიცოდო,
ისე კი მომკალ, რომ მუხლებზე არ დამაჩოქო“...

...

„წმინდა სანთლებთან პირჯვარს ვიწერთ,
ვინ არჩევს ეთნოსს,
ვიმარჯვეთ ერთ დროს – ვმაღლდებოდით
ვჭედავდით ღირს დღეს,
ეგება ღირდეს, რომ სანთელი გულშიაც
გვენთოს,
კაცი კაცს ენდოს და სიკეთის ზეიმი იდგეს“.

ცხოვრების კიბის 75 საფეხური რომ აიარა ჩვენმა გმირმა, საკუთარ თავს, საიუბილეოდ, უცნაური წიგნი მიუძღვნა, სახელწოდებით: „კიბის 75 საფეხური“.

უცნაურობა ამ წიგნისა იმაში იყო, რომ კიბური რითმებით იყო წარმოდგენილი 75 ლექსი.

კიბურ რითმებს ყველა პოეტი გაურბის სირთულის გამო, თუმცა, ვახტანგ ჭანკოტაძე ყველა პოეტისგან იმით განსხვავდება, რომ სირთულე იზიდავს:

„ვდგამთ ქანდაკებებს, ვაგებთ ძეგლებს,
მემორიალებს...
ექო გრიალებს, ვძერწავთ გმირებს,
დიდებით მოსილთ,
ვინც ხელის მოსმით კვლავ გვიშუშებს
ეთნოიარებს...
ეპოსს მიაგებს მატიანე რითმებით მგოსნის“...

ერთი წიგნი საკუთარ შვილსაც მიუძღვნა ბატონმა ვახტანგმა. ეს არის მონოგრაფია არტილერიის გენერალ-ლეიტენანტზე დევი ჭანკოტაძეზე, რომლის საომარი ტაქტიკა სამხედრო ოპერაციების ისტორიაში და სამხედრო სახელმძღვანელოებში შესულია, როგორც გენერალ ჭანკოტაძის ტაქტიკა, გამორჩეული გაბედულებითა და შესრულების მაღალი ხარისხით.

არც ბავშვები დარჩენია უყურადღებოდ და გამოსცა წიგნები („იხარეთ“ (2004 წ), „აბა, გამოიცანი“ (2010 წ.), „ალმასა“ (2009 წ.)), რომლებშიც თავმოყრილია საბავშვო ლექსები, გამოცანები და მოთხრობები.

გაივლის დრო და ვახტანგ ჭანკოტაძის ლექსებზე გაიჟღერებს საბავშვო სიმღერებიც.

ეს უკვე მოხდა!

გორელმა კომპოზიტორმა დავით ქიტიაშვილმა ვახტანგ ჭანკოტაძის ათ საბავშვო ლექსზე შექმნა მშვენიერი სიმღერები, რომელიც ცალკე კრებულადაც გამოიცა და სამაგიდო წიგნად იქცა ბევრ ქართულ ოჯახში და საბავშვო ბაღებში, სადაც ზრუნავენ ჩვენი პატარების სულიერ-ესთეტიკურ ჩამოყალიბებაზე.

ასე გაილია ცხრა ათეული წელი და მესამე გზაზეც ბარაქიანი გამოდგა ვახტანგ ჭანკოტაძის ასპარეზობა. ათეულობით სამეცნიერო ნაშრომსა და გამოგონებას შეემატა ოთხასამდე პუბლიცისტური წერილი და ორმოცდაათამდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

„ბოლო ვაგონზე შემხტარმა“ მწერალმა ლამის ყველა ვაგონში მჯდომ მწერალზე მეტი შექმნა და დაიმსახურა აღიარება.

სამეცნიერო, საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობაში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის ვახტანგ ჭანკოტაძე დაჯილდოებულია ღირსების მედლით;

არჩეულია გორის საპატიო მოქალაქედ;

არის აკაკი წერეთლის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი და მინიჭებული აქვს ღვაწლმოსილის საპატიო წოდება.

...

როცა ვახსენეთ მესამე გზა, ბუნებრივია, ვიგულისხმეთ სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობის შემდეგ, სამწერლო საქმიანობის რთულ გზაზე შედგომა, თუმცა, თითოეულ ამ და სხვა გზებზეც არსებობს სამი გზა და ვახტანგი ყოველთვის ირჩევდა მესამე გზას – რთულსა და ტკივილიანს.

მსურს ეს წიგნი დავასრულო ბატონ ვახტანგ ჭანკოტაძის ლექსით „მესამე გზა“ – რომელიც უკეთესად წარმოაჩენს ავტორის ხასიათსა და ბუნებას:

„სიზმრად ვხედავდი ცხოვრების სამ გზას,
და არჩევანიც წილად მხვდა რთული,
აღარ ვჩიოდი ჭაპანს და საგზალს,
აფორიაქდა სული და გული.

მუდმივ სიმშვიდეს მპირდება ერთი:
(არ მაკლებს ხოტბას, ლაქუცსაც ბედავს),
„თუ წახვალ სხვა გზით დაგსჯისო ღმერთი,
ჩემთან კი ნახავ ლხინსა და შვებას“.

მეორე გზისკენ გამექცა აზრი...
ჩანს ოქრო-ვერცხლის მაღალი გორა,

„ურიცხვ სიმდიდრეს ჰპოვებო ამ გზით,
გეყოლებაო მრავალი მონა“.

მესამე მმოძღვრავს – „ძნელია ჩემთან,
ეკლიან გზების მოგიწევს გავლა,
დიდ შრომასა და ბრძოლებთან ერთად,
მწარე ტკივილიც წარგტაცებს ძალას“...

არა მქონია სიმდიდრის მადა,
ტკივილს მოთმენით ვიტანდი მეტწილ...
მე ავირჩიე მესამე გზა და
ახლა ამაყი წარსვდექი თქვენს წინ.“

ლექსმა ქნა?!.

მრავალნაირი სვე-ბედისა და დანიშნულების ლექსები არსებობს, არის ისეთი ლექსებიც, რომლებიც გარემოში რაღაცას ცვლიან. ასეთი ბედი ერგო ვახტანგ ჭანკოტაძის ერთ-ერთ ლექსსაც, რომლის შესახებაც მინდა მოგიყვეთ.

ვახტანგის მშობლიურ თელავში, „ბატონის ციხესა“ და „ბატონის წყაროს“ მიდამოებში დგას ხანდაზმული ჭადრის ხე, რომლის გარშემოწერილობა 12 მეტრია.

ამ ბებერ ჭადრის ხესთან უმასპინძლა ქალაქმა მე-19 საუკუნის კორიფეებს: ილიას, ვაჟას და აკაკის...

ამბობენ, ამ ხეს სურვილების ასრულება შეუძლიაო და დღესაც ხშირად იხილავთ ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ჭადრის ხეს წრეს შემოავლებენ და ასე გადაჯაჭვულები ჭადარს და ღმერთს ევედრებიან რაიმე სურვილის აღსრულებას.

არავინ იცის, ვინ, როდის, ან რატომ შეარქვეს ამ ხეს „800 წლის ჭადარი“. ფაქტი ის არის, რომ საუკუნეები იცვლებოდა, ამ ბებერი ხის სახელი კი იგივე რჩებოდა: „800 წლის ჭადარი“.

ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე იხსენებს, რომ მამამისისთვის პაპამისს უთქვამს: „ეს ჭადარი 800 წლის არისო“.

ამ რეალობამ და გაურკვევლობამ ლექსი დააწერინა ბატონ ვახტანგს. აი. ისიც:

ბრგე თელავის შუაგულში
დგას ფესვგამძლე ჭადარი,
არ მინახავს მისი მსგავსი,
ტოლფასი თუ სადარი.

ბავშვობიდან მანცვიფრებდა
საოცარი ასაკი,
მის ტოტებქვეშ სიტყვა უთქვამს
თვითონ სულმნათ აკაკის.

მახსოვს, ერთხელ დიდმა პაპამ
საგანგებოდ მახარა:
„რვაასი წლის არის ეს ხე,
ვფიცავ ამ ჩემ ჭაღარას“.

დღესაც – თუ გსურს თელაველი
სიამაყით აღივსოს,
შეეკითხე, – გიპასუხებს:
რვაასი წლის არისო.

გულით მინდა (სურვილი მაქბს),
უკვდავებას გადარო,

ვეღარ გახდი ცხრაასი წლის,
რვაასი წლის ჭადარო?

. . .

ეს ლექსი 2009 წელს დაწერა ბატონმა ვახტანგმა, შემდეგ წიგნში შეიტანა და ეს წიგნები თავის დას, დარეჯანს გაუგზავნა თელავში. რამდენიმე თვის შემდეგ დარეჯანმა დაურეკა ვახტანგს და ამცნო: შენ რომ ლექსი დაწერე ჭადარზე, ხალხმა აიტაცა და ყველა იმას გაიძახის: „მართლაც, რითი ვერ გახდა 900 წლის ეს ჭადარიო!“

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ქალბატონმა დარეჯანმა მორიგი სიახლე ამცნო ძმას: „ბებერ ჭადარს აბრა გაუკეთეს და აწერია: „900 წლის ჭადარი“.

როგორც ჩანს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყურად იღო თელაველების უკმაყოფილება და ოფიციალურად „შეუცვალეს“! ჭადარს ასაკი.

ეპილოგის ნაცვლად

ის იყო დავასრულე ეს წიგნი, იმავ საღამოს უცნობი გამომეცხადა და ძალიან უცნაურად მომესალმა – არც სიტყვა უთქვამს, არც ხელი გამოუწვდენია გამარჯობისა თუ გაცნობის ნიშნად. მდუმარედ მიყურებდა და ძლივს შესამჩნევად თავს აქეთ-იქით აქნევდა.

ეს არ ჰგავდა მისალმებას, უფრო სინანულს და იმედგაცრუებას გამოხატავდა, რაც მიანიშნებდა იმას, რომ მე მოლოდინი გავუცრუე, მაგრამ... რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ჩემგან? მე ხომ არც ვიცნობდი მას.

„რა ჰქენი, დაასრულე?“ – ისე მკითხა, თითქოს მის დავალებას ვასრულებდი და ახლა ანგარიში უნდა ჩამებარებინა.

„რა დავასრულე-მეთქი?“ – სრულიად სამართლიანად გამოვხატე გაოცება და ბრაზი.

„ვახტანგიზე წიგნი დაწერე?“ – შემეკითხა და იდუმალი ღიმილით ქვემოდან ზემოთ ამომხედა.

„ვახ, საიდან მახსოვს ეს კაცი“ – ჩემთვის გავიფიქრე, მაგრამ მაინც ვერ გავიხსენე. მისი შეკითხვა კი არ გამკვირვებია, – მთელ ქვეყანას მოვდე, ვახტანგ ჭანკოტაძეზე წიგნს ვწერ-მეთქი და რა გასაკვირია, ვინმე უცნობსაც გაეგო.

„დავწერე-მეთქი“ – დავუდასტურე.

– მერე? – მკითხა გამომწვევად.

– რა მერე?

– რა შთაბეჭდილება დაგრჩა?

– კარგი.

– სულ ეგ არი?

მის გამომწვევ კითხვაზე პასუხს დუმილი ვამჯობინე, თუმცა მალევე ვკითხე:

– უკაცრავად, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით და რა პრეტენზიები გაქვთ საერთოდ? – ცოტა არ იყოს,

გავცეცხლდი.

– ის პრეტენზია მაქვს, რომ მსურდა წიგნს რქმეოდა „მადლმოსილი“.

– მადლმოსილი?

– ჰო, ცუდი სახელწოდებაა?!

– არა, კარგია, მაგრამ...

– აი, მაგაშია საქმე, „მადლმოსილს“ ვერ დაარქმევდით, რადგან მადლი ღმერთს ნიშნავს, ვახტანგი კი არ არის ღმერთით მოსილი.

– ვერ დაგეთანხმებით, მადლი სიკეთეს, მოწყალებას, კეთილ საქმეს ნიშნავს და ბატონი ვახტანგი ნამდვილად არის მადლმოსილი, ღვაწლმოსილობასთან ერთად.

– მე მაინც გული მწყდება, – თქვა უცნობმა და თავი ჩაქინდრა.

– ვისზე გწყდებათ გული? – ჩავეკითხე მე.

– თქვენზე.

– ჩემზე?

– კი, თქვენზე, იმიტომ, რომ იმედი გამიცრუეთ.

– მე გაგიცრუეთ იმედი? არც კი გიცნობთ! – თავი ვიმართლე მე.

– ჯერ ერთი, მიცნობთ, მეორეც – ახლაც კი ვერ აცნობიერებთ, რამ ან ვინ დაგაწერინათ ეს წიგნი.

– თქვენ დამაწერინეთ?! – ვკითხე და სიცილი ამიტყდა.

– არა, როგორ გეკადრებათ, მე როგორ დაგაწერინებდით, მე, უბრალოდ, ღმერთს ვთხოვდი, ვახტანგისთან მისულიყო ვინმე ღვთისნიერი კაცი, რომელიც ეტყოდა მთავარ სათქმელს.

– მთავარ სათქმელს?! – გავიკვირვე და მხრები ავიჩეჩე.

– ჰო, მთავარ საქმელს.

– რა არის მთავარი სათქმელი?

– აბა, თქვენ როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს მთავარი სათქმელი 90 წლის კაცისადმი? – შემომიბრუნა კითხვა.

– მაპატიეთ, ვერ ვხვდები, – დაბნეულად ვუპასუხე.

– აი, თქვენი მშობელი რომ იყოს ამ ხნის, რას უსურვებდი? რას გააკეთებდი? რაზე იზრუნებდი?

– ყველაფერზე! – აშკარად უაზროდ ვუპასუხე.

– მე თქვენ გეკითხებით, როგორც ქრისტიანი ქრისტიანს: რა არის მთავარი საზრუნავი ადამიანისთვის?

– ქრისტესთან სიახლოვე! – ვუპასუხე.

– აგაშენა ღმერთმა! ეს არის ის მთავარი სათქმელიც, რაც ვახტანგისთვის უნდა გეთქვა, თქვენ კი ეს არ გააკეთეთ, არ იზრუნეთ ვახტანგიზე, როგორც საკუთარ მშობელზე, არ ეცადეთ მის ქრისტესთან დაახლოვებას, ამაზე მწყდება გული.

– თქვენ...

– მინდა, რომ აღმსარებელი და მაზიარებელი იყოს ჩემი შვილიშვილი!

– თქვენი შვილიშვილი?! – წამოვიძახე და გამეღვიძა. კარგა ხანს სუნთქვაშეკრული მივშტერებოდი კედელზე დაკიდულ ხატებს.

გამახსენდა, ვინც იყო ეს უცნობი.

დეკანოზი დავით გოცირიძე, ოცდაშვილი შვილის მამა, ვახტანგ ჭანკოტაძის პაპა.

მოსვენება დავკარგე, მის მერე ყოველ ღამე იმის სურვილით ვიძინებ, რომ კვლავ დამესიზმროს ეს ღვთის კაცი და ბოლომდე მითხრას თავისი სათქმელი.

სამწუხაროდ, აღარ დამესიზმრა და ვიფიქრე ჩემთვის: „თუ რამეს მეტყოდა, რაღა თქმა უნდა, სახ-

არებიდან მეტყოდა-მეთქი“. გადავშალე წმინდა წერილი. შემთხვევითობის პრინციპით, ბრმად დავადე თითი ტექსტს და აი, რა ამოვიკითხე:

„...ხოლო თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა, მოფრინდნენ ცის ფრინველები და აკენკეს ისინი...“ (მარკოზი, 4.4.).

„რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები?“ – ფიქრი ცეცხლად მექცა და სასწრაფოდ მოვიძიე განმარტება. აი, რას წერს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი:

ეს თესლი არის ღვთის სიტყვა და თუ იგი უყურადღებოდ დაეცემა – წახდება.

მთესვარი თავად ქრისტეა, რომელიც გარდმოვიდა მამის წიაღიდან, რათა დაეთესა კეთილი თესლი, ანუ ექადაგა თავისი სახარება.

...მაგრამ ამ თესლთაგან ზოგი დაეცა გზის პირას, მოფრინდნენ ცის ფრინველები, ანუ დემონები და შთანთქეს ეს თესლი.

...გზა არის თავად ქრისტე („მე ვარ გზა და ჭეშმარიტება!“), ხოლო გზის პირას ის ადამიანია, რომელიც გზის მიღმა, ანუ ქრისტეს მიღმა იმყოფება.

მივხვდი, სიზმრად ჩემთან წვეულ ღვთის კაცს სურდა, რომ მისი შვილიშვილი ის კეთილი ნიადაგი ყოფილიყო, სადაც ჩაითესებოდა ქრისტეს სიტყვა ანუ სახარება და აღმოცენდებოდა ნაყოფი კეთილი.

ეს არის ცხონების საიდუმლო და ეს არის მთავარი სათქმელიც: ისმინო, მიიღო ღვთის სიტყვა და გამოიღო ნაყოფი ერთი-ასად. ეს არის საიდუმლო ბედნიერებისა, ორთავ ქვეყანასა შინა!

სხვადასხვა

სანატრელი სიჭაბუკე

გზას დავადექი ყოფის კარნახით,
ოთხმოცდაათი წელში გავმართე,
ვხედავ გოგონას — მოდის ნარნარით,
მკერდით მოაპობს აღმართ–დაღმართებს.

ტანად ალვისხე, მზის ელვარება,
სანთლით ნაძერწი გრძელი ფეხებით,
ოქროსთმიანი, ცისფერთვალება...
სურვილმა მომკლა ხელით შეხების.

ფიქრმა ჩაიცვა ქარის სამოსი...
ფრანტი მერცხლების მესმის ჭიკჭიკი,
თითქოს შემიღეს კარი სამოთხის,
კვირტები დასკდა თეთრი თივთიკით.

ისრად მესროლა მზერა ირიბი,
მიძინებულმა განძმა იფეთქა,
მონუსხულივით ვუცქერ იმ ფიქრით,
რომ ყოფნა მსურდა მხოლოდ იმ ერთ–
თან.

გული როდი მაქვს ერთობ აყალო...
სიტყვა დამჭირდა, სიტყვა ნუგეშის,
გთხოვ, დამაბრუნო, ღმერთო მაღალო,
თუნდაც ერთი დღით სიჭაბუკეში.

რამდენიმე ზტრიხი - პორტრეტისთვის

ექიმი და პაციენტი

– ექიმო, მეშველება რამე, რა დამინიშნეთ?

– ამ პრეპარატის ანტიმიკოზურობა განპირობებულია კლოტრიმაზოლის, ზოგადად იმიდაზოლის მიერ ერგოსტერინის სინთეზის დარღვევით, რომელიც შედის უჯრედულ მემბრანაში, რაც იწვევს ლიზისს. ეფექტურია დერმატოფიტების, ლიქენის ერითრაზმის გამოწვევების მიმართ. რეზისტენტობა კლოტრიმაზოლის...

პაციენტს ლამის თავბრუ დაეხვა, გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა და მისუსტებული ხმით წარმოთქვა – ვერაფერი გავიგე.

– რა არის აქ გაუგებარი, ყველაფერი კარგად აგიხსენით; უიმე, რა ხალხი მოდის...

აქ კი ნერვებმა უმტყუნა პაციენტს.

– როგორ ბედავ თავხედობას?! ეს, შენ „მოდიხარ“, ჯერ რომ რძე არ შეგშრობია ტუჩებზე, თორემ მე, დიდიხანია „მოსული“ ვარ და ალბათ თქვენისთანების წყალობით „წასვლის“ რიგიც მალე მოვა; ტყუილად კი არ მასწავლიდნენ, რომ „უკუმში სითხისთვის, ორი გეომეტრიულად მსგავსი მოძრაობა, მექანიკურადაც მსგავსია, თუ მათ აქვთ ერთნაირი რეინოლდსისა და ფრუდის კოეფიციენტები... სიმეტრიული ტენზორის მხები კომპონენტები ნულია ორთოგონალურ სიბრტყეზე, რაც ტენზორის კერძო შემთხვევაა... ტენზორი ვექტორის განზოგადოებაა, ისევე, როგორც ვექტორი – სკალარისა... სინგულარული...

ექიმმა ვერაფერი გაიგო. ფიქრობდა, ხომ არ მაგინებსო. ახლა მას გაუფართოვდა თვალის გუგები და გაწიწმატებულმა კარისკენ მიანიშნა ნიშნისმოგებით მომღიმარე პაციენტს.

* * *

ერთხელ ვკითხე: „ბატონო ვახტანგ, თქვენი შინაგანი შემართების შემყურე, ადამიანი ვერ იტყვის და ვერ დაიჯერებს, რომ 90 წლისა ხდებით, საიდან გაქვთ ეს ენერგია, ეს ჭაბუკური შემართება-მეთქი?“

მან მიპასუხა: „სულ რაღაცის კეთების რეჟიმში მყავს საკუთარი თავი. როგორც კი ვიღვიძებ, დილაუთენია გეგმას ვწერ, თუ რა უნდა გავაკეთო იმ დღეს. „იქ უნდა წავიდე“... „ის უნდა ვიყიდო“... „იმას უნდა შევხვდე“... „ის უნდა დავწერო“... „იმას უნდა დავურეკო“ და ასე შემდეგ... შვიდ-რვა საკითხს ჩამოვწერ და შევჩერდები ხოლმე, იცი, რატომ?.. იმიტომ, რომ ბევრის ჩამოწერა ნიშნავს, რომ ზოგს ვერ შევასრულებ. მერე ძალიან ვნერვიულობ ხოლმე შეუსრულებელ საქმეებზე.

სამაგიეროდ, ნეტავ იცოდეთ, როგორი ბედნიერი ვარ, როცა გეგმით დასახულ საქმეებს ასი პროცენტით ვასრულებ. ეს ბედნიერება მაძლევს შემართების ენერგიას და მავიწყებს სიბერეს“.

* * *

ბატონი ვახტანგი გორის საპატიო მოქალაქეა და განსაკუთრებული პასუხისმგებლობითაა გამსჭვალული ამ ქალაქის მიმართ. ხარობს, თუ რამ კარგი ხდება და სწუხს, თუ აღმოაჩენს, რაიმე ხარვეზსა

და უწესრიგობას.

ერთხელ, გორის ერთ-ერთ ქუჩაზე, ბატონმა ვახტანგმა გააჩერა კაცი და ჰკითხა: „ამ ქუჩაზე ცხოვრობთ?“ დადებითი პასუხი რომ მიიღო, შეეკითხა: „ვინ არის ის პიროვნება, ვისი სახელობის ქუჩაზეც ცხოვრობთო?“ – ვერ მიიღო პასუხი და ახლა სხვას ჰკითხა. ათი კაცი გამოკითხა და არც ერთმა არ იცოდა, ვისი სახელი ერქვა ქუჩას, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

ბატონმა ვახტანგმა გადაწყვიტა, ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართოს ინიციატივით: ყოველი ქუჩის თავსა და ბოლოში იყოს მემორიალური დაფა, რომელზეც იქნება მოკლე ინფორმაცია იმ პიროვნების შესახებ, ვის სახელსაც ატარებს ქუჩა.

* * *

ბატონმა ვახტანგმა დამირეკა, მითხრა: „როგორც ადვოკატი, მჭირდებიო“ და მთხოვა შეხვედრა.

„ნეტავ, რა პრობლემა უნდა ჰქონდეს-მეთქი?“ – ვფიქრობდი და ვწუხდი.

რომ შევხვდი, გავვოცდი: ბატონ ვახტანგს არანაირი საადვოკატო დახმარება არ სჭირდებოდა, მაგრამ წუხდა უცხო ადამიანზე, რომელიც ციხეში იჯდა და ესაჭიროებოდა სამართლებრივი დახმარება.

„ჩემო ბესიკ, ეს კაცი არც ნათესავია ჩემი და არც ახლობელი, ნაცნობია უბრალოდ... მაგრამ ადამიანია და დახმარება სჭირდება... ციხიდან დამირეკა და შველა მთხოვა. აბა, მე რა უნდა ვუშველო და ამიტომ დაგიძახე, იქნებ ესტუმრო ციხეში და

მოუსმინო. ერთი პროცენტიც რომ იყოს დახმარების შანსი და ჩვენ ეს უყურადღებოდ დავტოვოთ, ხომ იცი, არ გვეპატიება!“

* * *

ჩემი სიდედრი, რუსუდან სრესელი გორის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა და სულ იხსენებდა იმ კეთილ განწყობას, რაც სამსახურში სუფევდა.

უფრო მეტიც, კვლევითი ინსტიტუტის გაუქმების შემდეგაც თანამშრომლები კვლავ იკრიბებოდნენ და ხარობდნენ ერთმანეთის ხილვით.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ამ შეხვედრების ინიციატორი ვახტანგ ჭანკოტაძე იყო, სწორედ ის ურეკავდა ყოფილ კვლევითელებს და ყოველი წლის 1 სექტემბერს გორის თეატრის ეზოში ეპატიჟებოდა. თავიდან ას კაცამდე შეგროვდა. იხარეს და იბედნიერეს ერთმანეთით. მერე რესტორანში წავიდნენ და იქ იჯერეს გული ერთმანეთის სიყვარულით.

ასე მეორდებოდა ყოველი წლის 1 სექტემბერს, ოღონდ თანდათან მცირდებოდა მომსვლელთა ოდენობა.

მეორე შეხვედრაზე 70 თანამშრომელი შეიკრიბა, შემდეგ წელს – 50 და 2022 წლის 1 სექტემბერს, 3 კაცის მეტი რომ ვერ მოვიდა, გულდაწყვეტილმა ვახტანგ ჭანკოტაძემ საკუთარ თავს უთხრა: „ეხ, ვახო, რაღაც დასრულდა კიდევ...“

ბესიკ კაიშაური

გამორჩეული კაცი

ვახტანგ ჭანკოტაძე ქართულ მწერლობაში გამორჩეული კაცია. გამორჩეულს იმიტომ ვამბობ, რომ მან ქართულ ლიტერატურაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი მონეტა მოჭრა და თავისი ხელწერა დაამკვიდრა.

90 წლამდე ისე მოაღწია, რომ ვაუკაცურად, პატიოსნად, უანგაროდ ზიდა ქართველი მწერლისა და მამულიშვილის მძიმეზე მძიმე ტვირთი.

უპირველეს ყოვლისა, ყოველთვის იპყრობდა ქართველი მკითხველის ყურადღებას თავისი შეუვალი ეროვნული პოზიციით და თუ ვინმეზე ითქმის მამულიშვილიაო, – ვახტანგ ჭანკოტაძეზეც ითქმის.

იგი მაგალითად გამოადგება ქართველ მწერალთა თაობებს თავისი, როგორც შემოქმედის, სტილური ნიშნითა და გამომსახველობითი ორიგინალურობით.

ამ ბოლო დროს მწერლები თავიანთი ხელწერით ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს, რომ გამორჩევა გვიჭირს, ვახტანგ ჭანკოტაძის ნააზრევს კი, თუნდაც გვარი არ ეწეროს, მაშინვე გამოარჩევ თავისი ორიგინალური ხელწერით.

საგულისხმოა, რომ ერთნაირი წარმატებით მუშაობს იგი პროზაში, პოეზიაშიც და საოცარი მწერლური ალღოთი ეძებს მხატვრულად თქმის ახალ-ახალ საშუალებებს.

მისი ნაწერი ერთნაირად ძვირფასი და სასარგებლოა მკითხველთა ყველა თაობისათვის.

ვახტანგ ჭანკოტაძეს აქვს განსაცვიფრებელი მო-

ქალაქეობრივი თავმდაბლობა, რაც მხოლოდ ჭეშ-მარიტი ოსტატისთვისაა დამახასიათებელი.

ერთხელ, ჩემი, საკმაოზე მეტად სქელტანიანი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ მივართვი წასაკითხად. დღეს, როდესაც მკითხველთა ერთი ნაწილი ისეა განებივრებული (განებივრებულში ცუდ მკითხველობას ვგულისხმობ), რომ წიგნს თუ აჩუქებ, ზრდილობა არ ყოფნის, დაგირეკოს, მადლობა გითხრას, ან ყოველგვარი მადლობის გარეშე, თავისი აზრი მოგახსენოს, ბატონმა ვახ-ტანგმა, როგორც ველოდი, ამ შემთხვევაშიც სა-სიამოვნოდ გამაოცა, ერთი კვირის თავზე წერი-ლი გამომიგზავნა, ოღონდ დასაბეჭდად კი არა, – სახელმძღვანელოდ.

იმ წერილს, უძვირფასესი შენიშვნებით, მათ შო-რის, პუნქტუალური შენიშვნებითაც, დიდი პატივის-ცემის ნიშნად, სასოებით ვინახავ დღესაც.

ამ და სხვა ძვირფასი თვისებების გამო მიმაჩნია ვახტანგ ჭანკოტაძე ჩემს გულითად მეგობრად.

სულითა და გულით ვულოცავ, მეოცედან ოცდა-მეერთე საუკუნეში გადმოსულ მწერალ კლასიკოსს, ქართველ ინტელიგენტთა ძვირფასი თაობის ერ-ერთ უკანასკნელ მოჰიკანს, ჩემს ძვირფას მეგობარს, ვახტანგ ჭანკოტაძეს 90 წლის სახელოვან იუბილეს.

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი
კავშირის თავმჯდომარე,
მრავალი ლიტერატურული პრემიის,
წოდების, ჯილდოს მფლობელი,
მსოფლიოში აღიარებული ნოველისტი

ვახტანგ ჭანკოტაძის შესახებ

ვახტანგ ჭანკოტაძე – პიროვნებაა, რომელიც გაცნობისთანავე გამახსოვრებს თავს კულტურით, ერუდიციით, განათლებით, სხვადასხვა დარგის სიღრმისეული ცოდნით, იქნება ეს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული მიმართულებები.

ამის დამადასტურებელია მისი ათეულობით სამეცნიერო შრომა და გამოგონება, გამოცემული აქვს უამრავი საინტერესო წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში.

მისი ნიჭიერება ყოველთვის დადებით კვალს ტოვებდა საქმეზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დროს.

ვახტანგის უპირველესი კრედო გახლავთ სამშობლოს სიყვარული, ადამიანთა მიმართ გულისხმიერება, თანაგრძნობა და თანადგომა. იგი ადამიანებში ეძებდა და პოულობდა თვისებებს, რომელიც წარმოაჩენდა მას დადებით პიროვნებად.

იშვიათია პიროვნება, რომელსაც ისეთი ახლობლური მეგობრობა და ნაცნობობა აკავშირებდეს ჩვენი თუ საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, როგორიც ბატონი ვახტანგია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მის მიერ გამოცემული წიგნები, სადაც კარგად არის გადმოცემული თითოეულ მათგანთან ნათესაური, მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გამოხატული მადლიერების გრძნობა მათ მიმართ, ვისაც ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე დახმარების ხელი გაუწვდენია მისთვის.

არდავიწყება მოყვრისა და სიკეთისა კიდევ უფრო გამაღლებთ თქვენ, ბატონო ვახტანგ.

დღეს თქვენი ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და მთელი საზოგადოება ვზეიმობთ თქვენი

დაბადების 90 წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, რათა კიდევ დიდხანს ამშვენებდეთ ჩვენს ქალაქსა და საზოგადოებას.

ლერი პაპუაშვილი

ძმაო ვახტანგ!

ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით და მინდა გითხრა, რასაც შენზე ვფიქრობ, როგორიც მინახიხარ, რაც გამიგონია.

ხარ მაღალი ხარისხის, კახური ჩამოსხმის შესანიშნავი გორელი, ამიტომაც გორის საპატიო მოქალაქე. ხარ ცნობილი მწერალი და პოეტი, შენს მრავალ დიდსა თუ პატარა წიგნებში, ხშირად სწერ სერიოზულად არასერიოზულზე, ჩაჰკირკიტებ ყველაფერ იმას, რაც სხვებისთვის შეუმჩნეველია, ვერ ხედავს ან არ ესმის, ან კიდევ აქსიომად მიაჩნია. მოხიბლული ვარ შენი შესანიშნავი და შესაშური იუმორით, განათლებით. მიკვირს: რამდენს უნდა კითხულობდე, ამდენს რომ სწერ. აკვირდები დედამიწას და კოსმოსში მიმდინარე პროცესებს, დასცინი და გმობ ადამიანებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, ხშირად პატარებისთვის სწერ, უფროსების ჭკუის სასწავლებლად. არ გახასიათებს შავი იუმორი.

არ შეიძლება შენზე ვილაპარაკო და არ ვთქვა, როგორი იყავი მამაპაპურ სუფრაზე, ვიცი ეხლაც ეპარები წითელ ღვინოს. ყურადღებას იპყრობდი დაკვრითა და სიმღერით, მხიარულობდი და ამხიარულებდი თანამეინახეებს, გიყვარდა და გიყვარს მეგობრები, მათი მხარში დგომა.

მხოლოდ ის გითხარი, როგორსაც გიცნობ. სხვებმა ილაპარაკონ, როგორი იყავი სწავლასა და სამსახურში.

ვახტანგ, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ, თითქმის

ერთმანეთის ფანჯრებში ვიცქირებით. ხანდისხან ვხვდებით კიდეც, გავჩერდებით ცოტახანს, მაგრამ ბევრს რამეს გავკრავთ – პოლიტიკას, ეკონომიკას და ერთ-ორ ანეკდოტსაც გავცვლით ხოლმე.

ბოლოს როცა შევხვდით რამდენიმე დღის წინ, გითხარი, რომ ყოველთვის მსიამოვნებს შენთან შეხვედრა და გასაუბრება. თუ ესღა დაგვრჩა სასიამოვნოდ, დე, ღმერთმა ნუ მოგვაკლოს.

ვახტანგ, გილოცავ საიუბილეო 90-ე წლისთავს და გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ, წარმატებულ საქართველოში დიდხანს სიცოცხლეს.

პროფესორი, ელდარ მამისთვალიშვილი
28.01.2023

„დაჰკარ ღვთის ზარი, გულში ცეცხლი უტყვად მინთია“

შიდა ქართლში მოღვაწე ქართველ მწერალთა შორის ვახტანგ ჭანკოტაძეს თვალსაჩინო ადგილი უკავია. მან დიდი ხანია მიიპყრო მკითხველის ყურადღება მრავალფეროვანი ლიტერატურული ჟანრებით.

დაიწყო პოეზიით. პოეზიას პროზა მოჰყვა.

ცალკე წიგნებად გამოსცა ლიტერატურული და სამეცნიერო სტატიები.

პოეტის, მწერლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის ნაღვაწში ჩანს პიროვნება, შემოქმედებითი გმირი, ცხოვრების რთულგზაგამოვლილი, ქვეყნის ერთგული და სიმართლის გამკითხავი.

„კახურად გეტყვიო“ – იცის ხოლმე თქმა. ეს „კახური“ ხშირად მწარე სიმართლის შემცველია. არადა, როგორ გვჭირდება მართალი სიტყვა ჭრელ-ჭრულა ზინზილაკებით განებივრებულებს, ჩვენი შავ-თეთრი სამყაროს შესაცნობად.

ნათქვამია – ზოგის ცხოვრება მთელი წიგნია,

ზოგისა მხოლოდ სათაურიაო. ბატონი ვახტანგის ცხოვრება მართლაც მთელი წიგნია, იქნებ წიგნებიც ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრებისა, რომელთა სრული მიმოხილვა კი არა, სათაურების ჩამონათვალსაც ვერ დაიტევს ერთი ჩვეულებრივი სტატია.

...ძნელია ლამაზი ლექსით, მოთხრობით თუ ლიტერატურული წერილით ვინმე გააკვირვო რუსთველისა და ვაჟას სამშობლოში, მაგრამ ვახტანგ ჭანკოტაძე თავისი შემოქმედებით, აქტიური მოღვაწეობით „გაიძულებს“ მოუსმინო და დაუჯერო.

...დიდი ილიას ნაკვეთზე შემდგარ კაცს არასოდეს დასჭირვებია იმის შეხსენება, რომ კაცი მარტო წიგნებიდან არ უნდა გამოიყურებოდეს:

ბატონი ვახტანგი აქტიური საზოგადო მოღვაწეა.

წლების განმავლობაში ტელეკომპანია „თრიალეთში“ მიჰყავდა ლიტერატურული გადაცემების ციკლი.

ერთ-ერთი ინიციატორი და მოთავე იყო გორში ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირის დაარსებისა.

იგი ქალაქის საპატიო მოქალაქეა.

ცნობილ მწერალსა და მოღვაწეს ხშირად სთხოვენ აზრის გამოთქმას ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. თვითონაც რა მოასვენებს დღენიადაგ სამშობლოზე მზრუნველ კაცს. ყოველთვის იქ დგას, სადაც სინდისი და მამულისთვის სიყვარული უხმობს.

მას შეუძლია ნოსტალგიური წუხილით და პატრიოტული შემართებით თქვას:

„...უქმად მიგდია ფარ-ხმალი და დასტა-ისარი,
დაჰკარ ღვთის ზარი, გულში ცეცხლი უტყვად მინთია“.

დავით ახლოური,
საქართველოს მწერალთა კავშირის
შიდა ქართლის ცხინვალისა და ახალგორის
მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე

ბატონო ვახტანგ!

საუკეთესო სურვილებით გილოცავთ შობა-ახალ წელს და ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს!

საქართველოს გამთლიანება-გაერთიანების, ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის, ჩვენი სულიერი და ფიზიკური ძალების განმტკიცების, მშვიდობის და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს.

ჩემს მუზეუმში ჩატარებულ თქვენი წიგნის „27 შვილის მამა“ პრეზენტაციის შემდეგ, მე არ მომეცა შესაძლებლობა გამომეხატა თქვენს მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და კეთილგანწყობა, რომელსაც ყველა გორელისაგან იმსახურებთ. თქვენ, ჩვენი თანამოქალაქეების მიმართ სიყვარულსა და შეფასება-დაფასების საკითხში, ბევრ ძირძველ გორელს მიეცით მაგალითი.

პირადად მე, ცხოვრების ბოლომდე საგზლად გამყვება თქვენი ერთგულება და ვაჟკაცური შემართება, რაც გამოიჩინეთ ჩემთვის ურთულეს პერიოდში, მორალურად ყველაზე მძიმედ გადასატან დღეებში, რომელმაც მნიშვნელოვანი დაღი დაასვა ჩემს ჯანმრთელობას.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ შინაგანი ადამიანობისა და კაცთმოყვარეობისათვის, რითაც ბუნებამ დაგაჯილდოვათ.

ღრმა პატივისცემით,
თინათინ სოსანიძე
14.01.2023

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმის ღვაწლმოსილი მეცნიერ-მუშაკი

სულიერი პორტრეტის შტრიხები

ყოველი შემოქმედი თავის სულის პორტრეტს ხატავს თავისი ნაღვაწით. ვახტანგ ჭანკოტაძის რეალური შინაგანი ბუნებაც მისივე ლექსებითა და პროზაული ნაწარმოებებით ვლინდება

მამულიშვილობა ერთ-ერთი მთავარი თემა და მთავარი სატკივარია ვახტანგ ჭანკოტაძისთვის. მას მიაჩნია, რომ კაცობის და ადამიანობის საზომი სწორედ რომ მამულიშვილობაა:

„კაცი ის არის, ვინც ხალხის ბედს
ერთვის უკლებლად,
კაცი მაშინ ხარ, თუი შენს მამულს
მტლად დაედები“.

მხცოვანი პოეტისთვის დღეგრძელობა არასოდეს არ ყოფილა თვითმიზანი. არც არად მიიჩნევს წლების მრავალჟამიერს, თუ ეს სიცოცხლე მამულსა და სიკეთეს არ შეეწირება. ამასვე სთხოვს ვახტანგი ღმერთსაც:

„ვერ გადავიტან, რომ ვიღაცამ ხარბი მიწოდოს
და ამიტომაც, ნუ იფიქრებ წლები მაჩუქო,
მამულისათვის მომკალ, მზად ვარ, არ შემიცოდო,
ისე კი მომკალ, რომ მუხლებზე არ დამაჩოქო“.

კიდევ ერთი მახასიათებელი შტრიხი, რომელიც ბატონ ვახტანგის სულის პორტრეტს წარმოაჩენს, ეს არის გაუკვალავი გზით სიარული, – ჟინი და წყურვილი სირთულეების გადალახვის მიზნის მიღწევისა.

„მებრძოლად ვარ გაჩენილი,
სულითა თუ ზნით.
და ვერ ვივლი ვერასოდეს
გაკვალული გზით“.

ზოგადად, მიწიერი ადამიანი ამქვეყნიურ კეთილდღეობას სთხოვს ღმერთს. ვახტანგ ჭანკოტაძე კი იმას შეჰღაღადებს უფალს, რომ შესაძლებლობა მისცეს, ბოლომდე გაიხარჯოს და ისე გაისარჯოს, რომ ვალმოხდილი შევიდეს ზეციურ საუფლოში.

„ღმერთო, მაღალო! მომეცი ძალა,
ნუ მაბოგინებ კენტად და ცალად,
თუკი ვვარგივარ სულით და თვალად,
ნურას გამატან იმქვეყნად ვალად“.

ასეთი ვალმოხდილობის გრძნობის გარეშე სწრაფვა კარიერული წინსვლისკენ სრული აბსურდია, ამიტომაც შეახსენებს პოეტი უსასრულო ზესვლის ჟინით შეპყრობილ თანამოძმეებს, რომ კიბის საფეხურს აქვს დასასრული.

„იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი
ჩვენი ცაშია,
ერთხელ ჩატყდება საფეხური
თუნდაც მეფური,
ყველა სულდგმული დღენიადაგ
იმის ცდაშია,
რაც შეიძლება, მაღლა იყოს
ის საფეხური“.

კარისკაცობით რომ ერისკაცობას ვერ შეძლებ, ეს იცის მხცოვანმა პოეტმა და ამიტომაც შეაგონებს ამბიციამოძალებულ მოყვასს:

„ყველას თან სდევს – ძე არის თუ ასული,
ხან ხიფათი, ხან შვება, ხან წვალება,
კაცის საქმე მაშინ არის „წასული“,
ამბიცია როცა მოეძალება“.

დროის ფასი ვახტანგ ჭანკოტაძის ერთ-ერთი ხაზგასასმელი თვისებაა. იგი უფრთხილდება თითოეულ წუთს და სწუხს, როცა მოყვასი უდიერად ეპყრობა

ღვთის ამ საჩუქარს, რასაც ჰქვია დრო და სიცოცხლე.

„მიჰქრის თავის გზით, როგორც ისარი,
არაფრად გიგდებთ ნაფიქრ-ნააზრევს,
და უდიდესი კაცი ის არის,
თავის ნაღვაწით დროს ვინც გაასწრებს“.

დიახ, „თავის ნაღვაწით დროს ვინც გაასწრებს“, ის არის ჭეშმარიტი ერისკაციც და მამულიშვილიც. ასეთები ქმნიან და გასცემენ; ასეთები აშენებენ და ამშვენებენ ქვეყანას.

პოეტი სწუხს ასეთი ერისკაცების ნაკლებობის გამო და ამხელს მედროვეებს, რომლებიც მხოლოდ პირადი ინტერესებით ვნებაშეპყრობილნი აზიანებენ და ყიდიან სამშობლოს.

„დაბრმავებულთ, დახამებულთ ესმით როდი –
იმ ტოტს ჭრიან, ზედ რომ სხედან შვილები,
ვეღარ ვხედავთ, აღარა გვყავს ერის ბოძი
და „შაგრენის ტყავის“ მსგავსად ვილევით“.

თავად სიკეთის მადიდებელი ვერ იტანს ცრუ და სულბოროტ ადამიანს, რომელიც „ღვარძლის ბადეს ჭრის და კერავს“.

„სულბოროტი კაცის დედაცო...“ კახური პირდაპირობით შეუკურთხებს პოეტი და დასძენს:

„ვაი, შენ თავს, ვითომ კაცო,
როგორღა ჭამ, როგორ გძინავს?!
როცა უფლის მადლი ფასობს,
შენ კი მოძმეს ტბაში სძირავ“.

მრავალტანჯული სამშობლოს ყველა სატკივარი პოეტსაც სტანჯავს:

„ვერ იტანს სული სივრცეს ჩაკეტილს,
საცაა გაჰგლეჯს მბოჭავ არტახებს,
არც გული არის რაღაც მაკეტი
და გადარჩენის ეძებს ათას ხერხს“.

რა შეიძლება იყოს გადარჩენის გზა, თუ არა სიყვარული, თუ არა ერთგულება...

„ერთგული კაცი საგანძურია,
მტკიცე ძმობის და იმედის ბურჯი.
...ერთგული მუდამ მასპინძელია...
ვერ ეგუება ჩვეულ მონახაზს,
იქ ვერ იპოვნი – სადაც ბნელია,
სადაც ანათებს, იქ თუ მონახავ“.

სწორედ ერთგული მამულიშვილები გადაარჩენენ საქართველოს მომავალს.

„...დღეს ისე, როგორც არასდროს,
კაცურკაცობას,
ქალურქალობას გვეაჯება
მამული ჩვენი“.

...და პოეტი იმედოვნებს, რომ „ნათელსახობა“ დამკვიდრდება მის ქვეყანაში. „დაიზრდებიან სამომავლოდ ალგეთს ლეკვები“. და დასრულდება უსიყვარულობის სულისშემძვრელი რეალობა.

პოეტი იმედოვნებს და თავადაც გვერდში უდგას ახალაგზრდობას ბრძოლის ჟინით შეპყრობილი.

„ჩვენი ყოფა ბრძოლა არის,
ბრძოლა ბევრი ტაიმით,
ცხოვრებაში არ არსებობს
გარდუვალი ყაიმი“.

საამაყო და მისაბაძია ვახტანგ ჭანკოტაძე, რომელსაც ცხრა ათეული წელი ბეჭებზე მოუგდია და ვითარცა ჭაბუკი, კვლავ აღმართისკენ მიემართება.

„მოლოცვისათვის გულწრფელად გმადლობთ...
ორიოდ სიტყვით სათქმელსაც ვბედავ:
ვეთაყვანები ჩემს კუთვნილ მაღლობს,
რომელიც ღმერთმა მიბოძა ბედად“.

ბესიკ კაიშაური, 2023 წ.

ჩვენი ვახტანგი

ვახტანგ ჭანკოტაძე ეს ის კაცია, რომელმაც თავის ბავშვობის დიდი ნაწილი ნახევრად ობლობაში გაატარა. მიუხედავად ამისა, მან თელავის №2 სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი სწავლა მოუწია ჩვენი ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებთან: ნიკოლოზ მუსხელიშვილთან, ვიქტორ კუპრაძესთან, ევგენი და არჩილ ხარაიძეებთან, გალინა ვეფხვაძესთან, მამარდაშვილთან და სხვებთან.

ამ სასწავლების დამთავრების შემდეგ, მან მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირში სახელგანთქმულ გორის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, ხოლო მეცნიერის ხარისხის მინიჭების შემდეგ, ღირსეულად გაუძღვა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობას, რისთვისაც იგი რამდენჯერმე იქნა დაჯილდოებული.

ვახტანგი ლიტერატურულ საქმიანობაში, ჩემი აზრით, გვიან ჩაება. მიუხედავად ამისა, მან შექმნა მრავალი მაღალმხატვრული ლექსი, მოთხრობა, რომანი, გამოაქვეყნა ურიცხვი წერილი ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის საჭირბოროტო საკითხებზე.

იგი თავის რიგით ნაცნობების ცხოვრებასაც ფხიზლად ადევნებს თვალს. იცის თითქმის ყველას დაბადების დღე, რომელსაც მის მიერ დაარსებულ კედლის გაზეთში მისალოცად იყენებს, უხვად გასცემს სითბოს, იძლევა საყურადღებო რჩევებს, მზად არის ყოველთვის ხელი გაუწოდოს გაჭირვებულ ადამიანებს.

მიუხედავად მისი წლოვანებისა, ინარჩუნებს შესაშურ მეხსიერებასა და შემოქმედებით უნარს.

განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებს საქართველოში უძველესი და ულამაზესი ქალაქის, თელავის მიმართ, ვერაფრით ივიწყებს სწავლის პერიოდში განცდილ დღეებს.

ცოცხალი სახეებით იხსენებს ბავშვობის პერიოდს. მისი ფეხბურთის მწვრთნელის ალექსანდრე დოროხოვის რჩევებს, კახური ღვინის დიდ სიყვარულს, რისთვისაც მას შეხუმრებით, თიკუნად „ტიკჭორაც“ კი დაარქვეს.

იშვიათია დღე, ელსმენით არ დაუკავშირდეს თავის სახელოვან დას, №1 სკოლის ყოფილ დირექტორს დარეჯან ჭანკოტაძეს.

ვახტანგი ბრწყინვალედ მღეროდა და უკრავდა გიტარაზე ახალგაზრდობისას, რასაც საყვარელი მეუღლის დაღუპვის შემდეგ ერიდება.

ვახტანგი დღემდე ინარჩუნებს ყოფილ თანამშრომლებთან კავშირს, ხშირად ინიციატივას იჩენს მათი შეხვედრებისა. იგი გარემოცულია ჩვენს ქალაქში მომუშავე მწერლების, მსახიობების, მხატვრების, მუსიკოსების და, საერთოდ, ხელოვანი ადამიანების დიდი სიყვარულით. მათთან ურთიერთობს შემოქმედებითად, არასდროს იყენებს ტყუილს. ორგანულად ვერ იტანს ცრუ ადამიანებს. იგი დროის ზუსტი დამცველია პირად ცხოვრებაშიც.

გორის საზოგადოებამ მრავალჯერ დააფასა მისი ეს ადამიანური ღირსებები. არჩეულია ჩვენი სახელოვანი ქალაქის საპატიო მოქალაქედ, მინიჭებული აქვს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია და სხვა.

ვახტანგს ჯერ კიდევ აუარებელი განუხორციელებელი ოცნება აქვს. მე, პირადად, მას დიდ პატივს

ვცემ, როგორც დიდად განსწავლულ და უღალატო მეგობარს.

სწორედ ამიტომ მივუძღვენი ორი ლექსი. მესამეს კი, ასი წლის იუბილეზე აუცილებლად მივუძღვნი.

ვუსურვებ ზღვარდაუდებ ბედნიერებას.

ცაზე გახუნდა

ცაზე გახუნდა ცხრაფერი რკალი,
მაღლა ავდივართ კიბით.
ფრთხილად გააღო სამოთხემ კარი,
გვეპატიჟება იქით...

ეშმაკმა გზები ჯერ ვერ გათვალა,
გაუვალ შარას მისდევს.
ვინც სიყვარულის ძალით დამთვრალა,
გაუხარია კიდეც.

ვერაფერს გაკლებს ასაკის ძალა,
ბევრს დააჩოქებ, სწამდეთ.
ამ ქვეყანაზე იმღერებ მანამ,
არ მიხვალ ათას წლამდე.

არ მიაძინო სული ხალასი,
რა გაქვს საერთო შურთან,
შთამომავლი მათუსალასი,
ხარ და იქნები მუდამ.

აკაკი ბიძინაშვილი,
პოეტი, მრავალი კრებულის ავტორი,
აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი
2023 წ.

ჩემი აზრი გაინტერესებთ?

ბატონი ვახტანტი გახლავთ ჩვენი ერის სიამაყე, განათლებული, შემოქმედი, მეგობრული, ავკარგიანი და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულის, მათი ბედნიერების მშენებელი კაცი.

ადამიანი, რომელსაც უყვარს სამშობლო, პატივს სცემს ქრისტიანულ ცხოვრებასა და მის ტრადიციებს, მართლის მთქმელი კახელი კაცია. თავისი პირდაპირობითა და თავმდაბლობით ყველას შეაყვარა თავი. იგი გახლავთ მეცნიერმუშაკი, სხვადასხვა პრემიების ლაურეატი.

წარმოიდგინეთ, რამდენი რამ შექმნა ჩვენს ქალაქში, რომ კახელ კაცს გორის საზოგადოებამ მიანიჭა გორის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონმა ვახტანგმა თავისი ნიჭიერებითა და გორის სიყვარულით შექმნა და გააცოცხლა თითქმის დავიწყებული ადამიანების: მეცნიერების, მედიცინის მუშაკების, პედაგოგების, მშენებლების, მრეწველების, სოფლის მეურნეების, სპორტსმენებისა და სხვა დამსახურებული მუშაკების, მათი ოჯახის წევრების დაუვიწყარი სამყარო მრავალნაწილიანი „ხსოვნის წიგნებით“. აფერუმ, მის ვაუკაცობას.

სამშობლო გიყვარს შენ, ჩემო ვახტანგ,
და ამისთვისაც შენ ხარ ქებული.
შემოქმედების ეწევი ჭაპანს,
კაცურ ცხოვრებას შეყვარებული.
ოთხმოცდაათი შენთვის რა არის,
დიდხანს იცოცხლე უდრეკო კაცო,
რომ ჩვენს ქალაქ გორს და ჩვენს სამშობლოს
დიდებულ ხალხის წარსული ამცნო.

ზურაბ კაჭკაჭიშვილი, 2023 წ.

მოკრძალებული მადლიერება

იოლი არ არის უბრალო მოკვდავმა ისაუბროს ღვთისაგან გამორჩეულ პიროვნებათა ცხოვრებასა და დამსახურებაზე, მაგრამ მაინც ვბედავ ორიოდე სიტყვით გამოვხატო მადლიერება იმის თაობაზე, რაც ბატონმა ვახტანგმა ჩვენს მიმართ უშურველად გაიღო.

2019 წელს, არავისგან გამორჩეულ, მაგრამ ჩვენთვის ძალიან საყვარელ კლასზე (გორის IV საშუალო სკოლის 1964 წ. დამამთავრებელი კლასის 55-ე წლისთავი) მოგონებათა კრებულის შედგენა გადავწყვიტეთ. დავუკავშირდით ბატონ ვახტანგს, ვთხოვეთ დახმარება, რჩევა, კრებულის რედაქტორობა. ბატონმა ვახტანგმა იდეის მხარდაჭერით და ხალისით დაგვითმო მისთვის ესოდენ ძვირფასი დრო, ენერგია, გვერდზე გადადო საკუთარ კრებულებზე მუშაობის პროცესი და დიდი ენთუზიაზმით და მოთმინებით ბოლომდე მიგვაყვანინა ჩანაფიქრი („ტკბილად მოსაგონარი“, ც. მგალობლიშვილი).

გორელ მკვიდრთ კარგად მოეხსენებათ ბატონი ვახტანგის დამსახურება, მისი სამეცნიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობა, მაგრამ, სასურველია, მომავალი თაობებიც დაინტერესდნენ, რომ წარმოშობით თელაველი კაცი, გორის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე დაუღალავად ზრუნავს გორელ პიროვნებათა ღვაწლის წარმოჩინებაზე. ამ მიზნით შეადგინა და წიგნად გამოსცა ჩვენი ქალაქის სპორტსმენთა ცხოვრების და სპორტული მიღწევების ამსახველი დოკუმენტური მასალა. თითქმის ათეული კრებული მიუძღვნა და კვლავაც აგრძელებს წასულ თანამოქალაქეთა ცხოვრებისა

და საქმიანობის ამსახველ კრებულებზე მუშაობას.

ბატონ ვახტანგ ჭანკოტაძეს ვუსურვებ ჯანმრთელ დღეგრძელობას, მხნეობას, უშრეტ ენერგიას, შემოქმედებით სიხარულს.

ციცა მგალობლიშვილი,
იანვარი, 2023 წ.

მრავალჟამიერ, ბატონო ვახტანგ!

ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მას ამჩნევენ, სხვები რომ ვერ ხედავენ, ის უყვართ, რაც სხვებს სიყვარულისა კი არა, მოწონების ღირსადაც არ მიაჩნიათ, მათ ერთგულებენ, რომელთაც წარმოდგენაც კი არა აქვთ ერთგულებაზე...

ასეთია ჩემი თვალით დანახული ვახტანგ ჭანკოტაძე, კაცი, რომელიც აქამდე ორი ქალაქის და ორი მდინარის სიყვარულით მოვიდა. ნაწვიმარზე ადიდებული ლიახვის ტალღები და სიყმაწვილეში ჩარჩენილი ალაზნის დუდუნი იყო ის ძალა, რომელიც ძალუმად შთააგონებდა კაცთა თუ ბუნების სიყვარულს, პროფესიის ერთგულებასა და ახლის ძიების დაუღალავ და ულევ სურვილს.

ბატონი ვახტანგი მშობლიურ თელავის მეხსიერებას შემორჩა როგორც ერთ-ერთი პირველი ოქროს მედალოსანი, გორს კი ფუტკარივით მოფუსფუსე კირკიტა კაცად.

ამ გონით, ამ შემართებით გეცხოვროთ მრავალჟამიერ, ბატონო ვახტანგ. თქვენთან არიან ყადორი და ნადიკვარი, უფლისციხე და გორისციხე.

ოლია ბრაგვაძე-ქუთათელაძე

ცოცხალი ხიდის მცველი

მახარებს და მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქს ამშვენებს ღვაწლმოსილი მწერალი, პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე.

როგორც იტყვიან ხოლმე, – შესაშური და მისაბაძია ის პრინციპულობა, შრომის ორგანიზებულობა, ენერგიულობა და ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულება, რითაც ბატონი ვახტანგი გამოირჩევა.

სამშობლოსადმი სიყვარული და თავდადება ბატონმა ვახტანგმა პრაქტიკულად გვიჩვენა: მან სამშობლოს აღუზარდა ორი დამცველი: დევი – არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი და რევაზი – არტილერიის მაიორი (საგულისხმოა, რომ შვილებთან ერთად, ბატონი ვახტანგიც არტილერიის თადარიგის ოფიცერია).

ადგილობრივ ტელევიზიაში ხუთწლიანი მუშაობის პერიოდში ბატონი ვახტანგი ენერგიულად უძღვებოდა ლიტერატურულ პროგრამებს და ცდილობდა გორში თუ გორს გარეთ მცხოვრები პოეტების დამსახურებისამებრ წარმოჩინებას.

ვახტანგ ჭანკოტაძის აზრით, მწერალიც და მკითხველიც ორი მზერის შუაში უნდა გრძნობდეს თავს, – იქ, სადაც წინაპრის მზერას შთამომავლის მზერა კვეთს და ქმნის ერთგვარ ხიდს, წარსულსა და მომავალს შორის.

ზემოთ ხსენებული მოსაზრება ბატონმა ვახტანგმა გამოხატა ლექსში: „ცოცხალი ხიდი“.

„წარსულიდან მოვდივარ, მომავლისკენ მივქრი,
თან მდევს ფიქრი მუდმივი, ფაქიზი და დიდი.

...მამა-პაპამ მასწავლა ერთგულება ბევრის:
ძმობის, ქვევრის, ფარ-ხმალის, მშობლისა
და ფიცის...
თმენით იცდის, მოელის ჩემგან ერი, ბერი –
ამაყ მზერით გადავცემ, რაც კი რამე ვიცი“.

საქართველო მანამდე იარსებებს, სანამ წინაპართა მზერას გადავცემთ სამზერლად მომავალ თაობას და სანამ იქნებიან ამ ქვეყანაზე ვახტანგ ჭანკოტაძის მსგავსი ცოცხალი ხიდის ერთგული მცველები.

ციალა გონგლაძე-საათაშვილი,
2023 წ.

მრავალმხრივი უნარი

ვახტანგ ჭანკოტაძის საავტორო წიგნის („ობლის მფარველი ანგელოზები“) წაკითხვის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მისი ნიჭიერების, სიკეთის დანახვისა და დაფასების დიდ უნარში.

აქვე დავამატებ, რომ ვახტანგს გააჩნია მადლიერების გამოხატვის მაღალი სტანდარტი და ასევე იუმორის ორიგინალური სტილი, რაც ხელს უწყობს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალფეროვნებას.

დიდი მადლობა, ბატონო ვახტანგ, სიამოვნების მონიჭებისათვის.

ნინელი ნათიძე.
ლიტერატურათმცოდნე, ქ. თელავი

გამოძახილი

ვახტანგ ჭანკოტაძის ლიტერატურული შემოქმედების გაცნობის შემდეგ.

„...რადგან უფალმა მოგვცა მკლავ-ძარღვში
ადამის გენის მზე მადლიანად,
უნდა დავიწვათ ყველას ტაძარში
მხოლოდ და მხოლოდ ადამიანად...“

დიახ, ასე თაფლის სანთელივით იწვის ბატონი ვახტანგი სიყვარულისთვის, სიხარულისთვის, ნამდვილი, შეუბილწავი, ღირსეული ადამიანური თვისებებისათვის.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბუნების მიერ სპეციალურად, საგანგებოდ შექმნილ „იარაღად“ მოევლინებიან ხოლმე სამყაროს.

აი, სწორედ ასეთი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, არა მხოლოდ „საგანგებო იარაღად“ მოევლინა დღევანდელობას ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე.

ნოდარ იაგორაშვილი,
ქ. თელავი

გულიდან ამონახეთქი

დიდხანს სიცოცხლეს და ჯანრთელობას ვუსურვებთ ვახტანგ ჭანკოტაძეს, იშვიათ ადამიანს, რომელიც საოცარი მონდომებით და შემართებით იხსენებს და ათაყვანებს თავის მშობლიურ კუთხეს. მან ბევრი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები მიუძღვნა მშობლიურ თელავს, რითაც დაიმსახურა

მრავალათასიანი პუბლიკის პატივისცემა. ქ. თელავი არის, იყო და იმედი გვაქვს იქნება ვახტანგის შემოქმედების მუდმივი წყარო.

მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის მოუთმენლად ველოდებით ვახტანგის ჩამოსვლას ერეკლეს ქალაქში.

ახალ-ახალი წარმატებები შენს კალამს, ბატონო ვახტანგ.

მათიკო ჩხუბიანიშვილი (ანდრონიკაშვილისა),
ქ. თელავი, 2023 წლის დეკემბერი

გვახსოვხართ მუდამ

საარაკო ვახტანგ, ვახო,
რომ გვთავაზობს მწიფე ნაყოფს,
სურვილი გვაქვს მუდამ ვაქოთ,
დედ-მამითაც საამაყო.
ვტკბებით შენი ნაშრომებით,
ლექსებით თუ მოთხრობებით...
შორს ხარ ჩვენგან, დაშორებით,
თავს ვიმშვიდებთ მოგონებით.
ბავშვობის მეგობარი

ცისია ჩხუბიანიშვილი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
თელავის საპატიო მოქალაქე,
2022 წ.

ექსპრომტი ვახტანგ ჭანკოტაძეს

უასაკო კაცი გახლავთ
(რომ არ ვაქო, აბა, ვარგა?)
ტანით ჩიამ, გულით კარგმა
გენერალი გამოზარდა.

წლებს მათრახით არ იკარებს,
როცა გნახავს, გაიხარებს,
თამადობით გაგიტაცებს,
შენს ცოდვასაც დაიბრალებს.

ალაზანი გადმოცურა,
გორელობს და
ჩვენთან დარჩა,
ნიჭითა და ვაჟკაცობით
ყველას გულის წვერზე
დაჯდა.

პატივისცემით მანანა თარაშვილი

წარმატებული შემოქმედი

ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ერეკლე მეფის ქალაქში, აქვე ოქროს მედლით დაამთავრა ვაჟთა მეორე სკოლა და შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის შემდეგაც აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ვახტანგ ჭანკოტაძე გახლავთ რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომისა და გამოგონების ავტორი. დამსახურებულად ატარებს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს. იგი არის გორის საპატიო მოქალაქე და მრავალი საპატიო სიგელის, წოდების თუ პრემიის მფლობელი.

პენსიაში გასვლის შემდეგ დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ სფეროში მის წარმატებაზე მეტყველებს ორმოცზე მეტი მისი საავტორო წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში. მიღებული აქვს აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ამჟამად გამოსაცემად მზად აქვს სამი წიგნი, რომელთაგან ერთ-ერთის სახელწოდებაა „მხატვრობაში უკვდავყოფილი საქართველოს გვირგვინოსნები“ (ქართულ-ინგლისურ ენებზე).

ნათქვამია – „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“ და ხალხი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აფასებს ვახტანგ ჭანკოტაძის როგორც მეცნიერულ, ისე ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ვულოცავ ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მწერალს საიუბილეო 90-ე წლისთავს და ვუსურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს და ულევ წარმატებებს საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ფარნა რაინა,
ასოციაცია „ლიტერატურული
კახეთი“-ს თავმჯდომარე,
ჟურნალ „ოლე“-ს რედაქტორი, ქ. თელავი

ვახტანგ ჯანეოტაძე

პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ათეულობით წიგნის ავტორი, ბრწყინვალე მშობელი და ერთგული მეუღლე, მეგობრებში უღალატო და მომლხენი.

ბატონ ვახტანგთან ორ ათეულზე მეტი წელია ვმეგობრობ. მიუხედავად ასაკის სხვაობისა, ბევრი რამ საერთო გაგვაჩნია. პირველ რიგში, ქვეყნის სიყვარული. გვიყვარს თამადობა, ლექსების მხატვრულად კითხვა და, რა თქმა უნდა, ნარდის თამაში. თამადობაში მჯობნის, ვაღიარებ, ნარდის თამაშში ვერა, ხანდახან ვაგებინებ ხოლმე, რომ არ გავაბრაზო.

ხშირად მის ოჯახში ვიკრიბებით ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ საყვარელი მეუღლე გარდაეცვალა, შეძლებისდაგვარად ცდილობს სითბო და სიყვარული არ მოგვაკლოს მეგობრებს, რასაც გიტარის დაკვრითა და სიმღერებით გამოხატავს ხოლმე. ხშირად ბრაზობს, როცა სადღეგრძელოს ამბობს და არ ვუსმენთ.

წელს ოთხმოცდაათი წელი უსრულდება. გილოცავ, ჩემო ვახტანგ! გისურვებ უამრავ სიხარულს, მშვიდ მომავალს, კარგად ყოფნას, შემოქმედებითი ცხოვრების წარმატებებს და, რა თქმა უნდა, შემართებას. სახელოვანი გენერლის მამას სხვა რამ არც ეკადრება.

ასი წელიც მომელოცოს,
ჩემო ძმაო, ჩემო ვახო,
შენს მეგობრებს, შენი ყოფით
კვლავაც ბევრი გვეტრაბახოს.

ნოდარ მდინარიძე,
პოეტი, მსახიობი, პედაგოგი
2023 წ.

„კაცი, რომელიც ლექსების გვერდით ზის“

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ბატონი ვახტანგი, ჭკვიან და მრავალ სასიკეთო თვისებებთან ერთად, გამორჩეული, რაინდული თვისებების მატარებელი ადამიანია, რომელიც მუდამ ცდილობს სიხარული მიანიჭოს და გააბედნიეროს სხვა.

მისი ერთ-ერთი აქტიური, ლამაზი ცხოვრების პერიოდია 2002-2004 წლები, როცა ბატონ ვახტანგს ტელეკომპანია „თრიალეთში“ მიჰყავდა საინტერესო საავტორო გადაცემა – „ლიტერატურა და ხელოვნება“. იგი, როგორც წამყვანი და პროექტის ავტორი, ყოველ კვირას იწვევდა თითო პოეტს და საინტერესო წიგნის წარდგენის შემდეგ აკითხებდა ლექსებს.

ეს გადაცემა ჩემთვის ფრიად ფასეული იყო. ამიტომ ჩვენს ოჯახში ყოველი კვირის ორშაბათი და პარასკევი დაკანონებული იყო, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო, ტელევიზორთან უნდა ვყოფილიყავი და სხვა არხი, „თრიალეთის“ გარდა, არ უნდა ჩართულიყო.

ამას ყველაფერს ხედავდა ჩემი ხუთი წლის ბიჭი ლექსო და ჩემს ამ დიდ ინტერესს ყურადღებით ადევნებდა თვალყურს.

ბოლოს ისე მოხდა, რომ თვითონ მეძახდა ხოლმე – დედა, მოდი, იწყება შენი საყვარელი გადაცემაო.

ერთ დღეს, როდესაც ლექსოსთან ერთად ტელეკომპანია „თრიალეთის“ წინ მივდიოდით, კიბეზე, ქუჩის მხარეს, ბატონი ვახტანგი იდგა. ვიდრე მივესალმებოდი, აღფრთოვანებულმა ლექსომ ყვირილი დაიწყო და დაბეჯითებით მითითებდა: შეხედე, შეხედე, დედა, აგერ იქ დგას – კაცი, რომელიც ლექსებთან ზის! – ასეთია ბავშვის ლოგიკა, გულუბრყვილო და მართალი.

მე კი ასე ვიტყოდი:

– კაცი, რომელიც სიკეთესთან, სიხარულთან, სიყვარულთან, შრომასთან, მეგობრობასთან, წესიერებასთან, ზრუნვასთან, კარგ ადამიანობასთან... და, რა თქმა უნდა, ლექსთან ზის...

თამარ ლომსაძე,
2023 წ.

კაცი, კაცური სულით

ბატონ ვახტანგს ბევრად ადრე ვიცნობდი, ვიდრე ლიტერატორთა და ხელოვანთა კავშირში გავერთიანდებოდით. ეს იყო 42 წლის წინ. იგი ჩემს სამსახურში დაინიშნა დირექტორის თანამდებობაზე.

მოიწვია პირველი თათბირი, მოითხოვა სახელფასო უწყისი და ასე ეცნობოდა ადმინისტრაციის თითოეულ წევრს. როცა ჩემი გვარი ამოიკითხა, უთხრეს, რომ ბავშვი ჰყავს ავად, თბილისში ვერაფერს უგებენ, ახლაც საავადმყოფოში უწევს და ამიტომ აცდენსო.

მან, თურმე, მიმართა საამქროს უფროსებს, მეც და თქვენც დავდებთ თანხას და ბავშვს მოსკოვში გადავაფრენთო. ბატონი ვახტანგი ჯერ არ მიცნობდა, მხოლოდ კეთილშობილმა გულმა უკარნახა, დამხმარებოდა. ეს საჭირო არ გახდა, მაგრამ მან გამოავლინა თავისი ქართული, კაცური სული. მაშინ არ ვიცოდით, თურმე სუილიერი ნაცნობობა ყოფილა ჩვენს შორის, ორივეს ლექსის ტრფიალი გვწვავდა.

უღრმესი მადლობა მას იმ კეთილი გულისათვის, რომელიც დღემდე უფეთქავს მკერდქვეშ. სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება დღევანდელ საქართველოს.

ბატონო ვახტანგ, ვიდრე თქვენ და თქვენისთანები იარსებებენ, ჩვენი ქვეყანა არ დაიჩოქებს.

ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე ექსპრომტად გითხარით:

„ნუ გეგონება, ქვეყნისთვის
რომ შეასრულე მისია,
შენთვის სამოცდათხუთმეტი
ცხოვრების დასაწყისია“.

და მართლაც, მას შემდეგ ბევრი საინტერესო და საჭირო მასალა მიაწოდე საზოგადოებას, თქვენი შემოქმედება გაამდიდრეთ და კვლავ ეწევით სათაყვანო საქმეს.

დიდხანს, დიდხანს გაგვიხარეთ გული თქვენი ნიჭით და შემართებით.

სოფიკო მექვაბიშვილი
2023 წ.

ბატონი ვახტანგ ჯანეოტაძე?

„აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ!...“ – წარმატებული სკოლაში, უნივერსიტეტში, სპორტში, სიმღერაში, სამსახურში. დიახ! სამსახურშიც. ჯერ კვლევით ინსტიტუტში და შემდეგ არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორც გამოცდილმა ხელმძღვანელმა გამოიჩინა თავი.

ბოლოს მწერლობაში შემოაბიჯა და აქაც არ ისვენებს, მრავალ ჟანრში მოსინჯა თავი და არცთუ უსაფუძვლოდ. არის ავტორი პროზაშიც და პოეზიაშიც მრავალი წიგნისა.

მე, რაც ადამიანის უპირატეს თვისებად მიმაჩნია, ეს მისი კაიკაცობაა. კარგი ამხანაგი და მეგობარია, გასაჭირში გვერდით რომ დაგიდგება.

მისი ოჯახი ხშირად გვმასპინძლობდა – ლიტე-

რატურულ სალონად აქცია. მოგვენატრებოდა ლექსი-პოეზია, ერთმანეთი და ვიკრიბებოდით მათთან.

დიდხანს იარებოდეს ეს პატარა კაცი – დიდი გულის პატრონი გორის ქუჩებში.

მერი მარწყვიშვილი
2023 წ.

* * *

პოეტ ვახტანგ ქანკოტაძეს

მხცოვანო,
გვითხარ სათქმელი,
ან ტკბილი, ან მწარე სიმართლე,
გვითხარი, მაგ შენი
განთქმული სიტყვით,
საქართველოს მიმართე.

მამულს როცა ძლიერ
უჭირდა,
როცა გარე მტერი ურჩობდა,
თხილს ვკვნეტდით საერთო მუჭიდან,
ძმობას, თანადგომას ვირჩევდით.

ახლა რა ბატონობს ვერაგად?
რა მძიმე სენი გვჭირს, ბატონო,
ქართველებს რა ბედისწერა გვაქვს,
ასეთი რა ღვარძლი ბატონობს.
...
ავაგოთ სიკეთის ხიდები,
ავშალოთ სიწმინდის აფრები,
ავუშვათ ჰაერში ფრანები,
ვაშენოთ ნაბზარი, ნანგრევი...

ჩავყაროთ სიმართლის დამბები,
ჩავაწოთ ცრემლეში მელანში,
სისხლი დავამშვიდოთ თავნება!
მოვაშთოთ ფლიდი და ვერანი.

მამები გვჭირდებით, მამები!
მამები გვჭირდებით, მამები!
მახვშად
ხევისბრად
ბელადად
ტაძრისკენ სავალი გზა
კვალით.
სიბრძნის, სიყვარულის
ხელადად,
ბნელში სანთლის ლამპარით,
მამები გვჭირდება, მამები!

ეთერ სადაღაშვილი

* * *

ღმერთისგან შექმნილი, ცას მიბჯენილი მწვერვალით ლამაზი მთა, რომელიც ულევი რაოდენობით ინახავს ძვირფას მადანს – გინახავთ?

აი, ასეთ მთას ჰგავს ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე; მუდამ შემართული გარშემო მყოფებს სიხარული, სიკეთე, სიყვარული, ღიმილი რომ მიანიჭოს.

გორის საზოგადოებისათვის იგი თავისი ცხოვრების წესით დიდი პიროვნებაა. მიუხედავად მისი დიდი ღირსებისა, ღმერთი მასაც წვრთნის განსაცდელებით.

იგი 90 წლის იუბილეს ქ. გორის კოლორიტულ პიროვნებად ხვდება.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

რევაზ აბრამიშვილი, თამაზ კლიმიაშვილი

ვახტანგ ჯანელიძის ძირითადი ნიშან-თვისებები

1. პირდაპირობა: თუ მოყვასს სულის „სახეზე“ ლაქა შენიშნა, პირდაპირ ეტყვის, სარკეში ჩაახედებს, რათა მოიშოროს ლაქა;

2. პირობის შესრულება: თუ ვინმეს რამე დაპირდა, ქვას გახეთქავს, არ მოისვენებს, სანამ პირობას არ შეასრულებს, თანაც – დროულად და ხარისხიანად;

3. ქართული ენის სიწმინდის დაცვა: ვერ იტანს ღვთიური მშობლიური ენის შებილწვას და/ან ჩანაცვლებას უცხო სიტყვებით;

4. დროის ეკონომია: უფრთხილდება თითოეულ წუთს, ცდილობს დრო დაუთმოს ნაყოფიერ საქმესა და ურთიერთობებს, დროის დაკარგვას სიცოცხლის დაკარგვად მიიჩნევს;

5. ბავშვების სიყვარული: ხარობს ბავშვებით და ახარებს ბავშვებს საბავშვო ლექსებითა და სიმღერებით;

6. სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა: კახელი კაცია და სხვანაირად არ შეუძლია, სტუმრებს ბედნიერ წუთებს ჩუქნის და მათი ბედნიერებით ბედნიერობს თვითონაც;

7. სიცრუის სიძულვილი: მართალი კაცია და სურს, სხვაც მართალი იყოს;

8. წესრიგის დაცვა: ვერ იტანს უწესრიგობას, რადგან მიაჩნია, რომ წესრიგი საღვთო საქმეა. მოწესრიგებულ სამყაროში ჩვენს მოწესრიგებულები უნდა ვიყოთ.

მედლები, ჯილდოები, სიგელები, გამოცემული წიგნები

მამულო ჩემო!

რწმენით გმსახურებ და მადლობას
როდი მოველი,
კორდი ყოველი, მთის თუ ბარის,
ღმერთის განძია,
გეთქმის ვარძია, ნიკორწმინდა,
სვეტიცხოველი,
ხმები ფხოველის, შორეთიდან,
ერთვის ტანძიას.
მტერი დღესაც გყავს ვერაგი და
ისტორიული,
ისტერიული ყიჟინა ქუხს
მშობელ მიწაზე,
ბჭობენ რიწაზე, დაგვავიწყონ
ის დრო მზიური,
თითქოს ტყიური ვამპირები
როკვენ ნიშანზე.
რატომღა სდუმან ძვალთსაცავნი
დასაფიცარი
და სხვა ვინც არის: ქეთევანი,
უტა, მინდია,
უქმად მიგდია ფარ–ხმალი და
დასტა ისარი,
დაჰკარ ღვთის ზარი. გულში ცეცხლი
უტყვად მინთია.

CREATIVE UNION OF GEORGIAN WRITERS
CREATIVE UNION OF GEORGIAN WRITERS
№ 509
26.VI.2009

CERTIFICATE OF HONORARY CITIZEN OF GORI
ID № 59001009593
Name Vaxtang
Surname Chankotadze

МП
ОТЛИЧНИК
ПРИБОРОСТРОЕНИЯ

1970 — 1970

СССР
ВЕТЕРАН ТРУДА

ДИПЛОМ

№ 383823

ᲒᲠᲫᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲫᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲒᲠᲫᲝᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲠᲫᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ

დიპლომი
ღვაწლმოსილის წოდება

მადლობის სიგელი
ბაგონ ვახტანგ ჭანკოტაძეს
გორის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში
შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის
04.04.2018

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა
განსაკუთრებული დამსახურებისათვის
ანიჭებს ბატონ
ვახტანგ ჭ[illegible]ტაძეს
საპატიო მოქალაქის წოდებას
გორის მუნიციპალიტეტის გამგეული
დავითი ხმალაშვილი

ეროვნული გორის დღეს
სიგელი

საქართველოს ნარდის ასოციაცია
დიპლომი
ვ ა ხ ტ ა ნ გ
ჭ ა ტ ა ძ ე ს
გორი, 28 ოქტომბერი 2013 წელი

ПОЧЕТНОЙ
ГРАМОТОЙ

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 366 2008 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

ვახტანგ ჭანკოტაძის ღირსების ორდენი
დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ჟურნალისტური საქმიანობის, ხანგრძლივი სამეცნიერო-საშრომლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ალექსანდრეს გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორი **ვახტანგ ჭანკოტაძე** დაჯილდოებულ ეროვნების ორდენით.

მიხეილ სააკაშვილი

ГРАМОТА

ГРАМОТА

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ 49562

На основании заявления, представленного Правительством СССР, Государственный комитет Совета Министров СССР по делам изобретений и открытий выдал настоящее авторское свидетельство

ЧАВЧАНИДЗЕ Зосиму Семеновичу и Томашвили Л.Г.

на изобретение "Установка непрерывного действия для осветления виноградного сусла"

в соответствии с описанием изобретения и приложенной к нему формулой, по заявке № 2003549 с приоритетом от 11 марта 1974г.

совместно изобретателям нет не

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

28 мая 1975 г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

КОМИТЕТ ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ при СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ [illegible]

На основании заявления, представленного Правительством СССР, Комитет по делам изобретений и открытий при Совете Министров СССР выдал настоящее свидетельство

Научно-исследовательскому институту автоматизации производственных процессов [illegible]

на изобретение "Автоматический [illegible]"

по заявке № 1800561 с приоритетом от 9 августа 1972г. авторы изобретения ЧАВЧАНИДЗЕ Зосим Семенович и другие, указанные в прилагаемом описании

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

24 февраля 1974 г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

КОМИТЕТ ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ при СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ 352200

На основании заявления, представленного Правительством СССР, Комитет по делам изобретений и открытий при Совете Министров СССР выдал настоящее свидетельство

Научно-исследовательскому институту автоматизации производственных процессов в промышленности

на изобретение "Устройство для рефрактометрических измерений"

по заявке № 1640744 с приоритетом от 5 апреля 1971г. автор изобретения ЧАВЧАНИДЗЕ Зосим Семенович и другие, указанные в прилагаемом описании

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

19 июня 1972 г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

КОМИТЕТ ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ при СОВЕТЕ МИНИСТРОВ СССР

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ [illegible]

На основании заявления, представленного Правительством СССР, Комитет по делам изобретений и открытий при Совете Министров СССР выдал настоящее свидетельство

Научно-исследовательскому институту автоматизации производственных процессов в промышленности

на изобретение "Устройство для измерения виноградного сусла в чану водяным продувом"

по заявке № 1872250 с приоритетом от 22 июня 1972г. автор изобретения ЧАВЧАНИДЗЕ Зосим Семенович и другие, указанные в прилагаемом описании

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

22 декабря 1972 г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ [illegible]

На основании заявлений, представленных Правительством СССР, Государственный комитет Совета Министров СССР по делам изобретений и открытий выдал настоящее авторское свидетельство

ЧАКОНТАДЗЕ Виктору Геннадиевичу и другим, указанным в описании

на изобретение: "Устройство для сейсмоизоляции инженерного сооружения и тому подобных предметов"

в соответствии с описанием изобретения и приложенной к нему формулой,

по заявке № 1967806 с приоритетом от 4 апреля 1972г.

заявитель изобретения: Научно-исследовательский институт автоматизации производственных процессов в промышленности

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

24 января 1974г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ДЕЛАМ ИЗОБРЕТЕНИЙ И ОТКРЫТИЙ

АВТОРСКОЕ СВИДЕТЕЛЬСТВО

№ 246640 ДЕЛЕНИЕ

На основании заявлений, представленных Правительством СССР, Государственный комитет Совета Министров СССР по делам изобретений и открытий выдал настоящее авторское свидетельство

ЧАКОНТАДЗЕ Виктору Геннадиевичу и другим, указанным в описании

на изобретение "Устройство для рефрактометрических измерений"

в соответствии с описанием изобретения и приложенной к нему формулой,

по заявке № 1646725 с приоритетом от 5 апреля 1971г.

заявитель изобретения: Научно-исследовательский институт автоматизации производственных процессов в промышленности

Зарегистрировано в Государственном реестре изобретений Союза ССР

27 апреля 1972г.

Действие авторского свидетельства распространяется на всю территорию Союза ССР

ДИПЛОМ

ТРЕТЬЕЙ СТЕПЕНИ

Комитет по физической культуре и спорту

НАГРАЖДАЕТ

Председатель комитета

_____ "___" _____ 1980 г.

ქუჩის ხმა
№14 3 ივლისი-22 ივლისი, 2009

ვისი გოგისა ხარ?

თუ გსურთ, თქვენი გვარის შესახებ ინფორმაცია იხილოთ ჟურნალის ფურცლებზე, მოგვწერეთ. წერილის გამოგზავნა შეგიძლიათ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთების მეშვეობით.
მომდევნო ნომრებისთვის გვარების შერჩევა თქვენი თხოვნის გათვალისწინებით მოხდება (ანბანურ თანმიმდევრობას ყურადღება არ მიექცევა)

სინაურიძეთა გვარი

სინაურიძე ორმაგი სუფიქსაციის მქონე, ეპონიმური ტიპის გვარსახელია. მის ფუძეში უნდა ვივარაუდოთ წინაპრის საკუთარი სახელი. ქართველურ ანთროპონშაურში (აქ სინაურიძეები საბატონო გლეხებად იხსენიებიან).

იმერეთში ადგილს და ადგილს სახელად შემორჩენია სინაურიძეთა გვარის სახელი: „სინაურიძის მინდვრები“ – ბუჩეხარი ადგილი სოფელ გუმბრაში, ამავე სოფელში ერთ უბანს „სინაურიძეების უბანი“ ჰქვია, „სინაურიძის მიწები“ – სახნავი ადგილი სოფელ ტყაჩრში, „სინაურღელე“ – ღელე სოფელ წყალთაშუაში.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის სინაურიძეთა გვარის მეომრები კომლზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქრის შუაგულ, მეფისა ალმის მპყრობელთა სადროშოში.

ერისა და მამულის სამსახურში გამოჩნდნენ პარი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურისა და ხარაგაულის ბევრ სოფელში ერთმანეთის გვარდით ცხოვრობენ ჭანკოტაძეები და ჭანკვეტაძეები, როლებიც ერთმანეთის ნათესავები არიან.

XVIII-XIX საუკუნეებში ზემოიმერელი ჭანკოტაძეები შიდა ქართლში, შიგნით კახეთსა და ჰერეთშიც განსახლდნენ. ძველ სბუთებში ჭანკოტაძე-ჭანკვეტაძეთა წინაპრები ხშირად ჭამკოტაძის გვარით იხსენიებიან.

1775 წელს იმერთა მეფე სოლომონ I-ს კაცხის მონასტერს განუახლა შეწირულობის სიგელი, რომელშიც წერია, რომ სოფელ ვაჭვეში მცხოვრები გლეხები ადრეულ მონასტრის ყმები ყოფილან, მაგრამ ეამია ვითარე-

იმიკაში დასტურდება კაცის სახელები: სიდ, სინო, სინარ, სინატა. ცნობილია, რომ ქართული გვარსახელების „-ან“ და „-ურ“ დაბოლოებები უფრო ძველია „-შვილთან“ და „-ძესთან“ შედარებით. საკარაულდდ, სინაურიძეთა გვარსახელის პირვანდელი ფორმა სინაური იქნებოდა, ხოლო „ძე“ მოგვიანებით დამატებული ჩანს, მსგავსად ფორმებისა: სეთური – სეთურიძე, ილური – ილურიძე და სხვა.

ქართულ საისტორიო საბუთებში სინაურიძეთა გვარი XVIII საუკუნიდან იხსენიება. ისინი თავად აგიაშვილთა ყმა გლეხები ყოფილან. გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი გიორგი სინაურიძე აგიაშვილთა სათავადოში მოხელეთა შორის ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ საბუთში სინაურიძეთა ზოგი ოჯახი სინოურიძის გვარით იხსენიება.

XIX საუკუნის 40-იანი წლების აღსარების მთქმელთა სიების მიხედვით, სინაურიძეებს უცხოვრიათ იმერეთის შემდეგ სოფლებში: გუმბრაში (ამ სოფელში სინაურიძეც იხსენიება და სინოურიძეც, ისინი ყველანი საეკლესიო გლეხები იყვნენ), ტყაჩირში (აქ სინოურიძეები იხსენიებიან, ისინი სამატონო გლეხები იყვნენ), ვაკისუბანში (ეს სოფელი ამჟამად ქუთაისის ნაწილია, აქური სინოურიძეებიდან ზოგი სამატონო გლეხი იყო, ზოგიც – საეკლესიო), ინა-

სინაურიძეთა გვარისშვილნი: სახალხო გმირი ჭაბუკა სინაურიძე, პოეტი ანდრია სინაურიძე, მოძღვარი ალექსი სინაურიძე და სხვანი.

ამჟამად სინაურიძეების ძირითადი ნაწილი ქუთაისში ცხოვრობს, არიან წყალტუბოსა და ვანის რაიონის სოფლებში, მცირე რაოდენობით – თბილისშიც.

საქართველოში სინაურიძეთა დიდ-პატრის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი 550 სულს აჭარბებს.

ღმერთმა ამრავლოს გვარი სინაურიძეთა!

ჭანკოტაძეთა გვარი

ჭანკოტაძეთა გვარსახელის ეტიმოლოგია უცნობია. ჭანკოტაძეთა გვარმოდენილობის ბუდე-პირველსაცხოვრისი ზემო იმერეთშია საძებნი. ზემო იმერეთში, სოფელ ილემის წმინდა გიორგის ბაზილიკურ ეკლესიაში, ერთ-ერთი სვეტის თავზე ასომთავრული წარწერა იკითხება: „გიორგისა ჭაკეთაძესა შეუნდოს ღმერთმა. მეუღლესა მისა თამარს შეუნდოს ღმერთმა. ამინ“. ამავე სვეტის ფრესკაზე გამოსახულია პიროვნება ასომთავრული წარწერით: „ჭაკოტაძე გიორგი“. წარწერები დაუთარიღებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ეს გიორგი ჭაკეთაძე ან ჭაკოტაძე ილემის ეკლესიის ქტიტორი და ილემსა და ძრულაში დღესაც მცხოვრები ჭანკოტაძეების წინა-

ბისგან მონასტერს დაკარგვიან და ზოგი სამატონო გლეხი გამხდარა. მონასტრის გლეხები მეფემ ისევ მონასტერს დაუბრუნა. სიგელში იხსენიებიან ვაჭვეული ალდგომელ და გოგიტელა ჭამკოტაძეები.

1819 წლის კაცხის მონასტრის გლეხთა ნუსხაში ზემოხსენებული ჭამკოტაძეების შთამომავალნი უკვე ჭანკოტაძის გვარით იხსენიებიან. ვაჭვეში მცხოვრებ საეკლესიო გლეხებს ნასყიდა და დათია ჭანკოტაძეებს მონასტრისთვის უნდა ეხადათ სხვადასხვა რაოდენობის პური, ღვინო, სანთელი და სხვა.

XIX საუკუნის I ნახევრის პირობის წიგნში, რომელიც აზნაურ ფირან მაჭავარიანისთვის მოუციათ მის ყმებს, ერთ-ერთ მოწმედ იხსენიება გლეხი დათუა ჭამკოტაძე.

გლეხი ჭანკოტაძეები ჩანან XVIII-XIX საუკუნეების სოციალური შინაარსის საბუთებში თავად აბაშიძეთა, თავად წერეთელთა და აზნაურ იაშვილთა მამულებში.

XIX საუკუნის 40-იანი წლების აღსარების მთქმელთა სიების მიხედვით, ჭანკოტაძეებს უცხოვრიათ იმერეთის შემდეგ სოფლებში: ილემში (აქ ჭანკოტაძეებიც ცხოვრობდნენ, ჭამკოტაძეებიც და ჭანკეტაძეებიც, ზოგი სასულიერო წოდების ყოფილა, ზოგიც – სამატონო გლეხი), ვარძიაში (აქ სამატონო გლეხი ჭანოტაძეები ცხოვრობდნენ), კიცხში (სამატონო გლეხი ჭამკოტაძე), ნავარძეთში (სამატონო გლეხი ჭანკოტაძე და ჭამკოტაძე), კლდეეთში (სამატონო გლეხი

გამოცემული წიგნები










ვახტანგ ჭანკოტაძე
ბერმუხა

ვახტანგ ჭანკოტაძე
ბოლო ვაგონის
ლექსები

ვახტანგ ჭანკოტაძე
ჩემი შენ
კითხვარი


ვახტანგ ჭანკოტაძე
დაპაუზებული
იუმორი

ვახტანგ ჭანკოტაძე
გენაცვალოთ
პაპა

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ
ᲒᲘᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲝᲠᲘᲡ
ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ


გორელი გენერლები
XVIII-XXI
Generals from Gori

ᲩᲕᲔᲜᲘ
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ტელეპათიური
თბილისელები

ვახტანგ ჭანკოტაძე
ქაცი –
ლეგენდა

ვახტანგ ჭანკოტაძე
თიკუნები


ბავშვის
სასეირო


ვახტანგ ჭანკოტაძე
ოკეკ-ანეკდოტები

ვახტანგ ჭანკოტაძე
ჯიბის
75
ათეული

ვ. ჭანკოტაძე
ბ. ზუბაშვილი
კისკისას
კისკისი

ვახტანგ ჭანკოტაძე
„ქვლევითის"
დირექტორები

ვახტანგ ჭანკოტაძე
ლეგენდები


ვახტანგ ჭანკოტაძე
მესამე
გზა


ვახტანგ ჭანკოტაძე
მინიატიურების
კრებული


ვახტანგ ჭანკოტაძე
ქალაქის
ხელოვნება

ვახტანგ ჭანკოტაძე
ჩვენ ვართ
ტუუპები

ხსოვნის
წიგნი


ვიქტორ
ფუტკარაძე

ვახტანგ ჭანკოტაძე


სენსიების
ნოხეტები და
ჩვენ

ცხოვრების
საფეხურები

ოვლის მფარველი
ანგელოზები

ვახტანგ ჭანკოტაძე
პუბლიცისტიკა
ЗАРЯ
ВОСТОКА

ვახტანგ ჭანკოტაძე
ამაგდარი

ვახტანგ
ტანგოტაძე
ოლიმპიო
გაპაზარდეთ
ფრთების ფენები


ლიბერალ ტანგოტაძე
სიმაგე
ჩვენ და ჩვენი

ოკეანე ლაპარაკობდა
ბალეტს



ძმისშვილი ვახუშტი და შვილიშვილი ანა სტალინის სახლმუზეუმთან. 1986 წ.

ბორჯომი. მეუღლეთან (ირა) და უმცროს ვაჟთან (რეზო) ერთად. 1986 წ.

ეზოს ბავშვებთან. მარჯვნიდან პირველი შვილიშვილი ირინა. 2004 წ.

უფროს ვაჟიშვილთან (დევი) და შვილიშვილთან (თემუკა) ერთად. 2012 წ.

მეუღლესთან (ირა) და რძლებთან (ლარისა, ლელა) ერთად

შვილიშვილთან (ირინა) ერთად).
2001 წ.

შვილთაშვილ თემუკასთან.
2009 წ.

შვილიშვილი ირინა ჭანკოტაძე.
2020 წ.

შვილიშვილთან (ანა)
ერთად.

სარჩევი

შესავალი 3
ბავშვობა და სიჭაბუკე 5
არ დაიხიო, ვახო!.. 7
ბავშვური სიყვარული 11
სიმღერის ანსამბლში 14
მომწიფება 17
არდადეგები სოფელ საბუეში 19
თამბაქოს გემო 21
დეტექტიური სიუჟეტი 24
ალმასა 26
„ტიკჭორა“ 31
ფეხბურთელი 35
ოქროს მედალოსანი 37
ექსპერიმენტი ქათმებზე 39
სადაზვერვო სკოლაში 44
სცენის ვარსკვლავები თელავში 48
სტუდენტობა 55
პირველი ნაბიჯები... დამოუკიდებლობისკენ 57
მაძიებელი სული 61
როგორ გაიცნო ოთარ რამიშვილი 64
ლამაზი გოგო 70
უცნაური სიყვარული 76
რა მადლიანად ანათებს!.. 79
გულს უნდა თამარი! 82
მუსხელიშვილი, ჰუკი, ახალგაზრდა დოცენტი და ვახტანგი... 85
როგორ ვიცრუე პროფესორთან 89
ვახტანგური საჩუქარი 98
შეხვედრა გალაკტიონთან 104
სამი თვით ლენინგრადში 107
გამოცდა არტილერიაში 116
საქმიანობა (სამეცნიერო, სამეურნეო, ლიტერატურული...) 119
განაწილების გარეშე 121
ჰერიჰერი ქალაქ გორისკენ 124
ისევ გამოცდები... 126
შარი 131
ბინების განაწილება 134
ეფექტიანობისა და ნაყოფიერების სამსახურში 137
მივლინებით გურიაში 142
ისევ ფეხბურთი... 146
თეატრის სცენაზე 149
დასვენების დღეს 151

დისერტაცია 153
ნაჩუქარი დღეები 157
მეცნიერება წარმოებას! 160
დირექტორი 164
...როცა შენთანაა ღმერთი 174
პერლიტი 180
იმედგაცრუება 184
ახალი შემართებით 187
ყრუ-მუნჯების თავკაცი 193
...კვლავ კვლევითი 196
ელდა 198
მესამე გზა 201
ლექსმა ქნა?! 208
ეპილოგის ნაცვლად 211
სხვაღასხვა 215
რამდენიმე შტრიხი - პორტრეტისთვის 217
გამორჩეული კაცი 221
ვახტანგ ჭანკოტაძის შესახებ 223
ძმაო ვახტანგ! 224
„დაჰკარ ღვთის ზარი, გულში ცეცხლი უტყვად მინთია“ 225
ბატონო ვახტანგ! 227
სულიერი პორტრეტის შტრიხები 228
ჩვენი ვახტანგი 232
ჩემი აზრი გაინტერესებთ? 235
მოკრძალებული მადლიერება 236
მრავალჟამიერ, ბატონო ვახტანგ! 237
ცოცხალი ხიდის მცველი 238
მრავალმხრივი უნარი 239
გამოძახილი 240
გულიდან ამონახეთქი 240
გვახსოვხართ მუდამ 241
ექსპრომტი ვახტაგ ჭანკოტაძეს 242
წარმატებული შემოქმედი 242
ვახტანგ ჭანკოტაძე 244
„კაცი, რომელიც ლექსების გვერდით ზის“ 245
კაცი, კაცური სულით 246
ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძე? 247
* * * (პოეტ ვახტანგ ჭანკოტაძეს) 248
* * * (ღმერთისგან შექმნილი) 249
ვახტანგ ჭანკოტაძის ძირითადი ნიშან-თვისებები 250
მედლები, ჯილდოები, სიგელები, გამოცემული წიგნები 251

ავტორის შესახებ

ბესიკ კაიშაური - საჯარო მმართველობის მეცნიერებათა დოქტორი;

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი;

გიორგი შატბერაშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი;

14 წიგნის ავტორი.

კონტაქტისთვის:

ელფოსტა - kaishauribesik@gmail.com

მობ: 599 31 04 07

„ჩემი“ ხოხობი

მეამაყება — გორგასალის
მქვია სახელი,
მაგრამ მასავით, (საძწუხაროდ)
როდი ვარ დიდი,

ვერ ავაშენე (გამოვიბი
თუმცა ცხრა ხელი),
ციხე-კოშკები, მეიდნები,
აბანო, ხიდი,

ვერ შემოვარტყი მამულს კედლის
მტკიცე არშია,
„ჩემი“ ხოხობი კვლავ დაფრინავს,
ისევ ცაშია.



ვახტანგ ჭანკოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით.

თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდენიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში